ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეძღვნება აკაკი შანიძის
120 წლის იუბილეს

ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი

შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და
†თეიმურაზ მეტრეველმა

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,

უწმიდესისა და უნეტარესის,

ილია II-ის

ლოცვა-კურთხევით

სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონში სრულად შევიდა ძველი ქართული რედაქციების ყველა თხზულების ლექსიკური ერთეული ხმარების ყველა შემთხვევითა და მნიშვნელობათა ჩვენებით. XX საუკუნის 40-იან წლებში გამოცემული „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის“ შემდეგ ამ წიგნის გამოსვლით დასრულდა „ახალი აღთქმის“ ძველი ქართული რედაქციების სიმფონია-ლექსიკონის სრული კორპუსის გამოცემის დიდი საქმე. იგი დაეხმარება არა მარტო ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხების, არამედ საეროოდ ქართული სამწერლობო კულტურის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი: ლ. ბარამიძე

რეცენზენტები: ზ. ჭუმბურიძე
ნ. გოგუაძე
დ. მელიქიშვილი

წიგნი დაიბეჭდა იუდეისა და სამარიის აკადემიური კოლეჯის თანადგომით.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

ISBN 978-9941-13-010-6

წინასიტყვაობა

სიმფონიისა და სიმფონია ლექსიკონის მეცნიერულად შედგენა-გამოცემას ჩვენში ა. შანიძემ ჩაუყარა მტკიცე საფუძველი XX საუკუნის 40-50-იან წლებში (მწერალ კ. ჭიჭინაძის მიერ „ვეფხისტყაოსნის" 1934 წლის გამოცემის ტექსტზე დართული ინდექსი პოემაში ნახმარი სიტყვებისა არ იყო მკაცრი მეცნიერული პრინციპით შედგენილი: მას არ ჰქონდა ტექსტური დამოწმებანი და არც სიტყვები იყო დალაგებული საჭირო ფორმის ადვილად მონახვის წესის გათვალისწინებით, რის გამოც მისი პრაქტიკული მნიშვნელობა მცირე იყო.). ა. შანიძემ პირველად სიმფონია დაურთო 1944 წელს გამოცემულ უძველეს წერილობით ძეგლს – „ხანმეტ ლექციონარს", ხოლო 1946 წელს გამოცემულ გიორგი მთაწმინდლის „იოვანე და ეფთვიმეს ცხოვრების" ტექსტზე დართულ ვრცელ ლექსიკონში პირველად გაატარა გრამატიკული ინდექსების სისტემა. მისივე რედაქციით 1948-1949 წლებში გამოიცა „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი", შედგენილი ივ. იმნაიშვილის მიერ. ეს კაპიტალური შრომა ეფუძნებოდა ა. შანიძის მიერ 1945 წელს კრიტიკულად გამოცემულ ტექსტს „ქართული ოთხთავის" ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. ა. შანიძემვე 1956 წელს დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის" სიმფონიაც.

ძველი და საშუალი ქართულის პირველხარისხოვან ძეგლთაგან რამდენიმეს შემდგომაც გაუკეთდა სიმფონიები: 1984 წელს ლ. ქაჯაიამ გამოსცა „ხანმეტი ტექსტები", რომელსაც დაურთო სიმფონიაც; 1986 წელს გამოვიდა „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონის I და II ნაკვეთი. რაც შეეხება ახალი ქართულის მნიშვნელოვან წერილობით ძეგლებს, ორიოდესთვის თუა შედგენილი სიმფონიები: პრ. კეკელიძის მიერ 1961 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები" შესულია „თორნიკე ერისთავის" სიმფონია და ინდექსები. თ. სანიკიძემ გამოსცა „აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი" (ტ. I, 1982 წ.; ტ. II, 1983 წ.), ილია ჭავჭავაძის პოეზიის ლექსიკონი (1986 წ.), „ილიასა და აკაკის პოეზიის სიხშირის ლექსიკონი" (1988 წ.), „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი" (ტ. I, 1990 წ.; ტ. II, 1991 წ.; ტ. III, 1993 წ.; ტ. IV, 1994 წ.). გ. გოგატიშვილმა გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სიმფონია-ლექსიკონი (1973 წ.). ესაა და ეს.

წინამდებარე „სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი" შეიძლება ითქვას, პირდაპირი გაგრძელებაა „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონისა" არა მარტო შედგენის პრინციპების ერთგვაროვნობით, არამედ იმითაც, რომ ორივე სიმფონია-ლექსიკონი ახალი აღთქმის წიგნთა ქართული რედაქციების ტექსტებს ემყარება, პირველი – სახარება-ოთხთავისას, მეორე – სამოციქულოს 23 წიგნისას (7 კათოლიკე ეპისტოლეს, 14 პავლეს ეპისტოლეს, მოციქულთა საქმეს და იოანეს გამოცხადებას). „სამოციქულოს" ცალკეული ნაწილების გამოცემებში, რომლებსაც ეფუძნება ეს სიმფონია-ლექსიკონი, წარმოდგენილია ჩვენამდე მოღწეული ყველა (ოთხი) ქართული რედაქციის ტექსტი და, ამდენად, სიმფონია-ლექსიკონი მასალობრივად სრულია და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ინფორმაციას ახალი აღთქმის დიდი ნაწილის ქართულ რედაქციათა ლექსიკურ და გრამატიკულ მრავალფეროვნებაზე. კერძოდ, სასიმფონიო მასალა ამოწერილია „სამოციქულოში" შემავალ წიგნთა შემდეგი კრიტიკული გამოცემებიდან:

1. საქმე მოციქულთა. ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950. გამოცემაში გამოყენებულია ოთხი (ႠႡႢႤ) რედაქციის 9 ხელნაწერი X-XIV საუკუნეებისა: ძველი, Ⴀ (ხელნაწ. AK*), შუალედური, Ⴁ (ხელნაწ. CD), Ⴂ, გიორგი მთაწმინდლისეული (ხელნაწ. EF), Ⴄ, ეფრემ მცირისეული (ხელნაწ. GHJ).

2. კათოლიკე ეპისტოლეთა ძველი ვერსიები. X-XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქ. ლორთქიფანიძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1956. გამოცემაში წარმოდგენილია 4 რედაქციის (ႠႡႢႤ) 9 ხელნაწერის ტექსტის ჩვენება: ძველი, Ⴀ (ხელნაწ. A), შუალედური, Ⴁ (ხელნაწ. L), Ⴂ, გიორგი მთაწმინდლისეული (ხელნაწ. EF), Ⴄ, ეფრემ მცირისეული (ხელნაწ. GHJ).

* ხელნაწერთა პირობითი ლიტერების მნიშვნელობაზე ლაპარაკია იქვე გამოცემებში.

3. **იოანეს გამოცხადება და მისი თარგმანება.** ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1961. ტექსტი ეფთვიმე ათონელის თარგმანს წარმოადგენს და X საუკუნის 3 ხელნაწერს ემყარება (ABC).

4. **პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები.** გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1974. გამოცემაში წარმოდგენილია ოთხი რედაქციის (ABCD) X-XIV საუკუნეთა 12 ხელნაწერის ტექსტის ჩვენება: A, ძველი (ხელნაწ. ႠႦ), B, გარდამავალი (ხელნაწ. ႲႪႭႨ), C, გიორგი მთაწმინდელისეული (ხელნაწ. ႢႬႱ), D. ეფრემ მცირისეული (ხელნაწ. ႺႨႡ).

ამ „სამოციქულოს“ სიმფონია-ლექსიკონზე მუშაობა კარგა ხნის წინ დაიწყო, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. მასალის ამოწერასა და დალაგებაზე მუშაობდნენ კათედრის თანამშრომლები: ლელი ბარამიძე, რუბენ ენუქაშვილი, თეიმურაზ მეტრეველი, მაგული მარგველაშვილი, ივ. ტურაშვილი, ცირა ჩიკვაიძე, ბედისა შავიშვილი; ა. შანიძის წინადადებით, ბარათებზე ამოწერილი ლექსიკური ერთეულების ასოს შიგნითა დალაგება და განმარტება დაევალათ დოცენტებს ლელი ბარამიძეს, რუბენ ენუქაშვილს და თეიმურაზ მეტრეველს, ხოლო სამუშაოზე მეთვალყურეობა და კონსულტაცია — პროფ. ივ. იმნაიშვილს. კარგა ხნის რუდუნების შემდეგ სიმფონია-ლექსიკონის მასალები განმარტეს და სასტამბოდ გაამზადეს დოც. ლ. ბარამიძემ (ა, დ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ ასოთა რიგისა), დოც. რ. ენუქაშვილმა (ბ, გ, ს, ქ, ყ, შ, ჩ, ც, წ ასოთა რიგისა) და დოც თ. მეტრეველმა (ე, ვ, ნ, ო, პ, ჟ, რ, ტ, უ, ჳ, ფ, ღ, ძ, ჭ, ხ, ჴ, ჯ, ჰ, ჵ ასოთა რიგისა). დოც. რ. ენუქაშვილს ეკუთვნის აგრეთვე საკუთარ სახელთა სიმფონიის შედგენა. გადასაბეჭდად დამზადებული მთელი ნაშრომი კრიტიკული თვალით გადაიკითხა პროფ. ზ. ჭუმბურიძემ. ხელის საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილ შრომას კორექტურა გაუკეთეს თავ-თავის ნაწილში ლ. ბარამიძემ, თ. მეტრეველმა, ხოლო დოც. რ. ენუქაშვილის ნაწილში — კათედრის თანამშრომლებმა: მ. მარგველაშვილმა, ბ. შავიშვილმა, ე. ბასილაშვილმა და თ. ბოლქვაძემ. სასიმფონიო მასალების ამოწერის, დალაგების, ინდექსების და მნიშვნელობათა გამოცალკევებით აღნიშვნის პრინციპები არსებითად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“. რადგან ამ პრინციპებზე ვრცლადაა მსჯელობა ი. იმნაიშვილის „წინასიტყვაობაში“*, აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს სიტყვათა განმარტებების თაობაზე.

ამ ნაშრომის უპირველესი ღირსება ისაა, რომ სიმფონიასთან ერთად ის წარმოადგენს განმარტებით ლექსიკონს, რომელშიც თითქმის სისრულითაა წარმოჩენილი სიტყვათა ძირითადი და მეორეული კონტექსტური მნიშვნელობანი. მაგალითად, ტექსტურ დამოწმებათა გარეშე ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთ საზოგადო და კონკრეტულ არსებით სახელს, როგორიცაა, ვთქვათ, თავი რვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: 1. სხეულის ნაწილი, 2. უკუქცევითი ნაცვალსახელი, 3. მეთაური, უფროსი, 4. წიგნის ნაწილი, 5 წიგნი (ეპისტოლე), 6. დასაწყისი, 7. კუთხის ქვა, მთავარი ქვა (შენობისა), 8. ხომალდის წინა ნაწილი, ცხვირი. მაგრამ დამოწმებული ადგილები ცხადყოფენ ამ მნიშვნელობათა გამოყოფის საჭიროებას.

ნაშრომის ღირსებაა ისიც, რომ ე. წ. დამხმარე მეტყველების ნაწილები (ნაწილაკი, თანდებული, კავშირი, შორისდებულიც) სრულყოფილადაა დახასიათებული გრამატიკულ მნიშვნელობათა თვალსაზრისით. ასევე, სრულყოფილადაა წარმოდგენილი ზოგიერთი სიტყვის სრული (ლექსიკური) და დამხმარე (გრამატიკული) მნიშვნელობანი. ვთქვათ, კერძო სიტყვის ექვსი მნიშვნელობაა გამოვლენილი: სამი სრული (1. მხარე, 2. ნახევარი, 3. ნაწილი, ნაწილობრივი), სამი — დამხმარე, თანდებულური. უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნულია არა მარტო ის, თუ რომელი თანდებულის მნიშვნელობა ჰქონდა „კერძო“-ს, არამედ რომელ ბრუნვებში მართავდა სახელს (1. თანდ. (ნათ. ბრ.) კენ, გამო: ღმრთისა ჩუენ კერძო არს, 2. თანდ. (მოქმ. ბრ.) გან, კენ, ში: სამხრით კერძო, 3. თანდ. (ვით. ბრ.) კენ, ში: ბითჳნიად კერძო), ასე რომ კერძო სიტყვის სრული ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობანი გვეძლევა.

სიმფონია-ლექსიკონი ცხადყოფს, ზოგი სიტყვა თუ როგორ არის სემანტიკურად გადატვირთული ბიბლიური მნიშვნელობებით, როცა ის ქართულ თარგმანში ნახმარია სამ-ოთხი და

---

* იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. II ნაკ., 1949, 09-032.

ზოგჯერ მეტი უცხოენოვანი, კერძოდ, ბერძნული ფარდის გადმოსაცემად. მაგალითად, ერთი ქართული სიტყვა თესლი გადმოსცემს ბერძნულ ტექსტში ნახმარი ოთხი ლექსიკური ერთეულის ძირითად მნიშვნელობებს. ამდენად, მისი კონტექსტური შინაარსი შეიძლება იყოს: 1. თესლი, ნაყოფიერება, რომლისგანაც ვითარდება ახალი ცხოველური ორგანიზმი (იგივეა, რაც ბერძნული σπέρμα); 2. დასათესი მარცვალი (იგივეა, რაც ბერძნული σπόρος); 3. გვარი, მოდგმა, ნათესავი (იგივეა, რაც ბერძნული φυλή); 4. ხალხი, ერი, არაქრისტიანნი, წარმართნი (იგივეა, რაც ბერძნული ἔθνος).

თავად ნათესავი, რომელიც თესლ სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობად არის ზემოთ მოყვანილი, შეიძლება გადმოსცემდეს უფრო მეტ. ექვს ბერძნულ ლექსიკურ ერთეულს და შინაარსით იყოს: 1. მოდგმა, ჩამომავლობა (γενεά), 2. ხალხი, ერი (ἔθνος), 3. ნათესავი, სისხლით ახლობელი (συγγενής), 4. თესლი, შთამომავლობითობა (σπέρμα), 5. ტომი, გვარი (φυλή), 6. წარმართი (ἔθνος). ცხადია, ერთი სემანტიკური ველის სიტყვების კონტექსტურ მნიშვნელობათა ზუსტი დიფერენციაცია ძნელი იყო მთარგმნელთათვის და იოლი არც ლექსიკონის შემდგენელთათვისაა. ამიტომ ზოგი სიტყვის რომელიმე მნიშვნელობის გამოყოფა შეიძლება სადავო იყოს ამ წიგნშიც. ჩვენ უპირველესად ვგულისხმობთ ფსევდოჰომონიმებს, ანუ „ცრუ თანამოსახელეს", რომელიც სათარგმნი ტექსტის მცდარი გააზრების შედეგია: მთარგმნელი ერთ რეალურად სათარგმნ უცხოენოვან ერთეულს რევს გარეგნულად მსგავს, მაგრამ სრულებით სხვა მნიშვნელობის მეორე ერთეულში და ამიტომ პირველის (საჭიროს) ნაცვლად გადმოაქვს მეორე (ტექსტში არარსებული) სიტყვის მნიშვნელობა.

მაგალითად, სრულებით გასაგებია, როცა მოყუასი განიმარტება, როგორც „ახლობელი", „ახლოს მყოფი", „მეგობარი". მაგრამ როცა მის მეორე მნიშვნელობად სახელდება „სხვა", „მეორე", „ორიდან ერთი", საეჭვო ხდება ამ ორი მნიშვნელობის ურთიერთკავშირი, საეჭვო ხდება, რადგან ბიბლიური ტექსტის ქართულ თარგმანში შეცდომაა დაშვებული: ბერძნული წყაროს ἕτερος სიტყვა, რომელიც ნიშნავს სხვას, მეორეს, მცდარად აღრეულია ἑταῖρος სიტყვაში, რომელიც ნიშნავს: ახლობელს, მოყვასს*. ასეთ შემთხვევაში ქართული ტექსტის ლექსიკონის შემდგენლის წინაშე არცთუ იოლად გადასაჭრელი საკითხი დგება: სიტყვის განმარტებისას სიტყვის იმ მნიშვნელობას (ან მნიშვნელობებს) დაეყრდნოს, რომელიც (ან რომლებიც) მას აქვს საერთოდ ქართულში, თუ მისი ფარდი უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას? რეალურ მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, როცა კონკრეტულ ადგილას ტექსტშია „რომლითა საშჯელითა შჯი მოყუასსა, თავსა თჳსსა დაშჯი (ჰრომ. 2,1), მოყუასი განიმარტოს როგორც მოყვარე, ახლობელი, რაც მოცემულ კონტექსტს არ შეეფერება, თუ როგორც სხვა, მეორე, რომელიც კონტექსტს შეეფერება, მაგრამ ქართული სიტყვის მნიშვნელობას — არა. წინამდებარე სიმფონია-ლექსიკონში ასეთი შემთხვევისას, სიტყვის განმარტების დროს, არსებითად ამოსავალია უცხოენოვანი ფარდი ერთეულის მნიშვნელობა, რაც გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ აღინიშნებოდა, რომ ასეთი სიტყვის „უჩვეულო" მნიშვნელობა მთარგმნელის მიერ კონტექსტის არასწორი გაგების შედეგია (სამწუხაროდ, ნაშრომში ასეთი მითითება ყოველთვის არაა).

ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანში იშვიათი როდია რომელიმე ბერძნული სიტყვის მცდარად გადმოთარგმნა არა მარტო მაშინ, როცა უცხოენოვანი ფარდის მრავალი მნიშვნელობიდან ზუსტად კონტექსტისეული არ არის შერჩეული, არამედ მაშინაც, როცა, როგორც აღვნიშნეთ, მთარგმნელი რეალურად სათარგმნ ერთ ლექსიკურ ერთეულს მცდარად კითხულობს გარეგნულად მსგავს, მაგრამ სრულიად სხვა მნიშვნელობის სიტყვად, მაგალითად, ქართულ ტექსტში უნდა იყოს: „შეკრება" („შესაწირავის შეგროვება" შდრ. ბერძნ. λογία), მაგრამ არის კი მცდარი „სიტყუა" (შდრ. ბერძ. λόγος, 1 კორ. 16,1-2); უნდა იყოს „სრული" („სრულყოფილი" შდრ. ბერძ. ἄρτιος), მაგრამ არის კი მცდარი: „აწ" (ბერძ. ἄρτι „ახლა", 2 ტიმ. 3,17); უნდა იყოს „ნავთსადგური" ან: „ნავთსაყუდელი" (შდრ. ბერძ. λιμήν), მაგრამ არის კი მცდარი: „ტბა" (შდრ. ბერძ. λίμνη „ტბა", საქმ. მოც. 27,12) და სხვა. ასეთი შემთხვევების გამო ვწერდით, რომ: „თარგმანში ნახმარი სიტყვის მნიშვნელობა ყოველთვის არ შეიძლება იყოს

დანელია, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1983, 138.

ეკვივალენტური დედანში ნახმარი ერთეულისა. თუ კრიტიკულად არ იქნა განხილული თარგმანისა და ნათარგმნის სემანტიკური ფარდობა, მთარგმნელის შეცდომა შეიძლება მკვლევრის შეცდომად იქცეს. ამიტომ ფაქტების მიხედვით რომ ვთქვათ, არ შეიძლება, მაგალითად, ძველი ქართული ენის ან ქართული ენის ისტორიულ ლექსიკონში, თუნდაც ნათარგმნი ძეგლების კონკრეტული ადგილების დამოწმებათა საფუძველზე, შევიდეს და განიმარტოს, რომ სიტყუა აღნიშნავდა „შესაწირავის შეგროვებას“, აწ — „სრულყოფილს“, ტბა — „ნავთსადგურს“..., დასახელებულ სიტყვებს აღნიშნული მნიშვნელობა ქართულში არასდროს ჰქონიათ, რადგან ისინი გადმოსცემდნენ არა სათარგმნი ტექსტის კონტექსტური ერთეულების შინაარსს, არამედ გარეგნულად მათი მსგავსი, ოღონდ სრულიად სხვა სიტყვებისას. ამიტომ კონკრეტული ძეგლის თარგმანში ნახმარი ასეთი სიტყვები ლექსიკონში უნდა შევიდეს არა როგორც ჩვეულებრივი ერთეულები, არამედ, როგორც სიტყვა-სტატიები, სადაც მოკლედ იქნება ნაჩვენები ასეთ სიტყვათა უჩვეულო მნიშვნელობების ისტორია*

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ სიმფონია-ლექსიკონში ასეთი სიტყვების უჩვეულო მნიშვნელობების წყაროზე თუ საფუძველზე ყველგან ყოფილიყო მითითება. ასევე, არ იქნებოდა ზედმეტი, თუ მითითება-განმარტება ექნებოდა გაჩენა-წარმომავლობას ისეთი სალექსიკონო ერთეულებისასა, რომლებიც წარმოადგენენ პოლისემიური ბერძნული სიტყვის ნონსენსურ სემანტიკურ კალკებს** მაგალითად, ნაშრომში განმარტებულია: თესლის-მეტყუელი, საქმე 17,17Ⴊ, თესლის მკრებელი HJ მრავლისმეტყველი, ყბედი, ლაქლაქა“. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ამავე წყაროზე მითითებით ცალ-ცალკეა შეტანილი თესლის-მეტყუელი და თესლის მკრებელი და თითოეული მათგანი განმარტებულია ერთმანეთით, როგორც პარალელური რედაქციული იკითხვისები. ორივე ერთეულის მნიშვნელობაში სიცხადე შეაქვს ძველი რედაქციის იკითხვისს: მრავლის-მეტყუელი, რაც უპირველესად გაიგება, როგორც მოლაყბე. მაგრამ საკითხავია, არის კი თესლის-მეტყუელი ქართულ ენაში არსებული სიტყვა? არა. მაგრამ ეს სიტყვა სამწერლობო ქართულის კონკრეტული ძეგლის ფაქტია და ის შეიძლება ლექსიკონში შევიდეს, ოღონდ მას უნდა ახლდეს მითითება მისი გაჩენის ისტორიაზე. აქ ვითარება ასეთია: „საქმე მოციქულთას“ მიხედვით, პავლე მოციქულს ათინაში ეკამათებიან სტოელები და ეპიკურელნი: „რომელთამე ეპიკურელთა და სტოისა ფილოსოფოსთა სიტყუა-ყვეს მის თანა, და რომელნიმე იტყოდეს: რაჲ-მე ჰნებავს თესლის-მეტყუელსა ამას სიტყუად?“ (საქმე, 17,18). გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის თესლის-მეტყუელი ეფრემ მცირისეულში შეცვლილია თესლის-მკრებელი სიტყვით. ამ ადგილას ლაპარაკია, რომ ეპიკურელნი და სტოელნი დაცინვით მიმართავენ პავლეს, როგორც თითქოს სტოელთა ფილოსოფიის სპერმატული პრინციპების მიმდევარს, როგორც სპერმოლოგოსს, ირონიით კი, როგორც მათთვის მიუღებელი ქრისტიანული მოძღვრების მქადაგებელს, ამაოდ მოლაპარაკეს, ყბედს. ბერძნული σπερμολόγ-ის მნიშვნელობა უკეთ არის გადმოღებული ძველ რედაქციებში მრავლის-მეტყუელი სიტყვით. გიორგისა და ეფრემის მიერ ბერძნული სიტყვის რეალური მნიშვნელობის ნაცვლად გადმოღებულია კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა დომინანტი მნიშვნელობანი: σπέρμα „თესლი“ + λόγος „სიტყუა“, ან მცდარი წაკითხვით, λογία „შეკრება“***

შესაძლოა, გიორგი და ეფრემი ზემოდასახელებულ სიტყვებში ფილოსოფიურ შინაარსს დებდნენ (შდრ. სახის-მეტყუელი, ბუნების-მეტყუელი, სიბრძნის-მეტყუელი...), მაგრამ მისი ამოცნობა მკითხველისათვის ალბათ არსებითად შეუძლებელი იყო, შეუძლებელი იყო, რადგან ასეთი სიტყვები ქართულ ენაში არ არსებულა, ასეთი სიტყვების მნიშვნელობაში წვდომა, დღევანდელი მკითხველისთვისაც არ არის იოლი, თუ მათ ერთგვარი ისტორიული ექსკურსი არ ახლავს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ასეთი შენიშვნების საჭიროების და სურვილისა, სიმფონია-ლექსიკონში ექსკურსების გაკეთება ყველა საჭირო შემთხვევაში რთული იყო და უზარმაზარ დროს მოითხოვდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნაშრომში ყველა სიტყვის

---

* ვ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველ ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. ლექსიკურ-სემანტიკური კალკები ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში: საქ. მეცნ. აკადემიის „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), N 4, 1984 წ., გვ. 138-155

142-154

ხმარების ყველა შემთხვევა და ყველა ხელშესახები მნიშვნელობა რეალიზებული და ამ მხრივ ის სრულ ნდობას იმსახურებს.

ამ წიგნის გამოცემის შემდეგ ჩვენ ხელთ გვექნება არსებითად* მთელი ახალი აღთქმის ქართულ რედაქციათა სიმფონია-ლექსიკონი, რომლის მნიშვნელობა ბიბლიოლოგიისა და ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხების კვლევისათვის შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასდეს.

კორნელი დანელია

15 მაისი, 1995 წელი

---

* „არსებითად" ვამბობ, რადგან პროფ. ივ. იმნაიშვილის მიერ 1948-1949 წლებში გამოცემული „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი" მხოლოდ ორი ძველი (ოშკური, ადიშური) რედაქციის სახე (გიორგის, ბასილის, ადიშის) შატ-ბერდული ხელნაწერის მასალებს მოიცავს. გარდა, 1979 წელს, ივ. იმნაიშვილმა გამოსცა „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია", რომელშიც შეყვანა გარკვეული (ეფთვიმე ათონელისეული) და გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციების ტექსტი. ამ ტექსტის მასალები, სამწუხაროდ, არ აისახა „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის" მეორე (1986 წ.) გამოცემაში.

რედაქტორისაგან

როგორც წიგნის წინასიტყვაობაშიც არის აღნიშნული, ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონის დაბეჭდვით დასრულდა აკად. შანიძის მიერ წამოწყებული კიდევ ერთი დიდი საქმე, რომლის შედეგია ქართული ახალი აღთქმის წიგნთა სრული სიმფონია-ლექსიკონის შექმნა. წიგნი დაწერილია მრავალი წლის წინ, მაგრამ აქამდე არ მოხერხდა მისი დაბეჭდვა. კ. დანელიას მიერ წამძღვარებულ წინასიტყვაობაში საკმაო სისრულით არის დახასიათებული ის პრინციპები, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა ეს წიგნი, ამიტომ აქ ამის შესახებ არაფერს ვიტყვით.

ავტორთაგან ერთი (რუბენ ენუქაშვილი) ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად, მეორე (თეიმურაზ მეტრეველი) გარდაიცვალა. ამის გამო იძულებული გავხდით, მარტოს გვეკისრა ამ რთული და შრომატევადი საქმის ბოლომდე მიყვანა.

სალექსიკონო მასალის ამოწერაში ავტორთა გარდა მონაწილეობას იღებდნენ ძველი ქართული ენის კათედრის სხვა წევრებიც (რომელთა შესახებ წიგნის წინასიტყვაობაში არის აღნიშნული. ამიტომ აქ აღარაფერს ვიტყვით). საჭირო იყო მთელი ამ დიდი მოცულობის მასალის ხელახლა შემოწმება. ლექსიკონი თავდაპირველად გადაიბეჭდა ხელით საბეჭდ მანქანაზე და შეადგინა 1864 გვერდი (საკუთარი სახელების ჩათვლით). ტექსტის ის ნაწილი, რომლის ავტორებიც არიან თ. მეტრეველი და რ. ენუქაშვილი, 2004 წელს გამოცემებთან კიდევ ერთხელ შესადარებლად და ჩასასწორებლად მიეცათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის თანამშრომლებს: მაია მელიქიძეს (გვ. 873-986), რუსუდან ჭუმბურიძეს (გვ. 987-1100), თაია ცხადაიას (გვ. 1101-1214), ანა მეფარიშვილს (გვ. 1215-1328), ლელა ციხელაშვილს (გვ. 1329-1442), გიული შაბაშვილს (გვ. 1443-1556), ქეთევან გოჩიტაშვილს (გვ. 1557-1670) და ნათია ჩინჩალაძეს (გვ. 1671-1772).

თითოეულ მათგანს წილად შეხვდა დაახლოებით ას-ასი გვერდი. შენიშვნები შეამოწმა და შესწორებები შეიტანა ლ. ბარამიძემ. წიგნის წინა ნაწილი (გვ. 1-873), რომელიც ძირითადად ლ. ბარამიძის შედგენილი იყო, მანვე შეუდარა გამოცემებს და ჩაასწორა*

1. ლექსიკონი შედგენილია სამოციქულოს რამდენიმე წიგნის მიხედვით. მათი თანამიმდევრობა ლიტერატურაში ყოველთვის ერთნაირი არ არის. ჩვენ ავირჩიეთ მათ შორის ქართულ ბიბლიოლოგიაში უფრო გავრცელებული, კერძოდ: 1. საქმე მოციქულთა, 2. პავლეს ეპისტოლენი, 3. კათოლიკე ეპისტოლენი და 4. იოვანეს გამოცხადება. მთელი მასალა დალაგებულია სწორედ ამ თანმიმდევრობით, თუ ფორმებიც ერთმანეთს მიჰყვება.

თუ ფორმა ამა თუ იმ წიგნის ძირითად რედაქციაში არის, სხვებში კი — არა, ძირითადი რედაქციის ლიტერები მითითებული არ არის. მაგ., პავლეს ეპისტოლეთა AB რედაქციაში გვაქვს: არა-ვე-რაჲ, 1 კორ. 13,3. AB რედაქცია მითითებული აღარ არის. ამავე ადგილას CD-ში არის არარაჲვე, რომელიც ცალკე არის მოცემული.

2. ლექსიკონში შეტანილია ყველა ხელნაწერის ჩვენება, თანაც არამხოლოდ ძირითადი ტექსტისა, არამედ სქოლიოში ჩატანილი მონაცემებიც, რაც სისრულისათვის გაკეთდა.

3. გამოცემებში ასახულია მრავალი ხელნაწერი. ვარიანტები მითითებულია თითოეული მათგანისა. თუ ერთი რედაქციის ხელნაწერებში ერთნაირი ვითარება არის დაცული, მითითებულია ყველა მათგანის შესაბამისი ლიტერი, მაგრამ უმჯობესი იყო ასეთ შემთხვევაში სიმოკლისათვის ამა თუ იმ რედაქციის ლიტერის (ერთი ასოს) ჩანაცვლება, რაც ადგილს დაზოგავდა. მაგ., საქმე მოციქულთა GHI = გამოცემის Ö რედაქციას; პავლეს ეპისტოლეთა ႺႨႡ = D რედაქციას, ႢႢႭႤ = B რედაქციას და ა. შ. ამის შესახებ თანაავტორებთან გვქონდა საუბარი, მაგრამ რატომღაც ასე არ გაკეთდა და შედეგად მივიღეთ ერთგვარი სიჭრელე — ხან ყველა ხელნაწერია ჩამოთვლილი, ხან მოცემულია გამაერთიანებელი (რედაქციის აღმნიშვნელი) ერთი ლიტერი.

---

* მიუხედავად დიდი ცდისა, ვერ ვიპოვეთ ერთადერთი ფორმა: წარიყვანნა იგინი, საქმე 16,39 [illegible].Ö.

4. ლექსიკონში ერთნაირი, გამეორებული გამოთქმები მხოლოდ ერთხელ არის მოყვანილი პირველი წიგნის (ანუ საქმე მოციქულთას) მიხედვით. ხოლო დანარჩენი შემთხვევებისათვის მითითებულია მხოლოდ წიგნი, თავი და მუხლი. ასე ვიქცევით მაშინაც, თუ მცირე განსხვავება არსებობს გამეორებულ ფრაზათა შორის ან ზოგჯერ თუ განსხვავებულია სიტყვათა წყობა. მაგ.: იყოს მტკიცე **აღთქუმაჲ იგი**, ჰრომ. 4,16 და: მტკიცე იყოს **აღთქუმაჲ იგი**, ჰრომ. 15,8. ამათგან მოყვანილია მხოლოდ პირველი მათგანი, მეორისა კი მხოლოდ თავი და მუხლია მითითებული. ასევე: **მკუდრეთით** აღდგომილ არს, 1 კორ. 15,12 და: აღდგომილ არს **მკუდრეთით**. იქვე 15,20. ან კიდევ: **დაასხნეს** მათ ზედა ჴელნი მათნი, საქმე 6,6 და: **დაასხნეს** მას ზედა ჴელნი მათნი, იქვე 21,27. სრულად მოყვანილია პირველი მათგანი, მეორე მხოლოდ მითითებულია.

5. აზრის გასამართავად ზოგჯერ იძულებული ვიყავით წინა (დაშორებული) მუხლებიდან მოგვეყვანა სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული: **მოსრულ ხართ... სისხლითა პკურებასა**, ებრ. 12,24; „მოსრულ ხართ“ 22-ე მუხლიდან არის მოხმობილი. **თქუენი არს... აწინდელი ჟამი**, 1 კორ. 3,22; „თქუენი არს“ 21-ე მუხლშია. [**დავშუერ**] **არა მე, არამედ მადლი იგი**, 1 კორ. 15,10; **უკუეთუ მადლით. არღარა საქმეთაგან** [**იქმნა**], ჰრომ. 11,6.

ზოგჯერ საილუსტრაციოდ მოყვანილი მასალა ვერ თავსდება აღნიშნულ ფარგლებშიც კი. ეს მაშინ ხდება, როცა შემასმენლის შემდეგ გვაქვს ჩამოთვლა, რაც იშვიათად რამდენიმე მუხლს მოიცავს ხოლმე. მაგალითად: „**წარუდგინენით თავნი თჳსნი**“, 2 კორ. 6,4; მითითებული მუხლის გარდა, ის იგულისხმება კიდევ ექვს მუხლში, რომლებიც აზრობრივად დაკავშირებულია მე-4 მუხლთან და ფრაზის გასამართავად საჭიროა მისი დამატებაც. მაგ.: **წარუდგინენით თავნი თჳსნი... დიდებითა და გინებითა**, 2 კორ. 6.8. მითითება ხდება მხოლოდ იმ მუხლისა, რომელშიც განსამარტავი სიტყვა გვხვდება.

6. ლექსიკონში ჯერ მიდის ძირითადი (უფრო ძველი) რედაქციის (რედაქციების) ფორმა, შემდეგ სხვა რედაქციების ვარიანტი სათანადო მითითებით. მაგრამ ამოსავალი (ძველი) ვარიანტის ძირითად ფორმად გაშვება ყოველთვის არ ხერხდება, რადგან უმრავლეს რედაქციებში ახალი ფორმა არის მოცემული, ძველი ფორმა კი მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერში გვხვდება. ასეთ შემთხვევაში ძირითად ფორმად მიდის ახალი, ძველი კი ვარიანტად: აღსაშენებელად (აღსაშჱნებელად ႦႢႭ), ეფეს. 4,16.

7. ჩვენს ლექსიკონში, საზოგადოდ, ზმნები დალაგებულია საწყისების მიხედვით. გამონაკლისს წარმოადგენს ვალ, ვედ/ვიდ ფუძეები, რომელთა საწყისი ს- თავსართს იყენებს: სლვა. შეიძლებოდა უზმნისწინო ფორმები, ს-ზე მოგვეთავსებინა, ხოლო ზმნისწინიანები — სათანადო ზმნისწინიან ამავე საწყისზე: მისლვა, მოსლვა, დასლვა... ჩვენ ასეც მოვიქეცით, ხოლო სხვა თანაავტორებმა ძველი სქემა აირჩიეს, ის, რომელიც მოცემული აქვს ივ. იმნაიშვილს თავის „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“, ანუ ეს ზმნები დალაგებული აქვთ ფუძეთა მიხედვით: გამოვედ/გამოვიდ, განვედ/განვიდ და მისთ. საწყისი მოწყვეტილია მათგან და ცალკეა მოცემული. გაერთიანება არ მოხერხდა.

8. ერთსა და იმავე წინადადებაში ზოგჯერ სიტყვა მეორდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით. მიღებულია, რომ უნდა დალაგდეს ბრუნვათა და რიცხვის მიხედვით, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება: ყველა განმეორებული სიტყვა (მიუხედავად ფორმისა) ერთადაა მოცემული. ყურადღება არ ექცევა ფორმათა თანმიმდევრობას. მაგ.: სასოებაჲ, სასოებად, ისევ სასოებაჲ, სასოებასა... სასოებით, სასოებისა... კვლავ სასოებით, სასოებად. ასევე ჯერ: სასოებისაგან, შემდეგ კვლავ: სასოებითა. ასეა დალაგებული აგრეთვე სიტყვა „სული“.

ალბათ ასე ხდება ადგილის მოგების მიზნით, მაგრამ ფორმათა დალაგების პრინციპი ირღვევა. ცვლილების შეტანა, მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტის ხელახლა დალაგება შეუძლებელი იყო და ამან გარკვეული სიძნელე წარმოშვა.

9. წიგნი დაწერილია მრავალი წლის წინ. ზოგი რამ ახლა შეიძლებოდა სხვა თანმიმდევრობით დალაგებულიყო ლექსიკონში. მხედველობაში გვაქვს ე. წ. ნაწევრიანი სახელები, რომელთა შესახებ ივ. იმნაიშვილი წერს: „ვითარებით რიცხვში ჯერ მიდის ლიტონი სახელი: უნა-

წყვრო, უთანდებულო და უნაწილაკო. შემდეგ — ნაწევრიანი (ნაწევრებში ჯერ „ესე", შემდეგ „ეგე", ბოლოს „იგი"): ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 015.

ირკვევა, რომ არტიკლი (იგივე ნაწევარი, არტრონი) ქართულში არ უნდა გვქონოდა. მაგრამ ახლა ამის გათვალისწინება კიდევ დიდი ხნით გადადებდა ამ წიგნის გამოცემის საქმეს. თანაც უნდა ითქვას, რომ არსებით სახელთა ზემოთ აღნიშნული დალაგების წესი ზიანს არ მიაყენებს ამ წიგნის გამოყენების საქმეს.

10. გამოცემებში მართლწერა განსხვავებულია, ჩვენ სწორებას ვერ დავიწყებდით, დავტოვეთ ისე, როგორც ამა თუ იმ გამოცემაშია, რაც ერთგვარ უხერხულობას იწვევს, მაგრამ გასწორებაც შეუძლებელი იყო. გასწორებულია მხოლოდ მაშინ, როცა ეს სიტყვა განსამარტავად არის გამოტანილი, აგრეთვე, აქვე, საილუსტრაციო მაგალითებში. იგივე სიტყვა არ არის გასწორებული ამავე წინადადების სხვა სიტყვების განმარტებისას. მაგ., არა-მცირედი, მაგრამ: არა მცირედსა საქმესა, საქმე 19,24.

11. ზოგ რამეში არ ვეთანხმები ავტორებს, მაგრამ არ გამისწორებია. მაგ., „პირველი" განმარტებულია ასე: „პირველი (რიცხ. სახ.) პირველი: პირველ მკუდართა აღდგომისა ნათელი მითხრობად ერთა, საქმე 26,23".

აქ „პირველი"=-მდე თანდებულს: „აღდგომამდე", უწინ, უფრო ადრე.

12. ვფიქრობთ, არ შეიძლება ყოველგვარი ვარიანტის მოყვანა ლექსიკონის ძირითად ტექსტში. მაგ.: „არს შენ თანა შეუორგულებელი (შეურგულებული Ⴂ) სარწმუნოებაი, 2 ტიმ. 1,5. ასევე: სარწმუნოებისა შეუორგულებელისა (შეურგულებელისა Ⴂხ), 1 ტიმ. 1,5.

ასეთი „ვარიანტები" ჩვენ ზოგჯერ ამოვიღეთ.

13. „ურიდება ღონის მიხდა" არაა ზუსტი განმარტება, „ურიდებითა ჴორცთაჲთა" = ხორცის დაურიდებლობით (ἀφειδία). გასწორდა ამის მიხედვით = დაურიდებლობა, არდაზოგვა.

14. „იპოვა" მიდის ე პრეფიქსიანი ვნებითის შემდეგ, მაგრამ არ არის აღნიშნული, რომ ვნებითია, თუმცა ერთგან მნიშვნელობა სწორად არის მითითებული (= აღმოჩნდა-ო). ვარიანტებში ერთ შემთხვევაში მოყვანილია „ვიპოვენით": ვიპოვენით უკუე ცრუ მოწამე ღმრთისა, 1 კორ. 15,15Ⴂ, რაც ხელნაწერის კორექტურული შეცდომა უნდა იყოს. ძირითად ტექსტშია წყვეტილის ფორმა: „ვიპოვენით", იქვე.

როგორც ცნობილია, ამ ზმნის ი პრეფიქსიანი ფორმა ძველ ქართულში ვნებითის მნიშვნელობისაა ჩვეულებრივ და გასწორდა ამის მიხედვით.

15. არ მიგვაჩნია სწორად შესატყვისი ბერძნული ლექსიკის ძალზე ხშირი, თითქმის ყოველ ნაბიჯზე დამოწმება, თორემ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ორენოვან ანუ თარგმნით ლექსიკონთან გვაქვს საქმე. ჩვენს ლექსიკონში ბერძნულის შესაბამისი ფორმები მხოლოდ ბუნდოვანების გასაფანტავად უნდა იყოს მოყვანილი.

16. „შურება, შურობა" ზმნათა ე- პრეფიქსიან ფორმებში გაერთიანებულია ორი სხვადასხვა ზმნა: ა) ეშურობთ, გეშურობენ, გეშურობდა და: ბ) გეშურებიან, ეშურებოდე, ეშურებოდეს. ისინი ცალ-ცალკე უნდა იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ აღარ მოხერხდა.

17. თავისებურია „იენი" ზმნა, რომელიც ხან მოთხრობითში შეიწყობს ქვემდებარეს, ხან — სახელობითში (უფრო იშვიათად): იენო... თავადმან, ქრისტემან, რომელმან..., მაგრამ „ყოვლისაგან იგი იენო, ებრ. 5,8ႢႣႧ; ერთ შემთხვევაში: „იესუ... გარეშე ბჭეთა იენო, ებრ. 13,12" ორივე ბრუნვა შეიძლება მივიჩნიოთ დასაშვებად.

მრავლობითი რიცხვის ფორმებიც არ არის ვნებითისა: „ვიენით", „იენით", ნაცვლად მოსალოდნელი „ვიენენით", „იენნეს" ფორმებისა.

სახარებაში მხოლოდ ერთი ფორმა გვხვდება: „რაჲთა ყრმად იენოს, მრ. 9,12D, რომელიც იმნაიშვილს ვნებითად მიუჩნევია ალბათ „იენი"-ს გავლენით

ეს ფორმები არ არის ვნებითი, არამედ II წ. უობიექტო ი პრეფიქსიანი მოქმედებითისა და ამის მიხედვით გასწორდა კიდეც.

18. სიტყვის ჩვეულებრივი ვნებითის შემდეგი ფორმები: 1. აწ ნურას იურვი. საქმე 22,16; რამეთუ ვიურვითცა. საქმე 19,40; 3. ნუ იურვინ. 1 კორ. 7,18; 4. რასთა... ვიურვოდით. 1 თეს. 3,3; 5. რასთა არარას იურვოდით, იქვე; 6. რასთა არა იურვოდიან (იურვოდინ D). კოლ. 3,21.

აქვს ე- პრეფიქსიანი ფორმაც: 1. რასთა არა ეურვოდინ. კოლ. 3,21C; 2. აწ ნურას ეურვი, საქმე 22,16E.

ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ ჩვეულებრივ ვნებითს ყველა სერია აქვს, ამათ კი მხოლოდ I სერია მოეპოვებათ.

ამ მხრივ საგულისხმოა ახალი ფორმების გაჩენა, რომელთაც უკვე ებ თემის ნიშანი დაერთვის: ეურვების, 1 კორ. 9,9; ნურას გეურვებინ, 1 კორ. 7,21CD; ნუუკუე ჴართაჲ რაჲმე ეურვებოდა, 1 კორ. 9,9TCTb.

როგორც ცნობილია, ვნებითის ფორმები თავისუფლად უკეთდება. ამ ახალ ფორმებს მაინც თუ აქვთ II და III სერია? ალბათ არა.

19. აქვე შევნიშნავთ, რომ შეუდგ, შეუდგთ ვნებითი არ არის, საშუალია, ნახე „შედგომა".

20. ცნობილია, რომ ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელები ეგე, იგი, ესე, ისი, ბრუნების დროს ორფუძიანია. ერთი ფუძე გამოყენებულია სახელობითში, მეორე – დანარჩენ ბრუნვებში: ეგე – მაგა, იგი – მა, ესე – ამა, ისი – იმა. ლექსიკონებში ეს ფუძეები შეტანილია ცალ-ცალკე, ეგე ე ასოზეა, მაგა – მ-ზე, ასევე იგი მიდის ი ასოზე, მა – მ-ზე. შესაბამისად, ცალ-ცალკეა მოცემული ისი და იმა. ჩვენ ისინი ერთად გვაქვს წარმოდგენილი, სათანადო მითითებები მოცემულია თითოეულ ფუძესთან თავისი ანბანური რიგის მიხედვითაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეგე ფუძეს მოჰყვება მაგა, მ-ზე მაგა ფუძესთან მოცემულია სათანადო მითითება: იხ. ეგე; იგი-ს შემდეგ მოდის მა ფუძე, მ-ზე კი ამის შესახებ მითითებულია. ასევეა დანარჩენებიც.

21. ორფუძიანია აგრეთვე „მე" პირის ნაცვალსახელი, რომელსაც ნათ. ბრ.-ში „ჩემ" ფუძე ენაცვლება. ესენიც გაერთიანდა, „ჩემ" ფუძესთან მითითებულია „მე".

მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, მაინც ვფიქრობთ, რომ უაღრესად საჭირო საქმე გაკეთდა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის რედაქტორს მარტოს მოუხდა ეკისრებინა კომპიუტერული ტექსტის კორექტურების კითხვის მთელი სიმძიმე. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი გულდასმით შემოწმდა რამდენჯერმე, მაინც შეიძლება შეცდომა სადმე გაპარულიყო. იმედია, მკითხველი ამას მოგვიტევებს.

მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ყველა პირის მიმართ, ვინც ჩვენ ამ საქმეში დახმარება გაგვიწია.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთელი ეს რთული ტექსტი კომპიუტერში შეიტანა და გამართა ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა მაია ჯაფოშვილმა, რომელმაც თვითონ შეარჩია შრიფტი, წიგნის ფორმატი და ტექსტის დიზაინი. მასვე ეკუთვნის ინიციატივა ეკისრა ეს დიდი საქმე. ჩემი ავადმყოფობის გამო მას თვითონ მოჰქონდა ჩემთან საკორექტურო ტექსტი.

დიდი მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობისა და ამავე ფაკულტეტის ქართული ენის მიმართულების მთელი განყოფილებისადმი, რომელთაც დიდი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა გამოიჩინეს ჩვენდამი.

25.VI.2007

ლეილი ბარამიძე

ა

ა, ან 1. ქართული ანბანის პირველი ასო, რიცხვითი მნიშვნელობა – 1: საკითხავი ა., ჰრომ. (სათ.); 1 კორ. (სათ.); 2 კორ. (სათ.); ეფეს. (სათ.); ფილიპ. (სათ.); 1 თეს. (სათ.); ებრ. (სათ.); 1 ტიმ. (სათ.); 2 ტიმ. (სათ.); თავი ა., ჰრომ. 1,17; კორინთელთა მიმართ ა. (= პირველი) ეპისტოლჱს მიწერა, 1 კორ. 16,24ΓGH; დამაკლებს მე ჟამი ესე მითხრობად... სამოელისთჳს და ა. წინასწარმეტყუელთა. ებრ. 11,32CD; ერეთლჱს მეფეთა [ა. აბრაჰამ, მოსე...], ებრ. 11,33CD.

2. კითხვითი ნაწილაკი: კუალად-მოაგია სასუფეველი ისრაჱლსა, საქმე. 1,6ᑫLL; ანუ არა აჰა ესე ყოველნი არიანა, რომელნი იტყჳან გალილეველ, საქმე 2,7ΓLŌ; ანუ არა... ჴელმწიფებასავე შენსა იყოა, საქმე 5,4ΓLŌ; უკუეთუ ესოდენის განჰყიდეთა დაბაჲ იგი, საქმე 5,8GI; უკუეთუ ესე ესრეთ არსა, საქმე 7,1ΓLŌ; თავისა თჳსისათჳს იტყჳსა, საქმე 8,34; არა ესე არსა, რომელ-იგი მოსრვიდა იერუსალჱმს შინა, საქმე 9,21; სიმონისი... ვანი აქა არსა, საქმე 10,18ᑫLŌ; წყლისაგან ნუ რაჲ ყენებაჲ არსა არა ნათლის-ცემაჲ ამათი, საქმე 10,47ᑫLŌ; არა დასცხრეა განდრეკად გზათა მათ უფლისათა, საქმე 13,10; შეძლებელ ვართა ცნობად, საქმე 17,19; ჰხედავა, ძმაო, საქმე 21,20; ჯერ-არსა ჩემდა სიტყუაჲ, საქმე 21,37; ბერძლ იცია, საქმე 21,37; შენ ხარა მეგჳპტელი იგი, საქმე 21,38ᑫLŌ; ჯერ-არსა თქუენდა ტანჯვად, საქმე 22,25GH; შენ ჰრომი ხარა, საქმე 22,27; მღდელთ მოძღუარსა ღმრთისასა აგინება, საქმე 23,4; გნებავსა იერუსალჱმდ აღსლვაჲ, საქმე 25,9ᑫLŌ; ჰხედავთა ამას, საქმე 25,24; გრწამსა... წინაწარმეტყუელთაჲ, საქმე 26,27ᑫLŌ; ვერ გიცნობიესა, რამეთუ..., ჰრომ. 2,4; ნუუკუე... სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ განაქარვისა, ჰრომ. 3,3ΓCD; ნუუკუე სიცრუე-მე არსა ღმრთისა თანა, ჰრომ. 3,5; კაცობრივ-მე რას ვიტყჳა, ჰრომ. 3,5; წინა-მე ვჰმატთა, ჰრომ. 3,9; სადა უკუე არს სიქადული იგი? და-მე-ყენებულ არსა, ჰრომ. 3,27ᑫLΓCD; ანუ ჰურიათაჲ ხოლო-მე არსა ღმერთი, ჰრომ. 3,29; აწ შჯულსა ნუ განვაქარვებთა სარწმუნოებითა მით, ჰრომ. 3,31; ანუ არა უწყითა, ჰრომ. 6,3; 7,1; არა უწყითა, რამეთუ, ჰრომ. 6,16; 1 კორ. 3,16CD; 5,6ΓCD; 6,2CD; 6,3CD; 6,15; 6,16ΓCD; 9,13CD; 9,24; იაკ. 4,4LŌ; შჯული ცოდვა-მე არსა, ჰრომ. 7,7; აწ უკუე კეთილი იგი მე სიკუდილი მექმნაა, ჰრომ. 7,13; არა-მე რაჲ დასაშჯელ არსა მათა, ჰრომ. 8,1; სიცრუჱ-მე არსა ღმრთისა თანა, ჰრომ. 9,14; მრქუა მეა, ვითარმედ, ჰრომ. 9,19; ნუუკუე არა ესმაა, ჰრომ. 10,18; ნუუკუე ისრაჱლმან არა იცნაა, ჰრომ. 10,19; ანუ არა უწყითა ქლიაჲსი, ჰრომ. 11,2.

ნუუკუე შეუბრკუმაა, ჰრომ. 11,11; არამედ სიტყუა სამეა, ჰრომ. 11,19Γ; გან- მე -ყოფილ არსა ქრისტჱ, 1 კორ. 1,13; ნუ პავლე ჯუარს-ეცუაა თქუენთჳს, 1 კორ. 1,13D; ანუ სახელისა მიმართ პავლესისა ნათელ-იღეთა, 1 კორ. 1,13ΓCD; არა მრავალნი ბრძენ არიანა... არა მრავალნი ძლიერ არიანა, არა მრავალნი აზნაურ არიანა, 1 კორ. 1,26; არა ჴორციელნი ხართა, 1 კორ. 3,3; არა კაცნივე ხართა, 1 კორ. 3,4; აწვე განმდიდრეთა ხართა, 1 კორ. 4,8GH; აწვე განმეფედითა, 1 კორ. 4,8D; ანუ არა შინაგანნი იგი თქუენ განიკითხნეთა, 1 კორ. 5,12CD; იკადროს-მე ვინმე თქუენ შორის, 1 კორ. 6,1D; არა ჰღირთა საწუნელისა მის განკითხვისა, 1 კორ. 6,2; ანუ არა უწყითა, 1 კორ. 6,2; 6,9ᑫLCD; 6,19; არავინ არსა თქუენ შორის ბრძენ, 1 კორ. 6,5; აღ- უკუე-ვიხუნე ასონი იგი ქრისტჱსნი, 1 კორ. 6,15ΓCD; ანუ არა ნამუშაკევი ჩემი თქუენ ხართა, 1 კორ. 9,1CD; აზნაურ არა-მე ვარა, 1 კორ. 9,1; არა ვარა მოციქულ, 1 კორ. 9,1CD; არა-მე თუალითა ჩემითა ვიხილეა, 1 კორ. 9,1; არა ნუ ჴელ-მეწიფებისა ჭამად, 1 კორ. 9,4; არა ნუ გუაქუსა ჴელმწიფებაჲ, 1 კორ. 9,4; 9,5CD; ანუ არა ჴელ-მეწიფებისა დათა მათ დედათა მიმოყვანებაჲ, 1 კორ. 9,5; ანუ კაცობრივ-მე ნუ ვიტყჳა ამას, 1 კორ. 9,8D; არა შჯულიცა ამასვე იტყჳსა, 1 კორ. 9,8; ნუუკუე ჴართაჲ რაჲმე ზრუნავნ (ზრუნავისა ᑫL) ღმერთსა, 1 კორ. 9,9G; დიდ რაჲმე არსა, 1 კორ. 9,11; არა-მე ზიარებაჲ სისხლთა ქრისტჱსთაჲ არსა, 1 კორ. 10,16; არა-მე ზიარებაჲ ჴორცთა ქრისტჱსთაჲ არსა, 1 კორ. 10,16; ზიარ საკურთხეველისა მის არიანა, 1 კორ. 10,18CD; ანუ ვაშურვით მე რასა უფალსა, 1 კორ. 10,22ᑫL; ნუუკუე სახლებ არა გიდგსა ჭამად, 1 კორ. 11,22CD; ამისგანვე არა არსა მის გუამისაგანი, 1 კორ. 12,15; ამისთჳს არა არსა მის გუამისაგანი, 1 კორ. 12,16; ნუ ყოველნი მოციქულ იყვნეა, 1 კორ. 12,29ΓCD; არა-მე თქუანა, 1 კორ. 14,23; ქრისტჱს მიერ წარწყმდესა, 1 კორ. 15,18; ჴორციელად-მე რას ვზრახავა, 2 კორ. 1,17CD; ნუუკუე სისუბუქით ვიჴუმიეა, 2 კორ. 1,17Γb; ყოვლისათჳს-ძი მორჩილ ხართა, 2 კორ. 2,9CD; ნუ გჳჴმს-მე რაჲა, 2 კორ. 3,1ΓFCD; ანუ არა წიგნ ჩუენდა თქუენ ხართა, 2 კორ. 3,2; ყოველნი-მე მოწყდენა, 2 კორ. 5,14; ანუ ცოდვაჲ-მე რაჲ ვქმენა, 2 კორ. 11,7CD; ანუ ცოდვაჲ-მე ვქმენ რაჲა, 2 კორ. 11,7Ō; ანუ არა მათვე კუალთა შეუდეგითა, 2 კორ. 12,18CD; არა მითვე სულითა ვიდოდეთა (მოვიდაა Ō), 2 კორ. 12,18; ანუ არა მასვე კუალსა შეუდგაა, 2 კორ. 12,18Ō; ნუ მო-მე რაჲ-გხუეჭაა ტიტე, 2 კორ. 12,18; ანუ არა უწყნითა თავნი თჳსნი, 2 კორ. 13,5CD.

კაცთა-მე ვერწმუნოა, გალ. 1,10Γ; ქრისტე ცოდვისა-მე მსახურ იქმნაა, გალ. 2,17LŌΓ; ნუუკუე ქრისტე არსა ცოდვისა მსახურ, გალ. 2,17D; ქრისტჱ ცუდად-მე მოკუდაა, გალ. 2,21; საქმეთაგან შჯულისათა მიიღეთა სული იგი, გალ. 3,2Ō; გარდასლვისათჳს-მე მოეცაა, გალ. 3,19; შჯული მტერ-მე არსა, გალ. 3,21; შჯული არა აღმოიკითხავსა, გალ. 4,21; გან-მე-ქარდაა საცთური იგი ჯუარისაჲ, გალ. 5,11; არა გაქუსა, 2 თეს. 2,5; ანუ არა ყოველნივე არიანა მოხარკე სულებ, ებრ. 1,14CD; ვიეთი მოაწყინა... ანუ არა რომელთა-იგი შესცოდესა, ებრ. 3,17CD; და-მე-აქლდებისა შაბათობაჲ იგი ერსა ღმრთისასა, ებრ. 4,9; არამცა დასცხრესა შესაწირავნი იგი, ებრ. 10,2D; ესე საკადრებელ არსა, ებრ. 13,6Ō; ანუ არა გლახაკნი სოფლისანი გამოირჩინაა ღმერთმან, იაკ. 2,5ΓLŌ; ანუ არა მდიდარნი ვჳძლევენ თქუენ, იაკ. 2,6LŌ; არა იგინი ჰგმობენ კეთილსა მას სახელსა, იაკ. 2,7ΓLŌ; გნებავსა ცნობად, იაკ.

2.20FႭ: აბრაჰამ... არა საქმეთაგან განმართლდა, იაკ. 2.21ႺႢႭ: ხედავა, რამეთუ სარწმუნოებაი შეეწევის, იაკ. 2.22: აწ ხედავთა, რამეთუ საქმეთაგან განმართლდების კაცი, იაკ. 2.24: და რაჰაბცა, მეძავი, არა საქმეთაგან განმართლდაა, იაკ. 2.25ႺႭ: ვგებსა-მე რასა, ძმანო ჩემნო, იაკ. 3.12: ანუ არა მაქუნე გულის თქუმათაგან თქუენთაა (არიან ბრძოლანი), იაკ. 4.1G: ანუ ჰგონებთა, ცუდად იტყჳს წიგნი, იაკ. 4.5ႺႢႭ: ვინ-მე არს მტყუარი იგი? ანუ არა, რომელმან უარ-ყოს, 1 იოვ. 2.22ႺႭ.

ნ.კ. მკა.

აბბა მამა: რომლითა ვღაღადებთ: აბბა, მამაო, ჰრომ. 8.15; რომლითა ღაღადებნ: ა., მამაო, გალ. 4.6.

აგარაკი სახნავ-სათესი ადგილი: დაბნებსა და აგარაკებსა განჰყიდდეს, საქმე 2.45Ⴚ.

1. **ადგილი** ადგილი, место: აწ არღარა ადგილ მაქუს მე აქიერ კერძოთა ამათ ადგილთა, ჰრომ. 15,23; ანუ რაჲ-მე ადგილი იყოს განსასუენებელისა ჩემისაჲ, საქმე 7,49; აწ არღარა მაქუნდა მე ა. ამიერ კერძოთა ამათ ადგილთა, ჰრომ. 15.23CD; არამცა... საძიებელ იყო ა., ებრ. 8.7; სინანულისა ა. არა პოვა, ებრ. 12.17; აქუს მუნ ა. განმზადებული, გამოცხ. 12.6; არცაღა ეპოვა მას ა. ცათა შინა, გამოცხ. 12,8; ა. არა ეპოვა მათ, გამოცხ. 20.11; იესუ ნაზორეველმან დაარღჳოს ა. ესე, საქმე 6.14; შეაგინა ა. ესე წმიდაჲ, საქმე 21.28; ა. ეგე... ქუეყანაჲ წმიდა არს, საქმე 7,33; შეიძრა ა. იგი, საქმე 4,31; განვიდა იუდა მისლვად ადგილსა თჳსსა, საქმე 1,25; წარვიდა იგი სხუასა ა., საქმე 12.17; სხუასაცა ა. იტყჳს, საქმე 13.35; განჰვლიდეს ზღჳს კიდისა ა., საქმე 15,3; არცა დაფარულსა ა. თქმულ არს ესე, საქმე 26,26; მოვედით ა. რასმე, საქმე 27,8; კლდოვანსა ა. განვცჳვეთ, საქმე 27.29; განვჳვეს იგინი ა. უმძაფრესსა, საქმე 27,41: სხუასა ა. იტყჳს, ებრ. 5,6; ეკრძალენით თუ ვითარცა სანთელსა ლბნთებულსა წყუდიადსა ა., 2 პეტ. 1.19; რაჲთა ფრინვიდეს უდაბნოდ ა. მისსა, გამოცხ. 12,14; მმსახურებდენ მე ა. ამას, საქმე 7.7; იყოს ა. მას, ჰრომ. 9.26; რომელი-იგი აღასრულებს ა. მას უცებებისასა, 1 კორ. 14.16 (= მდაბიო ხალხი, რომელიც ავსებს იმ ადგილს); შემოკრიბნა იგინი ა. მას, გამოცხ. 16.16; აღვძრა სასანთლჱ შენი ადგილისაგან თჳსისა, გამოცხ. 2.5; არა დასცხრების სიტყუასა ბოროტსა ადგილისა ამისთჳს წმიდისა, საქმე 6,13; ა. ა. ძჳრსა ზრახავს, საქმე 21.28; ბორცუნი ადგილით თჳსით შეიძრნეს, გამოცხ. 6,14C.

რომელი ხედავდა ჩრდილოსით და ადგილით კერძო (სოფლად ႺႢႭ), საქმე 27,12GHI. ბერძნულშია: βλέποντα κατὰ λίβα καὶ κατὰ χῶρον = რომელიც მიპყრობილი იყო სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით. თარგმნისას შეცდომაა დაშვებული. χῶρος, ὁ = ადგილი; მხარე; სოფელი. ასეა თარგმნილი ქართულადაც, რაც აბუნდოვანებს შინაარსს. ბერძნულშივე არის ომონიმური χῶρος, ὁ (ლათ. Corus) = ჩრდილო-დასავლეთის ქარი; გადატ. ჩრდილო-დასავლეთი. სწორედ ეს უკანასკნელი იგულისხმება მითითებულ ადგილას. მოელო ადგილები იგი, საქმე 20.2; რომელნი იყვნეს მათ ადგილთა, საქმე 16,3: აწ არღარა ადგილ მაქუს მე ამიერ კერძოთა ამათ ა., ჰრომ 15,23; ეკლესიანი ყოველთა მათ ა. ჰურიასტანისათა... ეგნეს მშჳდობით, საქმე 9,31; იქცეოდა რაჲ პეტრე ყოველთა მათ ა., საქმე 9,32; ა. მათ იყო სოფლები მთავრისა კუნძულისა, საქმე 28,7; ბორცუნი ა. თჳსთაგან შეიძრნეს, გამოცხ. 6.14: ვკადრებდი ჩუენ და მის ადგილისანი (=იგი ႢႭ), საქმე 21.12 აქაურები.

2. მხარე, კუთხე, ქუეყანა, местность, область, страна: ჰავლეს მოვიდოდ ზედა კერძოთ იგი ადგილი, საქმე 19.1 ზემო ქუეყნები; ერქუა განსხლვად ადგილსა მას, ებრ. 11,8; რომელნი-ესე ვართ... მკჳდრნი... ადგილისა ლიბიისანი, საქმე 2.10; სიქადული ესე არა დაეყოს ჩემდა მიერ ადგილთა (÷მათ CD) აქაიისათა, 2 კორ. 11,10; მიმავალ იყო ა. მათ ასიაისათა, საქმე 27,2; მოვედ ა. მათ ასურეთისათა, გალ. 1.21.

3. საშუალება: ადგილი სიტყჳს-გებისა აქუნდეს ბრალისა მისთჳს, საქმე 25,16 თავის დაცვის საშუალება ჰქონდეს ბრალის გამო.

4. თჳს (თანდ.), ради, в угоду: ნუცადა ერთისა რას მიზეზ-სცემდ მჴდომსა გინებისა ადგილ, 1 ტიმ. 5.14ΛႢႢ; ნუცალა ერთსა რას მიზეზ-სცემთ მჴდომსა გინებისა ადგილსა, 1 ტიმ. 5.14ႭႢ: არცა ერთისა მიზეზისა ცემად მჴდომისა ადგილად გინებისა, 1 ტიმ. 5.14CD.

5. საქმე, ხელობა: არა ხოლო ესე ჭირ არს ჩუენდა ადგილდ (ადგილად DႢႭ) მხილებისა მოწევნაჲ, საქმე 19,27: მცდარადაა თარგმნილი ბერძ. τὸ μέρος.

მიქცევა თჳსსავე ადგილსა შინ დაბრუნება: იგინი მიიქცეს თჳსსავე ადგილსა, საქმე 21.6.

ყოველსა ადგილსა, ყოველთა ადგილთა ყველგან, πανταχοῦ, повсюду, везде: აწ ამცნებს კაცთა ყოველთა ყოველსა ადგილსა შენანებად, საქმე 17,30; ყ. ა. მასვე ასწავებს, საქმე 21,28; ყ. ა. ცილობაჲ აღდგომილ არს, საქმე 28,22ႢႭ; ხადიან სახელსა... იესუ ქრისტესსა ყ. ა. მათსა და ჩუენსა, 1 კორ. 1,2CD; ყ. ა. ყოველთა ეკლესიათა ჳწავებ, 1 კორ. 4.17; მიმოეფინა... ყ. ა., 1 თეს. 1.8Ⴚ; მნებავს ლოცვაჲ მამათაჲ ყ. ა., 1 ტიმ. 2.8; სადავე და ყოველთა ადგილთა შევიწყნარებთ, საქმე 24,3; ყ. ა. ცილობაჲ აღდგომილ არს, საქმე 28,22; ჰხადიან სახელსა იესუ... ქრისტესსა ყ. ა. ჩუენთა და თქუენთა, 1 კორ. 1,2; ყ. ა. ყოველთა ეკლესიათა ვასწავებ, 1 კორ. 4,17ႢႢCD; სული იგი სულნელებისაჲ გამოაჩინის... ყ. ა., 2 კორ. 2,14; ყ. ა. სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი... განეფინა, 1 თეს. 1.8.

ადგილის-ცემა რისხვასა დაცადება, დალოდება: ნუ თავით თჳსით შურსა ეძიებთ..., არამედ ეცით ადგილ რისხვასა, ჰრომ. 12,19 დაელოდეთ, აცადეთ (ღვთის) რისხვას.

ადგილის-ცემა ეშმაკსა ეშმაკისთვის დათმობა: ნუცა სცემთ ადგილ (ადგილს ႢႢ) ეშმაკსა, ეფეს. 4.27ႦႢCD.

ადგილად მოღგომა (წინასწარ დაფიქსული) ვადის გასვლა, ვადის დადგომა: ეზოის-მოძღუართა და მნეთა ქუეშე არნ ვიდრე ადგილად (ადგილდ I) მოღგომამდე ჟამისა თჳსისა, გალ. 4,2 მამის მიერ დანიშნული ვადის გასვლამდე.

ადგილ-ი ჯეროვანი, ღირსეული; სასარგებლო, ვარგისი: რამეთუ არა ადგილ არს ესე თქუენდა, ებრ. 13,17

უსარწმუნოთა, უცხოვისა; ფრიად კადნიერებაა მაქუს... ბრძანებად შენდა ადეილი, ფილიმ. 1,8.

ადრამიტჳნელ-ი: შევედით ნავსა ადრამიტჳნელსა, საქმე 27,2ႢႭ.

ნ.კ. არდამუნტე.

ადრე 1. მალე, ჩქარა, სასწრაფოდ: აღდეგ შენ ადრე, საქმე 9,11; 12,7; კაცნი იგი მოვიდეს ა., საქმე 16,39; რაჲთა ა. წარვიდენ მას, საქმე 17,15; განედ შენ იერუსალჱმით ა., საქმე 22,18; იგი ა. განსლვად იყო, საქმე 25,4; ღმერთმან... შემუსროს ეშმაკი ქუეშე ფერჴთა თქუენთა ა., ჰრომ. 16,20; არამედ მოვიდე ა. თქუენდა, 1 კორ. 4,19; ა. გარდაიცვალეთ მისგან, გალ. 1,6; ვესავ... ტიმოთესაცა ა. მიულინებასა თქუენდა, ფილიპ. 2,19; მეცა ა. მოვიდე, ფილიპ. 2,24; რაჲთა არა ა. აღიძრნეთ, 2 თეს. 2,2; რაჲთა ა. მოვიდე თქუენდა, ებრ. 13,19; ა. თუ მოვიდეს, ებრ. 13,23; ვესავ ა. მოსლვასა ჩემსა, 1 ტიმ. 3,14; ისწრაფე მოსლვად ჩემდა ა., 2 ტიმ. 4,9; ზენან... და აპოლო ა. წარმოგზავნენ, ტიტე 3,13; ა. ყოფად არს დატევებაჲ საყოფლისა ამის ჩემისაჲ, 2 პეტ. 1,14; ვესავ ა. ხილვასა შენსა, 3 იოვ. 1,14; რომელთაჲ ჯერ-არს ა. აღსრულებაჲ, გამოცხ. 1,1; მოვალ ა., გამოცხ. 2,5; 3,11; მოვალ შენდა ა., გამოცხ. 2,16; ვაებაჲ იგი მესამე მოვალს ა., გამოცხ. 11,14; რაჲ-იგი ყოფად არს ა., გამოცხ. 22,6; აჰა ესერა მოვალ ა., გამოცხ. 22,7; 22,12; ჰე, მოვალ ა., გამოცხ. 22,20.

2. მოკლედ, შეკუმშულად, რამდენიმე სიტყვით: ისმინე ჩუენი ადრე შენითა სახიერებითა, საქმე 24,4.

ადრე-ადრე ნაჩქარევად: ჴელთა ადრე-ადრე ნუვის დაასხამ, 1 ტიმ. 5,22.

აერ-ი, ჰაერ-ი ჰაერი; ქარი: დაბნელდა მზჱ და ჰაერი, გამოცხ. 9,2; მტუერსა ზე აღაფრქუევდეს აერსა (ჰაერსა ႢႭ), საქმე 22,23ႳႢ; ეგრე ვიჴმრევ, ვითარცა არა ა. (ჰაერსა CD) ვსცემ, 1 კორ. 9,26; იყვნეთ თქუენ ვითარცა ა. (ჰაერსა CD) მეტყუელნი, 1 კორ. 14,9 ქართან მოლაპარაკე, ე. ი. ქარს გაატანთ თქვენს სიტყვებსო; დასთხია... ჰაერსა ზედა, გამოცხ. 16,17; ხჳდოდეთ... მთავრისა მისებრ ჴელმწიფებისა აერისა (ჰაერისა D), ეფეს 2,2; მტუერსა ზე აღაფრქუევდეს ჰაერთა ზე, საქმე 22,23; აღვიტაცნეთ ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰ. ზედა, 1 თეს. 4,17; დასთხია... ჰ. ზედა, გამოცხ. 16,17BC; მესმა ერთისა არწივისა მფრინვალისაჲ ჰ. შინა, გამოცხ. 8,13.

ავაზაკ-ი ყაჩაღი, მძარცველი, разбойник: [მოვიდე] ჭირნი ავაზაკთანი, ჭირნი წარმართთაგან, 2 კორ. 11,26.

აზნაურ-ი 1. თავისუფალი: აზნაურ არა-მე ვარა, 1 კორ. 9,1; ზეცისა იგი იერუსალჱმი ა. (აზნაური C) არს, გალ. 4,26; ეგრეცა აზნაური.... მონაჲ არს უფლისაჲ, 1 კორ. 7,22; რაჲცა ვინ ქმნეს..., იგიცა მიიღოს უფლისა მიერ, გინა თუ მონამან გინა თუ აზნაურმან, ეფეს 6,8; ყოველმან მონამან და ა. დამალნეს თავნი მათნი, გამოცხ. 6,15; არა დაიმკჳდროს შვილმან მჴევლისამან ძისა მის თანა აზნაურისა, გალ. 4,30ႳႢႭ; ორი ძე ესხნეს: ერთი მჴევლისაგან და ერთი აზნაურისაგან, გალ. 4,22; დაყოფად ჴორთა კაცთა უგუნურთა უმეცრებასა, ვითარცა აზნაურნი, 1 პეტ. 2,16; ა. და მონანი, გამოცხ. 13,16; [ნათელ-ვიღეთ] გინა თუ მონათა, გინა თუ აზნაურთა, 1 კორ. 12,13; რაჲთა შეჭამნეთ... ჴორცნი ყოველთა ა. [ნათ. ბრ.], გამოცხ. 19,18; აზნაურისაჲ იგი (მის AB) [იყო] აღთქუმისაგან [შობილი იყო], გალ. 4,23CD; არა დაიმკჳდროს შვილმან მჴევლისამან ძისა მის თანა აზნაურისაჲსა, გალ. 4,30; არა ვართ შვილნი მჴევლისანი, არამედ აზნაურისანი (აზნაურისნი Ⴂ), გალ. 4,31.

2. კეთილშობილი, წარჩინებული, დიდებული: არა მრავალნი აზნაურ არიან, 1 კორ. 1,26; განარისხნეს მსახურნი იგი დედანი აზნაურნი, საქმე 13,50.

აზნაურება თავისუფლება: არა არს მონებაჲ, არცა აზნაურებაჲ, გალ. 3,28; სადა-იგი არა არს... მონებაჲ და ა., კოლ. 3,11; რაჲსათჳს აზნაურებაჲ ჩემი განიკითხვის, 1 კორ. 10,29; სადა სული უფლისაჲ, მუნ ა. არს, 2 კორ. 3,17; ა. ეგე ნუ ხოლო მიზეზად ჴორცთა, გალ. 5,13; ნუ... საფარველად გაქუნ უკეთურებისა ა. ეგე, 1 პეტ. 2,16; ხოლო თქუენ აზნაურებასა ჩინებულ ხართ, გალ. 5,13; ა. რაჲმე აღუთქუმენ, 2 პეტ. 2,19; დაბადებული გან-ვე-თავისუფლდეს კრთებისა მისგან ხრწნილებისა ა. მას, ჰრომ. 8,21; შემოვიდეს განმსტურობად ა. მას ჩუენსა, გალ. 2,4; შჯულისა მიერ აზნაურებისა განშჯად ხართ, იაკ. 2,12; აზნაურებითა მით... მტკიცედ დეგით, გალ. 5,1; მიხედა შჯულსა მას სრულსა აზნაურებისასა, იაკ. 1,25; რჩულისა მიერ აზნაურებისაჲსა განშჯად ხართ, იაკ. 2,12ႳႢ.

აზნაურისაგან-ი: ხოლო აზნაურისაგანი იგი აღთქუმისაგან [შობილი იყო], გალ. 4,23D.

ათ-ი: თავნი ათ, ეფეს. (დასასრ.) ႨႱ; კოლ. (დასასრ.) D; ათ დღე, გამოცხ. 2,10; იქცეოდა იგი მათ შორის დღისა გინა ათისა, საქმე 25,6; რქანი ათნი, გამოცხ. 12,3; ა. გჳრგჳნნი, გამოცხ. 13,1; ა. რქანი, გამოცხ. 13,1; 17,3; 17,7; ა. იგი რქანი, გამოცხ. 17,12; 17,16; ა. მეფენი, გამოცხ. 17,12.

ათას-ი: ათას წელ, გამოცხ. 20,2; ათასი წელი, 2 პეტ. 3,8 (2-ჯერ); გამოცხ. 20,3; ათასსა მას წელსა, გამოცხ. 20,4; 20,5; 20,6; შესრულებად ათასისა მის წლისა, გამოცხ. 20,7; იყო რიცხჳ მათი ათასნი ათასთანი, გამოცხ. 5,11.

ნ.კ. სამი ათასი, შჳდი ათასი, ათორმეტი ათასი, ას ორმეოც და ოთხი ათასი.

ათას ექუსას-ი ათას ექსასი: ათას ექუსასით უტევანით შორის, გამოცხ. 14,20.

ათასისთავ-ი ათასეულის მეთაური, тысяченачальник: ზედა მოგიჴდა ლჳსია ათასისთავი, საქმე 24,7ႢႭ; რაჟამს ლჳსია ა. მოვიდეს, საქმე 24,22; ვითარცა იხილეს ა. იგი, საქმე 21,32; მიეახლა ა. იგი, საქმე 21,33; მოვიდა ა. იგი, საქმე 22,27; ბრძანა ათასისთავმან მიყვანებაჲ მისი, საქმე 22,24; ბრძანა ა. მან შეყვანებაჲ მისი, საქმე 22,24ႢႭ; მიუგო ა. მან, საქმე 22,28; უბრძანა ქუელი მისი ა. მან, საქმე 23,19; ა. მან განუტევა ჭაბუკი იგი, საქმე 23,22; აუწყეთ ათასისთავსა კრებულითურთ, საქმე 23,15; ჰრქუა პავლე ა. მას, საქმე 21,37; უთხრა ა. მას, საქმე 22,26; ა. მას შეეშინა, საქმე 22,29; შეეშინა ა. მას, საქმე 23,10; ა. მასცა შეეშინა, საქმე 22,29ႳႢႭ; ჭაბუკი ესე მიიყვანე ათასისთავისა, საქმე 23,17; მიიწია ჰამბავი მისი ა. მის ერისა, საქმე 21,31; მიიყვანა ა. მის, საქმე 23,18; შევიდა განსაკითხავსა მას ა. თანა, საქმე 25,23Ⴍ; შეიყვანეს განსაკითხავსა მას

ათასისთავებითურთ. საქმე 25,23; ათასისთავთა... დაჰალნეს თავნი მათნი, გამოცხ. 6,15; შევიდა განსაკითხავსა მას ათასისთავთა თანა, საქმე 25,23ႢႪ; რაჲთა შჭამნეთ ჴორცნი ათასისთავთანი, გამოცხ. 19,18.

ათას ორას და სამეოც-ი ათას ორას სამოცი: **ათას ორას და სამეოც** დღე, გამოცხ. 11,3; 12,6.

ათენელ-ი, ათინელ-ი ქალაქ ათენის მცხოვრები: **ათენელნი** (ათინელნი ႢႪ) ყოველნი... სხუასა არარას შინა იყვნეს, საქმე 17,21; გამოვიდა პავლე **ათენელთა** (ათინელთა DႢႪႭ) შორის, საქმე 18,1; კაცნო **ათენელნო** (ათინელნო DႢႪႭ), საქმე 17,22.

ათერთმეტ-ი თერთმეტი: შეერაცხა **ათერთმეტთა** მათ მოციქულთა მეათორმეტედ, საქმე 1,26; ეჩუენა კეფას და მერმე ა. მათ, 1 კორ. 15,5ႩႪႢႨ; დადგა პეტრე ა. მათ თანა, საქმე 2,14.

ათეულ-ი მეათედი: **ათეული** ყოვლისა მისგან ნაწილად სცა, ებრ. 7,2; რომელსა-იგი ა. მისცა, ებრ. 7,4; მათგან ა. მისცა, ებრ. 7,6; რომელსა-იგი **ათეულიცა** მისცა, ებრ. 7,4CD; რომელნი მოწყდებიან კაცნი, **ათეულსა** მიიღებენ, ებრ. 7,8; რომელი ა. მიიღებს, ებრ. 7,9; მცნებაჲ აქუს **ათეულისა** მიღებაჲ, ებრ. 7,5; **ათეულადვე** (ათეულადცა Ⴍ) შეწირულ არს, ებრ. 7,9.

ათოთხმეტ-ი თოთხმეტი: უწინარჲს **ათოთხმეტისა** წლისა, 2 კორ. 12,2.

ათორმეტ-ი თორმეტი: იყვნეს კაცნი იგი ყოველნი **ათორმეტ**, საქმე 19,7; **ათორმეტი** ნათესავი, საქმე 26,7; ა. სიგრძჱ და სივრცჱ და სიმაღლჱ მისი, გამოცხ. 21,16; **ათორმეტსა** ნაყოფსა, გამოცხ. 22,2; უწინარჲს **ათორმეტისა** წლისა, 2 კორ. 12,2ႢႪႢ; ა. დღისა, საქმე 24,11; ბჭენი **ათორმეტნი**, გამოცხ. 21,12; ა. საფუძველნი, გამოცხ. 21,14; ა. სახელნი, გამოცხ. 21,14; ა. იგი ბჭენი იყვნეს ა. მარგალიტნი, გამოცხ. 21,21; მოუწოდეს **ათორმეტთა** მათ სიმრავლესა მოწაფეთასა, საქმე 6,2; წინადასცჳთა ა. მათ მამათმთავართა, საქმე 7,8; ეჩუენა კეფას და მერმე ა. მათ, 1 კორ. 15,5; ა. ნათესავთა, იაკ. 1,1; **ათორმეტნი** სახელნი ა. მათ მოციქულთა კრავისათანი, გამოცხ. 21,14; გჳრგჳნი ვარსკულავთა **ათორმეტთაჲ**, გამოცხ. 12,1.

ათორმეტი ათას-ი თორმეტი ათასი: [მესმა რიცხჳ]... თესლისაგან იუდაჲსა **ათორმეტი ათასი**..., თესლისაგან რუბენისა ა., თესლისაგან ღადისა ა., გამოცხ. 7,5; [მესმა რიცხჳ]... თესლისაგან ასერისა ა., თესლისაგან ნეფთალემისა ა., თესლისაგან მანასჱსა ა., გამოცხ. 7,6; [მესმა რიცხჳ]... თესლისაგან სჳმეონისა ა., თესლისაგან ლევისა ა., თესლისაგან ისაქარისა ა., გამოცხ. 7,7; [მესმა რიცხჳ]... თესლისაგან ზაბულონისა ა., თესლისაგან იოსებისა ა., თესლისაგან ბენიამენისა ა., გამოცხ. 7,8; **ათორმეტსა ათასსა** უტევანსა, გამოცხ. 21,16.

ათმალ-ი ათხიმალი საკრავი, ბარბითი, гусли: აქუნდა თითოეულსა **ათმალი**, გამოცხ. 5,8; რომელნი სცემდეს **ათმალთა** მათთა, გამოცხ. 14,2; აქუნდა **ათმალები** ღმრთისაჲ, გამოცხ. 15,2.

ათხუთმეტ-ი თხუთმეტი: **ათხუთმეტ** მჴარ, საქმე 27,28; ა. დღე, გალ. 1,18; **ათხუთმეტი** მჴარი, საქმე 27,28ႢႪႭ.

აკელდამა, აკალდამა აკელდამა, სიტყუასიტყუით „დაბაჲ სისხლისაჲ“ ეწოდაცა დაბასა მას თჳსითა სიტყჳთა მათითა **აკელდამა** (აკალდამა D), ესე იგი არს დაბაჲ სისხლისაჲ, საქმე 1,19.

ალ-ი ცეცხლის ანადენი (საბა): დამრიტეს **ალი** ცეცხლისაჲ, ებრ. 11,34ႭႢ; თუალნი მისნი, ვითარცა ა. ცეცხლისაჲ, გამოცხ. 1,14; რომლისა თუალნი არიან, ვითარცა ა. ცეცხლისაჲ, გამოცხ. 2,18; თუალნი მისნი იყვნეს ვითარცა ა. ცეცხლისაჲ, გამოცხ. 19,12; ეჩუენა მას... ანგელოზი უფლისაჲ **ალითა** ცეცხლისაჲთა, საქმე 7,30; რომელმან შექმნნა... მსახურნი მისნი **ალად** ცეცხლისა, ებრ. 1,7; ცეცხლითა **ალისაჲთა** (ალისათა Ⴊ) მიგებად შურისა, 2 თეს. 1,8.

ალაგ-ი (ფერჴთაჲ) გზა, путь: **ალაგნი** მართლ ყვენით ფერჴთა თქუენთანი, ებრ. 12,13.

ალელუჲა ალილუია: „ალელუაჲ გალობაჲ არს საღმრთოჲ, ვითარმედ: აქებდით უფალსაო“, გამოცხ. 19,4თ.; რომელნი იტყოდეს: **ალელუჲა**, გამოცხ. 19,1A; 19,6; და თქუეს: ამენ! ა., გამოცხ. 19,4; მეორედ თქუეს: **ალელუჲაჲ**, გამოცხ. 19,3; რომელნი იტყოდეს: ა., გამოცხ. 19,1.

ალექსანდრელ-ი, ალექსანდრიელ-ი ქალაქ ალექსანდრიის მცხოვრები; ალექსანდრ(ი)ული (ნავთი): ჰურიაჲ ვინმე იყო..., **ალექსანდრელი** (ალექსანდრიელი ႪႭ) ნათესავით, საქმე 18,24; შევედით ნავსა ჭალაკსა მას შინა დაზამთრებულსა, **ალექსანდრიელსა** აღნიშნულსა დიოსკორეთად, საქმე 28,11GHI; რომელსა ჰრქჳან... **ალექსანდრელთაჲ** (ალექსანდრიელთაჲ FI), საქმე 6,9.

ნ.ე. ალექსანდრია.

ამა ნ. ესე.

ამათ-ი: ნათლის-ცემაჲ **ამათი**, საქმე 10,47; სადა უკუე მოტევებაჲ არს ა. (სადა ა. მოტევებაჲ არს, CD), ებრ. 10,18; რაჲთა... აქუნდეს ა. მოჴსენებისა ყოფაჲ, 2 პეტ. 1,15; ხოლო უფროჲს **ამათსა** სიყუარული არს, 1 კორ. 13,13; უმჯობჱსითა მსხუერპლითა არიან ა., ებრ. 9,23; **ამათისა** მოჴსენებისა, 2 პეტ. 1,15G; სიძვანი... სიმთვრალი და მსგავსნი **ამათნი**, გალ. 5,21; ა. იგი ჴორცნი, ებრ. 13,11.

ყოს განცდასა მას თანა გამოყვანებაჲცა, 1 კორ. 10,13Ⴂ; შეითქუენით თქუენ განცდად სულსა უფლისასა, საქმე 5,9; რომელმან არა გიტევნეს თქუენ გ., 1 კორ. 10,13.

განგცადნა თქუენ განმცდელმან მან, 1 თეს. 3,5.

რომელი განსაცდელ იქმნების თქუენ შორის, 1 პეტ. 4,12Ⴂ; განსაცდელი თქუენ არა შეგემთხჳა, 1 კორ. 10,13; განსაცდელი იგი არა შეურაცხ-ჰყავთ, გალ. 4,14; რაჟამს განსაცდელსა შესცჳვეთ, იაკ. 1,2; რომელმან დაუთმოს გ., იაკ. 1,12; ყოს განსაცდელსა მას თანა გამოყვანებაჲცა, 1 კორ. 10,13; მეცა დაგიცვა შენ ჟამისა მისგან განსაცდელისა, გამოცხ. 3,10; იცის უფალმან... განსაცდელისაგან ჴსნაჲ, 2 პეტ. 2,9; ვამოსჳბდ უფალსა...

განსაცდელითა, საქმე 20,19; რომელი განსაცდელად იქმნის თქუენ თანა, 1 პეტ. 4,12; შეწუხებულ იყვენით მრავალ-ფერითა ზედა გ., 1 პეტ. 1,6; იცის უფალმან... განსაცდელთაგან ჴსნაჲ, 2 პეტ. 2,9ႢႪႭ.

2. **განცდა** შეხედვა, ყურება, ცქერა: დაკჳრვება, გასინჯვა, ი: დიდებასა უფლისასა განვიცდით, 2 კორ. 3,18; გ. ურთიერთას აღძრვად სიყუარულსა, ებრ. 10,24Ⴊ; რომელსა მიეხედნ და განვიცდიდი (განვიცდიდ G), საქმე 11,6ႢႪႭ; განიცდიდით განყოფილებათა მათ, ჰრომ. 16,17Ⴈb; განვიცდიდეთ ურთიერთას აღძრვად სიყუარულისა, ებრ. 10,24; ყურესა რომელსამე განიცდიდეს, საქმე 27,39; არა განიცადა (გან-არღა-იცადა AB, გან-ღა-იცადა ⊂, გან-ღათუ-იცადა ႢႪႨ) თავი თჳსი, ჰრომ. 4,19CD; გ. თავი თჳსი, იაკ. 1,24; განეიცადეთ ურთიერთარს აღძრვად სიყუარულსა, ებრ. 10,24Ⴈr; განიცადეთ (განიცადეთღა Ⴔ) მოციქული იგი, ებრ. 3,1; განიცადის თავი თჳსი, იაკ. 1,24⊂; გ. პირი ქმნულებისა თჳსისაჲ, იაკ. 1,23.

ვითარ მივიდოდა განცდად, საქმე 7,31; ვერ იკადრებდა გ., საქმე 7,32.

განცემა ღალატი: ესე... განცემით (განცემითა DႪႭ) ჴელითა უშჯულოთაჲთა შეპმშჭუალეთ, საქმე 2,23.

ნ.კ. შინა-განმცემელი.

განცოფება გაგიჟება, გაშმაგება, გადარევა, ა—2: ანუ არა განაცოფა (გან-რაჲ-მე-აცოფა AB, განაცოფაა ႴႨb) ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ? 1 კორ. 1,20CD.

ენ: ადიდა თავი თჳსი და განცოფნა, გამოცხ. 18,7; იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს, ჰრომ. 1,22.

განცოცხლება გაცოცხლება, დ: ცოდვაჲ იგი განცოცხლდა, ჰრომ. 7,9.

განცურება, დ: ნუუკუე გან-ვინმე-ცურდეს (...ცჳრდეს D), საქმე 27,42.

განცჳბრება განცვიფრება. გაოცება, დ: გინა თუ განვცჳბრდით, — ღმრთისა, 2 კორ. 5,13CD.

განცჳვნება გაცვენა, ენ: განცჳვეს იგინი ადგილსა უმძაფრესსა, საქმე 27,41; სარწმუნოებისაგან განცჳვეს, 1 ტიმ. 1,19CD; განსცჳვეთ სიმტკიცისაგან თჳსისა, 2 პეტ. 3,17; ნუუკუე კბოლოვანსა განცჳვენ, საქმე 27,17; ნუუკუე კბოლოვანსა ადგილსა გ., საქმე 27,29.

ჭალაკსა რასმე განცჳვნებად (განცჳვებად D) ვართ ჩუენ, საქმე 27,26.

განცხადება გამოაშკარავება; გაბედულად, დაუფარავად თქმა: გამომჟღავნება; ცხადად გახდა, ა—2: რაჲთა განვაცხადო იგი, კოლ. 4,4; განაცხადნეს ზრახვანი იგი გულთანი, 1 კორ. 4,5CD.

ი/უ: ღმერთმანვე განუცხადა მათ, ჰრომ. 1,19ႢႪ.

ე: განეცხადებოდა სახელითა უფლისა იესუჲსითა, საქმე 9,28; განვეცხადე მათ. ჰრომ. 10,20; განეცხადა... ნათესავი იოსეფისი, საქმე 7,13; ვითარ-იგი დამასკს შინა გ., საქმე 9,27; განვეცხადენით ღმრთისა ჩუენისა მიერ სიტყუად თქუენდა მიმართ. 1 თეს. 2,2; განეცხადნეს ბარნაბა და პავლე, საქმე 13,46; მოხუცებულთა თქუენთა ჩუენებით განეცხადონ, საქმე 2,17ႢႪႭ; მოხუცებულთა თქუენთა ჩუენებით განეცხადოს, საქმე 2,17.

ენ: ყოველითავე განეცხადნებით, 2 კორ. 11,6Ⴔ; განცხადნებოდა სახელითა უფლისა იესუჲსითა, საქმე 9,28Ⴍ; ყოველითავე განვეცხადენით, 2 კორ. 11,6; ყოველითავე განცხადენით, 2 კორ. 11,6Ⴍ; რაჲთა მას შინა განვცხადნე, ეფეს. 6,20; ყოველითავე განვცხადნეთ, 2 კორ. 11,6Ⴊ; ესრეთ დაფარულნი გულისა მისისანი განცხადნენ, 1 კორ. 14,25CD.

ამან იწყო განცხადებაჲ, საქმე 18,26; ვესავთ გონებათა თქუენთაცა განცხადებასა, 2 კორ. 5,11; ამან იწყო განცხადებად, საქმე 18,26ႢႪႭ; ჩუენ ყოველნი გ. ვართ, 2 კორ. 5,10; ღმრთისა წინაშე გ. ვართ, 2 კორ. 5,11; ვესავთ გონებათაცა თქუენთა შინა გ., 2 კორ. 5,11CD.

სასწაული განცხადებულ არს, საქმე 4,16ႢႪF; გ. იყო სახელითა უფლისაჲთა, საქმე 9,28; ესე გ. იქმნა, საქმე 19,17ႢႪႭ; რაჲთა გამოცდილნი იგი გ. იქმნენ თქუენ შორის, 1 კორ. 11,19ႴႨb; ღმრთისა წინაშე გ., 2 კორ. 5,11ႪႭႨCD; კრულებანი ესე ჩემნი გ. იქმნნეს, ფილიპ. 1,13; სასწაული განცხადებული იქმნა მათ მიერ, საქმე 4,16; განცხადებულითა პირითა დიდებასა უფლისასა განვიცდით, 2 კორ. 3,18.

განცხადებულად აშკარად, ცხადად; გაბედულად, დაუფარავად; მტკიცედ, მყარად; ძლიერად: ჯერ-არს თქუმად განცხადებულად, საქმე 2,29; გ. უწყოდენ, საქმე 2,36; იტყოდეს სიტყუასა მას ღმრთისასა გ., საქმე 4,31; განვიდოდა გ., საქმე 9,28G; იხილა მან ჩუენებაჲ გ., საქმე 10,3; იქცეოდეს გ., საქმე 14,3; ეტყოდეს მათ გ., საქმე 14,19; გ. ჰურიათა მათ ამხილებდა, საქმე 18,28; ესე გ. იქმნა, საქმე 19,17; რაჲთა მომეცეს მე სიტყუაჲ... გ. უწყებად თქუენდა საიდუმლოჲ იგი სახარებისაჲ, ეფეს. 6,19; მოუჴდეთ მას გ., ებრ. 4,16; მოგაჴსენებ შენ გ. მჴურვალედ მადლსა მას ღმრთისასა, 2 ტიმ. 1,6⊂Ⴆ.

1. **განცხადებულება** სიცხადე, ცხადად გამოჩენა: მისცა მას განცხადებულებაჲ, საქმე 10,40.

2. **განცხადებულება** გაბედულება: მრავალი განცხადებულებაჲ ვიღუაწოთ, 2 კორ. 3,12; მაქუს ჩუენ გ., ეფეს. 3,12; პატივი კეთილი... მოიგონ და მრავალი გ., 1 ტიმ. 3,13; მაქუნდეს გ., 1 იოვ. 2,28; გ. გუაქუს ღმრთისა მიმართ, 1 იოვ. 3,21; გ. გუაქუნდეს დღესა მას საშჯელისასა, 1 იოვ. 4,17; ესე არს გ., 1 იოვ. 5,14; იგინი ეკიცხევდეს პეტრესსა მას განცხადებულებასა, საქმე 4,13; ნუ განიშორებთ განცხადებულებასა მაგას თქუენსა, ებრ. 10,35; მომეც მონათა შენთა ყოვლითა განცხადებულებითა სიტყუად სიტყჳსა შენისა, საქმე 4,29; ასწავებდა ყოვლითა გ. დაუბრკოლებელად, საქმე 28,31.

განცხოველება გაცოცხლება, ა—2: განმაცხოველნა ქრისტეს თანა, ეფეს. 2,5ႴႨb; განგუაცხოველნა ჩუენ ქრისტესს თანა, ეფეს. 2,5; მის თანა გ., კოლ. 2,13; მას თანა განგაცხოველნა თქუენ, კოლ. 2,13CD; რომელმანიგი განაცხოველნის მკუდარნი, ჰრომ. 4,17; განაცხოველნეს მოკუდავნიცა ეგე ჴორცნი თქუენნი, ჰრომ. 8,11.

მოგაჴსენებ შენ განცხოველებად (განცხოველებად Ⴊ) მჴურვალედ მადლსა მას ღმრთისასა, 2 ტიმ. 1,6.

სულად განმაცხოველებელად, 1 კორ. 15,45.

განცხრომა, (2)1 ვნ.: იშუებდით ქუეყანასა ზედა და განსცხრებოდეთ. იაკ. 5,5ႪႭ.

განძარცუვა ტანისამოსის გახდა; გადატ. რაიმეს მოშორება, მოცილება, 0–2: განძარცუნა მთავრობანი და ჴელმწიფებანი, კოლ. 2,15;

ი: განიძარცუვიდეს სამოსელსა მათსა, საქმე 7,58; განიძარცუნა მთავრობანი, კოლ. 2,15⊏ႦCD; განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი, კოლ. 3,9.

ი ენ.: გან-ღათუ-ვიძუარცუნეთ (ვიძარცუნეთ Ⴄ), არავე შიშუელნი ვიპოვნეთ, 2 კორ. 5,3.

რომლისა მიმართცა წინადაიცჳთეთ წინადაცუეთითა მით ჴელით უქმნელითა, განძარცუვითა მით (განძარცუვისა მის ႢႪ. განძარცვითა Ⴚ) გუამისა ჴორცთა თქუენთაჲსა, კოლ. 2,11; რომელი არა გჳნებს განძარცუვად, 2 კორ. 5,4.

განძება გაძევება, გაგდება, ა–2: განაძე მჴევალი ეგე, გალ. 4,30.

განძლიერება გაძლიერება, ა–2: რომელმან-იგი განმაძლიერა მე, ფილიპ. 4,13; 1 ტიმ. 1,12; გ. მე, 2 ტიმ. 4,17; მან განგაძლიერენინ, 1 პეტ. 5,10⊏.

დ: მაშინ განვძლიერდები, 2 კორ. 12,10CD; უფროს განძლიერდებოდა, საქმე 9,22; მაშინ განვძლიერდი, 2 კორ. 12,10; მიიღო საზრდელი და განძლიერდა, საქმე 9,19; გ. სარწმუნოებითა, ჰრომ. 4,20; განძლიერდეს უძლურებისაგან [დავით მეფჱ, ეზეკია, ასა მეფჱ], ებრ. 11,34; განძლიერდი მადლითა იესუ ქრისტჱსითა, 2 ტიმ. 2,1; მჴნე იყვენით და განძლიერდით, 1 კორ. 16,13; გ. უფლისა მიმართ, ეფეს. 6,10.

დიდებისაგან განძლიერებისა მისისა, 2 თეს. 1,9Ⴊ.

ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ, ფილიპ. 4,13CD.

რაჲთა ხჳდოდით ყოველითა ძალითა განძლიერებულ [განძლიერებულნი CD], კოლ. 1,11.

განძჳნებულ-ი განრისხებული, გამძვინვარებული, აღელვებული: ღელვანი განძჳნებულისა ზღჳსანი, იუდა 1,13; ღელვანი განძჳნებულნი ზღჳსანი (ზღჳსანი განძჳნებულნი ႪႭ), იუდა 1,13ႢႪ.

განძღება: არავე დაუტევა უწამებელად ქველის მოქმედებაჲ იგი თჳსი... განძღებად საზრდელითა და სიხარულითა გულისა თქუენისაჲთა, საქმე 14,17; ყოველსა შინა შეზმნულ ვარ: გ. და სიმშილდ, ფილიპ. 4,12.

აწვე სამე განმაძღარ ხართ, 1 კორ. 4,8.

რეცა სიტყუაჲ რაჲმე აქუს... არა თუ პატივით რაჲთმე განსაძღებელად ჴორცთა, კოლ. 2,23.

განძღომა, 0–1 ენ.: ყოველნი მფრინველნი განძღეს ჴორცითა მათითა, გამოცხ. 19,21; განძღით და განტფით, იაკ. 2,16; თქუენითა ხილვითა განვძღე ზოგს-რაჲმე პირველად, ჰრომ. 15,24; ვითარცა განძღეს საზრდელითა მით, საქმე 27,38.

განწევნა გასვლა, ἔξ-ειμι: უბრძანა... ცურვით განწევნად, საქმე 27,43.

განწესება დაწესება, დადგენა, დანიშვნა, ა–2: ეგრეთ განეწესა. რამეთუ მჴურცხლ ეგულებოდა მოსლვაჲ, საქმე 20,13ႪႭ.

ე: რომელსა ზედაცა განვეწესენით, ეფეს. 1,11.

ღმრთისა განწესებასა წინა-აღუდგა, ჰრომ. 13,2Ⴚ Ib; საჭურველი იგი განწესებისა ჩუენისაჲ, 2 კორ. 10,4; საჭურველი ჩუენისა მის განწესებისაჲ, 2 კორ. 10,4Ⴄ.

რომელნი-იგი განწესებულ არიან, ჰრომ. 13,1; არა ჴორციელად გ. ვართ, 2 კორ. 10,3; განწესებულნი ჟამნი, საქმე 17,26GHI.

განწვალება გაყოფა. ი ენ.: მაშინ განიწვალა სიმრავლჱ იგი, საქმე 14,4.

არა არს განწვალება (განწვალებაჲ Ⴊ), ჰრომ. 3,22; 10,12; სადაღა თქუენ შორის... განწვალებანი, 1 კორ. 3,3CD.

განწილვა წილად რგება, κληρόω, ი ენ.: რომელსა შინაცა განვიწილენით, ეფეს. 1,11Ⴄb.

განწირულ-ი შერცხვენილი, გამტყუნებული: განწირულ იყო, გალ. 2,11Ⴄb.

განწირულება სასოწარკვეთილება, უიმედობა: არა განწირულება გჳჩს, 2 კორ. 4,8.

განწმედა, 0–2: განსწმედს მსგავსად ჴორცთა მათ განწმედისა, ებრ. 9,13ႢႪႭ; განმწმედს (განგუწმედს ႢႪFႭ) ჩუენ ყოვლისაგან ცოდვისა, 1 იოვ. 1,7; განსწმედდა მსგავსად ჴორცთა მათ განწმედისა, ებრ. 9,13; განწმიდა იგი საბანელითა მით წყლისაჲთა, ეფეს. 5,26CD; განწმიდეთ ძუელი იგი ცომი, 1 კორ. 5,7; განწმიდოს ბანითა მით წყლისაჲთა, ეფეს. 5,26; განმწმიდნეს (განგუწმიდნეს ႪႭ) ჩუენ ყოვლისაგან სიცრუვისა, 1 იოვ. 1,9; რაოდენ უფროს სისხლმან ქრისტჱსმან... განწმიდნეს გონებანიცა თქუენნი, ებრ. 9,14; გ. თავისა თჳსისა ერად მოგებულად, ტიტე 2,14.

ი: განიწმიდენით ჴელნი, იაკ. 4,8; სულნი თქუენნი გ., 1 პეტ. 1,22; განიწმიდოს თავი თჳსი, 2 ტიმ. 2,21; 1 იოვ. 3,3; განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი, 2 კორ. 7,1.

ი ენ.: სახენი იგი ზეცისათანი განიწმიდნებიან, ებრ. 9,23Ⴊ; ყოველივე იგი სისხლითა განიწმიდნებოდეს, ებრ. 9,22Ⴊ; ესრე ოდესმე იყვენით... არამედ განიწმიდენით, 1 კორ. 6,11; გ., განიფრთხვეთ ლოცვად, 1 პეტ. 4,7.

ენ: განწმიდნების (განწმინდების ႢႪ) ქმარი იგი ურწმუნოჲ ცოლისა მისგან მორწმუნისა და განწმიდნების ცოლი იგი ურწმუნოჲ ქმრისა მისგან მორწმუნისა, 1 კორ. 7,14ႤCD; გ. სიტყჳთა ღმრთისაჲთა, 1 ტიმ. 4,5CD; სახენი იგი ზეცისათანი განწმიდნებიან, ებრ. 9.23ႦႢႪႭႤ; არცა პირველი იგი თჳნიერ სისხლისა განწმიდნებოდა, ებრ. 9,18Ⴄ; ყოველივე იგი სისხლითა განწმიდნებოდა (განწმინდნებოდა Ⴆ), ებრ. 9,22; სარწმუნოებითა განწმიდნა გულნი მათნი, საქმე 15,9; მათ თანა გ., საქმე 21,26; რომლითა გ., ებრ. 10,29CD; განწმიდენი (განწმიდნი ႢႪ) მათ თანა, საქმე 21,24; განწმიდენით უკუე, 1 პეტ. 4.7H.

0–1, ენ.: განწმდების ქმარი ურწმუნოჲ ცოლისა მისგან მორწმუნისა, და გ. ცოლი ურწმუნოჲ ქმრისა მისგან მორწმუნისა, 1 კორ. 7,14; გ. სიტყჳთა ღმრთისაჲთა, 1 ტიმ. 4,5; სახენი იგი ზეცისათანი განწმდებიან, ებრ. 9,23; ყოველივე იგი სისხლითა განწმდებოდა, ებრ. 9,22Ⴚ; სახენი იგი ზეცისათანი ამით განწმდებოდეს, ებრ. 9,23CD; განწმდი მათ თანა, საქმე 21,24; განწმდე მათ თანა, საქმე 21,24G; რაჲთა ზეცისანი იგი... განწმდენ, ებრ. 9,23CD.

განწმედაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ ყო, ებრ. 1,3; დაავიწყდა განწმედაჲ იგი პირველთა მათ ცოდვათა მისთაჲ, 2 პეტ. 1,9ႪႭ; განსწმედდა მსგავსად ჴორცთა მათ გან-

განწმედა 72 განჴურევება

წმედისა, ებრ. 9,13; გამოგიწმინა თქუენ ღმერთმან... განწმედითა სულისაჲთა, 2 თეს. 2,13; დაავიწყდეს განწმედანი იგი, 2 პეტ. 1,9; მიითხრობად აღსრულებასა მას დღეთა განწმედისათა, საქმე 21,26; განსწმედდა მსგავსად ჴორცთა მათ გ., ებრ. 9,13ႭႢCD.

განმწმედელი იგი და განწმედილნი იგი ერთისაგან არიან, ებრ. 2,11.

რაჲთა იყოს მსხუერპლი იგი... განწმედილ სულითა წმიდითა, პრომ. 15,16CD; ერთგზის გ. იყვნეს, ებრ. 10,2; ჩუენ გ. ვართ, ებრ. 10,10; რომლითა-იგი გ. იყო, ებრ. 10,29; მპოვეს მე განწმედილი, საქმე 24,18; განმწმედელი იგი და განწმედილნი იგი ერთისაგან არიან, ებრ. 2,11; ეკლესიასა ღმრთისასა, განწმედილთა ქრისტე იესუს მიერ, 1 კორ. 1,2; იჭჳ აქუნდა ცოდვათაჲ შეწირველთა მათ ერთ-გზის გ., ებრ. 10,2CD; თქუენ, ღმრთისა მიერ მამისა გ., იუდა 1,1ႢႪႭ; ნაწილი განწმედილთა შორის, საქმე 26,18; ერთი მსხუერპლი სრულ იქმნა... განწმედილთა მათთჳს, ებრ. 10,14.

განწყობა ნ. წინა-განწყობა.

განწყობილ-ი საბრძოლოდ გამზადებული: რომელნი განწყობილ არიან ასოთა შინა თქუენთა, იაკ. 4,1.

განჭრა აკუწვა. ი ვნ.: ნუუკუე განიჭრეს (განიჭრას DႪႭ) პავლე მათგან, საქმე 23,10.

განხარება, ი უობ.: მე უფროსღა განვიხარე, 2 კორ. 7,7; გ. უფლისა მიერ დიდად, ფილიპ. 4,10; განვიხარე (განვიხარენ ႪႭ) ფრიად, 2 იოვ. 1,4; გ. ფრიად მომავალთაგან ძმათა, 3 იოვ. 1,3; ამისთჳს განიხარა გულმან ჩემმან, საქმე 2,26; გ. და ჰლოცვიდა ყოველთა, საქმე 11,23; უმეტჱსღა და უფროჲს განვიხარეთ, 2 კორ. 7,13; განიხარეს ფრიად, საქმე 15,31; მკჳდრთა ქუეყანისათა განიხარონ მათ ზედა, გამოცხ. 11,10.

განხერხა გასერხვა. ი ვნ.: განიხერხებოდეს და ზრახეს მოკლვაჲ მათი, საქმე 5,33; გ. გულითა მათითა, საქმე 7,54ႤႪႭ; განიხერხა [ესაია], ებრ. 11,37.

განიხერხნეს (განიხერხეს Ⴄ), ებრ. 11,37ႭCD.

განხეთქა დახევა, გაპობა, გაგლეჯა, დ: განსთქდებოდეს გულითა მათითა, საქმე 7,54; განსიენა და განსთქდა შორის, საქმე 1,18.

განხეთქილება: რაჲთა არა იყოს განხეთქილება გუამსა შინა, 1 კორ. 12,25ႭႢႡ.

განხილვა ნახვა, დათვალიერება, დაკვირვება, გასინჯვა, ი: ჴელითა ჩუენითა განვიხილეთ სიტყუაჲ იგი ცხორებისაჲ, 1 იოვ. 1,1HJ; რაჟამს განვიხილო თავისა ჩემისაჲ მისგან, ფილიპ. 2,23ႭႢႡ.

განხრწნა გახრწნა, გაფუჭება, წახდენა, შებილწვა, 0—2: განხრწნიან გონებანი ტკბილნი ზრახვათა ბოროტთა, 1 კორ. 15,33; რომელმან განხრწნა ქუეყანაჲ სიძვითა თჳსითა, გამოცხ. 19,2; არავინ განვხრწენით, 2 კორ. 7,2CD; რომელმან ტაძარი იგი ღმრთისაჲ განხრწნეს, 1 კორ. 3,17; განხრწნეს (განჰხრწნეს Ⴂ) იგიცა ღმერთმან, 1 კორ. 3,17CD.

ი ვნ.: გარეშე ესე კაცი ჩუენი განიხრწნების, 2 კორ. 4,16CD; მათ შინა განიხრწნებიან, იუდა 1,10; მესამედი ნავთაჲ განიხრწნა, გამოცხ. 8,9; ხრწნილებასა მათსა შინა განიხრწნენ (განიხრწნნენ G), 2 პეტ. 2,12ႢႪႭ.

არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი, საქმე 2,27; 13,35; არცა იხილეს ჴორცთა მისთა გ., საქმე 2,31ႤႪႭ; იხილა გ., საქმე 13,36; არა იხილა გ., საქმე 13,37; არცა სცე წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელსა, საქმე 2,27Ⴍ; არღარა ეგულებოდა მიქცევაჲ გ., საქმე 13,34G; არღარა ეგულებოდა მიქცევაჲ განსახრწნელად (განსაჴრწნელად C), საქმე 13,34ႪႭ.

განხრწნილი იგი გულის თქუმისა მისებრ მის საცთურისა, ეფეს. 4,22; რომლისაგან იქმნებიან... განხრწნილთა კაცთა გონებაჲ, 1 ტიმ. 6,5.

განხრწნადი გჳრგჳნი, 1 კორ. 9,25; რაჟამს განხრწნადმან ამან შეიმოსოს უხრწნელებაჲ, 1 კორ. 15,54CD; მსგავსად ხატისა მის განხრწნადისა კაცისა, პრომ. 1,23; შობილ ხართ არა თესლისაგან განხრწნადისა, 1 პეტ. 1,23; განხრწნადითა ვეცხლითა, 1 პეტ. 1,18.

განხუმა გაღება, გახსნა, ი/უ: ანგელოზმან უფლისამან ღამე განუხუნა (განუხნა AC) კარნი, საქმე 5,19.

ე: მუნქუესვე ყოველნი კარნი განეხუნეს, საქმე 16,26; წიგნნი გ., გამოცხ. 20,12.

პხედვიდა ვითარ ცანი განხუმულ იყვნეს, საქმე 10,11; ცანი განხუმულნი, გამოცხ. 19,11; კარნი საპყრობილისანი გ., საქმე 16,27DႪႭ; ცათა განხუმულთა, საქმე 7,56; 10,11ႪႭ.

განჴდომა გასვლა, 0—1: ყოველსა ქუეყანასა განჴდა ჴმაჲ მათი, პრომ. 10,18; სარწმუნოებაჲ თქუენი ღმრთისა მიმართ გ., 1 თეს. 1,8CD; ყოველნი ზღუასა მას განჴდეს, 1 კორ. 10,1.

0—2, ვნ.: ზარი განჰჴდა შიშითა, საქმე 10,4; ზარი გ., საქმე 16,38.

ნ.კ. ზარის განჴდომა.

განჴმობა გახმობა; დაშრობა, ა—2: განაჴმო თივაჲ იგი, იაკ. 1,11.

0—1, ვნ.: განჴმა თივაჲ, 1 პეტ. 1,24; გ. სამკალი იგი ქუეყანისაჲ, გამოცხ. 14,15; გ. წყალი მისი, გამოცხ. 16,12.

განჴსნა გახსნა, გაშვება, გათავისუფლება, 0—(3)2: განჰჴსნა (განჴსნა ႪႭ) იგი, საქმე 22,30; განჴსნენ ოთხნი იგი ანგელოზნი, გამოცხ. 9,14; რაჲთა განჰჴსნას იგი, საქმე 24,26ႪႭ.

ი/უ: უფალმან განუჴსნა გული, საქმე 16,14.

ი ვნ.: ყოველთა კრულებანი განიჴსნნეს (განიჴსნეს E), საქმე 16,26ႪႭ; განიჴსნნეს (განიჴსნეს B) ოთხნი იგი ანგელოზნი, გამოცხ. 9,15; განიჴსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თჳსისა, გამოცხ. 20,7.

დ—(2)1: ყოველთა კრულებანი განჰჴსნდეს, საქმე 16,26; არა-მეა გონებაჲ იგი მის უძლურისაჲ განჰჴსნდეს ნაკერპავისა მის ჭამად, 1 კორ. 8,10.

ჯერ-არს განჴსნაჲ მისი, გამოცხ. 20,3; ნუ ეძიებ განჴსნასა, 1 კორ. 7,27ႢႡ; ვერ ღირს ვარ განჴსნად ჴამლის საბელთა მისთა, საქმე 13,25; ვინ-მე ღირს არს... გ. ბეჭედთა მისთა, გამოცხ. 5,2.

განჴსნილ ხარ ცოლისაგან, 1 კორ. 7,27ႢႡ.

განჴურვება გახურება, გადატ.: ნებიერობა, დ: განჴურდეს გულის თქუმითა მათითა ურთიერთას, პრომ. 1,27; რომელთა მის თანა ისიძვეს და განჴურდეს, გამოცხ. 18,9.

უმჯობეს არს ქორწინებაჲ, ვიდრე განჭურვებაჲ, 1 კორ. 7,9CD; ნუ გიკჳრნ თქუენ თანა განჭურვებაჲ ეგე, 1 პეტ. 4,12; უმჯობჱს არს ქორწინებაჲ განჭურვებასა, 1 კორ. 7,9; ყოველთა მათ ისართა უკეთურებისათა გან-ჭურვებულთა, ეფეს. 6,16.

განჭუება ვნება, დაღუპვა, ἀποβολή: განჭუებაჲ სულისაჲ არცა ერთისაჲ იყოს თქუენგან, საქმე 27,22.

გარდაბნევა გადაყრა, ა—2: ჭურჭელი ნავისაჲ გარ-დააბნიეს, საქმე 27,19.

გარდაგულარძნილ-ი მრუდე, ღვლარჭნილი; შემ-ცდარი, გარყვნილი: უწყოდე, რამეთუ გარდაგულარძნილ არს, ტიტე 3,11.

გარდადგინება გადაყენება, შეცვლა, ი ვნ.: გარდა-იდგინა ფელიქს, საქმე 24,27ႢႪႭ.

გარდადგინებად სცა ყოველი იგი კრებული პეტრე, საქმე 9,40C.

გარდადება გადადება, გადაყრა, 0—2: ხჳალისაგან გარდასდებდეს ტჳრთსა, საქმე 27,18; გ. ... იფქლსა მას ზღუად, საქმე 27,38.

გარდაგუალ გადასვლა, წასვლა, 0—1: აღდეგ და გარდაგუალე, საქმე 10,20.

გარდავიდ, 0—1: გარდავიდა კაცთა მათ თანა, საქ-მე 10,21; გ. პავლე, საქმე 20,10.

მუნ არცა შჯულის გარდასლვაჲ, ჰრომ. 4,15; ყო-ველმან გარდასლვამან... მიიღო სამართალი სასყიდლის-გებისაჲ, ებრ. 2,2Ⴂb; რომელთა-იგი არა ცოდეს მსგავსად გარდასლვისა მის ადამისა, ჰრომ. 5,14; გარდასლვისა-თჳს-მე მოეცაა, გალ. 3,19; გარდასლვითა მაგით შჯუ-ლისაჲთა ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფ, ჰრომ. 2,23; არა გარდასლვად... საქმესა ძმისა თჳსისასა, 1 თეს. 4,6CD.

შჯულსა გარდასრულ ხარ, ჰრომ. 2,27; იყოს თუ გ., 1 კორ. 7,36ႢCD; გარდასრულმან ჟამთა შეა, ებრ. 11,11; სიკუდილი რაჲ მოიწიოს გამოსაჴსრად პირველისა მის შჯულთა გარდასრულთა (გარდასლულთაჲ Ⴉ, გარ-დასრულთაჲ ႪႭ), ებრ. 9,15; მსგავსად პირველ გ. შენ ზედა, 1 ტიმ. 1,18ႺႢb.

უკუეთუ გარდამავალ იყო შჯულისა, ჰრომ. 2,25; შჯულისა გ. ხარ, ჰრომ. 2,27CD; იქმენე გ. შჯულისა, იაკ. 2,11; შჯულისა გარდამავალმან... მოიღო საშჯელისა კუალად-გებაჲ, ებრ. 2,2; შჯულისა გარდამავალად... შე-ეურაცხო, გალ. 2,18; იმხილებით შჯულისაგან, ვითარცა გარდამავალნი შჯულისანი, იაკ. 2,9ႪႭ; გემხილების შჯულისაგან, ვითარცა შჯულისა გარდამავალთა, იაკ. 2,9.

გარდავრდომა გადავარდნა, 0—1: გარდავარდა მძი-ნარჱ, საქმე 20,9.

გარდათხევა გადაგდება, გადაყრა, 0—(3)2: ბოლო-სთ კერძო ნავისა მის გარდასთხინეს ოთხნი კავნი, საქმე 27,29.

გარდამავალ-ი ნ. გარდავიდ.

გარდამატება გადამეტება, გადაჭარბება, 0—(3)2: სიგლახაკემან მათმან გარდაჰმატა სიმდიდრესა მას, 2 კორ. 8,2; გ. ჩუენდა მომართ ყოვლითა სიბრძნითა, ეფეს. 1,8; უფალმან გარდაგრიენ და გარდაგმატენ სიყუარული-თა, 1 თეს. 3,12.

ე: უფროჲს გარდაემატა მადლი, ჰრომ. 5,20; 1 ტიმ. 1,14; გარდაგემატოს არა უქმად, 2 პეტ. 1,8; უმეტეს გარდაემატოს მეცნიერებითა, ფილიპ. 1,9Ⴂb.

ვიცი გარდამატებაჲცა, ფილიპ. 4,12CD; ძალ-უც ღმერთსა გარდამატებად თქუენდა ყოველივე საჴმარი, 2 კორ. 9,8; გლოცავ თქუენ... გ. უფროჲსღა, 1 თეს. 4,10CD.

გარდამატებული სიმდიდრჱ, ეფეს. 1,19; გ. იგი სიმ-დიდრჱ, ეფეს. 2,7; გ. იგი მეცნიერებისა სიყუარული ქრისტჱსი, ეფეს. 3,19Ⴍ; გარდამეტებულსა... (!) დიდება-სა, 2 კორ. 4,17CD; გარდამატებულისა მისთჳს მეცნიე-რებისა, ფილიპ. 3,8ႩႪႭႢCD.

გარდამო [თანდ., =იდან]: ზეცით გარდამო, 9,3ႪႭ; 11,9Ⴉ; 14,17; 26,13; 2 კორ. 5,2Ⴍ.

გარდამოდგინება გამოყრა, ἐκβάλλω: გარდამოდ-გინებად სცა ყოველი იგი ამბოხი პეტრე, საქმე 9,40.

გარდამოვალ, გარდამოვიდ, 0—1: რომელი გარ-დამოვალს ზეცით, გამოცხ. 3,12; გარდამოვიდოდა ჭური ერთი რაჲმე, საქმე 11,5; გარდამოვიდა კაცთა მათ თანა, საქმე 10,21ႩႪႭ; გ. პავლე, საქმე 20,10GJ; გ. ვინმე (გარდამო-ვინმე-ვიდა ႪႭ) ჰურიასტანით წინაწარმეტყუ-ელი, საქმე 21,10; ამათ დღეთა შინა გარდამოვიდეს იერუსალჱმით, საქმე 11,27; გარდამო-ვინმე-ვიდეს ჰური-ასტანით, საქმე 15,1.

ანგელოზი ძლიერი, გარდამომავალი ზეცით, გამოცხ. 10,1; ანგელოზი, გ. ზეცით, გამოცხ. 18,1; 20,1; იერუ-სალჱმი ახალი ვიხილე, გ. ზეცით, გამოცხ. 21,2; ქალა-ქი წმიდაჲ იერუსალჱმი, გ. ზეცით, გამოცხ. 21,10; გარ-დამომავალსა ჭურჭელსა, საქმე 10,11ႪႭ.

გარდამოსრულ არიან ჩუენდა, საქმე 14,11; ნიჭი სრული ზეგარდამო არს გ., იაკ. 1,17ႪႭ; არა არს ესე სიბრძნე ზეცით გარდამოსრული, იაკ. 3,15G.

გარდამოვრდომა გადმოვარდნა, 0—1: გარდამოვარ-და ზეცით ვარსკულავი, გამოცხ. 8,10; რომელი გ. ზე-ცით, გამოცხ. 9,1; გ. ვეშაპი იგი დიდი... გ. ქუეყანად, გამოცხ. 12,9; გ. შემასმენელი ძმათა ჩუენთაჲ, გამოცხ. 12,10; გ. ქუეყანად, გამოცხ. 12,13; მყის გარდამოვარდეს (გარდამოჰვარდეს CG) თუალთაგან მისთა, საქმე 9,18.

გარდამოღება ჩამოხსნა, ი: გარდამოიღეს იგი ძე-ლისა მისგან, საქმე 13,29.

გარდამოყრა გადმოყრა, 0—2: გარდამოყარნა იგინი ქუეყანად, გამოცხ. 12,4.

გარდამოყვანება გადმოყვანა: ესე იგი არს, ქრის-ტჱსი გარდამოყვანებაჲ (გარდმოყვანებაჲ Ⴊ), ჰრომ. 10,6.

გარდამოცემა გადაცემა, ცნობება, μετα-δίδωμι, 0—3: რაჲთა გარდამო (გარდმო b)-რაჲმე-გცე თქუენ მადლი სულიერი, ჰრომ. 1,11ႺႢb.

გარდამოცჳვენა ჩამოცვენა, გადმოყრა, გადმოვარ-დნა (სუბ. მრ.-ში), 0—1: ვარსკულავნი ცისანი გარდა-მოცჳვეს ქუეყანად, გამოცხ. 6,13; ანგელოზნი მისნი მას თანა გ., გამოცხ. 12,9.

გარდამოჭდომა გადმოსვლა, 0—1: გარდამოვჭედ განრინებად მათა, საქმე 7,34; გ. ზღუდესა, 2 კორ. 11,33; რომელი-იგი გარდამოჭდა, ეფეს. 4,10; გ. ეშმაკი, გამოცხ. 12,12; გ. ცეცხლი ზეცით, გამოცხ. 20,9; თავა-

დი უფალი... გარდამოჴდეს ზეცით, 1 თეს. 4,16: რაჲთა ცეცხლი გ. ზეცით, გამოცხ. 13,13.

გარდამოჴსნა ჩამოხსნა, 0—(3)2: გარდამოჰჴსნეს. იგი ძელისაგან, საქმე 13,29ႢႪႭ.

გარდარევნა გადამეტება, გადაჭარბება, 0—3: უფალმან გარდაგრიენ... სიყუარულითა, 1 თეს. 3,12.

ე: მადლობაჲ იგი გარდაერიოს სადიდებელად ღმრთისა, 2 კორ. 4,15; უმეტეს გ. მეცნიერებითა, ფილიპ. 1,9: გარდამრევიეს სიხარული ყოველთა ზედა ჭირთა, 2 კორ. 7,4; მაქუს მე ყოველი და გ., ფილიპ. 4,18.

იყოს თუ გარდარეულ, 1 კორ. 7,36; სიყუარული იგი გარდარეული, 2 კორ. 2,4CD; გ. ესე გამოცხადებაჲ, 2 კორ. 12,7; გარდარეული იგი ძლიერებისაჲ იყოს ღმრთისაჲ, 2 კორ. 4,7; გარდარეული იგი მეცნიერებისა სიყუარული ქრისტჱსი, ეფეს. 3,19; გარდარეულსა... დიდებასა, 2 კორ. 4,17; პირი მათი იტყჳს გ., იუდა 1,16; გარდარეულსა მას ამაოებისასა იტყჳან, 2 პეტ. 2,18; გარდარეულისა მისთჳს დიდებისა, 2 კორ. 3,10; გ. მისთჳს მადლისა ღმრთისა, 2 კორ. 9,14CD; გ. მისთჳს მეცნიერებისა, ფილიპ. 3,8; გარდარეულითა მით მადლითა ღმრთისაჲთა, 2 კორ. 9,14; იყოს გარდარეულად ცოდვილ ცოდვაჲ იგი, ჰრომ. 7,13; გ. უფროჲს ძალისა დაგჳმძიმდა, 2 კორ. 1,8; [ვარ] პყრობილებითა გ., 2 კორ. 11,23; გ. ვსდევნიდ ეკლესიათა, გალ. 1,13; გ. ამაოებისა ზრახვითა მიიზიდვენ გულის-თქუმასა, 2 პეტ. 2,18ႢႪႭ.

გარდარეულება სიჭარბე, გადამეტებულობა, უპირატესობა, ὑπερβολή: გარდარეულებითა ამით გამოცხადებათაჲთა რაჲთა არა აღვიმაღლო, 2 კორ. 12,7CD.

გარდასლვა ნ. გარდავიდ.

გარდასრულ-ი ნ. გარდავიდ.

გარდატევება გადაშვება, ჩაშვება, ი/უ—(3)2: ზღუდით სარკუმელსა გარდაუტევეს ბანდაკითა, საქმე 9,25; გ. ჭურჭელი ნავისაჲ, საქმე 27,17; გ. საზომი იგი, საქმე 27,28; გ. ჭუამალდი იგი ზღუად, საქმე 27,30; მამაკაცმან თუ გარდაუტეოს თმაჲ გრძელად, 1 კორ. 11,14; დედაკაცმან თუ გ., 1 კორ. 11,15.

გარდატყდომა გადატყდომა, მოტეხა, დ: უკუეთუ ვინმე რტოთა მათგანი გარდასტყდეს (გარდასტყდენ Ⴈ), ჰრომ. 11,17; გ. რტონი იგი, ჰრომ. 11,19CD; იგი ურწმუნოებითა მათითა გ., ჰრომ. 11,20.

1. გარდაქცევა შეცვლა, სხვად ქცევა, ა—2: რომელსა-იგი უსწავლელნი... გარდააქცევენ, 2 პეტ. 3,16; რომელნი მადლსა ღმრთისა ჩუენისასა გ. არაწმიდებად, იუდა 1,4; რაჲთა გარდააქციონ სისხლად, გამოცხ. 11,6.

ი ენ.: ესრჱთ ადრე გარდაიქცევით მისგან, გალ. 1,6; გარდაიქცა მესამედი წყალთაჲ აფსინთად, გამოცხ. 8,11; დასთხია... წყაროთა ზედა წყალთასა და გარდაიქცეს სისხლად, გამოცხ. 16,4; სიცილი თქუენი გლოვად გარდაიქეცინ, იაკ. 4,9; ესრჱთ ადრე გარდაიქცით მისგან, გალ. 1,6Ⴍ; გარდაიქციან მოციქულად ქრისტჱსსა, 2 კორ. 11,13Ⴍ; მზჱ გარდაიქცეს ბნელად, საქმე 2,20.

2. გარდაქცევა გაფუჭება, გარყუნა, წახდენა, გაუარესება, ა—2: გარდააქცევენ რომელთამე სარწმუნოებისაგან, 2 ტიმ. 2,18; ყოველსა სახლებსა გ., ტიტე 1,11CD; გარდააქცია ერი მრავალი, საქმე 19,26.

ი ვნ.: გარდაიქცეს ამაოსა სიტყუად, 1 ტიმ. 1,6; ვინმე გ. შემდგომად ეშმაკისა, 1 ტიმ. 5,15.

ჰნებავს გარდაქცევაჲ სახარებაჲ იესუ ქრისტჱსი, გალ. 1,7Ⴊ; გ. თქუენი ჰნებავს, გალ. 4,17; ეძიებდა გარდაქცევასა ანთჳპატისასა, საქმე 13,8ႪႭ; არა დასცხრეა გარდაქცევად, საქმე 13,10ႪႭ; ჰნებავს გ. სახარებაჲ იგი ქრისტჱსი, გალ. 1,7.

გარდაყრა გადაყრა, 0—2: გარდაყარენ სარეცელნი ეგე შენნი, საქმე 9,34.

გარდაყრად იყო ნავისა მის ტჳრთი, საქმე 21,3.

გარდაცემა გაცემა, მიცემა, 0—3: რომელი გარდასცემდეს — უხუებით, ჰრომ. 12,8ხ.

1. გარდაცვალება შეცვლა, სახეცვლილება, 0—2: გარდაცვალეს დიდებაჲ იგი უხრწნელისა ღმრთისაჲ, ჰრომ. 1,23Ⴂ; რომელთა-იგი გ. ჭეშმარიტებაჲ ღმრთისაჲ სიცრუვედ, ჰრომ. 1,25CD; დედათა მათთა გ. ბუნებისა იგი წესი არა-ბუნებად, ჰრომ. 1,26; გარდაცვალნეს ჴორცნი ესე, ფილიპ. 3,21.

ი ვნ.: გარდაიცვალნიან მოციქულად ქრისტჱსსა, 2 კორ. 11,13; მსახურნიცა თუ მისნი გარდაიცვალნენ, 2 კორ. 11,15.

2. გარდაცვალება ადგილგადანაცვლება, გადასახლება; თავიდან მოშორება, 0—2: გარდაცვალა იგი, საქმე 13,22; გ. იგი ღმერთმან, ებრ. 11,5.

ი ვნ.: ვითარცა გარდაიცვალა იგი, საქმე 13,22G; სარწმუნოებით ენუქი გ., ებრ. 11,5.

პირველ გარდაცვალებისა მისისა წამებულ არს, ებრ. 11,5CD.

გარდაჴდა გადახდა, ი: გარდავიჴადო, ფილემ. 1,18.

1. გარდაჴდომა გადასვლა, ჩასვლა, ჩაშვება, χαλάω, 0—(2)1: გარდავეჰჴედ (გარდავეჴედ ႢႨႨ) ზღუდესა, 2 კორ. 11,33CD.

2. გარდაჴდომა დარღვევა, მცნებას... ბრძანებას გადასვლა, 0—2: რომელი გარდაჰჴდებოდის და არა ეგოს მოძღურებასა ზედა ქრისტესსა, 2 იოვ. 1,9ႢႪႭ; შჯულსა გარდაჰჴდა (გარდაჴდა Ⴊ), 1 ტიმ. 2,14; არა გარდავჰჴდეთ... საქმესა ძმისა თჳსისა, 1 თეს. 4,6Ⴄ; რაჲთა არა გარდაჴდეთ... საქმესა ძმისა თჳსისასა, 1 თეს. 4,6.

ი/უ—2: არა გარდაუჴდეთ... საქმესა ძმისა თჳსისასა, 1 თეს. 4,6Ⴂ.

გარდმოღება ნ. გარდამოღება.

გარდმოჩემება გარდაქმნა, შეცვლა, სხვა სახის მიცემა, μετασχηματίζω, ი: ესე გარდმოვიჩემე თავისა ჩემისად, 1 კორ. 4,6Ⴂხ.

გარდმოცემა ნ. გარდამოცემა.

გარე გარეთ: ბრძანა გარე განყვანებაჲ კაცთაჲ მათ, საქმე 5,34ႤႪႪႭ; გან-რაჲ-აგდეს იგი გ., საქმე 7,21; პეტრე განავლინნა გ. ყოველნი, საქმე 9,40ႢႪႭ; გამოიყვანნა იგინი გ., საქმე 16,30DႪႭ;

გამოითრევდეს მას გ. ტაძრისა მისგან, საქმე 21,30; სრულმან სიყუარულმან გ. განდევნის შიში, 1 იოვ. 4,18; გ. არღარა განვიდეს, გამოცხ. 3,12; განაგდე გ., გამოცხ. 11,2; გ. იყვნენ შეგინებულნი, გამოცხ. 22,15.

გარეგან გარეთ: წიგნი, დაწერილი შინაგან და გარეგან, გამოცხ. 5,1; რომელი არს გ. ტაძრისა, გამოცხ. 11,2.

გარე-განთხევა გარეთ გაგდება, ი/უ: გარე-განუთხევდა ყრმათა მათთა, საქმე 7,19.

1. **გარე-მიქცევა** გარყვნა; განყენება (სარწმუნოებისაგან), ἀνατρέπω, ა—(3)2: ყოველსა სახლებსა გარე-მიაქცევენ, ტიტე 1,11.

2. **გარე-მიქცევა** მიბრუნება, განრიდება, ა—(3)2: ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი მათნი გარე-მიაქცინენ, 2 ტიმ. 4,4Ⴂ.

ი: სასმენელნი მათნი გარე-მიიქცინენ, 2 ტიმ. 4,4.

ე: უკუეთუ ზეცისასა მას გარე-მივექცეთ, ებრ. 12,25ႲႪ.

გარე-მიქცეულ იყვნენ ჭეშმარიტებისაგან, ტიტე 1,14.

1. **გარემო** სხუა, გარეშე, ἔξω: ვსდევნიდ ვიდრე გარემო ქალაქებსა, საქმე 26,11; ვსდევნიდი ვიდრე გარემოთა ქალაქამდეცა, საქმე 26,11ႪႭ; რაჲთა წამებაჲცა აქუნდეს გარემოთაგან, 1 ტიმ. 3,7.

2. **გარემო** ირგვლივ, გარშემო: შეკრბებოდა სიმრავლჱ გარემო ქალაქებისაჲ, საქმე 5,16; გ. მისა იყო მბრწყინვალებაჲ ნათლისაჲ, საქმე 9,3; შეევედრნეს... გ. სოფლებსა, საქმე 14,6; გ. მბრწყინვიდა მე ნათელი, საქმე 26,13; მე იერუსალჱმითგან და გ. ვიდრე ილჳრიკემდე მოვივლინე აღსრულებად სახარებასა მას ქრისტჱსსა, ჰრომ. 15,19; ვითარცა სოდომაჲ და გომორაჲ და გ. მათსა ქალაქები იგი, იუდა 1,7ႯႪ; ირისჱ იყო გ. საყდრისა მის, გამოცხ. 4,3; გ. საყდრისა საყდარნი ოც და ოთხნი, გამოცხ. 4,4; შორის საყდრისა და გ. საყდრისა ოთხნი ცხოველნი, გამოცხ. 4,6; თითოეულსა აქუნდეს ექუსნი ფრთენი გ., გამოცხ. 4,8; ჴმაჲ ანგელოზთა მრავალთაჲ გ. საყდრისა, გამოცხ. 5,11.

გარე-მოდგომა გარემოცვა, გარს შემორტყმა, გარს შემოდგომა, ალყის შემორტყმა, ა—2: გარე-მოადგა (მოადგეს C) მას ქურივები იგი ყოველი, საქმე 9,39; გ. მოწაფენი, საქმე 14,20ႪႭ; გ. მას... ჰურიანი, საქმე 25,7; გ. ბანაკსა, გამოცხ. 20,9.

ზღუდენი იერიქოჲსანი დაეცნეს გარე-მოდგომითა, ებრ. 11,30.

გარე-მოდგომილი ჩუენსა სიმრავლჱ მოწამეთაჲ, ებრ. 12,1.

გარემოჲს ირგვლივ, გარშემო: ვპოვეთ მცველნი იგი გარემოჲს მდგომარენი წინაშე კართა, საქმე 5,23ႯႪ; იყო გ. მისსა ბრწყინვალებაჲ ნათლისაჲ, საქმე 9,3ႪႭ; შეაკრბეს გ. მოწაფენი იგი, საქმე 14,20; ვითარცა სოდომაჲ და გომორაჲ და გ. მათსა ქალაქები იგი, იუდა 1,7; ანგელოზნი დგეს გ. საყდრისა, გამოცხ. 7,11.

1. **გარე-მოქცევა** გარყვნა: განყენება (სარწმუნოებისაგან), ა—(3)2: ყოველსა სახლებსა გარე-მოაქცევენ, ტიტე 1,11Ⴂ.

ეძიებს... გარე-მოქცევად სარწმუნოებისაგან, საქმე 13,8.

2. **გარე-მოქცევა** მობრუნება, ზურგის შექცევა, განრიდება, ე: ზეცისასა მას გარე-მოვექცეთ (მოვიქცეთ Ⴍ), ებრ. 12,25.

გარე-მოქცეულ (მოქცეული Ⴙ) იყვნეს ჭეშმარიტებისაგან, ტიტე 1,14ႭႢCD.

1. **გარეშე** გარეთ: ბრძანეს განსლვაჲ მათი გარეშე კრებულისაგან, საქმე 4,15; გ. ქალაქსა მას, საქმე 7,58; 14,19; 16,13; 21,5; სამნი კაცნი დგანან გ., საქმე 10,19; დაიწნიხა საწნეხელი იგი გ. ქალაქისა, გამოცხ. 14,20; გამოიყვანნა იგინი გ., საქმე 16,30; გამოითრევდეს მას გ. ტაძრისა მისგან, საქმე 21,30ႯႪ; გ. ჴორცთა არს, 1 კორ. 6,18; გარეშე (გარეშჱ Ⴊ)—ბრძოლანი, შინაგან—შიშნი, 2 კორ. 7,5; გ. ბანაკსა მას, ებრ. 13,11; 13; გ. ბჭეთა, ებრ. 13,12.

2. **გარეშე** გარდა: გარეშე მისსა, 1 კორ. 3,11; გალ. 1,8; გარეშე (გარეშჱ Ⴊ) მისა, 2 კორ. 11,28; გარეშე ჴორცთაჲსა, 2 კორ. 12,3CD; გახარებდეს თქუენ მისა გ., გალ. 1,9.

3. **გარეშე** საწინააღმდეგო, ἐκτός: არარას გარეშესა ვიტყჳ, საქმე 26,22.

4. **გარეშე** საწინააღმდეგოდ: გარეშე ბუნებისა (შდრ. παρά φύσιν) დაემყენ, ჰრომ. 11,24CD; საცთურსა იქმან, გ. მის მოძღურებისა (შდრ. παρά τήν διδασχήν), ჰრომ. 16,17.

5. **გარეშე** პირველი, πρῶτος: გარეშესა მას კარავსა, ებრ. 9,6.

6. **გარეშე** გარეგანი: რომელ-ესე არს არა გარეშჱთა (გარეშეჲთა C, გარეშითა ႪႭ) მით განთხზვითა თმისაჲთა, 1 პეტ. 3,3.

7. **გარეშე** საერო (პირი); წარმართი; გარეშჱ (გარეშე ႯႪCD) ესე კაცი ჩუენი განირყუნების, 2 კორ. 4,16; გარეშენი იგი ღმერთმან განიკითხნეს, 1 კორ. 5,13; რაჲ ძეს ჩემი გარეშეთა მათ განკითხვაჲ, 1 კორ. 5,12; სიბრძნით იქცეოდეთ გ. მათ მიმართ, კოლ. 4,5; იქმოდით... შუენიერად გ. მათ მიმართ, 1 თეს. 4,12; რაჲთა წამებაჲცა კეთილი აქუნდეს გარეშეთაგან, 1 ტიმ. 3,7CD.

გარეწარ-ი სხვა: არავის რას გარეწარსა ეტყოდეს სიტყუასა, საქმე 11,19.

გარჱთ გარეთ, გარედან: კიდობანი... შემოსილი გარეჱთ (გარეთ ႯႪCD), შინაჲთ ოქროჲთა, ებრ. 9,4.

1. **გარნა** გარდა: არავის ეტყოდეს... გარნა ჰურიათა მათ ხოლო, საქმე 11,19; არა უმეტჱსი რაჲმე ტჳრთი... გ. ესე, საქმე 15,28; სხუასა არარას შინა იყვნეს, გ. სიტყუად რასმე, საქმე 17,21; არავის თქუენგანსა ნათელ-ვეც, გ. კრისპეს, 1 კორ. 1,14; არარაჲ სხუაჲ დავიდევ გულსა ჩემსა უწყებად თქუენდა, გ. ქრისტე იესუ, 1 კორ. 2,2; ვინ-მე უკუე იცის კაცმან კაცისაჲ, გ. სულმანვე კაცისამან... ღმრთისაჲ არავინ იცის, გ. სულმანვე ღმრთისამან, 1 კორ. 2,11; არავინ ვიხილე, გ. იაკობ, გალ. 1,19; არავინ უწყის, გ. რომელმან მიიღოს, გამოცხ. 2,17; რაჲთა არავის ჴელ-ეწიფებოდის სყიდად ანუ განსყიდად, გ. რომელთა აქუნდეს ბეჭედი, გამოცხ. 13,17; ვერვინ შემძლებელ იყო ცნობად გალობისა მის, გ. ას ორმეოც და ოთხნი იგი ათასნი, გამოცხ. 14,3; რომელი არავინ უწყის, გ. მან თავადმან, გამოცხ. 19,12.

2. **გარნა** თუ არა: ცოდვაჲ არა ვიცოდე, გარნა შჯულისაგან, ჰრომ. 7,7; არა არს ჴელმწიფებაჲ, გ. ღმრთისა მიერ, ჰრომ. 13,1; ნურაჲსმცა ვისი თანა-გაც, გ. ურთიერთას სიყუარულ, ჰრომ. 13,8; ნუ განეშორებით ურთიერთას, გ. თუ შეთქუმით რაჲ, 1 კორ. 7,5; არავინ არს ღმერთ, გ. მხოლოჲ იგი, 1 კორ. 8,4; განსაცდელი

თქუენ არა შეგემთხჳა. გ. კაცობრივ, 1 კორ. 10,13; ნუ იყოფინ სიქადულ. გ. ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, გალ. 6,14; არცა ერთი ეკლესიაჲ მეზიარა მე... გ. თქუენ მარტოდ, ფილიპ. 4,15; ნუ თავს-იდებ, გ. ორითა და სამითა მოწამითა, 1 ტიმ. 5,19; არა შევიდეს მუნ ყოველივე შეგინებული... გ. დაწერილნი იგი წიგნსა მას ცხორებისა კრავისასა, გამოცხ. 21,27.

3. **გარნა** მხოლოდ: მუნამდე არა იყო არცა მათგანსა ზედა მოწევნულ სული წმიდაჲ, გარნა ბანილ ხოლო იყვნეს, საქმე 8,16; გ. რამეთუ სული წმიდაჲ ქალაქად-ქალაქად მიწამებს, საქმე 20,23; არარაჲ შეგინებულ არს თავით თჳსით; გ. რომელ-იგი შე-ვინმე-ჰრაცხოს შეგინებულად, იგი არს შეგინებულ. ჰრომ. 14,14; უნდეს თუ ქორწინებაჲ, გ. უფლისა მიერ, 1 კორ. 7,39; არავის ჴელ-ეწიფების თქუმად უფალ იესუ, გ. სულითა წმიდითა, 1 კორ. 12,3; ვიდრელა რომელი იტყოდის ენათა, გ. თუ გამოსთარგმანებდეს, 1 კორ. 14,5; უკუეთუ გაჴსოვს, გ. თუ ცუდად რაჲმე გრწმენა, 1 კორ. 15,2; თავისა ჩემისასა არა ვიქადი, გ. უძლურებათა ჩემთა, 2 კორ. 12,5; რაჲ არს... გ. თუ, რამეთუ მე თჳთ არარაჲ დაგიმძიმე თქუენ, 2 კორ. 12,13CD; გ. თუ გამოუცდელ რაჲ ხართ, 2 კორ. 13,5; სხუა არარაჲ არს, გ. არიან ვინმე, რომელნი აღგძრვენ თქუენ, გალ. 1,7; გ. სმენით ხოლო ესმინა, გალ. 1,23; გ. რაჲთა გლახაკნი ხოლომცა გუაჴსოვნან, გალ. 2,10; არა განმართლდების კაცი საქმეთაგან შჯულისათა, გ. სარწმუნოებითა იესუ ქრისტჱსითა, გალ. 2,16; გ. აზნაურებაჲ ეგე ნუ ხოლო მიზეზად ჴორცთა, გალ. 5,13; იგინი გაიძულებენ თქუენ წინადაცუეთასა, გ. რაჲთა ჯუარსა ქრისტჱსსა არა შეუდგენ, გალ. 6,12; გ. ღირსად ხოლო სახარებისა მის ქრისტესისა ვიდოდეთ, ფილიპ. 1,27; საიდუმლოჲ იგი აწვე იქმნების უშჯულოებისაჲ, გ., რომელსა-ესე უპყრიეს აწ, ვიდრემდე შორის განვიდეს, 2 თეს. 2,7; ვერ შემძლებელ იყვნეს გულითად სრულ-ყოფად შემწირველსა მას, გ. საჭმელთა ზედა ხოლო, ებრ. 9,10.

4. **გარნა** არამედ: რაჲთა არარას ეგევითარსა იმარხვიდენ, გარნა რაჲთა ეკრძალნენ... ჭამასა, საქმე 21,25; გ. მასვე ვზრახვიდეთ, ფილიპ. 3,16; გ. კეთილად ჰყავთ, ფილიპ. 4,14CD; გ. არა წარემატნენ უფროჲს, 2 ტიმ. 3,9CD; გ. ვიცით, 1 იოვ. 3,2ႢႭ; გ. ესენი... ჰგმობენ, იუდა 1,10ႢႭ.

5. **გარნა** მაგრამ, ხოლო: მივწერე თქუენდა, გარნა არა სამე მავნებელისა მისთჳს, 2 კორ. 7,12CD; გ. თქუენცა... თჳსი ცოლი ეგრეთ შეიყუარეთ, ეფეს. 5,33CD.

გარღუეულ-ი ნ. განრღუეული.

გასწორება ნ. განსწორება.

გდება ნ. ღალადის-გდება.

1. **გება**, ა—(3)2: წარმართეა, მოწესრიგება, ἐπιμελήομαι: ვითარ-მე ეკლესიათა ღმრთისათა მოღუაწებაჲ აგოს? 1 ტიმ. 3,5.

2. **გება**, ი/უ: მოწყობა, ἐπιβάλλω: არა ვითარმცა საცთურს რასმე გიგებდ თქუენ, 1 კორ. 7,35.

3. **გება**, 0—2: ლოდინი, მოცდა: ვითარ-იგი მყუარ ჟამ ჰგებდეს, საქმე 28,6ႢႭ; ერთიერთსა ჰგებდით (ἐκδέχεσθε), 1 კორ. 11,33; საუკუნოდ გებისა მისისათჳს მიუღებელად აქუს მღდელობაჲ იგი, ებრ. 7,24ႨႬ.

4. **გება**, 0—2: დარჩენა, παραμενῶ: გგებდე თქუენ ყოველთა წარმართებისათჳს, ფილიპ. 1,25.

5. **გება**, ი/უ—(3)2: მსხვერპლის შეწირვა: რასა-იგი უგებენ წარმართნი, ეშმაკთა უ., 1 კორ. 10,20.

6. **გება**, ე: შეძლება: ვითარ არაჲ ეგების კაცისა ჰურიაჲსა მიხებად წარმართთა, საქმე 10,28; ეგების-მე რაჲა, იაკ. 3,12; არა ეგებოდა, ვითარმცა დავარდა სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ჰრომ. 9,6CD.

6.კ. კუალად-გება, სასყიდლის-გება, სიტყჳს-გება.

გემო სიტკბოება: ვჰმონებდით გულის-თქუმათა და გემოთა მრავალთა, ტიტე 3,3.

გემოჲს-ხილვა გასინჯვა, ი: ნუცალა გემოსა (გემოს Ⴂ) იხილავ, კოლ. 2,21; იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ, ებრ. 2,9.

უკუეთუ გემოჲ გიხილავს, 1 პეტ. 2,3; რომელთა გემოჲ უხილავს, ებრ. 6,4; კეთილი გემოჲ უხილავს, ებრ. 6,5.

შეჩუენებულ ვყვენით თავნი თჳსნი არარაჲსა გემოჲს-ხილვად, საქმე 23,14.

1. **გესლი** შხამი: გესლი ასპიტთაჲ ბაგეთა მათთა, ჰრომ. 3,13; ენაჲ... კაცთაჲ... სავსე გესლითა მაკუდინებელითა, იაკ. 3,8.

2. **გესლი** ჟანგი: გესლი იგი მათი საწამებელად თქუენდა იყოს, იაკ. 5,3.

გეჰენია ჯოჯოხეთი: აღგზებულ არს გეჰენიაჲსაგან (გეჰენიისაგან ႢႭ, გეჰჱნიისაგან G), იაკ. 3,6.

1. **გზა** გზა, სავალი: გზაჲ მშჳდობისაჲ არა იცნეს, ჰრომ. 3,17; მერმე უმეტჱსი გ. გიჩუენო თქუენ, 1 კორ. 12,31; წარჰმართენ გ. ჩუენი თქუენდა მიმართ, 1 თეს. 3,11CD; განგჳახლა ჩუენ გ. ახალი, ებრ. 10,20; დაუტევეს წრფელი გ., 2 პეტ. 2,15; რაჲთა განემზადოს გ. მეფეთაჲ, გამოცხ. 16,12; არღა გამოჩინებულ იყო წმიდათა იგი გზაჲ, ებრ. 9,8; უთხრეს მას გზაჲ იგი ღმრთისაჲ, საქმე 18,26; გ. იგი ჭეშმარიტებისაჲ იგმებოდის, 2 პეტ. 2,2; ეცნავე თუმცა არა გ. იგი ჭეშმარიტებისაჲ, 2 პეტ. 2,21; მივიდოდა გზასა თჳსსა. საქმე 8,39; ჰოვნეს ამის მოძღურებისა გ., საქმე 9,2; მიეიდოდეს იგინი გ., საქმე 10,9; მიუშუა... სლვად გ. ნებისა მათისასა, საქმე 14,16ႢႭ; ესე იყო სწავლულ გ. უფლისასა, საქმე 18,25; აღდეგ შენ და მიედ სამხრით კერძო გზასა მას, საქმე 8,26; რომელ-იგი გეჩუენა შენ გ. მას, საქმე 9,17; ვითარ-იგი იხილა გ. მას უფალი, საქმე 9,27; შეუდგან იგინი გ. მას ბალამის ბოსორელისასა, 2 პეტ. 2,15; გ. მას კაენისსა ვლენან, იუდა 1,11; უმზირდეს გზასა ზედა მოკლვად მას, საქმე 25,3; შოვა სამხრის გ. ზედა... ვიხილე, საქმე 26,13; გზისა სლვანი მრავალ-გზის, 2 კორ. 11,26; რაოდენნი ჰოვნნეს ამის გზისა მავალნი, საქმე 9,21; უკუეთუ ვინმე... სცთეს გზისაგან ჭეშმარიტისა, იაკ. 5,19; მოაქციოს ცოდვილი გ. საცთურისა მისისა, იაკ. 5,20; სხჳთ გზით წარგზავნნა იგინი, იაკ. 2,25; მერმე აღმატებული გზად გიჩუენო თქუენ, 1 კორ. 12,31CD; მაუწყენ მე გზანი ცხოვრებისანი, საქმე 2,28; გამოუკულეველ არიან გ. მისნი, ჰრომ. 11,33; წარჰმართენინ გ. ჩუენნი თქუენდა მიმართ, 1 თეს. 3,11; მათ არა იცნნეს გ. ჩემნი, ებრ. 3,10; ჭეშმარიტ არიან გ. შენნი, გამოცხ. 15,3; მიუშუა... სლვად გზათა ნებისა მათისათა,

საქმე 14,16; რომელნი გითხრობენ თქუენ გ. ცხორებისათა, საქმე 16,17; ესე იყო სწავლულ გ. უფლისათა, საქმე 18,25ႢႪႭ; უბადრუკებაჲ არს გ. მათთა, ჰრომ. 3,16; კაცი ორგული დაუდგრომელ არს ყოველთა გ. მისთა, იაკ. 1,8; არა დასცხრეა განდრეკად გზათა მათ უფლისათა, საქმე 13,10.

ნ.კ. შაბათის გზა.

2. **გზა** მოძღვრება: ამასვე გზასა (შდრ. diese Lehre-W. Bauer), საქმე 22,4; გზასა ზედა... ესრეთ ვჰმსახურებ მამათა ღმერთსა, საქმე 24,14; ძჳრსა იტყოდეს გზისა მისთჳს, საქმე 19,9; იყო მას ჟამსა შინა შიში არა მცირედი გზისა მისთჳს, საქმე 19,23; გ. მისთჳს... ესრეთ ვჰმსახურებ მამათა ღმერთსა, საქმე 24,14ႪႭ; ჭეშმარიტად იცოდა გ. მისთჳს, საქმე 24,22; რომელმან მოგაჴსენნეს თქუენ გზანი ჩემნი, 1 კორ. 4,17.

გზება ნ. მგზებარე.

-გზის -ჯერ: თავადმან ერთ გზის ყო ესე, ებრ. 7,27; ერთ გ. წელიწადსა შევიდის, ებრ. 9,7; თჳსითა სისხლითა შევიდა ერთ გზის (+ღა Ⴊ), ებრ. 9,12; ერთ გ. განკითხულ იყო, ფილემ. (დასასრ.) Ⴀ; ილუწიდით ერთ გ. მოცემულისა მისთჳს, იუდა 1,3ႪႭ; ღმერთმან ერთ გ. ეგჳპტით ერი იგი იჴსნა, იუდა 1,5; მრავალ გ. ვსტანჯევდ, საქმე 26,11; ესე იყო სამ გ., საქმე 10,16; ესე სამ გ. იყო, საქმე 11,10.

1. **გინა** ან; თუნდ: თჳსითა ძალითა გინა ღმრთის მსახურებითა გჳყოფიეს სლვაჲ ეგე, საქმე 3,12; პოვნიერნი იყვნეს დაბნებისანი გ. სახლებისანი, საქმე 4,34; თუ ვინმე პოვნეს... მამები გ. დედები, საქმე 9,2C; ბილწი რაჲვე გ. არაწმიდებაჲ არასადა შესრულ არს პირსა ჩემსა, საქმე 11,8ႪႭ; ვჰგონებდით ოქროსა გ. ვეცხლსა... სალმრთოსა მას მსგავს ყოფად, საქმე 17,29; გ. სული ეტყოდა მას, გ. თუ ანგელოზი, საქმე 23,9; არაჲ ღირსი სიკუდილისაჲ გ. კრულებისაჲ იპოვა მის თანა ბრალი, საქმე 23,29; ... არცა ტაძარსა შინა მპოეს მე... გ. შესაკრებელთა შორის, საქმე 24,12ႪႭ; იქცეოდა იგი მუნ რვისა დღისა გ. ათისა, საქმე 25,6; არარას სასიკუდინესა გ. კრულებათა საქმესა იქმს კაცი ესე, საქმე 26,31ႪႭ; არა... ადიდეს გ. მადლ-სცემდეს, ჰრომ. 1,21; შორის ურთიერთას გულის სიტყუანი შეასმენდენ გ. სიტყუას უგებდენ, ჰრომ. 2,15ႠႨb; არცა ექმნა კეთილი გ. ბოროტი, ჰრომ. 9,11; რაჲთა არა შეამთხჳოთ დაბრკოლებაჲ გ. საცთური ძმასა, ჰრომ. 14,13; ძმაჲ იგი შენი შებრკოლდეს გ. უბრკუმეს, ჰრომ. 14,21; გ. მტაცებელთა, გ. კერპთ-მსახურთა [ნუ თანა-აღერევით], 1 კორ. 5,10; გ. ანგაჰრთა [ნუ თანა-აღერევით], 1 კორ. 5,10CD; უკუეთუ ვინმე ძმაჲ სახელ-დებულ იყოს მეძავ... გ. კერპთ-მსახურ, 1 კორ. 5,11CD; უკუეთუ ვინმე ძმაჲ სახელ-დებულ იყოს... გ. მაგინებელ... გ. მომთრვალე, 1 კორ. 5,11CD; ეგენ უქმროდ, გ. ქმარსავე დაეგენ, 1 კორ. 7,11; საძაგელ არს დედაკაცისა კუეცაჲ გ. დაყუენვაჲ, 1 კორ. 11,6; ვიქმენ მე ვითარცა რვალი... გ. წინწილანი, 1 კორ. 13,1CD; შე-ვინმე-ვიდენ ურწმუნონი გ. უცებნი, 1 კორ. 14,23; შე-ვინმე-ვიდეს ურწმუნოჲ გ. უცები, 1 კორ. 14,24; უკუეთუ ვინმე ენითა იტყოდის... სამნი გ. უმრავლე, 1 კორ. 14,27Ⴈ; წინაჲსწარმეტყუელნი ორნი გ. სამნი იტყოდედ, 1 კორ. 14,29; უკუეთუ ვინმე ჰგონის თავი თჳსი წინაჲსწარმეტყუელ გ. სულიერ, 1 კორ. 14,37; რომელსაცა-იგი იკითხავთ გ. აღიარებთ... 2 კორ. 1,13Ⴈb; რაოდენი შექმნა თქუენ შორის სწრაფაჲ... გ. რაოდენი ლხინი, 2 კორ. 7,11CD; ნუ პირსპირ ვიკადრო სასოებით, გ. შე-რაჲმე-ვჰრაცხო კადრებად მათ ზედა, 2 კორ. 10,2; ვერ ვიკადრებთ... განკითხვად გ. შეტყუებად, 2 კორ. 10,12ႨCD; ნუუკუე ცუდად ვრბიოდე გ. ვრბი, გალ. 2,2; პირველ გამტკიცებული წიგნი არავინ შეურაცხ-ყვის, გ. სხუაჲ ბრძანებაჲ ბრძანის, გალ. 3,15; არაწმიდებაჲ ყოველი გ. ანგაჰრებაჲ ნუმცა სახელ-ედებინ, ეფეს. 5,3; ქმნეს კაცად-კაცადმან კეთილი გ. ბოროტი, ეფეს. 6,8; მშჳდობა-ყო... გ. ქუეყანასა ზედა, გინა თუ ცათა შინა, კოლ. 1,20; ნუმცა ვინ განგიკითხავს თქუენ... გ. კერძო დღესასწაულობითა, გ. თთჳს-თავობითა, გ. შაბათობითა, კოლ. 2,16CD; გინა თუ მიზეზით, გ. ჭეშმარიტად, ქრისტე იქადაგების, ფილიპ. 1,18; რომელნი სახელ-დებულ არიან ღმრთად გ. სამსახურებელად, 2 თეს. 2,4; გისწავიეს გ. სიტყჳთა, გ. წიგნითა ამით ჩუენითა, 2 თეს. 2,15; ორითა გ. სამითა მოწამითა, ებრ. 10,28Ⴍ; ქურივსა შვილ გ. შვილის შვილ ესხნენ, 1 ტიმ. 5,4; ნუმცა შესმენილ არიან ბილწებისათჳს გ. ურჩებისა, ტიტე 1,6; უკუეთუ რაჲმე შეგცოდა გ. თანა-აც, ფილემ. 1,18; ვითარმცა ლეღუმან ზეთის-ხილი გამოიღო, გ. ვენაჴმან ლეღუ, იაკ. 3,12; რომელი ძჳრსა იტყოდის ძმისათჳს გ. განიკითხვიდეს ძმასა თჳსსა, იაკ. 4,11; დღეს გ. ხვალე წარვიდეთ, იაკ. 4,13; ვყოთ ესე გ. იგი, იაკ. 4,15ႪႭ; არა განხრწნადითა ვეცხლითა გ. ოქროჲთა იჴსნენით თქუენ, 1 პეტ. 1,18; ოქროჲსა შესხმითა, გ. შემოსითა სამოსლისა შემკობითა, 1 პეტ. 3,3; ნუმცა ვის თქუენგანსა ევნების, ვითარცა კაცის-მკლველსა, გ. მპარავსა, გ. ძჳრის მოქმედსა, გ. ვითარცა უცხოჲსა მოღუაწესა, 1 პეტ. 4,15.

2. **გინა** თუ: გ. რომელი ჰმსახურებდეს — მსახურებითა მით; გ. რომელი ნუგეშინის-სცემდეს — ნუგეშინის-ცემითა მით, ჰრომ. 12, 6-8; გ. რომელი ასწავებდეს, ჰრომ. 12,7CD; მის მიერ დაებადა ყოველი... ანუ თუ უფლებანი, გ. მთავრობანი, კოლ. 1,16.

3. **გინა** და: არა არს რჩევა მამაკაცისა, გინა დედაკაცისა, გალ. 3,28Ⴀ; ნურარაჲთ ჴდომით გ. ზუაობით... შეჰრაცხდით, ფილიპ. 2,3CD.

გინა **თუ** ან, თუნდ: უკუეთუ არს კაცთაგან სიტყუაჲ ესე გინა თუ საქმჱ, საქმე 5,38; არაჲ ეგების კაცისა ჰურიაჲსა მიხებად წარმართთა, გ. შეხებად უცხო თესლთა, საქმე 10,28; გინა სული ეტყოდა მას, გ. ანგელოზი, საქმე 23,9; ვეტყოდე ვისმე, გ. ერის კრებასა ვჰყოფდ, საქმე 24,12; არარაჲ ბოროტი ვქმენ ერისათჳს, გ. შჯულისა მამულისა, საქმე 28,17; არცა მო-ვინ-ვიდა ძმათაგანი და გჳთხრა, გ. იტყოდა შენთჳს ბოროტსა, საქმე 28,21; რომელსაცა-იგი ერჩით; გ. ცოდვასა სიკუდილდ, ანუ თუ მორჩილებად სიმართლესა, ჰრომ. 6,16; მაქუს ჩუენ ნიჭი იგი... გ. წინაჲსწარმეტყუელებაჲ, ჰრომ. 12,6; თჳსისაგან უფლისა დგეს გ. დაეცეს, ჰრომ. 14,4; გ. ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ, და გ. მოვსწყდებით, უფლისა მიერვე მოვსწყდებით; გ. ცოცხალ ვიყვნეთ, გ. მოვსწყდეთ, უფლისანი ვართ, ჰრომ. 14,8CD; ყოველივე თქუენი არს: გ. პავლე, გ. აპოლო, გ. კეფა, გ. სოფელი, გ. ცხორებაჲ, გ. სიკუდილი, გ. აწინდელი ჟამი, გ. მერმჱ იგი ჟამი, 1 კორ. 3,22; უკუეთუ თქუენ მიერ განვიკითხო გ. კაცობრივისაგან დღისა, 1 კორ. 4,3; არა დამონებულ არს ძმაჲ იგი გ. დაჲ, 1 კორ.

7.15: დაღათუ არიან რაიმე სახელ-დებულ ღმრთად გ. ცათა შინა. გ. ქუეყანასა ზედა. 1 კორ. 8,5: რომელი ილოცვიდეს გ. წინაისწარმეტყუელებდეს, 1 კორ. 11,4: 11,5; გ. შჭამდეთ, გ. ჰსუმიდეთ, გ. რასაცა იქმოდით, 1 კორ. 10,31; ნათელ-ვიღეთ გ. ჰურიათა, გ. წარმართთა, გ. მონათა, გ. აზნაურთა, 1 კორ. 12,13: სიყუარული არასადა დავარდების, გ. წინაისწარმეტყუელებანი განქარდენ, 1 კორ. 13,8CD; გ. ენანი და-ყე-ხსრენ, გ. მეცნიერებანი გან-ვე-ქარდენ, 1 კორ. 13,8; რომელი იტყოდის ენათა, გ. გამოსთარგმანებდეს, 1 კორ. 14,5Ꮭ; სცოებით გ. ჰბორგო, 1 კორ. 14,23CD: შე-ვინმე-ვიდენ ურწმუნონი გ. უცებნი, 1 კორ. 14,23ᑫᒪ: უკუეთუ ვინმე ენითა იტყოდის, ორნი გ. უმრავლეს სამნი, 1 კორ. 14,27; გ. იგინი, გ. მე ესრეთ ვქადაგებთ, 1 კორ. 15,11: [დასთესი] შიშუელი მარცუალი გ. იფქლისაი, 1 კორ. 15,37CD; [დასთესი] შიშუელი მარცუალი რომელიეე იფქლისაი, გ. სხუაი თესლი, 1 კორ. 15,37; თქუენ თანა დაუადგრე, გ. და-ცა-ვიზამთრო, 1 კორ. 16,6CD; გ. ვიჭირვეთ, თქუენისათჳს ნუგეშინის-ცემისა, 2 კორ. 1,6CD; გ. ნუგეშინის-ცემულ ვართ, თქუენისათჳს ნუგეშინის-ცემისა, 2 კორ. 1,7CD; გ. შემოვიდეთ, გ. განვიდეთ, 2 კორ. 5,9; რაიცა-იგი ქმნა, გ. კეთილი, გ. ბოროტი, 2 კორ. 5,10; გ. განვცჳბრდით, — ღმრთისა, 2 კორ. 5,13CD; გ. განგაბრძნობთ, — თქუენ, 2 კორ. 5,13: გ. ტიტესთჳს... გ. ძმანი ჩუენნი, 2 კორ. 8,23; გ. სხუაი სული მოაქუნდეს... გ. სახარებაჲ სხუაი, 2 კორ. 11,4; ვიცი კაცი... გ. ჴორცითა, გ. თჳნიერ ჴორცთა, 2 კორ. 12,2; 3; მხედავს მე, გ. ესმის რაიმე ჩემგან, 2 კორ. 12,6; დაღათუ ჩუენ, გ. ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ, გალ. 1,8; მოვიღე იგი გ. ვისწავე, გალ. 1,12; ვითხოვთ გ. თუ ვჰცნობთ, ეფეს. 3,20; იგიცა მოიღოს უფლისა მიერ, გ. მონამან გ. აზნაურმან, ეფეს. 6,8; გ. მიზეზით გინა ჭეშმარიტად, ქრისტე იქადაგების, ფილიპ. 1,18; გ. მიზეზით გ. ჭეშმარიტებით, ქრისტე იქადაგების, ფილიპ. 1,18CD: იდიდოს ქრისტე... გ. ცხოვრებით გ. სიკუდილით, ფილიპ. 1,20; გ. მოვიდე და გიხილნე თქუენ, ფილიპ. 1,27CD; გ. შორს ვიყო და მესმეს თქუენთჳს, ფილიპ. 1,27; მშჳდობა-ყო... გ. ქუეყანასა ზედა, კოლ. 1,20CD; მშჳდობა-ყო... გ. ცათა შინა, კოლ. 1,20; რასაცა იქმოდით სიტყჳთ გ. საქმით, კოლ. 3,17; გ. გუღჳძოს, გ. გუეძინოს, 1 თეს. 5,10; რომლისა თანა არა არს ცვალება, გ. ქცევისა აჩრდილის შეცოდება, იაკ. 1,17; უკუეთუ ძმაჲ გ. დაჲ შიშუელ იყუნენ, იაკ. 2,15; დაემორჩილენით... გ. მეფესა... გ. მთავართა, 1 პეტ. 2,13-14.

გინება გინება, ლანძღვა; შეურაცხ-ყოფა, დამცირება, შებილწვა, ა—(3)2: მღდელთ მოძღუარსა ღმრთისასა აგინებ? საქმე 23,4; იგი არავის აგინებდა, 1 პეტ. 2,23; სული იგი მადლისაჲ აგინა, ებრ. 10,29.

ი ვნ.: რომელი იგინებოდა, 1 პეტ. 2,23; წინაისწარ... ეიგინენით, 1 თეს. 2,2.

ნუცა გინებასა [მიაგებთ] საგინებელისა წილ, 1 პეტ. 3,9; ნუცა გინებასა [მიაგებთ] გინების წილ, 1 პეტ. 3,9ᑕᒪŌ; ნუცაღა ერთსა რას მიზეზ-სცემდე მჴდომსა გინებისა ადგილ, 5,14; დაეთესვის გინებით, 1 კორ. 15,43; წარუდგინენით თავნი თჳსნი... დიდებითა და გინებითა, 2 კორ. 6,8; ღირს იქმნნეს სახელისათჳს უფლისა გინებად, საქმე 5,41; შეითქუნეს... გ. მათა, საქმე 14,5; ამისთჳსცა მისცნა იგინი ღმერთმან გულის თქუმასა... გ. ჴორცთა მათთა, ჰრომ. 1,24CD; სათნო-მიჩს უძლურებათა შინა ნეშთა, გინებათა, 2 კორ. 12,10; ვნებასა მას გინებისასა, ჰრომ. 1,26.

მაგინებელ... იყვნეს, ჰრომ. 1,30: უკუეთუ ვინმე ძმაჲ სახელ-დებულ იყოს... ანუ მ., 1 კორ. 5,11; რომელი ვიყავ მ., 1 ტიმ. 1,13; არცა მაგინებელთა [დაიმკჳდრონ], 1 კორ. 6,10; მ. ჩუენითა ვაკურთხევთ, 1 კორ. 4,12; მართალსა შჯული არა უც. არამედ... მამის მ. და დედის მ., 1 ტიმ. 1,9.

ნუცა გინებასა [მიაგებთ] საგინებელისა წილ, 1 პეტ. 3,9.

რაჲთა გინებულ იყვნენ ჴორცნი მათნი, ჰრომ. 1,24; თქუენ დიდებულ და ჩუენ გ., 1 კორ. 4,10; გინებულნი ვაკურთხევთ, 1 კორ. 4,12Ꮖb.

გინცობა შეწევნა: გინცობითა ღმრთისა მიერ ვიდრე დღეინდელად დღემდე ვდგა, საქმე 26,22.

1. **გლახაკ-ი** ღარიბი, ღატაკი: შეურაცხ-ჰყავთ გლახაკი იგი, იაკ. 2,6; შეეიდეს გლახაკიცა, იაკ. 2,2; გლახაკსა მას ჰრქუათ, იაკ. 2,3; [ვართ] ვითარცა გლახაკნი, 2 კორ. 6,10; გ. სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, იაკ. 2,5; ყვნეს ყოველნიეე... მდიდარნი და გ., გამოცხ. 13,16.

2. **გლახაკ-ი** გლახა, მათხოვარა: შენ ხარ უბადრუკ და გლახაკ, გამოცხ. 3,17; რაჲთა გლახაკნი ხოლომცა გუაჴსოვნან, გალ. 2,10; შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი გლახაკთა, 1 კორ. 13,3ᑫᒪ; მისცა იგი გ., 2 კორ. 9,9; ჯერ-იჩინა მაკედონიამან... ზიარება რაჲმე ყოფად გლახაკთა მათთჳს წმიდათა, ჰრომ. 15,26.

3. **გლახაკ-ი** საგლახაკო, ღარიბული: მიიქცევით კუალად... გლახაკსა წესსა, გალ. 4,9; მიიქცევით კუალად... გლახაკისა წესისა, გალ. 4,9CD; მიიქცევით... გლახაკთა ნივთთა მიმართ, გალ. 4,9ᏅᏆb.

გლოვა მწუხარება; ტირილი, ი უობ.: არა უფროისღა იგლოვთ, 1 კორ. 5,2; ტიროდეთ და იგლოვდით, იაკ. 4,9ᒪŌ; ვიგლოვდე მრავალთა, 2 კორ. 12,21; ტიროდიან და იგლოვდენ, გამოცხ. 18,11; 15; არა უფროისად იგლოვეთ, 1 კორ. 5,2CD.

ე: ვეგლოვდე მრავალთა, 2 კორ. 12,21ŌᏆCD.

გლოვაჲ [გლოაჲ C] არა ვიხილო, გამოცხ. 18,7; ერთსა დღესა მოვიდენ... გლოვაჲ (გლოაჲ G) და სიყმილი, გამოცხ. 18,8; სიკუდილი არღარა იყოს, არცა გ., გამოცხ. 21,4; ღაღადებდეს ტირილით და გლოვით (გლოით A, გლოჲთ C), გამოცხ. 18,19; სიცილი თქუენი გლოვად (გლოად ᑫᒪ) გარდაიქეცინ, იაკ. 4,9.

გმება, გმობა უარყოფა (ღმრთისა, ქრისტესი); ლანძღვა, ძრახვა; ბრალის დადება (καταγινώσκω), 0—2: გუგმობს ჩუენ, 3 იოვ. 1,10; გგმობენ, 1 პეტ. 4,4ᑕᒪŌ; ნუმცა ვის ჰგმობენ, ტიტე 3,2ŌᏆCD: იგინიეე ჰგმობენ (გმობენ ᑕ[1], ჰგმობენა ᒪŌ) კეთილსა მას სახელსა, იაკ. 2,7ᑫᒪ; ჰ., 1 პეტ. 4,4; არა ძრწიან, არამედ ჰ., 2 პეტ. 2,10; რომელ-იგი არა იციან... ჰ., 2 პეტ. 2,12; იუდა 1,10ᑫᒪŌ; დიდებასა ჰ., იუდა 1,8: ნუმცა ვის ჰგმობედ, ტიტე 3,2; ჰგმობდეს მათ, საქმე 13,45: იგინი ვითარ უჴდებოდეს და ჰ., საქმე 18,6; ჰ. კაცნი სახელსა ღმრთისასა, გამოცხ. 16,9; ჰ. ღმერთსა, გამოცხ. 16,11; ნუ ვინმე გუგმობდეს ჩუენ, 2 კორ. 8,20: უკუეთუ გ. გული ჩუენი, 1 იოვ. 3,20: უკუეთუ გული

ჩუენი არა გ. ჩუენ, 1 იოვ. 3,21; გმეს (ჰგმეს C) კაცთა სახელი ღმრთისაჲ, გამოცხ. 16,21.

ი/უ: ნუ ვინმჱ გუგმობდეს ჩუენ, 2 კორ. 8,20; მჴდომად აღუდგეს სიტყუათა მათ პავლეს მიერ თქუმულთა და უგმობდეს მათ, საქმე 13,45D.

ი ვნ.: არა ვითარცა ვიგმობვი, ჰრომ. 3,8Ⴇ; რაჲსათჳს ვიგმობვი (ვიგმობი ႢႧ), 1 კორ. 10,30; სახელი ღმრთისაჲ თქუენ ძლით იგმების (იგმობის Ⴂ, იგმობვის ႧCD), ჰრომ. 2,24; ნუმცა იგმობის (იგმობვის ႧCD) კეთილი იგი თქუენი, ჰრომ. 14,16; არა ვითარცა ვიგმობვით (ვიგმობით Ⴂ), ჰრომ. 3,8; ვითარ იგინი ჰგონებენ, იგმობეით, 1 პეტ. 4,14ႢႪႭ; რაჲთა არა სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ იგმებოდის (იგმობვოდის ႼႨႧႡ, იგმობოდის ႬႨ), ტიტე 2,5; გზაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ იგმებოდის, 2 პეტ. 2,2; არა იგმოს მსახურებაჲ იგი, 2 კორ. 6,3; მოძღურებაჲ ესე იგმოს, 1 ტიმ. 6,1.

გმობაჲ (გმობა Ⴌ) მოისპენ თქუენგან, ეფეს. 4,31; განიშორეთ... გმობაჲ, კოლ. 3,8; ვიცნი საქმენი შენნი და გმობაჲ იგი მათი, გამოცხ. 2,9; ვერ მოაწიიან... გმობისა საშჯელი, 2 პეტ. 2,11; წარუდგინენით თავნი თჳსნი... გმობითა, 2 კორ. 6,8; ვაიძულებდი მათ გმობად, საქმე 26,11; აღაღო პირი თჳსი გ. ღმრთისა მიმართ, გ. სახელისა მისისა, გამოცხ. 13,6; იქმნებიან... გმობანი, 1 ტიმ. 6,4; გუესმა მაგისგან სიტყუაჲ გმობისაჲ, საქმე 6,11Ⴂ; ვერ იკადრა საშჯელი გ. მოწევნად მის ზედა, იუდა 1,9; იტყოდა რაჲ სიტყუასა გმობისასა, საქმე 6,11; არა მოაწევენ მათ ზედა საშჯელსა გმობისასა (გმობისა ႺႢ), 2 პეტ. 2,11ႢႪႭ; ვიხილე დედაკაცი მჯდომარჱ მჴეცსა ზედა წითელსა, სავსესა სახელებითა გმობისაჲთა, გამოცხ. 17,3; გუესმნეს მაგისგან სიტყუანი გმობისანი, საქმე 6,11ႢႪႭ; თავთა ზედა მისთა სახელნი გ., გამოცხ. 13,1; კაცი ესე არა დასცხრების სიტყუად სიტყუათა გმობისათა, საქმე 6,13ႢႪႭ.

არცა მგმობარ არიან ღმრთისა ჩუენისა, საქმე 19,37; რომელი ვიყავ მე პირველად მ., 1 ტიმ. 1,13; იყვნენ კაცნი... მ., 2 ტიმ. 3,2; მიეცა მას პირი დიდად მეტყუელი და მგმობარი, გამოცხ. 13,5; მგმობართა ჩუენთა ულოცავთ, 1 კორ. 4,13.

გმობილნი ვჳლოცავთ, 1 კორ. 4,13ႧႡ.

ნ.კ. არა-გმობა.

გოგ-ი და მაგოგ-ი ორი ზღაპრული ხალხი ბიბლიასა და მუსლიმანურ რელიგიურ ლიტერატურაში: რომელნი არიან ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა, გოგს და მაგოგს, გამოცხ. 20,8.

გოდება ხმამაღლა ტირილი, მოთქმა, 0–1: ტიროდეთ და გოდებდით (გოდებდეთ C[1]) უბადრუკებათა მათთჳს, იაკ. 5,1ႢႪႭ; გოდებდენ ტომნი ქუეყანისანი, გამოცხ. 1,7; გ. მის ზედა მეფენი ქუეყანისანი, გამოცხ. 18,9.

მიითხრობდა ჩუენ... ოქუენსა მას გოდებასა, 2 კორ. 7,7CD.

გომორელ-ი, გომორეველ-ი: გომორელთამცა მიემსგავსენით, ჰრომ. 9,29; ქალაქები იგი სოდომელთაჲ და გომორელთაჲ (გომორეველთაჲ E), 2 პეტ. 2,6.

გონ, სტატ.: ვინ-იგი გგონიე მე ყოფად, საქმე 13,25; მე ესრე მგონიეს, ჰრომ. 8,18; რომელი-იგი გვონიეს არა-პატიოსან გუამისაჲ მის, 1 კორ. 12,23Ⴇ; კუალად გ., 2 კორ. 12,19CD; უკუეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თჳსი, 1 კორ. 3,18CD; უკუეთუ ვისმე ჰ., 1 კორ. 8,2CD; რომელ-იგი გუგონიეს არა-პატიოსან, 1 კორ. 12,23; რომელთა ვჰგონიეთ ჩუენ ვითარცა ჴორციელად მავალნი, 2 კორ. 10,2; მე მეგონა თავით ჩემით, საქმე 26,9; ეგრე ეგონა, საქმე 12,9; 14,19; 16,27; რომელთა ე. სუეტად თავი თჳსი, გალ. 2,9; რაჲთა არა გეგონოს, 2 კორ. 10,9; კუალად გ., 2 კორ. 12,19; უკუეთუ ვისმე ბრძენ ეგონოს თავი თჳსი, 1 კორ. 3,18; უკუეთუ ვისმე ე. თავი თჳსი წინაჲსწარმეტყუელ, 1 კორ. 14,37; ნუ ვის ჩემდა ე., 2 კორ. 12,6; უკუეთუ ვისმე ე. რაჲმე თავი თჳსი, გალ. 6,3; რომელსა ე. თავი თჳსი ღმრთის-მსახურ, იაკ. 1,26.

დავრდომა 1. დავარდნა, ძირს დაცემა, წაქცევა, πίπτω, 0—1: დავარდებიან ოც და ოთხნი იგი მღდელნი წინაშე საყდართა ზედა მჯდომარისა მის, გამოცხ. 4,10; დავვარდი ქუეყანასა, საქმე 22,7; დ. ფერჴთა თანა მისთა, გამოცხ. 1,17; დ. წინაშე ფერჴთა მისთა, გამოცხ. 19,10; დ. თაყუანის-ცემად, გამოცხ. 22,8; დავარდა მას ზედა, საქმე 20,10; დ. მესამედსა ზედა მდინარეთასა, გამოცხ. 8,10; ოც და ოთხნი მღდელნი დავარდეს წინაშე კრავისა მის, გამოცხ. 5,8; მღდელნი იგი დ., გამოცხ. 5,14; დ. წინაშე საყდრისა მისისა, გამოცხ. 7,11; დ. ოც და ოთხნი იგი მღდელნი, გამოცხ. 19,4.

და-ღათუ-ვრდომილ ვართ, 2 კორ. 4,9.

დავრდომა პირსა პირქვე დამხობა: დავარდეს პირსა ზედა, გამოცხ. 11,16; ესრჱთ დ. პირსა ზედა თჳსსა, 1 კორ. 14,25.

2. გაქრობა: სიყუარული არასადა დავარდების, 1 კორ. 13,8CD: არა ეგრე, ვითარმცა დავარდა სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ჰრომ. 9,6; სიყუარული არასადა დავარდის, 1 კორ. 13,8; სიყუარული არასადა დავარდეს, 1 კორ. 13,8ႢႨ.

დავსება ჩაქრობა, დაშრეტა. გადატ. დაღუპვა, ა—2: სულსა ნუ დაავსებთ. 1 თეს. 5,19CD.

დაზამთრება საზამთროდ დარჩენა, ზამთრის გატარება, ი უობ.: მუნ დაიზამთრეს ტჳსსა მას კრეტესასა, საქმე 27,12; თქუენ თანა დავადგრე ანუ და-ცა-ვიზამთრო, 1 კორ. 16,6; შევედით ნავსა, რომელსა დაეზამთრა მას ჭალაკსა შინა, საქმე 28,11.

მუნ ვირჩიე დაზამთრებაჲ, ტიტე 3,12ႍCD; უკუეთუმცა ვითარ უძლეს... მუნ დაზამთრებად, საქმე 27,12ႢႍႭ; მუნ მირჩევიეს დ., ტიტე 3,12.

შევედით ნავსა, ჭალაკსა მას შინა დაზამთრებულსა, საქმე 28,11Ⴍ; უმარჯუ იყო ტბაჲ იგი დასაზამთრებელად (დასაზამთრებლად E), საქმე 27,12.

დაზულევა დამზღველევა, ჩამოქცევა, ჩამოწოლა, დახსნა, დაშლა, 0—1: რაჲამს ესრეთ ესე ყოველნი დაზულებოდიან, 2 პეტ. 3,11; წესნი იგი დაიწუნენ და დაზულენ. 2 პეტ. 3,10.

დათესვა დათესვა, მიწაში თესლის ჩაგდება, ჩაყრა. გადატ. რისამე დანერგვა, გავრცელება, 0—(3)2: უკუეთუ ჩუენ თქუენ შორის სულიერი დავსთესეთ, 1 კორ. 9,11; შენ რომელ დასთესი, 1 კორ. 15,36; რომელ-იგი დ., არა თჳთ იგი გუამი რომელ ყოფად არს, დ., 1 კორ. 15,37; უკუეთუ... სულიერი დავსთესით. 1 კორ. 9,11Ⴂ.

ე: დაეთესვის ხრწნილებით, 1 კორ. 15,42; დ. გინებით, 1 კორ. 15,43; დ. უძლურებით, 1 კორ. 15,43; დ. ჴორცი მშჳნვიერი, 1 კორ. 15,44; ნაყოფი სიმართლისაჲ... მშჳდობით დ., იაკ. 3,18.

დათმენა მოთმენა, გაძლება, ატანა, ი—2: ამისთჳს ყოველსა დავითმენ, 2 ტიმ. 2,10; რამეთუ ყოველსავე დავითმენთ, 1 კორ. 9,12; უკუეთუ ვერ დაითმენენ, 1 კორ. 7,9CD; ვიქცევნებოდით(!) და დავითმენდეთ... გუევნებოდის და დ., 1 პეტ. 2,20ႤႢ; დევნანი დავითმინენ, 2 ტიმ. 3,11; დაითმინა ჯუარი, ებრ. 12,2; რომელმან-იგი ესევითარი დ., ებრ. 12,3; ჭირი დაითმინე (ბრძ.], 2 ტიმ. 2,3; მრავალი ღუაწლი დაითმინით ვნებათაჲ, ებრ. 10,32; გონებისათჳს კეთილისა დავითმინით მწუხარებაჲ, 1 პეტ. 2,19; უკუეთუ... ღმრთისათჳს დაითმინნეს ვინმე მწუხარებანი, 1 პეტ. 2,19ႤႢႭ; უკუეთუ დავითმინოთ, 2 ტიმ. 2,12; უკუეთუ ვერ დაითმინონ. 1 კორ. 7,9; დაუთმენიეს მრავლითა სულგრძელებითა, ჰრომ. 9,22.

რაჲთა შეუძლოთ დათმენად. 1 კორ. 10,13.

დათმობა მოთმენა, გაძლება, ატანა, 0—(2)1: ვერღარა დავთმე, 1 თეს. 3,1Ⴈ; 3,5; ვერღარა დავთმეთ, 1 თეს. 3,1.

ი/უ—(3)2: ჭირსა დაუთმობდით, ჰრომ. 12,12ႤႢႨCD: ჭირსა დაუთმეთ [ბრძ.], ჰრომ. 12,12; სწავლასა დ., ებრ. 12,7; რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, იაკ. 1,12; უკუეთუ სწავლასა დაუთმოთ, ებრ. 12,7CD.

დათრგუნვა ფეხით გათელვა, გასრესა, გადატ. შეურაცხყოფა, 0—2: ძე ღმრთისაჲ დათრგუნოს, ებრ. 10,29CD: ქალაქი იგი წმიდაჲ დათრგუნონ. გამოცხ. 11,2.

დათრ(ვ)ობა დათრობა; ბევრის შესმა, ი ვნ.: ნუ დაითრვებით ღჳნითა, ეფეს. 5,18: დაითრვნეს მკჳდრნი ქუეყანისანი, გამოცხ. 17,2; რომელნი-იგი დაითრვნიან, ღამე დ., 1 თეს. 5,7.

ვიხილე დედაკაცი იგი დამთრვალი სისხლითა წმიდათაჲთა, გამოცხ. 17,6.

დათუ-ი, დათჳ დათვი: ფერჴნი მისნი, ვითარცა დათჳსანი, გამოცხ. 13,2.

დათხევა დაღვრა, დაქცევა, 0—(3)2: დასთხია ლანკნაჲ თჳსი, გამოცხ. 16,2; 16,3; 16,4; 16,8; 16,10; 16,12; 16,17; სისხლი... დასთხიეს, გამოცხ. 16,6; დასთხიენით შჳდნი ეგე ლანკნანი, გამოცხ. 16,1.

ი ვნ.: რაჲამს დაითხეოდა სისხლი, საქმე 22,20.

თჳნიერ სისხლისა დათხევისა არა იყო მოტევებაჲ, ებრ. 9,22; მალე არიან ფერჴნი მათნი დათხევად სისხლისა, ჰრომ. 3,15.

დაკალ ნ. დაკლვა.

დაკარ ნ. დაკრვა.

დაკიდება (ნავისა) ხომალდის თავთხელზე (მეჩეჩზე) შეყენება, посадить на мель, 0—(3)2: ვითარცა განცჳვეს იგინი ადგილსა უმძაფრესსა, დაჰკიდეს ნავი იგი, საქმე 27,41.

დაკირთებულ-ი დამონებული.

წესსა მას ქუეშე ამის სოფლისასა ვიყვენით დაკირთებულ, გალ. 4,3.

დაკლება დაკლება, მოკლება, ნაკლების მიცემა, შემცირება, лишать; დაკარგვა, лишаться, 0—3: დამაკლებს მე მითხრობად ჟამი ესე, ებრ. 11,32 დრო არ მყოფნის მოსათხრობად; დააკლე იგი მცირედ რაჲმე ანგელოზთა შენთა, ებრ. 2,7 შენს ანგელოზებზე ცოტათი ნაკლები გამოიყვანე.

ა—დ: და-მე-აკლდებისა შაბათობაჲ იგი ერსა ღმრთისასა. ებრ. 4,9; არარაჲ დავაკლდი... მოციქულთა მათ, 2 კორ. 11,5; 12,11: მოციქულებზე ნაკლები არაფრით ვარ; და არა თუ ვჭამოთ, არაჲ დაგუაკლდეს (და-არაჲ-გუაკლდეს ႤႨ), 1 კორ. 8,8CD.

ყოველსა შინა შეზმნულ ვარ: ... აღმატებად და დაკლებად, ფილიპ. 4,12.

დაკლებულ არიან დიდებასა ღმრთისასა, ჰრომ. 3,23 მოკლებული არიან, лишены; არარაჲთ დ. ყოფად... მოციქულთაგან, 2 კორ. 11,5D; ნუ ვინმე დ. იყოს მადლისა მისგან ღმრთისაჲსა. ებრ. 12,15; რაჲთა აღასრულოს თქუენი იგი (ეგე ႭD) დაკლებული ჩემდა მიმართ მსახურებისაჲ, ფილიპ. 2,30; თქუენი იგი დ. ამათ აღავსეს, 1 კორ. 16,17; ვევედრებით... განმტკიცებად დ. იგი სარწმუნოებისა თქუენისაჲ, 1 თეს. 3,10; სასყიდელი მოქმედთაჲ მათ, დ. იგი თქუენგან, ღაღადებს, იაკ. 5,4; ანგელოზთა დაკლებულად ვხედავთ იესუს, ებრ. 2,9; აღვასრულებ დაკლებულთა მათ ჭირთა ქრისტესთა, კოლ. 1,24.

2. გამოკლება, გამოტოვება, 0—3: და-ვიკიმე-აკლებს შესლვად მას შინა. ებრ. 4,6CD.

ა—დ: და-ვიეთმე-აკლდების შესლვაჲ მას შინა, ებრ. 4,6.

3. განშორება, ა—დ: ნუ დააკლდებით ურთიერთას. 1 კორ. 7,5Гb.

4. მოკლება, გაჭირვება, недостанать, ა—დ: მო-რაო-ვედ თქუენდა. დამაკლდა. 2 კორ. 11.8; გაჭირვებაში ეი-ყავი, нужду терпел; არაი დააკლდა. 2 კორ. 8,15ГLC(D); მას და-არაი-აკლდა. 2 კორ. 8.15.

5. ჩამორჩენა, დაგვიანება: საგონებელ ვისმე უჩ-ნდეს... დაკლებულ ყოფაი. ებრ. 4.1D; ჰგონებდეს ვინმე დაკლებულს თქუენგანი თავსა თჳსსა, ებრ. 4,1; ჰგონებ-დეს ვინმე დაკლებულად... თავსა თჳსსა, ებრ. 4,1Г.

დაკლვა დაკვლა. ყელის გამოჭრა. მოკვლა; მსხვერპლად შეწირვა; დაჭრა, 0—2: აღდეგ. პეტრე. და-კალ და ჭამე. საქმე 10,13; 11,7.

ი ვნ.: რამეთუ დაიკალ და გჳყიდენ ჩუენ, გამოცხ. 5,9; ზატიკად ჩუენდა დაიკლა ქრისტჱ, 1 კორ. 5,7.

განჰზარდენით ჴორცნი თქუენნი ვითარცა დღედ დაკლვისა, იაკ. 5,5ГLO.

რომელი-იგი დაკლულ იყო სიკუდილდ, გამოცხ. 13,3; დაჭრილი იყო სასიკვდილოდ; ვიხილე... კრავი მდგომარჱ, ვითარცა დაკლული, გამოცხ. 5,6; კრავი იგი დ., გამოცხ. 5,12; არა დაწერილ არს... წიგნსა მას ცხო-რებისასა კრავისა მის დაკლულისა, გამოცხ. 13,8.

დაკრება 1. შეკრება, შეგროვება, ი—2: ერთმანე-თად-ერთმანათად კაცად-კაცადი თქუენი თქუენ თანა და-იკრებდინ, 1 კორ. 16,2.

2. **დაკრება ქვისა** ქვების სროლა, ჩაქოლვა, 0—3: განიყვანეს იგი... და ქვასა დაჰკრებდეს, საქმე 7,58; ქვასა დ. სტეფანეს, საქმე 7.59; ქვაი დაჰკრიბეს პავლეს, საქმე 14,19; ნუუკუე ქვაი დაჰკრიბონ მათ, საქმე 5.26.

დაკრვა (პირისა) პირის აკვრა, ლაგამის ამოდება, ი/უ—3: არა დაუკრა პირი ჴარსა მლეწველსა, 1 კორ. 9.9; ჴარსა მეკალოესა არა დ. პირი, 1 ტიმ. 5.18.

დაკრძალვა (ჴუბდსა შინა) ხუბდის დადება, 0—(3)2: ფერჴნი მათნი დაჰკრძალნა ჴუბდსა შინა, საქმე 16,24.

დაკჳრვება გაკვირვება, ი/უ—დ: ჰხედვიდა სასწაუ-ლებსა მას და დაუკჳრდებოდა, საქმე 8,13; დ. ყოველთა, საქმე 9,21; დ. მათ, საქმე 10,45; დ. მოძღურებასა მას ზედა, საქმე 13,12; დამიკჳრდა... საკჳრველებითა დიდი-თა, გამოცხ. 17,6; რად დაგიკჳრდა, გამოცხ. 17,7; დაუკ-ჳრდა და იტყოდეს ურთიერთას, საქმე 2,7; დ., იცოდნეს იგინი, საქმე 4,13ГLO; მოსეს დ. ხილვაი ესე, საქმე 7,31; დ.... მორწმუნეთა, საქმე 10,45ГLO; იხილეს იგი და დ., საქმე 12,16; დ. ყოველსავე ქუეყანასა, გამოცხ. 13,3; და-უკჳრდეს მკჳდრთა ქუეყანისათა, გამოცხ. 17,8.

კაცნი იგი... დგეს დაკჳრვებულნი, საქმე 9,7.

დალპობა, დალპოლვა დალპობა, 0—1 ვნ.: სიმ-დიდრჱ თქუენი დალპა. იაკ. 5,2.

სიმდიდრე თქუენი დალპოლვილ არს, იაკ. 5.2ГLO; სიტყუაი დამპალი პირით თქუენით ნუ გამოვალნ. ეფეს. 4,29b.

დამალვა, 0—2: მოსე... დამალეს, ებრ. 11,23; ყო-ველმან მონამან და აზნაურმან დამალნეს თავნი მათნი გამოცხ. 6,15.

დამარხვა დაცვა. შენახვა; შესრულება (ღვთის მცნებებისა, რელიგ. კანონებისა). 0—(3)2: არამედ მერვჱ ნოვე... დაჰმარხა, 2 პეტ. 2.5; საკრველებითა მით საუკუ-რადისოითა წყუდიადსა ქუეშე დაჰმარხნა, იუდა 1.6; ღმერთმან... სული თქუენი, გული და გუამი უბიწოდ... დაგმარხენინ, 1 თეს. 5.23; ღმერთმან... სული თქუენი, სამშჳნველი და გუამი უბიწოდ... დაჰმარხენინ, 1 თეს. 5,23C(D); ცრუნი იგი... ტანჯვასა შინა დაჰმარხნეს, 2 პეტ. 2.9CГLO.

ი—2: თავი თჳსი დაუმძიმებელად დავიმარხე, 2 კორ. 11,9; დაიმარხე სიტყუაი ჩემი, გამოცხ. 3,8; დ. შენ სიტ-ყუაი მოთმინებისა ჩემისაი, გამოცხ. 3,10; მიიღეთ შჯუ-ლი... და არა დაიმარხეთ, საქმე 7,53; რომელთა არა და-იმარხეს თჳსი იგი სამთავროი, იუდა 1,6; თავი თჳსი წმიდად დაიმარხე [პრძ.], 1 ტიმ. 5,22; ვედრი იგი დ., 1 ტიმ. 6,20; კეთილი ვედრი დ., 2 ტიმ. 1,14; ამათგან და-იმარხენით თავნი თქუენნი, საქმე 15,29; თავნი თჳსნი სიყუარულითა ღმრთისაითა დ., იუდა 1,21; დაიმარხის თავი თჳსი, 1 იოვ. 5.18; თავი თჳსი დაუმძიმებელად და-ვიმარხე და დავიმარხო, 2 კორ. 11,9; რაითა ესე დაი-მარხო, 1 ტიმ. 5,21; რომელმან ყოველი შჯული დაი-მარხოს, იაკ. 2,10ГLO; დ. თავი თჳსი, 1 იოვ. 5,18ГLO; დ. სამოსელი თჳსი, გამოცხ. 16.15; რომელმან დაიმარ-ხნეს სიტყუანი მისნი, 1 იოვ. 2.5; დ. ვიდრე აღსასრუ-ლადმდე საქმენი ჩემნი, გამოცხ. 2.26; რომელმან დ. სიტყუანი... ამის წიგნისანი, გამოცხ. 22.7; რაითა დაი-მარხონ შჯული მოსჱსი, საქმე 15,5; დ., რაი-იგი მას შინა წერილ არს, გამოცხ. 1,3; სარწმუნოებაი დამიმარ-ხავს, 2 ტიმ. 4,7.

ი ვნ.: ცრუნი იგი... ტანჯვასა შინა დაიმარხნეს, 2 პეტ. 2,9.

ამცნეს... კრძალულად დამარხვაი მათი, საქმე 16,23C; უბრძანა... დ. მისი. საქმე 23.35; უბრძანა ასის-თავსა მას დ. მისი, საქმე 24,23; ვბრძანე დ. მისი. საქმე 25.21; დ. მცნებათა ღმრთისათაი. 1 კორ. 7,19; შეუგინე-ბელად დ. თავისა თჳსისაი, იაკ. 1.27ЧL; მისცნეს იგინი დამარხვად, საქმე 4,3; შესხნეს იგინი საპყრობილედ დ. ხვალისამდე, საქმე 5,18; ჯერ-არს... დ. შჯული მოსჱსი, საქმე 15,24; ასწავებდეს დ. შჯულისა, საქმე 16,4; პავ-ლე ღაღადებდა დ. მისა, საქმე 25,21; დაამტკიცა გულსა თჳსსა დ. თჳსი ქალწულებაი, 1 კორ. 7.37; ისწრაფდით დ.. ეფეს. 4,3; გამცნებ შენ... დ. შენდა მცნებაი იგი. 1 ტიმ. 6,14; ძალ-უც ვედრისა მის ჩემისა დ., 2 ტიმ. 1.12; მისცნა იგინი... ტანჯვითა დ., 2 პეტ. 2,4; შემძლებელ არს დ. თქუენდა, იუდა 1,24.

დამარხულ არს პავლე კესარიას, საქმე 25,4; დაცუ-ლია; წყუდიადი იგი ბნელისაი დ. არს. 2 პეტ. 2.17; და-უნჯებულ არიან და დ., 2 პეტ. 3.7; წყუდიადი იგი ბნე-ლი საუკუნოდ დ. არს, იუდა 1.13; უხრწნელისა ნაყოფი... დამარხული ცათა შინა, ებრ. 10,34; დაუჭნობელად დ. ცათა შინა, 1 პეტ. 1,4; დაუჭნობელად დამარხულნი ცა-თა შინა, 1 პეტ. 1.4F; ცეცხლისა დ. დღედ საშჯელისა, 2 პეტ. 3,7ГLO; დაუჭნობელად დამარხულთა ცათა შინა, 1 პეტ. 1,4ЧLE; ქრისტე იესუს მიერ დ.. იუდა 1,1.

დამასკელ-ი: მთავარი ქალაქი დამასკელთაი, 2 კორ. 11,32.

დამასხმელ-ი ნ. დასხმა, დამსხმელი.

დამბადებელ-ი ნ. დაბადება.

დამდაბლება დამცირება, დაცემა, დაქვეითება; დამორჩილება. ქედის მოხრა. ა—2: ნუუკუე დამამდაბლოს მე ღმერთმან, 2 კორ. 12.21.

ი: თავი თჳსი დავიმდაბლე, 2 კორ. 11.7; დაიმდაბლა თავი თჳსი. ფილიპ. 2.8.

დ: დამდაბლდით და ტიროდეთ. იაკ. 4.9; დ. წინაშე უფლისა, იაკ. 4.10; და-უკუე-მდაბლდით წინაშე მტკიცესა ჴელსა ღმრთისასა. 1 პეტ. 5.6.

ვიცი დამდაბლებაიცა და ვიცი აღმაღლებაჲცა. ფილიპ. 4,12; იქადოდენ... მდიდარი იგი დამდაბლებასა თჳსსა, იაკ. 1.10; გარდაცვალნეს ჴორცნი ესე დამდაბლებისა ჩუენისანი, ფილიპ. 3,21Ⴑ.

დამეიწყებელ-ი ნ. დავიწყება.

დამკჳდრება დამკვიდრება. დასახლება, მკვიდრად ქცევა. დაფუძნება. ა—(3)2: დაამკჳდრა იგი ქუეყანასა ამას, საქმე 7.4ႢႪႭ.

ი უობ.: რომელმან დაიმკჳდრა პირველად... ლუდჲს თანა. 2 ტიმ. 1.5 დამკვიდრდა; რომელმან-იგი დ. ჩუენ თანა, 2 ტიმ. 1.14: დავიმკჳდრო მათ შორის, 2 კორ. 6,16: დავმკვიდრდები: დაიმკჳდროს ჩემ თანა, 2 კორ. 12.9; არა დ. შვილმან მჴევლისამან, გალ. 4,30; შენ თანაცა დ.. 2 ტიმ. 1,5: მჯდომარემან მან საყდართა ზედა დ. მათ შორის. გამოცხ. 7.15; დ. მათ თანა, გამოცხ. 21,3; ჴორცთაცა ჩემთა დაიმკჳდრონ, საქმე 2,26.

ი—2, სამემკვიდრეოდ ქცევა, მოპოვება (რისამე): უმჯობჱსი მათსა დაიმკჳდრა სახელი, ებრ. 1,4; რომელთა... დაიმკჳდრნეს აღთქუმანი, ებრ. 6.12; არცა ხრწნილებამან უხრწნელებაჲ დაიმკჳდროს, 1 კორ. 15.50; რაჲთა კურთხევაჲ დაიმკჳდროთ, 1 პეტ. 3,9; ცრუთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ, 1 კორ. 6.9; არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ არა დ., 1 კორ. 6,10; ჴორცთა... სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დ.. 1 კორ. 15,50; ესევითარისა მოქმედთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დ., გალ. 5,21.

ი/უ—3: დაუმკჳდრა მათ ქუეყანაჲ იგი, საქმე 13,19 მისცა სამემკვიდრეოდ.

ე: და დაემკჳდრა ქარანს შინა, საქმე 7,4 დამკვიდრდა; დ. ქუეყანასა მას, საქმე 7,4Ⴂ; რომელ დ. პირველად, 2 ტიმ. 1,5Ⴍ.

რომელცა-იგი შემოიღეს... დამკჳდრებასა მას წარმართთასა, საქმე 7,45ႢႪႭ; პირველ დამკჳდრებისა მისისა ქარანს შინა, საქმე 7,2ႪႭ; განაჩინნა... საზღვრის დადებანი დ. მათისანი, საქმე 17,26; დამკჳდრებად ყოველსა პირსა ქუეყანისასა, საქმე 17,26; სისხლთა სასუფეველი ღმრთისაჲ დ. ვერ ძალ-უც, 1 კორ. 15.50CD; დ. ქრისტე... გულთა შინა თქუენთა, ეფეს. 3,17; მას შინა სათნო-იყო... დ.. კოლ. 1,19; რომელთა-იგი დ. არს ცხორებაჲ, ებრ. 1,14; უნდა დ. კურთხევაჲ, ებრ. 12,17; პირველ დამკჳდრებადმდე მისა ქარანს შინა, საქმე 7,2.

იყვნეს იერუსალჱმს დამკჳდრებულ ჰურიანი, საქმე 2,5Ⴍ; რომელნი დ. ხართ იერუსალჱმს, საქმე 2,14; რომელსა-ესე აწ თქუენ დ. ხართ, საქმე 7,4: მაღალი იგი ტაძართა შინა დ. არს, საქმე 7.48; 17,24; რომელნი დ. იყვნეს ეფესოს. საქმე 19,17: რომელ-იგი დ. არს, ჰრომ. 7,17; არა დ. არს ჩემ თანა, ჰრომ. 7.18; დ. არს... ცოდვაჲ, ჰრომ. 7.20: სული ღმრთისაჲ დ. არს თქუენ შორის, ჰრომ. 8.9; 8,11; 1 კორ. 3,16; დ. არს სული მისი თქუენ შორის, ჰრომ. 8.11: დ. არს ყოველი სავსებაჲ, კოლ. 2.9: სიტყუაჲ იგი ქრისტჱსი დ. იყავნ თქუენ თანა, კოლ. 3,16; ენაჲ დ. არს ასოთა შინა ჩუენთა, იაკ. 3,6Ⴂ; რომელი დ. არს ჩუენ თანა, იაკ. 4,5; დ. რაჲ იყო მათ შორის, 2 პეტ. 2,8; რომელსა შინა სიმართლჱ დ. არს, 2 პეტ. 3.13; რომელი დ. არს ჩუენ შორის, 2 იოვ. 1,2; დამკჳდრებულისა მის მიერ თქუენ შორის სულისა მისისა, ჰრომ. 8,11CD; იყვნეს იერუსალჱმს დამკჳდრებულნი, საქმე 2,5; რომელსა ეწამებოდეს ყოველნი დ., საქმე 22,12; იხარებდით ცანი და ყოველნი დ. მას შინა, გამოცხ. 12,12; იხილეს იგი ყოველთა დამკჳდრებულთა ლუდიაჲსათა, საქმე 9,35; ყოველთა დ.... ესმა სიტყუაჲ, საქმე 19.10ႪႭ; აღაღო პირი თჳსი გმობად... ცათა შინა დ. მათ, გამოცხ. 13,6.

დამოკიდება ჩამოკიდება, დაკიდება, დამოკიდება ძელსა ხეზე ჩამოკიდება. აქ: ჯვარცმა, ი—(3)2: დამოჰკიდეთ ძელსა, საქმე 5,30.

ე: დამოეკიდა ცით ქუეყანად, საქმე 10,11; ძელსა ზედა დ.. 1 პეტ. 2,24Ⴀ; რომელი დამოეკიდოს ძელსა, გალ. 3,13ႤCD.

რომელცა-იგი მოკლეს დამოკიდებითა ძელსა მას, საქმე 10,39.

რომელი დამოკიდებულ იყოს ძელსა, გალ. 3,13; ჭურჭელი... დამოკიდებული ზეცით ქუეყანად. საქმე 10,11Ⴂ; ოთხთავე კიდეთა დ. ცათა, საქმე 11,5; იხილეს... გუელი იგი, დ. ჴელსა მისსა, საქმე 28,4; ხედვიდა ჭურჭელსა რასმე... დამოკიდებულსა, საქმე 10,11ႪႭ.

დამონება დამონება, მსახურად დაყენება, დამორჩილება, დაჩაგვრა; სხვაზე დამოკიდებულად ყოფნა, დაქვემდებარება, ა—3: არამედ აღვიკრძალავ ჴორცთა ჩემთა და დავამონებ, 1 კორ. 9,27ႢႤ; ყოველთა თავი ჩემი დავამონე, 1 კორ. 9,19.

ი—2: არამედ აღვიკრძალავ ჴორცთა ჩემთა და დავიმონებ. 1 კორ. 9,27; უკუეთუ ვინმე დაგიმონებს, 2 კორ. 11,20; და დაიმონებდენ მათ, საქმე 7.6ႪႭ; და დაიმონონ იგი, საქმე 7,6; რაჲთა დაგუმონნენ ჩუენ, გალ. 2,4.

ი/უ—3: ყოველთა თავი ჩემი დაუმონე, 1 კორ. 9,19Ⴂ.

დამონებულ ხართ სიმართლესა, ჰრომ. 6,18CD; დ. ხართ ღმერთსა, ჰრომ. 6,22; არა დ. არს ძმაჲ, 1 კორ. 7,15 არ არის დამოკიდებული, დაქვემდებარებული; ნივთთა ქუეშე ვიყვენით სოფლისათა დ., გალ. 4,3ႢႪႭD; მისდაცა დ. არნ, 2 პეტ. 2,19ႪႭ.

დამორჩილება დაქვემდებარება, დამონება, დანებება, ა—3: ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერჴთა მისთა, ებრ. 2,8; რომელმან დაამორჩილა, ჰრომ. 8.20; ყოველივე დ. ქუეშე ფერჴთა მისთა, 1 კორ. 15,27; რომელმანიგი დ. მას ყოველი, 1 კორ. 15,27; 15,28; ყოველივე დ., 1 კორ. 15,27ႤCD; ეფეს. 1.22; არა ანგელოზთა დ. მერმჱ იგი სოფელი, ებრ. 2,5; თავადიცა ძე დაამორჩილოს მას, 1 კორ. 15,28Ⴑ.

ე: შჯულსა მას ღმრთისასა ვერ დაემორჩილების. ჰრომ. 8,7; არა დაემორჩილებიან სახარებასა მას, 2 თეს. 1,8CD; ამაოებასა დაემორჩილა. ჰრომ. 8,20; ყოველივე დ. 1 კორ. 15,27; სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს, ჰრომ. 10,3; რომელნი არა დ. სახარებასა მას, 2 თეს. 1,8; დ. მას ანგელოზნი, 1 პეტ. 3.22: გინა ქმარსა დაემორჩილენ. 1 კორ. 7.11Ⴂ: სულები წინასწარ-

მეტყუელთაჲ წინაჲსწარმეტყუელთა დ., 1 კორ. 14,32; დაემორჩილენით ურთიერთას შიშითა, ეფეს. 5,21; ცოლ-ნი ქმართა თჳსთა დ., ეფეს. 5,22; კოლ. 3,18; 1 პეტ. 3,1; მონანი დ.... უფალთა თქუენთა, ეფეს. 6,5Ⴍ; კოლ. 3,22; 1 პეტ. 2,18; შვილნი დ. მამა-დედათა თქუენთა. კოლ. 3,20; დ. წინამძღუართა თქუენთა, ებრ. 13,17; დ. ღმერთსა, იაკ. 4,7; დ. ყოველსა კაცობრივსა, 1 პეტ. 2,13; მეფესა დ., 1 პეტ. 2,17Ⴀ; ჭაბუკნი დ. მოხუცე-ბულთა, 1 პეტ. 5,5; ცოლნი ქმართა თჳსთა დაემორჩილ-ნედ, ეფეს. 5,22ႱႪ; მონანი თჳსთა უფალთა დ. (დაე-მორჩილედ ႭႺ), ტიტე 2,9; არავისსა ჴელმწიფებასა დავემორჩილო, 1 კორ. 6,12; რაჟამს დაემორჩილოს მას ყოველი, 1 კორ. 15,28; თავადიცა ძჱ დ. მას, 1 კორ. 15,28; დაემორჩილნეთ (+ა AB) მამასა მას სულთასა, ებრ. 12,9ႢႪႭ; რაჲთა თქუენცა დაემორჩილნეთ ეგევი-თართა მათ, 1 კორ. 16,16.

არა ინებეს დამორჩილებაჲ, საქმე 7,39G; ამისთჳს ჯერ-არს დ., ჰრომ. 13,5; არა თავს-ვიდევით დ., გალ. 2,5ႢCD; დამორჩილებასა მას ყოვლისასა არარაჲ დაუშ-თა, ებრ. 2,8; დედაკაცი მდუმრიად ისწავებდინ ყოვლითა დამორჩილებითა, 1 ტიმ. 2,11; ადიდებდით ღმერთსა დ. მით... სახარებასა მას ქრისტჱსსა, 2 კორ. 9,13; არა ინებეს დამორჩილებად, საქმე 7,39; ჯერ-არს დ., ჰრომ. 13,5Ⴂ; არა ბრძანებულ არს მათა სიტყუად, არამედ დ., 1 კორ. 14,34; არა თავს-ვიდევით დ., გალ. 2,5; დ. მისა ყოველი, ფილიპ. 3,21; მოაჴსენებდ მათ... ჴელმწიფებათა დ., ტიტე 3,1; დ. ჩუენდა, იაკ. 3,3.

ეკლესიაჲ დამორჩილებულ არს ქრისტესა, ეფეს. 5,24; შვილნიმცა უსხენ დ., 1 ტიმ. 3,4; (იყვნედ) დ. თჳსთა ქმართა, ტიტე 2,5; 1 პეტ. 3,5; არღა ვხედავთ ყოველსავე დამორჩილებულად, ებრ. 2,8; შვილნიმცა უს-ხენ დამორჩილებულნი, 1 ტიმ. 3,4CD; მოვიღეთ მად-ლი... დასამორჩილებელად სარწმუნოებისა, ჰრომ. 1,5; რომელი გამოჩნდა... დ. სარწმუნოებისა, ჰრომ. 14,25; 16,25; არა ქმნა... დ. წარმართთა, ჰრომ. 15,18; არღა ვხედავთ ყოველსავე დ., ებრ. 2,8CD; სიწმიდითა სული-საჲთა დ., 1 პეტ. 1,2; არიან მრავალნი დაუმორჩილებელ (+ცა CD), ტიტე 1,10; არარაჲ დაუშთა მისა დაუმორჩი-ლებელი (დაუმორჩილებელად CD), ებრ. 2,8.

დამოწაფება მოწაფედ გახდა, ი—2: დაიმოწაფნეს მრავალნი, საქმე 14,21.

ენ—2: მუნ დამოწაფნეს მრავალნი, საქმე 14,21C.

იყო მუნ იოპეს დედაკაცი ერთი დამოწაფებულ (და-მოწაფებული ႩႪႭ), საქმე 9,36.

დამპალ-ი ნ. დალპობა.

დამსჭუალვა, დამშჭუალვა დალურსმნვა, ლურ-სმნით მიჭედება, 0—(3)2: დაჰმშჭუალა იგი ჯუარსა, კოლ. 2,14Ⴔ.

ნ.კ. შესჭუალვა.

დამტკიცება 1. განმტკიცება, გამაგრება, გაძლიერე-ბა, საპირისპ. მერყეობა; დაფუძნება, ხორცის შესხმა, ა—2: არამედ შჯულსა დავამტკიცებთ. ჰრომ. 3,31; იუდა და შილა... ნუგეშინის-სცეს ძმათა მათ და დაამტკიცებ-დეს, საქმე 15,32; ღმერთმან დაამტკიცნა ასონი იგი... გუამსა მას, 1 კორ. 12,18; იუდა და შილა... ნუგეშინის-სცეს ძმათა მათ და დაამტკიცნეს, საქმე 15,32ႢႪႭ; დაამ-ტკიცენ სხუანი იგი, გამოცხ. 3,2; დაგამტკიცენინ თქუ-ენ... ყოვლად ნებისა მისისა, ებრ. 13,21; მანვე... დ., 1 პეტ. 5,10ႢႪႭ; თქუენ დაამტკიცეთ ეგევითარი იგი, გალ. 6,1; რომელმანცა დაგამტკიცნეს თქუენ, 1 კორ. 1,8; რა-ჲთა დ. თქუენ, 1 თეს. 3,2.

ა—3: ჴორცნი დამამტკიცენ მე, ებრ. 10,5 ხორცი შემასხი.

ი/უ—3: ჴორცნი დამიმტკიცენ მე, ებრ. 10,5ხ.

ენ ვნ.: ყოველივე მის მიერ დამტკიცნა, კოლ. 1,17; მსმენელთა მათგან ჩუენდა მომართ დ., ებრ. 2,3CD.

ვილოცავთ თქუენსა დამტკიცებასა, 2 კორ. 13,9CD; მაჴსოთ მე თქუენ... დ. მას სახარებისასა, ფილიპ. 1,7; შემძლებელ არს უფალი დამტკიცებად მისა, ჰრომ. 14,4; რომელ-იგი შემძლებელ არს თქუენდა დ., ჰრომ. 14,24; 16,24Ⴂ.

(იყვნეთ) სიყუარულითა დამტკიცებულ, ეფეს. 3,18; ეკლესიანი მჱნნი და დამტკიცებულნი, საქმე 9,31; (იყ-ვნეთ) სიყუარულითა დ., ეფეს. 3,18CD; უკუეთუ ჰგიეთ თქუენ სარწმუნოებასა ზედა... დ., კოლ. 1,23; მას შინა ვიდოდეთ მას ზედა დ. სარწმუნოებითა, კოლ. 2,7; მი-რაჲმე-გცე თქუენ... დასამტკიცებელად თქუენდა, ჰრომ. 1,11; მოსცნა... მოძღუარნი დ. წმიდათა, ეფეს. 4,12; რო-მელსა-იგი უსწავლელნი და დაუმტკიცებელნი გარდააქ-ცევენ, 2 პეტ. 3,16 მერყევნი; შეიტყუვიან სულთა დაუმ-ტკიცებელთა, 2 პეტ. 2,14 მერყევთა. ნ. იქვე შენიშვნა (მოსალოდნელი იყო: შეიტყუვნიან სულნი დაუმტკიცე-ბელნი).

2. მტკიცება, დამტკიცება, დასაბუთება; დამტკიცება, დადასტურება, დამოწმება, ა—2: არა უცნობიეს, არცა რასა იტყჳან და არცა ვიეთთჳს დაამტკიცებენ, 1 ტიმ. 1,7; და იგი დაამტკიცებდა, ვითარმედ ესრეთ არს, საქმე 12,15ႢႪႭ.

ე: დაემტკიცების ყოველი სიტყუაჲ, 2 კორ. 13,1ႭႢ დამტკიცდება; დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ, 2 კორ. 13,1; თჳსსა მას ეძიებდეს დამტკიცებად, ჰრომ. 10,3; არ-ცა ვიეთთჳს დ., 1 ტიმ. 1,7Ⴡ.

მსახურ იქმნა... დასამტკიცებელად აღთქუმასა მას მამათასა, ჰრომ. 15,8CD რომ მტკიცე იყოს; ცილობისა მათისა დ. ფიცი არს, ებრ. 6,16.

3. დაწესება, დამტკიცება, დადგენა, დაკანონება, ა—2: დაამტკიცა დღჱ, რომელსა ეგულების განკითხვად სოფ-ლისა, საქმე 17,31; რაჲთა მეორჱ იგი დაამტკიცოს, ებრ. 10,9; დაამტკიცონ პირველ აღთქუმული იგი ევლოგიაჲ, 2 კორ. 9,5CD.

ე: რაჲთა მეორჱ იგი დაემტკიცოს, ებრ. 10,9Ⴍ.

კაცისა დამტკიცებული წიგნი არავინ შეურაცხ-ყვის, გალ. 3,15CD; წინაჲსწარ დამტკიცელი (დამტკიცილი Ⴊ) ღმრთისაგან, გალ. 3,17; დაგადგინნა წესსა მას ზედა სამღდელოსა... დამტკიცებულსა ზაქარიაჲსსა, საქმე 20,28Ⴂ; ასწავებდეს დამარხვად შჯულისა, დ. მას მო-ციქულთაგან, საქმე 16,4; ამას ვიტყჳ... დამტკიცებულად ღმრთისა მიერ, გალ. 3,17CD; ასწავებდეს დამარხვად მოძღურებათა მათ, დამტკიცებულთა მოციქულთაგან, საქმე 16,4ႢႪႭ; არა დაუმტკიცებელ ყოს განქარვებად აღთქუმაჲ იგი, გალ. 3,17 არ შეცვლის.

4. მტკიცედ გადაწყვეტა, ა—2: ესე დაამტკიცა გულ-სა თჳსსა დამარხვად თჳსი ქალწულებაჲ, 1 კორ. 7,37.

რომლისა დამტკიცებულ (დამტკიცილ Ⴂ) არს გულ-სა მისსა, 1 კორ. 7,37.

დამღერება დაუფიქრებლად, განუსჯელად მოქმედება, არაფრად ჩაგდება, აუგალწყნება (καταστρηνιάω). ი—2: რაჟამს დაიმღერნიან ქრისტესსა იგი, ქორწინების უნებნ, 1 ტიმ. 5,11 ქრისტეს მცნებებს უგულებელყოფენ, აუგალწყვეტენ ხოლმე

დამყარება დაფუძნება, შექმნა, დაარსება; განმტკიცება, მყარად ქცევა, ურყევად გახდა. ა—2: შენ დასაბამითგან, უფალო, ქუეყანაჲ **დაამყარე**, ებრ. 1,10Ⴂ; მან განგამტკიცენინ და **დაგამყარენინ**, 1 პეტ. 5,10Ⴀ.

სარწმუნოებითა გჳცნობიეს **დამყარებად** საუკუნენი სიტყჳთა ღმრთისაჲთა, ებრ. 11,3.

დამყნა დამყნობა; გადატ. შეზრდა, შესორცება. ე: **დაემყენ** მათ ზედა, ჰრომ. 11,17; **დ.** კეთილსა ზეთის ხილსა, ჰრომ. 11,24; მოსტყდეს რტონი იგი, რაჲთა მე **დავემყნა** (დავემყნო AB), ჰრომ. 11,19CD; იგინი ბუნებითსა მას **დაემყნნენ** (დაემყნენ ႣႤႥ) თჳსსავე მას ზეთის ხილსა, ჰრომ. 11,24; და იგინი, თუ არა დაადგრენ ურწმუნოებასა მათსა ზედა, **და-ვე-ემყნნენ** (და-ვე-ემყნენ ႠႡႢႣႥႣႦ), ჰრომ. 11,23.

შემძლებელ არს ღმერთი კუალად **დამყნად** მათა, ჰრომ. 11,23.

დამშთვარ-ი დამხრჩვალი: ეკრძალნენ იგინი... სისხლისა ჭამასა, **დამშთვარისა**, საქმე 21,25; რაჲთა განეყენნენ იგინი ჭამად... **დამშთერისა** (დამშთვარისა ႢႧ) და **სისხლისა**, საქმე 15,20; განშორებად თქუენდა ნაკერპავისაგან და **დამშთვრისა** (დამშთვარისა ႢG, დამშთრვისა D), საქმე 15,29HI; რაჲთა ეკრძალნენ კერპთა კლულისაგან და სისხლისა **დამშთვრისა** (დამშთრევისა Ⴁ, დამშთვარისა G), საქმე 21,25ႢႧ.

დამცირება დაკნინება, დამდაბლება, ი—2: თავი თჳსი **დაიმცირა**, ფილიპ. 2,7.

დამძიმება გაძნელება, დატვირთვა, მძიმე ტვირთის აკიდება; შეწუხება, გაჭირვება, შევიწროება, ა—(3)2: არავე-რას ვის თქუენგანსა **დავამძიმე**, 2 კორ. 11,8; არარას **დაგამძიმე** თქუენ, 2 კორ. 12,13; მე არარასით **დ.** თქუენ, 2 კორ. 12,16; თუმცა რასმე **დაგამძიმეთ**, 1 თეს. 2,6; რაჲთა არა **დაგამძიმო**, 2 კორ. 2,5 რომ (ბევრი ლაპარაკით) არ შეგაწუხო; არავე **დ.** თქუენ, 2 კორ. 12,14; რაჲთა არავის **დავამძიმოთ** თქუენგანსა, 1 თეს. 2,9; 2 თეს. 3,8.

ი/უ—(3)2: ნუ **დაუმძიმებედ** ეკლესიასა, 1 ტიმ. 5,16; არასვე-რას ვის თქუენგანსა **დაუმძიმე**, 2 კორ. 11,8ႣCD; არარას **დაგიმძიმე** თქუენ, 2 კორ. 12,13ႢႣCD; მე არარასით **დ.** თქუენ, 2 კორ. 12,16Ⴇ; და-თუმცა რასმე-**გიმძიმეთ**, 1 თეს. 2,6ႣႥD; რაჲთა არა **დაგიმძიმო**, 2 კორ. 2,5Ⴂ; არასვე **დ.** თქუენ, 2 კორ. 12,14ႣCD; რაჲთა არავის **დაუმძიმოთ** თქუენგანსა, 1 თეს. 2,9ႡCD; 2 თეს. 3,8CD.

ი/უ—დ: ვკუნესით და **დაგუმძიმდების** (დაგუიმ. Ⴃ), 2 კორ. 5,4; ნუ **დაუმძიმდებიედ** ეკლესიასა, 1 ტიმ. 5,16Ⴇ; გარდარეულად უფროს ძალისა **დაგუმძიმდა**, 2 კორ. 1,8.

თავი თჳსი **დაუმძიმებელად** დავიმარხე, 2 კორ. 11,9.

დამწარება გამწარება, მწარედ ქცევა. ა—2: რაჟამს შევჭამე იგი, **დაამწარა** მუცელი ჩემი, გამოცხ. 10,10; **დაამწაროს** მუცელი შენი, გამოცხ. 10,9.

დ: რაჟამს შევჭამე იგი, **დამწარდა** მუცელი ჩემი, გამოცხ. 10,10Ⴀ; მოსწყდეს წყალთა მიერ, რამეთუ **დამწარდეს**, გამოცხ. 8,11.

დამწიფებულ-ი შემოსული, მოწეული, **დამწიფებულ** არს ყურძენი იგი ქუეყანისაჲ, გამოცხ. 14,18.

დამწყსა მოთვინიერება, დამორჩილება, ი ვნ.: ყოველი ბუნებაჲ მჴეცთაჲ... **დაიმწყსების**, იაკ. 3,7.

ენაჲ ვერვის **დამწყსად** ჴელ-ეწიფების კაცთაჲ, იაკ. 3,8; ყოველი ბუნებაჲ მჴეცთაჲ... **დამწყსილ** არს, იაკ. 3,7.

დამჭირვა დაჭერა, ხელში ქონება (ა. შანიძე); თავდაჭერა, თავშეკავება, ი—2: რომელი-ეგე გაქუს, **დაიმჭირეთ**, გამოცხ. 2,25.

იყვნენ კაცნი **დაუმჭირველ**, 2 ტიმ. 3,3CD იქნებიან თავშეუკავებელნი.

დამჴუება, დამჴობა პირქვე წაქცევა, დამხობა; განადგურება, დაქცევა, ა—2: აჰა ესერა **დავამჴუა** იგი სარეცელსა ზედა, გამოცხ. 2,22.

დამჴობილი იგი მისი აღვჰმართო, საქმე 15,16.

დანთქმა, დათქმა ჩანთქმა, ჩაძირვა; დაღუპვა, ა—2: რომელთა **დაანთქნიან** (დაათქნიან ႠႡႧ; დაანთქიან ႤႢ) კაცნი, 1 ტიმ. 6,9ႣCD.

ი ვნ.: **დაითქა** (დაინთქა CD) სიკუდილი ძლევითა, 1 კორ. 15,54; აზმნეს მეგჳპტელთა და **დაითქნეს** (დაინთქნეს ႤႡႣCD), ებრ. 11,29; ნუუკუე უმეტესითა მით მწუხარებითა **დაითქას** (დაინთქას CD) ეგევითარი იგი, 2 კორ. 2,7; **დაითქას** (დაინთქას ႣCD) მოკუდავი იგი ცხორებისაგან, 2 კორ. 5,4.

დაპება დასევა, შემოხევა, დაგლეჯა, ი—2: **დაიპეს** სამოსელი მათი, საქმე 14,14.

დაპყრობა დაჭერა, დაკავება, ხელში ჩაგდება, მიღება; შეპყრობა, მოცვა; დაპყრობა, ი—2: სხჳსა ნათესავისამან **დაიპყრა**, ებრ. 7,13; ამისთჳსცა სასუფეველი შეუძრავი **დავიპყართ**, ებრ. 12,28Ⴃ; სხჳსა ნათესავისამან **დაიპყრას**, ებრ. 7,13Ⴇ; სასუფეველი შეუძრავი **დავიპყრათ**, ებრ. 12,28; უკუეთუ ვინმე **დაეპყრას** კაცი... ბრალსა, გალ. 6,1.

რომელიცა შემოიღეს... **დაპყრობასა** მას წარმართთასა, საქმე 7,45; ძჳრით შეუძლეთ **დაპყრობად** ჭუამალდისა, საქმე 27,16; **დ.** იყო მისა სამკჳდრებელად, ებრ. 11,8.

ენაჲ... კაცთაჲ, **დაუპყრობელი** ბოროტი, იაკ. 3,8.

ნ.კ. წინა-დაპყრობა.

დართვა დამატება, დართვა. ე: რაჲთა არა... მწუხარებაჲ მწუხარებასა ზედა **დამერთოს**, 2 კორ. 2,3; ფილიპ. 2,27.

დარღუევა 1. დანგრევა, განადგურება, მიწასთან გასწორება, აოხრება, დამხობა, ა—2: რომელ-იგი **დავარღჳე**, გალ. 2,18; იესუ ნაზორეველმან **დაარღჳოს** ადგილი ესე, საქმე 6,14; საკურთხეველნი შენნი **დაარღჳნეს**, ჰრომ. 11,3.

ი ვნ.: უკუეთუ საყოფელი ჩუენი **დაირღუეს**, 2 კორ. 5,1.

დარღუევად (არს) სიმდიდრე მისი, საქმე 19,27; ღმრთისა მიერ **დასარღუეველად** ძნელოვანთა, 2 კორ. 10,4; მომცა... აღსაშენებელად და არა **დ.** თქუენდა, 2 კორ. 10,8; მომცა მე... არა **დ.**, 2 კორ. 13,10.

2. ძოსპობა, აღმოწყვეტა. ა—2: დაარღუნა ნათესავნი შჳდნი, საქმე 13,19 აღმოწყვიტა შვიდი ხალხი; რაჲთა დაარღჳნეს საქმენი ეშმაკისანი, 1 იოვ. 3,8 მოსპოს.

3. დარღვევა, დაშლა, დახსნა. ა—2: გულის სიტყუა-თა დავარღუევთ, 2 კორ. 10,4.

ი ენ.: ბოლოსთ კერძოჲ იგი დაირღუევოდა (დაირ-ღუეოდა DKႪႭ), საქმე 27,41.

4. ჩამოქცევა ცისა, ი ენ.: ცანი მჴურვალენი დაირ-ღუნენ (დაირღუენ MႢ), 2 პეტ. 3,12Ⴀ[1].

დარჩა ნ. დასჯა.

დარწმუნება დაჯერება. ა—3: დამარწმუნო მე ქრისტიანე ყოფად, საქმე 26,28.

დას-ი გუნდი, კრებული: აღ-ვინმე-დგეს დასისა მის-გან ფარისეველთაჲსა, საქმე 15,5.

დასაბამ-ი დასაწყისი, თავდაპირველი, თავი; პირვე-ლი ნაყოფი, უძველესი; ქვეყნის გაჩენის დრო: რომელ-იგი არს დასაბამ ნაყოფთა აქაიასათა, ჰრომ. 16,5D; იქ-მნა იგი დ. შესუენებულთა, 1 კორ. 15,20CD; დ. ქრისტე (ცხოველ იქმნების), 1 კორ. 15,23Ⴂb პირველად ქრისტე გაცოცხლდება; ვიყვენით ჩუენ დ., იაკ. 1,18; ხოლო... და-საბამი ცხოვრებისაჲ მოჰკალთ, საქმე 3,15Ⴍ; დ. ნაყოფი სულისაჲ, ჰრომ. 8,23D; უკუეთუ დ. იგი წმიდა არს, ჰრომ. 11,6; რომელი არს დ., კოლ. 1,18; დ. მოიღო სიტ-ყუად, ებრ. 2,3; დ. იგი ძლიერებისაჲ... შევიკრძალოთ, ებრ. 3,14; არცა დ. დღეთაჲ... აქუს, ებრ. 7,3; დ. დაბა-დებულთა ღმრთისათაჲ, გამოცხ. 3,14; ვიქმენ მე Ⴀნი და Ⴜ, დ. და დასასრული, გამოცხ. 21,6; 22,13 დასაწყისი და დასასრული; შენ დასაბამსა... ქუეყანაჲ დააფუძნე, ებრ. 1,10ႢႪႢCD; დ. მას სახარებისასა, ფილიპ. 4,15; წე-სი რაჲმე დასაბამისა მის სიტყუათა ღმრთისათაჲ, ებრ. 5,12; დაუტევეთ დ. მის ქრისტეს სიტყუათაჲ, ებრ. 6,1ႭႢCD; რომელთა-ესე დასაბამითგან გურწმენა, საქმე 10,47 რომელთაც თავიდან, დასაწყისიდანვე ეირწმუნეთ; იწყო პეტრე თხრობად მათა დ., საქმე 11,4 დაიწყო თხრობა თავიდან; მოსეს დ. ნათესავთაჲსთ ქადაგნი იგი მისნი... დაედგინნეს, საქმე 15,21 უძველესი ხალხებიდან; გამოგირჩინა თქუენ ღმერთმან... დ. ცხორებად, 2 თეს. 2,13Ⴂb; შენ დ.... ქუეყანაჲ დააფუძნე, ებრ. 1,10; საქმენი იგი დ. სოფლისაჲთ ქმნულ იყვნეს, ებრ. 4,3 ქვეყნის და-საწყისიდან, გაჩენიდან; რომელსა ვჰმსახურებ მე დ., 2 ტიმ. 1,3; ჰგიეს დ. დაბადებისაჲთ, 2 პეტ. 3,4; რომელ გაქუნდა დ., 1 იოვ. 2,7; დ. ეშმაკი ცოდავს, 1 იოვ. 3,8; რომელი გესმა დ., 1 იოვ. 3,11; რომელი მაქუნდა დ., 2 იოვ. 1,5; ვითარცა-იგი გესმა დ., 2 იოვ. 1,6; არა დაწე-რილ არს დ. სოფლისაჲთ, გამოცხ. 13,8; რომელთა სა-ხელები არა წერილ არს დ. სოფლისაჲთ, გამოცხ. 17,8; რომელთა-ესე დასაბამითგანვე გურწმენა, საქმე 10,47ႢႪ; საქმენი იგი დ. სოფლისაჲთ ქმნულ იყვნეს, ებრ. 4,3ႢႪႢ; ცხორებისა მათისა დასაბამისაჲ ენებითა სრულ ყოფად, ებრ. 2,10Ⴂb: გუელი დ., რომელსა ეწოდების ეშმაკი. გა-მოცხ. 12,9; შეიპყრა ვეშაპი იგი — გუელი დ., გამოცხ. 20,2; წესი რაჲმე დ. მის სიტყუათა ღმრთისათაჲ, ებრ. 5,12B; და-და-უტევეთ დ. მის ქრისტჱსითა სიტყუაჲ. ებრ. 6,1.

დასაბამითგან-ი დასაწყისში, თავიდანვე, იმთავით-ვე არსებული: დღესითგან დასაბამითგანთა ჩუენ შორის გამოირჩია ღმერთმან, საქმე 15,7ႨႨ.

დასავალ-ი დასავლეთი: აღმოსავალეთისა ბჭენი სამნი... და დასავალით სამნი (აქუნდა), გამოცხ. 21,13AC.

დასავალეთ-ი დასავლეთი: აღმოსავალეთისა ბჭენი სამნი... და დასავალეთით სამნი (აქუნდა). გამოცხ. 21,13.

დასამორჩილებელ-ი ნ. დამორჩილება.

დასასრულ-ი ნ. დასრულება.

დასლვა (მზისა) მზის ჩასვლა, 0—(2)1: მზე ნუ დაჰვალნ, ეფეს. 4,26CD.

დასნეულება სენის შეყრა, ავად გახდომა, დ: გეს-მინა, ვითარმედ დასნეულდა, ფილიპ. 2,26; დ. ვიდრე სი-კუდილდმდე, ფილიპ. 2,27.

იყო მათ დღეთა ოდენ დასნეულებაჲ მისი, საქმე 9,37; დასნეულებულ არს, 1 ტიმ. 6,4.

დასრულება დაბოლოება, დამთავრება, ე: დაესრუ-ლა კორინთელთაჲ თავი ორივე. 2 კორ. 13 (დასასრ.) Ⴂ.

დ: დასრულდა, ფილიპ. თ. 4, მინაწ. CႠ.

ნუცა ერჩიედ ჰურიაებრთა ზღაპართა და ტოჰმის-რაცხათა მათ დაუსრულებელთა, 1 ტიმ. 1,4.

დასასრულ-ი დასასრული, ბოლო, დაბოლოება; შე-დეგი, საბოლოო მიზანი; ყველაფრის დასასრული. აღსას-რული; (ქვეყნის) კიდე, დასასრული: დასასრული შჯუ-ლისაჲ ქრისტე არს, ჰრომ. 10,4; დ. მცნებისაჲ არს სი-ყუარული, 1 ტიმ. 1,5; ყოვლელთა დ. მოიწია, 1 პეტ. 4,7; ვიქმენ მე Ⴀნი და Ⴜ, დასაბამი და დ., გამოცხ. 21,6; 22,13; ცილობისა მათისა დასასრულსა დასამტკიცებე-ლად ფიცი არს, ებრ. 6,16ႢCD; დ. ყოველნი ერთ-ზრახ-ვა იყვენით, 1 პეტ. 3,8ႢႪႭ; რაჲთა არა ჰხედვიდენ ძენი ისრაჱლისანი დ. მას განქარებისასა, 2 კორ. 3,13; და-სასრულად ყოველნი ერთ-ზრახვა იყვენით, 1 პეტ. 3,8 ბოლოს, наконец; იყვენით ჩემდა მოწამე... ვიდრე დასას-რულადმდე (დასასრულამდე KGHI), საქმე 1,8.

დასუენება სიკვდილი, ი—2: ვინაჲთგან მამათა დაი-სუენეს, 2 პეტ. 3,4 მას შემდეგ, რაც მამები დაიხოცნენ. ნ.კ. შესუენება.

დასუმა დასმა, 0—2: დასუა იგი მარჯუენით მისა, ეფეს. 1,20; აღიყვანიან და დასჳან ბჭეთა თანა მის ტაძ-რისათა, საქმე 3,2.

დასწავება დასწავლა, ი—2: რომელ-იგი დაგისწავე-ეს, იცით, 2 თეს. 2,6.

დასწრობა დასწრება, ა—3: მზჱ ნუ დაგასწრობნ განრისხებასა თქუენსა, ეფეს. 4,26 მზის ჩასვლამდე და-ივიწყეთ განრისხება.

დასხდომა დაჯდომა ბევრისა (სუბ. მრ. რ.-შია), 0—1: დასხდა ერი იგი ჭამად, 1 კორ. 10,7; დაესხედით ჩუენ, საქმე 16,13; მოვიდეს შესაკრებელსა მას... დას-ხდეს, საქმე 13,14; დ. მათ ზედა, გამოცხ. 20,4.

დასხმა 1. დადება, ჩადება (ბევრისა), დაწყობა, ჩაწყობა, 0—2: დასხმენ გჳრგჳნთა მათთა წინაშე საყ-დრისა მის, გამოცხ. 4,10; რომელნი-იგი მათმან დასხნა, საქმე 1,7ႪႭ; აწ ესერა ღმერთმან დ. ასონი იგი, 1 კორ. 12,18CD; დასხნეს იგინი საფლავსა მას, საქმე 7,16Ⴂ.

ი ენ.: დაისხნეს საფლავსა მას, საქმე 7,16ႪႭ.

2. დაყრა, ა—3: ქარქუეტსა... დაასხმიდა ცეცხლსა მას, საქმე 28,3 ფიჩხს აყრიდა ცეცხლს.

ა—(3)2: აღავსო ცეცხლისა მისგან საკუროხეველისა და დასხა იგი ქუეყანასა ზედა, გამოცხ. 8,5.

ი—2: დაისხეს მიწაჲ თავთა ზედა მათთა, გამოცხ. 18,19 დაიყარეს თავზე მიწა, მტვერი.

3. დასმა, დაყენება (ბევრისა), 0—2: უკუეთუ ამის სოფლისა რაჲ საშჯელი გედვას, შეურაცხნი იგი კრებულსა შორის, ესენი დასხენით, 1 კორ. 6,4.

4. დარგვა, ჩაყრა (ვენახისა), გადატ. საფუძვლის დადება, ა—(3)2: მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა, 1 კორ. 3,6; ვინ-მე დაასხის ვენაჴი, 1 კორ. 9,7.

აწ უკუე არცა დამსხმელ რაჲ არს, 1 კორ. 3,7ႢႪ; აწ უკუე არცა დამსხმელი (დამასხმელი იგი AႭႨ) რაჲ არს, 1 კორ. 3,7CD; დ. (დამასხმელი AႢႪႭႨ) იგი და მომრწყველი ერთ არიან, 1 კორ. 3,8ႪCD.

5. ფეხქუეშ ჩაგდება, ჩაყრა (ბევრისა), 0—2: ვიდრემდე დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა, საქმე 2,35; ებრ. 1,13.

ი ენ.: ვიდრემდე დაისხნეს მტერნი მისნი ქუეშე ფერჴთა მისთა, 1 კორ. 15,25; ებრ. 10,13BIႺ; ვიდრე დაისხნენ მტერნი მისნი ქუეშე ფერჴთა მისთა, 1 კორ. 15,25Ⴊ; ებრ. 10,13.

6. დადება ხელებისა; გადატ. კურთხევა, დალოცვა; რაიმე თანამდებობის რწმუნება, ა—3: ჴელთა ადრე-ადრე ნუვის დაასხამ, 1 ტიმ. 5,22; დაასხმიდეს ჴელთა მათ ზედა, საქმე 8,17ႢႪႭ; დაასხნა მას ზედა ჴელნი მისნი, საქმე 9,12; 9,17; 28,8; დაასხნეს მათ ზედა ჴელნი მათნი, საქმე 6,6; 21,27; დ. (დასხნეს D) ჴელნი მათ ზედა, საქმე 13,3; რომელსაცა დავასხნე ჴელნი, საქმე 8,19ႪႭ.

ნუ კუალად საძირკუელსა დავსდებდეთ... დასხმასა ჴელთასა (დასხმისა ჴელთაჲსა CD), ებრ. 6,2; დასხმითა ჴელთა პავლესთაჲთა მოვიდა სული წმიდაჲ, საქმე 19,6; რომელი მოგეცა შენ... დ. მით ჴელთა ხუცობისაჲთა, 1 ტიმ. 4,14; არს შენ თანა დ. მით ჴელთა ჩემთაჲთა, 2 ტიმ. 1,6.

7. დადება ხელებისა; გადატ. შეპყრობა, დაპატიმრება, ა—3: დაასხნეს ჴელნი მათნი მათ ზედა, საქმე 4,3; დ. ჴელნი მათნი მოციქულთა ზედა, საქმე 5,18.

8. დადგომა, დარჩენა (?), τίθημι, ე: რომელნი შებრკოლდებიან სიტყუასა მას ურჩებით, რომელსაცა ზედა დაესხნეს, ἐτέθησαν, 1 პეტ. 2,8 რომელსაც დაადგნენ, რომელზეც დარჩნენ (?).

ნ.კ. თანა-დასხმა, ინაჴით დასხმა.

დასჯა, დაშჯა, დარჩა 1. გასამართლება, განკითხვა, განსჯა; ბრალის დადება, დადანაშაულება: მსახურებაჲ იგი დასჯისაჲ (დაშჯისაჲ AႪႭ, დაშჯისა Ⴂ, დარჩისაჲ Ⴈ) დიდებით (არს), 2 კორ. 3,9IႧD.

ვინ არს დამსჯელ (დამშჯელ AB), ჰრომ. 8,34CD; არს იგი თავით თჳსით დასჯილ (დაშჯილ ABႧႡႣ), ტიტე 3,11IႺ; და-ვე-სჯილ (და-ვე-შჯილ ABC, და-ვერჩილ Ⴈ) არს, ჰრომ. 14,23ႨD; არს იგი თავით თჳსით დასასჯელ, ტიტე 3,11Ⴁ; საშჯელი იგი ერთისა მისგან დასაშჯელად (არს), ჰრომ. 5,16; ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასასჯელად (დასაშჯ. ABC), ჰრომ. 5,18ႨD.

2. სასჯელის დადება, დასჯა, მისჯა, 0—2: რომლითა დასაჯა სოფელი, ებრ. 11,7; ქალაქები იგი სოდომელთაჲ და გომორელთაჲ... დ., 2 პეტ. 2,6; დაჰსაჯეთ (დასაჯეთ ႠႨႪ) და მოჰკალით მართალი იგი, იაკ. 5,6Ⴍ.

ი ენ.: რაჲთა არა სოფლისა თანა დავისაჯნეთ, 1 კორ. 11,32.

3. განკიცხვა, დაძრახვა, გმობა, განქიქება, 0—2: თავსა თჳსსა დაშჯი, ჰრომ. 2,1; და დაშჯის შჯულსა, იაკ. 4,11.

ი—2: თავსა თჳსსა დაისჯი (დაიშჯი CD), ჰრომ. 2,1ႡI.

არა-მე რაჲ დასასჯელ (დასაშჯ. ABႡ) არს მათა, ჰრომ. 8,1ႧႨD; დასასჯელად (დასაშჯ. ABC, დასარჩ. Ⴈ) თავისა თჳსისა ჭამს, 1 კორ. 11,29ႧႨD; რაჲთა არა დ. (დასაშჯ. ABC, დასარჩ. Ⴈ) შეჰკრბეთ, 1 კორ. 11,34ႧႨD; არა დ. (დასაშჯ. ႠႡႢႪႭ, დასარჩ. Ⴈ) თქუენდა ვიტყჳ, 2 კორ. 7,3ႧႨD.

დატევა მოთავსება, დატევა, χωρέω, вместить; გადატ. მიღება, ი—2: დამიტიენით ჩუენ, 2 კორ. 7,2Ⴈb.

დატევება, დატეობა დატოვება; მიტოვება, ხელის აღება, ა/უ—3: არა თუმცა უფალმან ყოვლისა მპყრობელმან დამიტევა (დამიტოვა Ⴊ, დამიტევნა Ⴀ) ჩუენ ნათესავი, ჰრომ. 9,29; თქუენ დაგიტევა ჴელით წერილი, 1 პეტ. 2,21.

ა/უ—(3)2: ნუ დაუტევებთ (დაუტეობთ Ⴚ) შესაკრებელსა თჳსსა, ებრ. 10,25; ქმარი ცოლსა ნუ დაუტევებნ (დაუტეობნ D), 1 კორ. 7,11; ნუ დ. (დაუტეობნ CD) მას, 1 კორ. 7,12; ნუ დ. (დაუტეობნ ႨD) ქმარსა მას, 1 კორ. 7,13; ამისთჳს დაგიტევე შენ, ტიტე 1,5; დაუტევე სიყრმისაჲ იგი, 1 კორ. 13,11; რომელ დ. ტროადას, 2 ტიმ. 4,13; ტროფიმე დ. მელეტოსს შინა, 2 ტიმ. 4,20; სიყუარული იგი შენი პირველი დაუტევე, გამოცხ. 2,4; დემა დამიტევა მე, 2 ტიმ. 4,10; არავე დაუტევა... ქველის მოქმედებაჲ იგი თჳსი, საქმე 14,17; დ. პავლე კრული, საქმე 24,27; დ. ეგჳპტჱ, ებრ. 11,27; იგინი დაუტევნა მუნ, საქმე 18,19; დაუტევეთ იგი (ჩუენ), საქმე 21,3; დამიტევეს მე ყოველთა, 2 ტიმ. 1,15; 4,16; დაუტევეს ბუნებისა იგი წესი, ჰრომ. 1,27; დ. წრფელი გზაჲ, 2 პეტ. 2,15; დ. სამკჳდრებელი მათი, იუდა 1,6; არა დაგიტეო შენ, ებრ. 13,5; არა დაუტეო სული ჩემი, საქმე 2,27; არა დაუტეო(!) სული მისი ჯოჯოხეთს (შენ?), საქმე 2,31Ⴂ; დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი, ეფეს. 5,31; რომელმან არა დაგიტევნეს თქუენ, 1 კორ. 10,13Ⴇ; ამისთჳს დაუტეოთ (და-და-უტევოთ A, და-და-უტეოთ B) დასაბამისა მის ქრისტეს სიტყუათაჲ, ებრ. 6,1CD; დამიტევებიეს თავისა ჩემისა შჳდ ათას ოდენ მამაკაც, ჰრომ. 11,4.

არა სათნო არს... დატევებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ, საქმე 6,2; ადრე ყოფად არს დ. საყოფლისა ამის ჩემისაჲ, 2 პეტ. 1,14; დატევებასა მას აღთქუმისასა, ებრ. 4,1.

არა დატევებულ ვართ, 2 კორ. 4,9.

დაუდგრომელი ნ. დადგრომა.

დაუმორჩილებელი ნ. დამორჩილება.

დაუმძიმებელი ნ. დამძიმება.

დაუნჯება შენახვა, დაცვა; შეკრება, დაგროვება, ი—2: კაცად-კაცადი თქუენ თანა დაიკრებდინ და დაიუნ-

ჯებდინ, 1 კორ. 16,2: დაიუნჯეთ დღეთა მათ უკუანაისსა-კნეულისა, იაკ. 5,3.

მათვე სიტყჳთა დაუნჯებულ არიან, 2 პეტ. 3,7.

დაუსრულებელ-ი ნ. დასრულება.

დაუც ნ. დაძ.

დაუცუეთელ-ი, დაუცუეთილ-ი ნ. წინა-დაუცუეთელი, წინა-დაუცუეთილ-ი.

დაუცხრომელ-ი ნ. დაცხრომა.

დაფარვა დაფარება და არგამოჩენა: საიდუმლოდ შენახვა, დაფარვა, დამალვა. 0—(3)2: დაგუფარენით ჩუენ პირისაგან საყდართა ზედა მჯდომარისა, გამოცხ. 6,16; სიყუარულმან დაფარის სიმრავლჱ ცოდვათაჲ, 1 პეტ. 4,8: დაფაროს სიმრავლჱ ცოდვათაჲ, იაკ. 5,20.

ე: რომელთა დაეფარნეს ცოდვანი, ჰრომ. 4,7ႨႪ ვისი ცოდვებიც დაფარულია; რომელთა დაეფარნენ ცოდვანი, ჰრომ. 4,7.

დაფარვად მისა ამისთჳს არა ვირწმუნო, საქმე 26,26; დ. ვერ ჴელ-ეწიფების, 1 ტიმ. 5,25.

უკუეთუ არს დაფარულ სახარებაჲ ესე ჩუენი, წარწყმედულთა მათ შორის არს დ., 2 კორ. 4,3; ცხორებაჲ თქუენი დ. არს, კოლ. 3,3; არარაჲ არს დაბადებული დ. (-ლი Ⴂ) წინაშე მისსა, ებრ. 4,13; საიდუმლოჲ იგი, დაფარული საუკუნითგან, კოლ. 1,26; განანათლოს დ. იგი ბნელისაჲ, 1 კორ. 4,5; დ. იგი გულისა კაცი, 1 პეტ. 3,4ႪႭ; არცა დაფარულსა ადგილსა თქუმულ არს ესე, საქმე 26,26; საიდუმლოსა მას დ., 1 კორ. 2,7; ოდეს შჯიდეს ღმერთი დ. მას კაცთასა, ჰრომ. 2,16; მივსცე მას მანანაჲსა მისგან დაფარულისა, გამოცხ. 2,17; დაფარულითა მით გულისა კაცისა, 1 პეტ. 3,4; რომელ დაფარულად იქმნების მათ შორის, ეფეს. 5,12ႦႪ; დაფარულნი გულისა მისისანი გამოცხადნენ, 1 კორ. 14,25; ყოველნი საუნჯენი... მეცნიერებისანი დ., კოლ. 2,3; განვიშორენით დ. იგი სირცხჳლისანი, 2 კორ. 4,2; განმკითხველ ზრახვათა დაფარულთა, ებრ. 4,12; განგებაჲ საიდუმლოჲსა მის დაფარულისაჲ, ეფეს. 3,9.

დაფლვა დამარხვა, დასაფლავება, 0—(3)2: შემოსეს იგი და განილეს და დაჰფლეს, საქმე 5,6; დ. იგი, საქმე 5,10; დაჰფლნეს საფლავსა მას, საქმე 7,16.

ე: აღესრულა და დაეფლა, საქმე 2,29; რამეთუ დ., 1 კორ. 15,4; მის თანა დაეფლენით ნათლის-ღებითა მით, კოლ. 2,12.

ფერჴნი დამფლველთა ქმრისა შენისათანი კართა ზედა დგანან, საქმე 5,9.

ნ.კ. თანა-დაფლვა.

დაფუძნება დაფუძნება, დაარსება; გამაგრება, განმტკიცება, ა—2: შენ... ქუეყანაჲ დააფუძნე, ებრ. 1,10; მან განგამტკიცენინ და დაგაფუძნენინ, 1 პეტ. 5,10.

(იყვნეთ) სიყუარულითა... დაფუძნებულ, ეფეს. 3,18; (იყვნეთ) სიყუარულითა... დაფუძნებულნი, ეფეს. 3,18CD; უკუეთუ ჰგიეთ თქუენ სარწმუნოებასა ზედა დ., კოლ. 1,23; მას შინაცა ვიდოდეთ დ. სარწმუნოებითა, კოლ. 2,7.

დაქენჯნა ცემა, დარტყმა. გადატ. ტანჯვა, დასჯა, κολαφίζω, 0—2: რაჲთა დამქენჯნიდეს (დამქენჯვიდეს Ⴍ, დამქრჯნიდეს Ⴂ) მე, 2 კორ. 12,7CD.

ი ვნ.: უკუეთუ ჰცოდვიდეთ და დაიქენჯნებოდით, 1 პეტ. 2,20C; უკუეთუ სცოდვიდეთ და დაიქენჯნებოდით, 1 პეტ. 2,20ႪႭ.

დაქცევა განადგურება, მოსპობა; ჩაძირვა, დაღუპვა, ა—2: ქალაქები იგი სოდომელთაჲ და გომორელთაჲ... დააქცია, 2 პეტ. 2,6.

ე: სამ-გზის ნავი დამექცა, 2 კორ. 11,25 სამჯერ ხომალდი ჩამეძირა, დამეღუპა.

დალათუ 1. თუ: დალათუ ჭამოს, ჰრომ. 14,23; დ. ვჭამოთ, არაჲ გუემატოს, 1 კორ. 8,8Ⴆ; დ. ... იქადაგებოს, ფილიპ. 1,18; დ. მოვიდე, ფილიპ. 1,27; დ. ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, იაკ. 5,15.

2. თუმცა: დალათუ საქმენი იგი... ქმნულ იყვნეს, ებრ. 4,3CD; დ. მცირედ მივწერე თქუენდა, ებრ. 13,22; დ. ვიეთნიმე ურჩ არიან, 1 პეტ. 3,1; დ. იცით ყოველი, იუდა 1,5.

3. თუმცა კი, თუმცაღა: დალათუ ბევრ მზარდულ გესხნეს თქუენ, 1 კორ. 4,15; დ. არიან რაჲმე სახელ-დებულ ღმრთად, 1 კორ. 8,5; დ. გარეშჱ ესე კაცი ჩუენი განირყუნების, 2 კორ. 4,16; დ. ვიცოდეთ ქრისტე ჴორციელად, 2 კორ. 5,16; დ. შეგაწუხენ თქუენ, 2 კორ. 7,8; წიგნმან მან დ. შეგაწუხნა თქუენ, 2 კორ. 7,8CD; დ. მივწერე თქუენდა, 2 კორ. 7,12; დ. უცებ ვარ სიტყჳთა, 2 კორ. 11,6CD; დ. არარაჲ ვარ, 2 კორ. 12,11; დ. იცით, 2 პეტ. 1,12.

4. რომ, რომც, კიდეც რომ, თუნდაც: დალათუ იყოს რიცხჳ იგი ძეთა ისრაჱლისათაჲ ვითარცა მქჳშაჲ ზღჳსაჲ, ჰრომ. 9,27; დ. ... ზეცით გახარებდეს თქუენ, გალ. 1,8.

5. თუ კი, თუ კიდევაც: არამედ დალათუ ძალ-გედვას განთავისუფლებად, 1 კორ. 7,21CD; დ. განუდეგით, — ღმრთისა, 2 კორ. 5,13; არა ვინანი, დ. ვინანდი, 2 კორ. 7,8; დ. შევიწირები... მიხარის, ფილიპ. 2,17; დ. გევნებოდის სიმართლისათჳს, 1 პეტ. 3,14.

დალათუმცა თუმცაღა: არა ვინანი, დალათუმცა ვინანდი, 2 კორ. 7,8C.

დალაცათუ 1. თუ: დალაცათუ ჭამოს, ჰრომ. 14,23CD; დ. ვჭამოთ, 1 კორ. 8,8CD; დ. ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, იაკ. 5,15ႪႭ.

2. თუმცა: დალაცათუ საქმენი იგი... ქმნილ იყვნეს, ებრ. 4,3Ⴄ; დ. ... ურჩ არიან, 1 პეტ. 3,1Ⴍ; დ. იცით ესე ყოველი, იუდა 1,5G.

3. თუმცა კი, თუმცაღა: დალაცათუ ბევრ მზარდულ გესხნენ, 1 კორ. 4,15Ⴁ; დ. არიან რაჲმე სახელ-დებულ ღმრთად, 1 კორ. 8,5CD; დ. ვიცოდეთ ქრისტე ჴორციელად, 2 კორ. 5,16ႨႤ; დ. შეგაწუხენ თქუენ, 2 კორ. 7,8D; დ. მივწერე თქუენდა, 2 კორ. 7,12ႦႡD; დ. ჯუარს-ეცუა, 2 კორ. 13,4CD; დ. იცით, 2 პეტ. 1,12ႪႭ.

4. რომ, რომც, კიდეც რომ, თუნდაც: დალაცათუ იყოს რიცხჳ იგი ძეთა ისრაჱლისათაჲ ვითარცა მქჳშაჲ ზღჳსაჲ, ჰრომ. 9,27Ⴂ; დ. ... ზეცით გახარებდეს თქუენ, გალ. 1,8Ⴄ.

5. თუ კი, თუ კიდევაც: დალაცათუ შევიწირები... მიხარის, ფილიპ. 2,17CD; დ. გევნებოდის სიმართლისათჳს, 1 პეტ. 3,14ႪႭ.

დალაცათუმცა თუმცაღა: არა ვინანი, დალაცათუმცა ვინანდი, 2 კორ. 7,8Ⴆ.

დაყდუნება დაბრკოლება, შეფერხება. დ: აღმოცენე-ბულ ხართ ჩემ კერძო ზრახვად.... ხოლო დაჰყდუნდით, ფილიპ. 4.10ႥႨႭ.

დაყენება გაჩერება, შეჩერება, დატოვება, შეწყვეტა. გადატ. დაბრკოლება, ხელის შეშლა, წინააღმდეგობის გაწევა; არ-დაშვება, აკრძალვა; გამოტოვება, დაკლება, ა—(3)2: სიტყუად ენათა მათ ნუ დააყენებთ. 1 კორ. 14,39ႢႪ; არარაჲ დავაყენე უმჯობესი თქუენი, საქმე 20.20; არარაჲ დ., რომელიმცა არა გითხარ, საქმე 20,27; დააყენა წინაწარმეტყუელისაჲ მის უგუნურებაჲ, 2 პეტ. 2.16.

ი: მას დღესა მუნ დაიყენნა, საქმე 10.23 თავისთან დაიტოვა, ისტუმრა.

ე: სიტყუად ენათა მათ ნუ დაეყენებით. 1 კორ. 14,39CD; დაეყენე მოაქამდე, ჰრომ. 1.13; ამისთჳსცა დ. მისლვად თქუენდა, ჰრომ. 15,22CD: სიქადული ესე არა დაეყენოს... ადგილთა აქაიასათა, 2 კორ. 11,10.

ვერ შესაძლებელ იყო დაყენებაჲ მისი, საქმე 2,24ႢႪႭ; მეგულებოდა დ. ჩემ თანა, ფილემ. 1.13ႦႡႨႧ; არიან მღდელად დადგინებულ სიკუდილისაგან დაყენები-თა დადგრომად, ებრ. 7,23; ვერ შესაძლებელ იყო დაყე-ნებად მისა, საქმე 2,24: მეგულებოდა დ. ჩემ თანა, ფი-ლემ. 1,13.

დაყენებულ იქმნეს სულისა მიერ წმიდისა, საქმე 16,6ႪႭ; დ. არს, ჰრომ. 3,27; და-მე-ყენებულ არსა, ჰრომ. 3,27ႢႪႪႠCD; არიან... დაყენებულნი დადგრომად, ებრ. 7,23Ⴀხ.

ასწავებდა... ყოვლითა კადნიერებითა დაუყენებელად, საქმე 28,31H1 დაუბრკოლებლად.

დაყოვნება შეგვიანება, შეჩერება; დაბრკოლება, შე-ფერხება. 0—2: მცირედ დაყოვნეს (და-რე-ყოვნეს ႢႪႭ), საქმე 27,28; რაჲთა არა დაყოვნოს მრავალ ჟამ ასიას შინა, საქმე 20.16.

ე: რაჲთა არა დაეყოვნოს მრავალ ჟამ ასიას შინა, საქმე 20.16ႪႭ.

დ: აღმოცენებულ ხართ ჩემ კერძო ზრახვად, ... ხო-ლო დაჰყონდით, ფილიპ. 4.10Ⴈ შეფერხდით, დაბრკოლ-დით.

იყო... სამის ოდენ ჟამის დაყოვნება, საქმე 5,7; ვი-ეთმე დაყოვნებად შეურაცხიეს. 2 პეტ. 3.9ႪႭ.

დაყოფა 1. დარჩენა, ყოფნა, გატარება (დროისა), 0—2: ღამჱ და დღჱ უფსკრულთა შინა დაეყავ, 2 კორ. 11,25: დაყო მუნ ერთ წელ, საქმე 18.11; დ. ჟამი რაოდე-ნიმე, საქმე 18,23: დაყვეს მუნ მრავალ დღჱ, საქმე 15,33; და დავყოთ მუნ წელიწადი, იაკ. 4.13; უზმათა დაგიყოფიეს, საქმე 27.33.

ვესავ რაოდენისამე ჟამისა დაყოფასა თქუენ თანა, 1 კორ. 16,7.

2. დახშვა, დახურვა. გადატ. დადუმება, ი/უ—3: და-უყვნეს (დაუყვეს CD) პირნი ლომთანი. ებრ. 11,33.

ი ვნ.: რაჲთა ყოველი პირი დაიყოს, ჰრომ. 3,19.

რომელთაჲ ჯერ-არს პირსა დაყოფაჲ, ტიტე 1,11CD; დაყოფად პირთა კაცთა უგუნურთა უმეცრებასა. 1 პეტ. 2.15.

დაყრა დაგდება (ბევრისა): ჩამოცვენა, 0—2: დაჰ-ყრიდეს სამოსელსა მათსა, საქმე 22,23; ლეღუმან რაჲ დაყარის ყუავილი თჳსი, გამოცხ. 6.13.

დაყუენ(ვ)ა, დაყუნვა გაპარსვა, გაკრეჭა. стричь, брить. ი—2: რაჲთა დაიყუნონ თავსა, საქმე 21.24; რაჲთა დაიყუნნენ თავნი მათნი. საქმე 21.24ႪႭ.

საძაგელ არს დედაკაცისა კუეცაჲ გინა დაყუენვაჲ (დაყუენაჲ ႠႡႨD). 1 კორ. 11,6; საძაგელ არს დედაკა-ცისა... დაყუნვაჲ. 1 კორ. 11.6CႢႪ.

იგივე არს დაყუენილიცა იგი. 1 კორ. 11.5.

დაშენება დასახლება, დამკვიდრება, ე: და დაეშენა ქარანს შინა, საქმე 7,4ႢႪႭ.

დაშთომა 1. დარჩენა, დატოვება, 0—1: არა დაშთა სული მისი ჯოჯოხეთს. საქმე 2.31.

ი/უ: და-სადმე-უშთების შაბათობაჲ ერსა ღმრთისასა, ებრ. 4,9D; არღარა ცოდვათათჳს დაგუშთების მსხუერ-პლი, ებრ. 10.26Ⴀხ: არარაჲ დაუშთა მისა დაუმორჩილე-ბელი, ებრ. 2.8.

ჯერ-გჳჩნდა დაშთომაჲ ათენას შინა, 1 თეს. 3.1.

კაცი ვინმე დაშთომილ არს, საქმე 25,14ႪႭ; მე მარტოჲ დ. ვარ, ჰრომ. 11,3; რომელ დ. ვიყვნეთ მოს-ლვასა მას უფლისასა. 1 თეს. 4.15; რომელნი-ესე დ. ვიყვნეთ, 1 თეს. 4.17; კაცი ვინმე არს დაშთომილი, საქ-მე 25,14; დაშთომილისა ამისგან აღთქუმისა, ებრ. 4,1D.

2. დაშვება, დავარდნა, გაუქმება, παρίημι: დაშთო-მილნი ჴელნი და დაჴსნილნი მუჴლნი აღემართენით, ებრ. 12,12 გაუქმებული, უმოძრაო ხელები.

დაშრეტა გაქრობა, ჩაქრობა, 0—2: დაშრიტეს ძალი ცეცხლისაჲ, ებრ. 11,34.

რომლითა შეუძლოთ... დაშრეტად, ეფეს. 6.16.

დაშურომა შრომა, გარჯა; დაღლა, დაქანცვა; შე-წუხება, утруждать, ა—2: რაჲთა არა უფროჲს დაგაშუ-რო (დაგაშრო ႪႭ, დაგაშვრო G) შენ, საქმე 24,4.

0—1: უმეტჱს მათ ყოველთასა დავშუერ, 1 კორ. 15,10; ნუუკუე ცუდად დ., გალ. 4,11; არცა ცუდად დ.. ფილიპ. 2,16: იტჳრთე სახელისა ჩემისათჳს და არა და-შუერ, გამოცხ. 2,3; რომელ-იგი ფრიად დაშურა, ჰრომ. 16,6: რომელი ფრიად დ. უფლისა მიმართ, ჰრომ. 16,12; არა დაჰშურეთ (დაშურეთ BCD) სულითა თქუენითა, ებრ. 12.3.

დაშჯა ნ. დასჯა.

დაცადება შეწყვეტა. შეჩერება; დაბრკოლება, ხე-ლის შეშლა, ა—(3)2: დააცადეს ცემაჲ პავლჱსი, საქმე 21,32 შეწყვიტეს; რაჲთა არა დააცადოთ ლოცვასა თქუ-ენსა, 1 პეტ. 3,7 რომ ლოცვისას ხელი არაფერმა შეგი-შალოთ, არ დაგაბრკოლოთ.

დაცემა 1. ცემა, დარტყმა, გვემა, დაგლეჯა. 0—3: მუნქუესვე დასცა მას ანგელოზმან უფლისამან, საქმე 12,23; დაგეცინ შენ ღმერთმან, საქმე 23,3C: დაგცეს შენ ღმერთმან, საქმე 23,3Ⴂ.

2. დაქცევა, დამხობა, დანგრევა, ე: მეათედი ქალაქი-საჲ დაეცა, გამოცხ. 11.13 ქალაქის მეათედი (ნაწილი) დაინგრა: დ. ბაბილონი იგი დიდი, გამოცხ. 14,8; დ. ბა-ბილონი. გამოცხ. 18.2: ზღუდენი იერიქოვისანი დაეცნეს. ებრ. 11,30; ქალაქნი წარმართთანი დ., გამოცხ. 16.19: ხუთნი იგი დ., გამოცხ. 17.10.

საყოფელი იგი დავითისი დაცემული, საქმე 15.16.

3. დავარდნა, ჩამოვარდნა, დაცემა, წაქცევა, დანარ-ცხება; დაღუპვა, სიკვდილი. ე: დაეცა და ხუცესნი წარ-

პჴდეს. საქმე 5,5: და დ. მეყსეულად, საქმე 5,10; იგი დ. ქუეყანასა ზედა, საქმე 9,4: დ. სამ სართულისაგან, საქმე 20,9; დამეცენით ჩუენ ზედა, გამოცხ. 6,16; ყუედრებანი მაყუედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა. ჰრომ. 15,3; რამეთუ დაეცნეს იგინი უდაბნოსა ზედა, 1 კორ. 10,5 დაილეუპნენ, დაიხოცნენ; დ. ერთსა დღესა შინა ოც და სამ ათასნი, 1 კორ. 10,8; ჰგონებდეს, ვითარმედ... დაეცეს მეყსეულად მკუდარი, საქმე 28,6; დგეს გინა თუ დ., ჰრომ. 14,4; ეკრძალენ, ნუუკუე დ., 1 კორ. 10.12; რაჲთა არა მკელობელი იგი დ., ებრ. 12,13.

რვა წლისა სნეული დაცემული იდვა, საქმე 9,33 დავარდნილი, დამბლადაცემული.

4. დამდაბლება, დაქვეითება (სულიერად), გადატ. სარწმუნოებისაგან განდგომა, შეცოდება, ე: მოიჴსენებდ, უკუეთუ სადაჲთ დაეცი და შეინანე, გამოცხ. 2,5.

დაცემულთა მათ ზედა [იხილე] სასტიკებაჲ, ჰრომ. 11,22; ეხილვოს დაცემულთა (დაცემულთაჲ Ⴀ) კუალად განახლებაჲ, ებრ. 6,6CD.

5. **დაცემა** (შიშისა, არმურისა. ბნელისა...) შიშით მოცვა, შეპყრობა, ძლიერ შეშინება; ბნელით მოცვა, დაფარვა, ე: დაეცა შიში დიდი ყოველთა, საქმე 5,5; შიში... დ. მათ ზედა, გამოცხ. 11,11; დ. შიში მათ ყოველთა ზედა, საქმე 19,17; დ. შიში მათ ზედა, საქმე 22,9ႢႪႭ; მეყსეულად დ. მის ზედა არმური და ბნელი (შდრ. ႠႢ: დაეხჳა). საქმე 13,11ႢႪႭ.

6. **დაცემა საყჳრსა** საყვირის ხმის გამოცემა, დაყვირება, трубить, вострубить, 0—(3)2: პირველმან მან დასცა [საყჳრსა]. გამოცხ. 8,7; ანგელოზმან დ. საყჳრსა, გამოცხ. 8,8; 8,10; 8,12; 9,1; 9,13; 11,15; საყურსა(!) დასცენ, 1 კორ. 15,52Ⴈ.

ე: საყჳრსა დაეცეს, 1 კორ. 15.52.

რომელსა ეგულების დაცემად საყჳრისა, გამოცხ. 10.7.

7. **დაცემა პირსა** პირის აკვრა, დაჩუმება.

რომელთაჲ ჯერ-არს პირსა დაცემაჲ (ვარ. პირის დაყოფაჲ), ტიტე 1,11.

დაცვა დაცვა, შენახვა, დარაჯობა, ყარაულობა, ი: დაიცვენით თავნი თჳსნი კერპთაგან, 1 იოვ. 5,21; თავნი თქუენნი სიყუარულითა ღმრთისაჲთა დ., იუდა 1,21ႢႪႭ; მეცა დაგიცვა შენ, გამოცხ. 3,10; რომელმან... დაგიცვნეს თქუენ ბოროტისაგან, 2 თეს. 3,3; რომელთა დაიცვნენ მცნებანი ღმრთისანი, გამოცხ. 14,12; რომელთა დ. სიტყუანი ამის წიგნისანი, გამოცხ. 22,9.

ამცნეს მესაპყრობილეთ მცველსა მას კრძალულად დაცვაჲ მათი, საქმე 16,23; შეუგინებელად დ. თავისა თჳსისაჲ სოფლისაგან. იაკ. 1,27.

დაცუდება გაქარვება, ამაოდ. ფუჭად ქცევა. ა—2: ვიდრემცა სიქადული ჩემი და-თუ ვინმე-აცუდოს იგი, 1 კორ. 9,15CD გააქარვებს, ამაოს, ფუჭს გახდის.

დაცუეთა ნ. წინადაცუეთა.

დაცუეთილება ნ. წინადაცუეთილება.

დაცჳვნა, დაცჳვნება დაცვენა, დავარდნა (ბევრისა), 0—1: ძუალები დაცჳვა უდაბნოსა ზედა, ებრ. 3,17; ყუავილი იგი დ., იაკ. 1,11; ჩუენ ყოველნი დავცჳვეთ ქუეყანასა, საქმე 26,14; ჩუენ ყოველნი ქუეყანად დავცჳვენით. საქმე 26,14ႢႪႭ.

0—2: ყუავილი იგი დასცჳვა (დასცჳვიეა Ⴂ). იაკ. 1,11NᑕႢႪႭ; ყუავილი მისი დ., 1 პეტ. 1,24; დასცჳვეს ჯაჭუნი იგი, საქმე 12,7.

დაცხრობა დაწყნარება, დამშვიდება, გაყუჩება. შეჩერება, შეწყვეტა. ა—(3)2: დააცხრვო (დააცხრო HI) მწიგნობარმან მან ერი იგი. საქმე 19,35ႢႪG; ძნიად დააცხრვეს ერი იგი, საქმე 14,18; დააცხრვენ ენაჲ თჳსი ბოროტისაგან. 1 პეტ. 3,10.

დაცხრომა იგივეა, რაც დაცხრობა, 0—(2)1: არა დავსცხრები თქუენთჳს ლოცვითა, კოლ. 1,9Ⴂ; არა დასცხრები განდრეკად, საქმე 13.10Ⴂ; კაცი ესე არა დასცხრების სიტყუასა ბოროტსა, საქმე 6.13; საშჯელი პირველითგან არა დ., 2 პეტ. 2,3; არა დავსცხრებით თქუენთჳს ლოცვითა და თხოვითა. კოლ. 1.9; არა დავსცხრებოდე სწავლითა, საქმე 20,31; არა დასცხრებოდეს მოძღურებითა, საქმე 5,42; უკუეთუმცა არასადა დასცხრა, ებრ. 10,2Ⴍ; არა დასცხრეა განდრეკად გზათა მათ უფლისათა, საქმე 13,10; არასადა დასცხრეს (დასცხრესა D) შეწირვისაგან, ებრ. 10,2ႢႪႨC; და-ვიდრემცა-სცხრეს შეწირვისაგან, ებრ. 10,2; გინა თუ ენანი და-ეესცხრენ, 1 კორ. 13.8.

შემდგომად დაცხრომისა მის შფოთისა, საქმე 20.1.

დაცხრომილ არს ცოდვისაგან, 1 პეტ. 4,1.

დაუცხრომელითა ცოდვითა, 2 პეტ. 2,14.

დამ (ვანისა) ბინის ქონება, დაბინავება, ი/უ—2: მას ვანი დაუც სიმონის... მეპრატაკისასა, საქმე 10,32 ბინა აქვს, დაბინავებულია.

დაძინება განსვენება, მიცვალება, სიკვდილი, სინონ. შესუენება, ი უობ.: ესე ვითარცა თქუა. დაიძინა, საქმე 7,60ႢႪႪႭ; ნებითა ღმრთისაჲთა დ., საქმე 13,36HI; ყოველთავე უკუე არა დავიძინოთ, 1 კორ. 15.51ႨႦ.

ღმერთმან დაძინებულნი იგი... მოიყვანნეს მის თანა, 1 თეს. 4,14ႨႦ განსვენებული, მიცვალებული; ვერ მივეწიფნეთ დაძინებულთა მათ, 1 თეს. 4,15ႨႦ; არა მნებავს უმეცრებაჲ... დაძინებულთა მათთჳს, 1 თეს. 4,13ႨႦ.

დაძუელება დაძველება, დაბერება, ა—2: დააძუელა პირველი იგი, ებრ. 8,13.

დ: დაძუელდა პირველი იგი. ებრ. 8.13Ⴂ; ყოველნი... დაძუელდენ, ებრ. 1,11.

დაძუელებადი იგი... მახლობელ არს განრყუნისა, ებრ. 8.13; დაძუელებულითა წიგნითა, ჰრომ. 7,6.

დაწერა წერა, დაწერა, 0—2: დაჰბეჭდე... და ნუ დასწერ, გამოცხ. 10.4; მოსე დასწერს სიმართლესა მას შჯულისაგანსა, ჰრომ. 10,5CD; რომელმან დავწერე წიგნი ესე, ჰრომ. 16,22; დ. ჴელითა ჩემითა, ფილიპ. 1,19; მოსე ესრე დაწერა. ჰრომ. 10,5; დაწერეს... წიგნი ესრეთ, საქმე 15,23; რომელსა-ესე ჰხედავ, დაწერე წიგნსა შინა, გამოცხ. 1,11; დ. უკუე. რაჲ-ესე იხილე, გამოცხ. 1,19; მრქუა მე: დ., ვითარმედ. გამოცხ. 19,9; დ., ვითარმედ, გამოცხ. 21,5; დავწერო მის ზედა სახელი ღმრთისა ჩემისაჲ. გამოცხ. 3,12.

ი ვნ.: არა დაიწერა მისთჳს ხოლო, ჰრომ. 4,23; რაოდენი-იგი წინაჲსწარ დ., ჰრომ. 15,4CD; ჩუენდა სამოძღურებელად დ., ჰრომ. 15,4CD; ჰრომაელთა მიმართ დ., ჰრომ. 16 (დასასრ.) CD; ჩუენთჳს დ., 1 კორ. 9,10; დ. სამოძღურებელად ჩუენდა. 1 კორ. 10,11; რაოდენნი-

იგი წინასწარ დაიწერნეს. ჰრომ. 15,4: ჩუენდა სამოძღურებელად დ., ჰრომ. 15.4.

ლოცვანი შენნი... აღვიდეს... წინაშე უფლისა, საქმე 10.4; 10,31; რომელ არიან ლ. წმიდათანი, გამოცხ. 5,8; ლოცვათა ჩემთა თქუენ ყოველთათჳს... ლოცვასა ვჰყოფ, ფილიპ. 1,4; ყურნი მისნი [scil. უფლისანი] ლ. მათთა ზედა, 1 პეტ. 3,12F; ლ. შინა ჩემთა... თქუენთჳს ვილოცავ, ჰრომ. 1,10; თანა-მოღუაწე მექმნენით მე ლ. შინა ჩემთჳს, ჰრომ. 15,30CD; ჴსენებასა ვჰყოფ ლ. შინა ჩემთა, ეფეს. 1,16; იღუწის თქუენთჳს ლ. შინა მისთა, კოლ. 4,12; ჴსენებასა ვჰყოფთ ლ. შინა ჩუენთა, 1 თეს. 1,2; მაქუს შენთჳს ჴსენებაჲ ლ. შინა, 2 ტიმ. 1,3; ჴსენებასა შენსა ვჰყოფ ლ. შინა, ფილემ. 1,4; შეწევნითა მით ლოცვათა [ნათ.] თქუენთაჲთა, 2 კორ. 1,11; აღვიდოდეს... ჟამსა ოდენ ლოცვისასა, საქმე 3,1.

6. აღთქმა, შეპირება: რომელთა ლოცვაჲ აქუს თავისა თჳსისაჲ, საქმე 21,23.

ლოცვის-ყოფა ლოცვის თქმა, ლოცვა, молиться, 0–(2)1: მარადის თქუენ ყოველთათჳს ლოცვასა ვჰყოფ, ფილიპ. 1,4; ლოცვა ყვეს მათთჳს, საქმე 8,15 ილოცეს.

ლტოლვილ-ი გაქცეული, გარიდებული; სარწმუნოებისაგან განდგომილი: რომელნი-იგი ჭეშმარიტებით ლტოლვილ არიან, 2 პეტ. 2,18ႢႪႭ; ყოველივე ჭალაკი ლ. იქმნა, გამოცხ. 16,20; ლ. იქმნა ქუეყანაჲ, გამოცხ. 20,11.

ნ.კ. ვლტოლა, ვლტოლილი.

ლჳკაონებრ-ი, ლუკაონებრ-ი ლიკაონური (ლიკაონია ქვეყანაა მცირე აზიაში): აღიმაღლის ჴმაჲ მათი ჴმითა ლჳკაონებრითა (ლუკაონებრითა DႢႪႭ), საქმე 14,11 ლიკაონურად, ლიკაონური ენით.

ლუსტრელ-ი, ლჳსტრელ-ი სადაურობის სახელი, ლუსტრას მცხოვრები: რომელი იწამებოდა ლუსტრელთაგან (ლჳსტრელთაგან C), საქმე 16,2ႢႪႭ.

ლხინ-ი მოსვენება, უზრუნველობა; შვება, ლხენა, მხიარულება: მანვე ღმრთისა მიერ მწუხარებამან მაგან თქუენმან რაოდენი შექმნა თქუენ შორის წრაფაჲ... ანუ რაოდენი ლხინი, 2 კორ. 7.11; არა რაჲთა სხუათა – ლ., თქუენ – ჭირი, 2 კორ. 8,13; და თქუენ... ლ. დღესა მას... იესუ ქრისტჱსსა გამოჩინებასა, 2 თეს. 1,7; შექმნა თქუენ შორის წრაფაჲ... ანუ რაოდენნი ლხინნი, 2 კორ. 7,11ႣႪ.

ლხინება მიტევება, პატიება, შენდობა (ცოდვებისა), შეწყალება, შვება, სიმშვიდე, მოსვენება, უშფოთველობა.

ი/უ–(3)2: რაჲთა ულხინებდეს ცოდვათა ერისათა, ებრ. 2,17.

არა მაქუნდა მე ლხინება (ლხინებაჲ ႪCD), 2 კორ. 2,13; არცაღა ერთ რაჲ ლხინებაჲ (ლხინება AႣႪႭ) აქუნდა, 2 კორ. 7.5ႢCD; მოავლინა ძჱ თჳსი ლხინებად ცოდვათა ჩუენთა, 1 იოვ. 4.10ႣႪ.

მოავლინა ძჱ თჳსი მლხინებელად ცოდვათა ჩუენთა, 1 იოვ. 4,10.

მ

მ. მან ქართული ანბანის მეცამეტე ასო. რიცხვითი მნიშვნელობა – 40.

მა (მან, მას, მის, მით, მათ) ნ. იგი.

მაბრალებელ-ი, მაბრალობელ-ი ნ. ბრალება.

მაბრკოლებელ-ი, მაპრკოლებელ-ი, ნ. ბრკოლება.

მაგა (მაგან, მაგას, მაგის, მაგით, მაგათ) ნ. ეგე.

მაგინებელ-ი ნ. გინება.

მაგის-ი კუთვნილ. ნაცვალსახელი: სლვაჲ ეგე მაგისი, საქმე 3,12; გუასმიეს ჩუენ მ., საქმე 6.11; მოკლვაჲ მ. ეგულებოდა, საქმე 23.27; მ. მიძლუნებაჲ, საქმე 25,25; ძჱ მ., გალ. 4.30; მიბრძანებიეს შემასმენელთა მათ მაგისთა სიტყუად შენ წინაშე, საქმე 23,30.

მაგოგ-ი ნ. გოგი.

მადლ-ი 1. ზეგარდმო მოვლინებული ღვთიური ძალა, (ღვთის) წყალობა, შეწევნა, благодать: მადლი დიდი იყო მათ ყოველთა ზედა, საქმე 4,33; რომლისაგანესე მოვიღეთ მ. და მოციქულებაჲ, პრომ. 1,5; მ. თქუენდა, პრომ. 1,7; 1 კორ. 1,3; 2 კორ. 1,2; გალ. 1,3; ეფეს. 1,2; ფილიპ. 1,2; კოლ. 1,3; 1 თეს. 1,1; 2 თეს. 1,2; ფილემ. 1,3; გამოცხ. 1,4; არა ვითარ შეცოდებაჲ, ეგრეცა მ., პრომ. 5,15; რაოდენ უფროის მ. ღმრთისაჲ... ალემატა, პრომ. 5,15; არღარა არს მ., პრომ. 11,6CD; მ. უფლისა ჩუენისა... თქუენ ყოველთა თანა, პრომ. 16.20; 2 კორ. 13,13; 2 თეს. 3,18; ებრ. 13,25; მ. უფლისა ჩუენისა... სულისა თქუენისა თანა, პრომ. 16,27; გალ. 6.18; ფილიპ. 4,23; მ. აქუს ღმრთისა მიერ, 1 კორ. 7,7; მ. უფლისა ჩუენისა... თქუენ თანა, 1 კორ. 16.23; 1 თეს. 5,28; კმა არს შენდა მ. ჩემი, 2 კორ. 12,9; მოცემულ არს მ., ეფეს. 4,7; რაჲთა მისცეს მ., ეფეს. 4,29; მ. ყოველთა თანა, ეფეს. 6,24; მ. თქუენ თანა, კოლ. 4,18; 1 ტიმ. 6,21; ფილემ. 1,25; 1 პეტ. 1,2; 2 პეტ. 1,2; რაჲთა... ვპოვოთ მ., ებრ. 4,16; მაქუს ჩუენ მ., ებრ. 12,28; ტიმოთეს... მ. და წყალობაჲ, 1 ტიმ. 1,2; არს შენ თანა მ., 1 ტიმ. 4,14; ტიმოთეს... მ. და წყალობაჲ, 2 ტიმ. 1,2; მ. ჩუენ თანა, 2 ტიმ. 4,22; ტიტეს... მ. და მშჳდობაჲ, ტიტე 1,4; მ. თქუენ ყოველთა თანა, ტიტე 3,15; მდაბალთა მოსცის მ., იაკ. 4,6; 1 პეტ. 5,5; უფროჲს მოცემად მ., იაკ. 4,6ᒣᒪO; ესე არს მ. ღმრთისაგან, 1 პეტ. 2,19; ესე მ. ღმრთისაგან არს, 1 პეტ. 2,20; იყოს ჩუენ თანა მ., 2 იოვ. 1,3; მ. უფლისა ჩუენისა... ყოველთა წმიდათა თანა, გამოცხ. 22,21.

მომეცა მ. ესე, ეფეს. 3,8; იხილა მ. იგი ღმრთისაჲ, საქმე 11,23; მ. იგი მრავალთაგან შეცოდებათა განსამართლებელად, პრომ. 5,16; მ. იგი არამცა შერაცხილ იყო მადლად, პრომ. 11,6; მ. იგი ჩემდა მომართი არა ცუდად რაჲ იყო, 1 კორ. 15,10; [დაემაშურ] არა მე, არამედ მ. იგი, 1 კორ. 15,10; მ. იგი... მადლის მისაცემელ იყოს ჩუენთჳს, 2 კორ. 1,11; მ. იგი ალემატოს მრავალთათჳს, 2 კორ. 4,15; ნუ ცუდად მ. იგი ღმრთისაჲ მიგაქუნ, 2 კორ. 6,1; იცით მ. იგი უფლისა ჩუენისა, 2 კორ. 8,9; ვითარცა ცნეს მ. იგი, გალ. 2,9; სცანით მ. იგი ღმრთისაჲ, კოლ. 1,6; უფროჲს გარდაემატა მ. იგი, 1 ტიმ. 1,14; გამოჩნდა მ. იგი ღმრთისაჲ, ტიტე 2,11.

რომელნი-იგი მეტსა მადლსა... მიიღებენ, პრომ. 5,17ᒣᒪ; არა ხართ შჯულსა ქუეშე, არამედ მ., პრომ. 6.14; არა ვართ შჯულსა ქუეშე, არამედ მ., პრომ. 6,15; მ. ღმრთისა ჩუენისასა გარდააქცევენ არაწმიდებად, იუდა 1,4; მოუჴედით სარწმუნოებითა მ. მას, პრომ. 5,2; არა შეურაცხ-ვჰყოფ მ. მას ღმრთისასა, გალ. 2,21; რომელნი თქუენდა მ. მას წინაწარმეტყუელებდეს, 1 პეტ. 1,10; ესვიდით მოწევნულსა მას მაისა მ., 1 პეტ. 1 13; არწმუნებდეს მტკიცედ დადგრომად მ. მას ზედა ღმრთისასა, საქმე 13,43; ვჰმადლობ... თქუენთჳს მ. მას ზედა ღმრთისასა, 1 კორ. 1,4.

ეწამებოდა მათ სიტყჳთა მით მადლისა მისისაჲთა, საქმე 14,3ᒣᒪO; სახარებაჲ იგი მ. ღმრთისაჲ, საქმე 20,24; სიტყუასა მას მ. მისისასა, საქმე 20,32ᒣᒪO; საქებელად დიდებისა მ. მისისა, ეფეს. 1,6; სიმდიდრისაებრ მ. მისისა, ეფეს. 1,7; გარდამატებული იგი სიმდიდრჱ მ. მისისაჲ, ეფეს. 2,7; ვიქმენ მე მსახურ... მ. ღმრთისა, ეფეს. 3,7; უფროჲს მოცემად მ., იაკ. 4,6; გასმიეს მოღუაწებაჲ იგი მ. მის ღმრთისაჲ, ეფეს. 3,2; რაჲთა ჩემ თანა ზიარ მ. მის თქუენ ყოველნი იყვნეთ, ფილიპ. 1,7; მადლისაგან განჰვარდით, გალ. 5,4; ნუ ვინმე დაკლებულ იყოს მ. ღმრთისა, ებრ. 12,15ᑫᒣᒣCD; მადლისა მისგან განვრდომილ ხართ, გალ. 5,4CD; ნუ ვინმე დაკლებულ იყოს მ. მისგან, ებრ. 12,15; მ. მისებრ მოცემულისა ჩუენდა, პრომ. 12,6CD;გარდარეულისა მისთჳს მ. ღმრთისა, 2 კორ. 9.14CD; შეეწეოდა... ფრიად მ. მის მიერ, საქმე 18,27ᒣᒪO.

ნეშტი რჩევით მადლით იქმნა, პრომ. 11,5ᑫᒪ; უკუეთუ მ., არღარა საქმეთაგან [იქმნა], პრომ. 11,6; განმტკიცებულ იყვნეს მადლითა ღმრთისაჲთა, საქმე 14,26; მ. უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა გურწამს ჩუენ, საქმე 15,11; მიეცა მ. ღმრთისაჲთა, საქმე 15,40; განმართლებულ არიან... მ. მისითა, პრომ. 3,24; მ. ღმრთისაჲთა ვარ, 1 კორ. 15,10; მ. ღმრთისაჲთა... ვიქცეოდეთ, 2 კორ. 1,12; გიჩინნა თქუენ მ. ქრისტჱსითა, გალ. 1,6; მიწოდა მე მ. თჳსითა, გალ. 1,15; მ. ხართ თქუენ გამოჴსნილ, ეფეს. 2,5; მ. ხართ გამოჴსნილ, ეფეს. 2,8; ვიქმენ მე მსახურ... მ. ღმრთისაჲთა, ეფეს. 3.7ᒣᒪ; მ. ღმრთისაჲთა... იხილოს გემოჲ სიკუდილისაჲ, ებრ. 2,9; მ. განმტკიცებულ ხართ, ებრ. 13,9; მიჩინნა... ჩუენ... მ., 2 ტიმ. 1,9; განძლიერდი მ. იესუ ქრისტჱსითა, 2 ტიმ. 2,1; ალორძნდებოდეთ მ., 2 პეტ. 3,18; შეეწეოდა ფრიად... მ. მით, საქმე 18,27; ნიჭი იგი მ. მით... იესუ ქრისტჱსითა... ალემატა, პრომ. 5,15; ნეშტი რჩევით მ. მით იქმნა, პრომ. 11,5; უკუეთუ მ. მით, არღარა საქმეთაგან [იქმნა], პრომ. 11,6ᑫᒪ; ვიტყჳ მ. მით, პრომ. 12,3; მაქუს ჩუენ ნიჭი იგი მ. მით ღმრთისაჲთა, პრომ. 12,6; მოგაჴსენებ თქუენ მ. მით ღმრთისაჲთა, პრომ. 15,15; მ. მით ღმრთისაჲთა... საფუძველი დავდევ, 1 კორ. 3,10; ჰსურის... გარდარეულითა მით მ. ღმრთისაჲთა, 2 კორ. 9,14; იდიდოს მ. მით ღმრთისა ჩუენისაჲთა, 2 თეს. 1,12; მოგუცა... სასოებაჲ... მ. მით, 2 თეს. 2,16; განვმართლდეთ მისითა მით მ., ტიტე 3,7.

მადლი იგი არამცა შერაცხილ იყო მადლად, პრომ. 11,6; სული იგი მადლისაჲ აგინა, ებრ. 10,29; შეგვედ-

რებ თქუენ... სიტყუასა მას მადლისასა, საქმე 20,32; რომელნი-იგი შეტსა მ. მოიგებენ. ჰრომ. 5,17; ეწამებოდა მათ სიტყჳთა მით მადლისაჲთა, საქმე 14,3; მოუჴდეთ მას... საყდართა მადლისათა. ებრ. 4,16.

2. წყალობა, მოწყალება; საჩუქარი, ძღვენი: რაჲთა მი-რაჲმე-გცე თქუენ მეცა მადლი სულიერი. ჰრომ. 1,11; წარმართთაცა თუ მ. იგი სწორი მისცა ღმერთმან, საქმე 11,17; ითხოვდეს მადლსა მას მისთჳს, საქმე 25,3; გაუწყებ თქუენ... მ. მას ღმრთისასა, 2 კორ. 8,1; მლოცვიდეს ჩუენ მ. მას... წმიდათა მიმართ, 2 კორ. 8,4; განცხოველებად მჴურვალედ მ. მას ღმრთისასა, 2 ტიმ. 1,6; ესენი წარვავლინნე მიღებად მადლისა მის თქუენისა, 1 კორ. 16,3; ითხოვდეს მ. მისთჳს, საქმე 25,3ႢႱႭ; მოქმედსა მას სასყიდელი იგი არა შეერაცხების მადლით, ჰრომ. 4,4; რაჲთა მ. იყოს მტკიცე აღთქუმაჲ, ჰრომ. 4,16ႢႱႨCD; ხოლო სტეფანე სავსე იყო მადლითა და ძალითა, საქმე 6,8ႢႱႭ; შეუნანებელ არიან მადლნი და ჩინებანი ღმრთისანი, ჰრომ. 11,29; სარწმუნოებითა და მადლთა ამათ მიერ იყოს მტკიცე აღთქუმაჲ, ჰრომ. 4,16.

3. ღვთის მიერ ბოძებული მიწიერი სიკეთე; სიკეთე, კეთილი საქმე: მუნ უფროჲს გარდაემატა მადლი, ჰრომ. 5,20; ეგრეცა მ. სუფევდეს სიმართლესა შინა, ჰრომ. 5,21; რაჲთა მ. განმრავლდეს, ჰრომ. 6,1; აღასრულოს... ესეცა მ., 2 კორ. 8,6; ყოველი მ. გარდამატებად თქუენდა, 2 კორ. 9,8D; ესე არს ჭეშმარიტი მ., 1 პეტ. 5,12; ვითარცა თანა-მკჳდრთა მადლისა მის ცხორებისათა, 1 პეტ. 3,7; არარაჲთ ნაკლულევან ხართ თქუენ არცაღა ერთითა მადლითა, 1 კორ. 1,7; რაჲთა ამითცა მ. აღემატნეთ, 2 კორ. 8,7; იკურთხა... თანა-გუნდად ჩუენდა მ. მით, 2 კორ. 8,19; ღმერთმან ყოვლისა მადლისამან... განგამტკიცენინ, 1 პეტ. 5,10.

4. კეთილგანწყობა, მწყალობლობა, წყალობის თვალით შეხედვა, სიყვარული: აქუნდა მადლი ყოვლისა მიმართ ერისა, საქმე 2,47; მისცა მას მ., საქმე 7,10; პოვა მ. წინაშე ღმრთისა, საქმე 7,46.

5. ზეგარდმო ბოძებული ნიჭი, უნარი: რომელსამე მადლი კურნებათაჲ მისგანვე სულისა [მიცემულ არს], 1 კორ. 12,9; ანუ ყოველთა ნუ მ. აქუნდეს კურნებისაჲ, 1 კორ. 12,30; გშურდინ მ. იგი უფროჲსი, 1 კორ. 12,31; მიიღო ღმრთისაგან მ., 1 პეტ. 4,10; მაშინღა [დაადგინნა] მადლნი კურნებათანი, 1 კორ. 12,28; ჰბაძევდით მადლთა ამათ უფროჲსთა, 1 კორ. 12,31CD; განყოფანი მადლთანი არიან, ხოლო იგივე სული არს, 1 კორ. 12,4.

6. მადლობა. благодарение: მადლი ღმერთსა, ჰრომ. 6,17; ღმერთსა მ. იესუ ქრისტჱს მიერ. ჰრომ. 7,25; ხოლო ღმერთსა მ., 1 კორ. 15,57; 2 კორ. 2,14; მ. სახიერსა ღმერთსა, 1 კორ. Ⴆ (დასასრ.); ხოლო მ. ღმერთსა, 2 კორ. 8,16; 9,15; უკუეთუ მე მადლით ვჭამ, 1 კორ. 10,30ႨႦ მადლობით ვჭამ; სულიერითა მადლითა უგალობდით... ღმერთსა, კოლ. 3,16; შესხმითა სულიერითა, მადლითურთ უგალობდით... უფალსა, კოლ. 3,16CD მადლობითურთ.

7. მომხიბლაობა, მიმზიდველობა: სიტყუაჲ თქუენი... მადლითა ვითარცა მარილითა შეზავებულ იყავნ. კოლ. 4,6.

8. სიხარული: მოწაფენი იგი აღივსებოდეს მადლითა და სულითა წმიდითა. საქმე 13,52Ⴑ.

მადლიერ-ი მადლობელი: არა ხოლო მე მადლიერ ვარ. ჰრომ. 16,4; მ. ვარ მისა, 1 ტიმ. 1,12.

მადლის-მიცემა, მადლის-ცემა მადლობის თქმა, მადლობის გადახდა, 0—(3)2: არა ღმრთეებრ ადიდეს. გინა მადლსა მისცემდეს, ჰრომ. 1,21ႢႱႨ; არა ღმრთეებრ ადიდეს, გინა მადლ-სცემდეს, ჰრომ. 1,21.

რაოდენსა-მე მადლსა შემძლებელ ვართ მიცემად ღმერთსა, 1 თეს. 3,9.

მადლის მიმცემელ იყვენით. კოლ. 3,15; მადლის (+ა Ⴑ) მისაცემელ იყოს ჩუენთჳს, 2 კორ. 1,11.

მადლობა მადლობის თქმა, მადლიერება, 0—2: ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა. ჰრომ. 1,8; ფილიპ. 1,3; ვ. ღმერთსა ქრისტე იესუს მიერ, ჰრომ. 7,25CD; ვ. ღმერთსა ჩემსა მარადის, 1 კორ. 1,4; ვ. ღმერთსა, 1 კორ. 1,14; 14,18; ფილიპ. 1,3; კოლ. 1,3ႢႱႭႨႧႨႺ; 1 თეს. 1,2ႢႱႭႺ; 2,13; 2 ტიმ. 1,3; რაჲსათჳს ვიგმობი, რომლისათჳს-იგი მე ვ., 1 კორ. 10,30; შენ სამე კეთილად ჰმადლობ, 1 კორ. 14,17; ჰმადლობს ღმერთსა, ჰრომ. 14,6; გმადლობთ შენ, გამოცხ. 11,17; ვჰმადლობთ ღმერთსა, კოლ. 1,3; 1 თეს. 1,2; 2,13ႢႱႭCD; ჰმადლობდა ღმერთსა, საქმე 27,35; 28,15; ჰ. და თქუა, 1 კორ. 11,24; ვჰმადლობდით მამასა, კოლ. 1,12; და ჰმადლობდეს ღმერთსა, საქმე 2,47Ⴍ; არა ღმრთეებრ ადიდებდეს მას, გინა ჰ., ჰრომ. 1,21CD; ჰმადლობდით [ბრძ.] მარადის ყოველთათჳს, ეფეს. 5,20; ჰ. მამასა, კოლ. 1,12ႨႦCD; ჰ. ღმერთსა, კოლ. 3,17; ყოველსა შინა ჰ., 1 თეს. 5,18.

მადლობაჲ [სახელ-ედებინ], ეფეს. 5,4; მ. გჳღირს ღმრთისა, 2 თეს. 1,3; თანა-გუაც მ. მარადის თქუენთჳს, 2 თეს. 2,13; რაჟამს მისცენ... პატივი და მ., გამოცხ. 4,9; მ. და პატივი... ღმრთისა ჩუენისაჲ, გამოცხ. 7,12; მ. იგი გარდაერიოს, 2 კორ. 4,15; მადლობასა შემძლებელ ვართ მიცემად, 1 თეს. 3,9CD; რაჲთა ჰყოფდე... მ., 1 ტიმ. 2,1; ვითარ-მე თქუას „ამენი“ შენსა მას მ., 1 კორ. 14,16; უკუეთუ მე მადლობით ვჭამ, 1 კორ. 10,30; მ. თხოვანი ეგე თქუენნი საცნაურ იყვნედ, ფილიპ. 4,6; აღემატებოდეთ მ., კოლ. 2,7CD; სულიერითა მ. უგალობდით, კოლ. 3,16Ⴍ; ილჳძებდით მას შინა მ., კოლ. 4,2; ღმერთმან დაჰბადნა საზრდელად მ. მორწმუნეთათჳს, 1 ტიმ. 4,3; მ. მიიღებენ, 1 ტიმ. 4,4; შევიწყნარებთ... ყოვლითა მადლობითა, საქმე 24,3; არა დავსცხრები მ. თქუენთჳს, ეფეს. 1,16; აღემატებოდეთ მას შინა მ., კოლ. 2,7ႢႱCD; მადლობითურთ უგალობდით გულთა შინა თქუენთა უფალსა, კოლ. 3,16Ⴚ.

მავალ-ი ნ. სლვა, თანა-მავალი.

მავალობა სიარული, ვადატ. ცხოვრება: არღარაჲ სადმე დასასჯელ არს აწ ქრისტე იესუსთა მათღა არა ჴორცთაებრ მავალობაჲ, არამედ სულისაებრ, ჰრომ. 8,1ႨႦ.

მავნებელ-ი ნ. ვნება.

მათ-ი კუთვნილ. ნაცვალსახელი.

ა) დამოუკიდებლად ხმარებისას: იყო ყოველივე მათი ზოგად. საქმე 4,32; ესმოდა მ., საქმე 10,46ႱႭ; იყო მუნ მ. წელიწადი ერთი, საქმე 11,26; მ. არარაჲ იხარკა გალიონ, საქმე 18,17; არარაჲ სირცხჳლეუჩნდა მ. ღმერთსა, ებრ. 11,16; ვითარცა-იგი მ. იყო. 2

ტიმ. 3.9: ისმჴნდეს მათსა პყრობილნი იგი სხუანი. საქმე 16.25: სოფელი ისმენს მ., 1 იოვ. 4.5.

ბ) მსაზღვრელად: საყოფელი მათი, საქმე 1.20; ესმოდა... კაცად-კაცადსა მათსა თჳსი სიტყუაჲ მ., საქმე 2.6ԳԼ: სიტყუაჲ მ., საქმე 2.11; სიტყუაჲ იგი მ., საქმე 4.4: 10.46: განსლვაჲ მ., საქმე 4.15; სასყიდელი მ., საქმე 4,34; 19.19; მოკლვაჲ მ., საქმე 5,33; ძჳრის-ზრახვაჲ მ., საქმე 9.24ԳԼՕ; მ. მოკლვაჲ. საქმე 12.19: ქუეყანაჲ იგი მ., საქმე 12.20; 13,19ԳԼՕ; მსახურებაჲ იგი მ., საქმე 12.25; ჴმაჲ მ., საქმე 14.11: 22.22; ჰრომ. 10,18; 1 კორ. 14,7Գ; სამოსელი მ., საქმე 14.14; 16.22; მ. კუერთხითა ცემაჲ. საქმე 16.22; დაცვაჲ მ., საქმე 16,23; ნავი მ., საქმე 27.17G; უგულისხმოჲ იგი გული მ., ჰრომ. 1,21; ჴორცი მ., ჰრომ. 3,13; აღსასრული მ., ჰრომ. 6,21; ტაბლაჲ მ., ჰრომ. 11,9; ზურგი მ., ჰრომ. 11,10ԳԼՂ; მ. იგი შეცოდებაჲ. ჰრომ. 11.11; შეცოდებაჲ იგი მ., ჰრომ. 11,12; შემცირებაჲ იგი მ., ჰრომ. 11,12; სავსებაჲ იგი მ., ჰრომ. 11,12; განვრდომაჲ იგი მ., ჰრომ. 11,15; შეწყნარებაჲ მ., ჰრომ. 11.15CD; გონებაჲ იგი მ., 1 კორ. 8,7; მ. იგიცა ნამეტავი იყოს... განსწორებით. 2 კორ. 8,14; მ. იგი ლოცვაჲ, 2 კორ. 9,14; საგონებელ-რადმე-განთაჲ(!) მ., გალ. 2.6Ղb; მ. და თქუენი უფალი, ეფეს. 6.9; მუცელი მ., ფილიპ. 3,19Օ; ძმად წოდებაჲ მ., ებრ. 2,11; განახლებაჲ მ., ებრ. 6,6; თავი მ., ებრ. 6,6; ჴელი მ., ებრ. 8.9; დედაჲ მ., ებრ. 11.35; 11.36CD; აღსრულებაჲ მ., ებრ. 11,35CD; გონებაჲ მ., 2 ტიმ. 3,9; მ. გულიცა. ტიტე 1.15; გესლი იგი მ., იაკ. 5.3; მთავრობის მოყუარჱ იგი მ., 3 იოვ. 1,9; სამკჳდრებელი მ., იუდა 1,6; პირი მ., იუდა 1.16; გმობაჲ იგი მ., გამოცხ. 2,9; სამოსლები მ., გამოცხ. 3,4; რიცხჳ მ., გამოცხ. 5,11; 9.16; მესამედი მ., გამოცხ. 8,12; ტანჯვაჲ მ., გამოცხ. 9.5; ვნებაჲ მ., გამოცხ. 11.5; მოკუდომაჲ მ., გამოცხ. 11,5B; წამებაჲ მ., გამოცხ. 11,7; უფალი მ., გამოცხ. 11,8; მძორები მ., გამოცხ. 11,8; 11.9; საქმჱ მ., გამოცხ. 14.13; მეფობაჲ მ., გამოცხ. 17.17; ნაწილი მ., გამოცხ. 21,8; ჴელმწიფებაჲ მ., გამოცხ. 22,14; მათიცა იგი ნამეტავი, 2 კორ. 8,14ԳԼՕՂ.

ვიდრემდის აღესრულნენ მათ თანა-მონანი და ძმანი მათნი, გამოცხ. 6,11 მათი თანამებრძოლები, сотрудники их.

ურწმუნოებამან მათმან, ჰრომ. 3,3ՂCD; სიგლახაკემან მ., 2 კორ. 8,2; უმეტჱსმან სიხარულმან მ., 2 კორ. 8.2; სიტყუამან მ., 2 ტიმ. 2.17; თჳსმანვე მ. წინაჲსწარმეტყუელმან, ტიტე 1,12.

კაცად-კაცადსა მათსა. საქმე 2,3; 2,6; თქუმასა ამას მ. ზედა, საქმე 4,29; ლოცვასა მ., საქმე 4.31; მოკლვასა მ., საქმე 5,33ԳԼՕ; სამოსელსა მ., საქმე 7,58: 22,23; ჴელსა მ., საქმე 8,17; შესაკრებელსა მ., საქმე 13,14ԳԼՕ; შესლვასა მ., საქმე 14.1ԳԼՕ; კრებულსა მ., საქმე 23,20; 23,28; ჰრომ. 16,5; გულსა შინა მ., ჰრომ. 2,15Գ; ურწმუნოებასა მ. ზედა, ჰრომ. 11,23; ნაყოფსა მ., ჰრომ. 15,28; ყოველსა ადგილსა მ., 1 კორ. 1,2CD: გონებასა მ., 1 კორ. 8.12; გულსა მ., 2 კორ. 3,15; არა-წმიდებასა მას მ. ზედა. 2 კორ. 12,21; მ. მას ორგულებასა, გალ. 2,13; სირცხჳლსა შინა მ., ფილიპ. 3,19; უმჯობჱსი მ., ებრ. 1,4; განმწარებასა მ., ებრ. 3.15Ղ; უმჯობჱსითა მსხუერპლითა არიან მ., ებრ. 9,23ԳեՂ; სარწმუნოებასა მ., ებრ. 13,7ՕCD; ჭირსა შინა მ., იაკ. 1,27; მშარიჟებელსა მას მ., იაკ. 3,4ԳԼՕ; მოწეჳნულსა მას მ. მადლსა, 1 პეტ. 1.13; ლოცვასა მ. ზედა, 1 პეტ. 3,12; მ. მას არა-წმიდებასა. 2 პეტ. 2,2; წარსაწყმედელსა მ., 2 პეტ. 2.3; ხრწნილებასა მ. შინა. 2 პეტ. 2.12ԳԼՕ; სიყუარულსა შინა მ., 2 პეტ. 2.13; საცთურსა შინა მ., 2 პეტ. 2.13ԳԼՕ; სახედ მ. ისიძვიდეს. იუდა 1,7; გარემოის მ. ქალაქები იგი. იუდა 1.7; მძორებსა მ., გამოცხ. 11,9; შუბლსა ზედა მ., გამოცხ. 13.16; ჴელსა მ. ზედა, გამოცხ. 13,16; პირსა მ., გამოცხ. 14.5; ჴელმწიფებასა მ., გამოცხ. 17,13; ტჳრთსა მ., გამოცხ. 18,11.

დაადგინნეს იგინი შორის მათსა, საქმე 4,7; მოვიდა შორის მ., საქმე 5,7; არარაჲ განიკითხა შორის ჩუენსა და მ., საქმე 15,9ԳԼՕ; პავლე გამოვიდა შორის მ., საქმე 17,33; დაადგინა შორის მ., საქმე 22,30; გამოტაცებაჲ მისი შორის მ., საქმე 23.10; პავლე აღდგა შორის მ., საქმე 27,21; გამოვედით შორის მ., 2 კორ. 6,17.

დადუმებისა მათისა, საქმე 15,13; ქალაქისაგან მ., საქმე 16,39; მსგავსად ბრძანებულისა მ., საქმე 23,31; ნებისაებრ მ., საქმე 27,13; მსგავსად ძალისა მ., 2 კორ. 8,3; მ. მის ნაკლულევანებისა, 2 კორ. 8.14; სახლისა მ. კრებულთა, კოლ. 4.15CD; საქმისათჳს მ., 1 თეს. 5,13CD; ცხორებისა მ., ებრ. 2,10Ղb; ყოვლისა ცილობისა მ., ებრ. 6,16; თავისა მ., 1 ტიმ. 6,19; იუდა 1,16; მსგავსად მ. მის წარწყმედისა, 2 პეტ. 3.16G; პირისაგან მ., გამოცხ. 11.5; შიშისა მათისაგან, 1 პეტ. 3,14; სიძვისა მ., გამოცხ. 9,21; მათისაებრ ნებისა, ებრ. 12.10; კაცად-კაცადისა მათისათჳს, საქმე 21,26; საქმისა მ., 1 თეს. 5,13; თავისა მ., 2 პეტ. 2,1ԳԼՕ; მსგავსად მათისავე მის წარწყმედისა, 2 პეტ. 3.16.

თანა-მკჳდრითურთ მათით კრებულით. 1 კორ. 16,19; მცირითგან მ. ვიდრე დიდადმდე, ებრ. 8,11CD; თჳსითა სიტყჳთა მათითა, საქმე 1.19; 2,6Օ; ენითა მ., საქმე 2,8; ჰრომ. 3,13; გულითა მ., საქმე 7,39; 7,54; ებრ. 3,10; ჴელითა მ., საქმე 14,3: 15,12; 15,23; გულის ზრახვითა მ., ჰრომ. 1.21: გულის თქუმითა მ., ჰრომ. 1,27; მ. მით შეცოდებითა. ჰრომ. 11,11CD; ურწმუნოებითა მ., ჰრომ. 11,20; ებრ. 4,6Ծ; მ. მით ურჩებითა, ჰრომ. 11,30; მეცნიერებითა მ., 1 კორ. 3,19; ჴრწნილებითა მ., 2 პეტ. 2,12; კუდებითა მ., გამოც. 9,10; ჴორცითა მ., გამოცხ. 19,21; მთავრებით მათითურთ, საქმე 14,5.

ჴელნი მათნი, საქმე 4.3; 5,18; 6,6; 21,27; სულთქუმანი მ., საქმე 7,34; მთავარნი იგი მ., საქმე 13,27; გულნი მ., საქმე 15,9; კოლ. 2,2; თავნი მ., საქმე 15,26C; 21,24ԳԼՕ; ეფეს. 4,19ԳԼCD; გამოცხ. 6,15; ფერჴნი მ., საქმე 16,24; ჰრომ. 3,15; მუჴლნი მ., საქმე 21.5; ჰრომ. 11,4; ცოდვანი მ., საქმე 26,18; ჰრომ. 11.27; 2 კორ. 5,19; 1 თეს. 2,16; ებრ. 8,12; 10,17; თუალნი მ., 28,27; ჰრომ. 11.10; ჴორცნი მ., ჰრომ. 1,24; გონებანი მ., ჰრომ. 2,15ԳԼ; 2 კორ. 3.14; სიტყუანი მ., ჰრომ. 10,18; ზურგნი მ., ჰრომ. 11,10; ქედნი მ., ჰრომ. 16,4; კრებულნი მ., ჰრომ. 16,5ԳԼՂCD; უშჯულოებანი მ., ებრ. 8,12; 10,17CD; მკუდარნი მ., ებრ. 11,35; ცოლნი მ., 1 ტიმ. 3,11; სასმენელნი მ., 2 ტიმ. 4,4; ძმანი მ., გამოცხ. 6,11; სამოსელნი მ., გამოცხ. 7,14; პირნი მ., გამოცხ. 9,7; კბილნი მ., გამოცხ. 9,8; კუდნი მ., გამოცხ. 9,19; ჴმანი მ., გამოცხ. 10,3; სულნი მ., გამოცხ. 12,11; მჴედრობანი მ., გამოცხ. 19,19.

შვილთა მათთა [მოთხრ.], საქმე 21,21; დედათა მ., ჰრომ. 1,26; მამათა მ., ჰრომ. 1,27; მტერთა მ., გამოცხ. 11,12.

ყრმათა მათთა [მიც.], საქმე 7,19; კბილთა მ., საქმე 7,54; ჴელთა მ., საქმე 12,6; 15,30; გამოცხ. 7,9; 20,4; შვილთა მ., საქმე 13,32; შესაკრებელთა მ. შორის, საქმე 15,21ႢႪႭ; მთავართა მ., საქმე 16,19ႤႪႭ; საქმეთა მ., საქმე 19,18; თავთა შორის მ., ჰრომ. 1,24b; გულთა შინა მ., ჰრომ. 2,15; ბაგეთა მ., ჰრომ. 3,13; სულიერთა მ., ჰრომ. 15,27Ⴄb; მამათა მ., ებრ. 8,9; გულთა მ., ებრ. 8,10; 10,16; გამოცხ. 17,17; გონებათა მ. (+ზედა CD), ებრ. 10,16; ლოცვათა მ. ზედა, 1 პეტ. 3,12F; თავთა მ. ზედა, გამოცხ. 4,4; გჳრგჳნთა მ., გამოცხ. 4,10; შუბლთა ზედა მ., გამოცხ. 7,3; 9,4; 14,1; 22,4; პირთა ზედა მ., გამოცხ. 7,11; თავთა ზედა მ., გამოცხ. 9,7; 18,19; პირთა შინა მ., გამოცხ. 9,19; მტერთა მ., გამოცხ. 11,5; საყდართა ზედა მ., გამოცხ. 11,16; ათძალთა მ., გამოცხ. 14,2; მკერდთა მ. ზედა, გამოცხ. 15,6; წყლულებათა ზედა მ., გამოცხ. 16,9.

თუალთაგან მათთა [ნათ.], საქმე 1,9; გამოცხ. 7,17; 21,4; აღხილვად თუალთა მ., საქმე 26,18; ჭორცთა მ., ჰრომ. 1,24CD; გზათა მ., ჰრომ. 3,16; წინაშე თუალთა მ., ჰრომ. 3,18; თავთა მ., ებრ. 6,6CD; მხილებად ყოველთა ულმრთოთა (ულმრთოებათა Ⴍ) მ., იუდა 1,15ႪႭ; საქმეთაგან მ., გამოცხ. 2,22; პირთაგან მ., გამოცხ. 9,18; ფერჴთა ზედა მ., გამოცხ. 11,11; შრომათაგან მ., გამოცხ. 14,13; საქმეთაებრ მ., გამოცხ. 20,12; პირთა მათთაგან, გამოცხ. 9,17; მწამლველობათა მ., გამოცხ. 9,21; კაცისმკლველობათა მ., გამოცხ. 9,21; მპარვობათა მ., გამოცხ. 9,21; საქმეთა მ., გამოცხ. 16,11; ტკივილთა მ., გამოცხ. 16,11; საქმეთა მათთაებრ, ჰრომ. 2,6; 2 კორ. 11,15; ცოდვათა მათთათჳს, ებრ. 10,18Ⴊ.

სასოებაჲ იგი სარეწაჲსა მათისაჲ, საქმე 16,19; რომელი ჯერ-უჩნ საცთურისა მ., ჰრომ. 1,27; წინამძღუარი იგი ცხორებისა მ., ებრ. 2,10; სასყიდელი სიცრუეისა მ., 2 პეტ. 2,13; სიმდიდრესა მას უხუებისა მათისასა, 2 კორ. 8,2; გამოსლვასა მას ცხორებისა მ., ებრ. 13,7; თანა-მოწამებითა გონებისა მათისაჲთა, ჰრომ. 2,15; ამაოებითა გონებისა მ., ეფეს. 4,17; სიბრმითა გულისა მ., ეფეს. 4,18; საზღვრის დადებანი დამკჳდრებისა მათისანი, საქმე 17,26; გზათა ნებისა მათისათა [ნათ.-მიც.], საქმე 14,16; დღეთა მათ წინაწარმეტყუელებისა მ., გამოცხ. 11,6; ძიებათათჳს შჯულისა მათისათა (მათისთა F) [ნათ.-ნათ.], საქმე 23,29; ყოველთათჳს საქმეთა ულმრთოებისა მ., იუდა 1,15.

შეკრებაჲ მთავართა მათთაჲ, საქმე 4,5; მსახურებაჲ იგი... ქურივთა მ., საქმე 6,1; მტუერი ფერჴთა მ., საქმე 13,51ႪႭ; ჴმაჲ ფრთეთა მ., გამოცხ. 9,9; შეკრებაჲ მთავართა მათთა და ხუცესთაჲ, საქმე 4,5HI; ქმნულსა ჴელთა მათთასა, საქმე 7,41ႢႪႭ; გულის თქუმასა გულთა მ., ჰრომ. 1,24; საქმეთაგან ჴელთა მათთაჲსა, გამოცხ. 9,20; ქმნულითა ჴელთა მათთაჲთა, საქმე 7,41; დაბნელებითა გულთა მ., ეფეს. 4,18ႭႤ.

მათგან-ი: იყო კაცი ერთი მოწაფეთა მათგანი, საქმე 9,10Ⴂ; აღდგა ერთი მ., საქმე 11,28; ვაცხოვნო ვინმე მ., ჰრომ. 11,14; უკუეთუ ვინმე რტოთა მ. გარდასტყდეს, ჰრომ. 11,17; არცა ერთი მ. არს უჴმო, 1 კორ. 14,10; ათეული მისცა აბრაჰამ რჩეულთა მ., ებრ. 7,4; თქუა ვინმე მათგანმან, ტიტე 1,12; ერთმან მღდელთა მ. მრქუა მე, გამოცხ. 5,5; აჩრდილი ოდენ ვისმე მიადგეს მათგანსა, საქმე 5,15; არა იყო არცა ერთსა მ. ზედა მოწევნულ სული წმიდაჲ, საქმე 8,16; რომელნი-ესე მათგანნი ვართ მარნი და უცხონი, საქმე 2,8Ⴂ; იყვნეს ვინმე მ., საქმე 11,20; გამოარჩინეს კაცნი მ., საქმე 15,22ႪႭ; უმზირიან მ. კაცნი, საქმე 23,21; ვაცხოვნნე ვინმე მ., ჰრომ. 11,14CD; უკუეთუ რტოთა მ. ვინმე გარდასტყდეს, ჰრომ. 11,17CD; არა მრავალნი მ. სათნო-იყვნა ღმერთსა, 1 კორ. 10,5CD; ნუცა კერპთ-მსახურ იქმნებით, ვითარცა-იგი მ. ვინმე, 1 კორ. 10,7; მ. ვინმე დრტჳნვიდეს, 1 კორ. 10,10; მ. არიან, 2 ტიმ. 3,6Ⴄ; ძმათა მათგანნიცა... მიჰყვეს მას, საქმე 10,23Ⴂ; უმრავლესთა მათგანთა [მოთხრ.] არა უწყოდეს, საქმე 19,32ႪႭ; მრავალთა მ. დაიდვეს გულსა, საქმე 27,12; ვიეთმე მ. ისიძვეს, 1 კორ. 10,8CD; ვითარცა-იგი მ. ვიეთმე გამოცადეს, 1 კორ. 10,9CD; რომელთამე მათგანთა [მიც.] ჰრწმენა, საქმე 17,4; მრავალთა უკუე მ. ჰრწმენა, საქმე 17,12F; გამორჩევად კაცთა მ., საქმე 15,22; მრავალთა მათგანთაცა ჰრწმენა, საქმე 17,12; მესმა ერთისა ცხოველთა მათგანისაჲ, გამოცხ. 6,1; აღსლვაჲ პავლესი... და სხუათა ვიეთიმე მათგანთაჲ, საქმე 15,2.

მათთანა მათთან მყოფი, მათგანი: რომელთაგანი იყო დიონოსიოს არიოპაგელი... და სხუანი მათთანანი, საქმე 17,34; კითხვაჲ არქუთ... ერმას და მათთანათა მათ ძმათა, ჰრომ. 16,14; კითხვაჲ არქუთ... მ. მათ ყოველთა წმიდათა, ჰრომ. 16,15.

მაიძულებელ-ი ნ. იძულება.

მაკაბელ-ი სადაურ. სახელი: აღდგომასა ღირს იქმნენ მაკაბელნი შჳდნი ძმანი, ებრ. 11,35; გუემითა განიცადნეს... მ., ებრ. 11,36CD.

მაკედონელ-ი, მაკედონიელ-ი, მაკედონის-ი სადაურ. სახელი, მაკედონიის მცხოვრები: კაცი ვინმე იყო მაკედონელი, საქმე 16,9; ჩუენ თანა იყო არისტარხოს მ. (მაკედონისი Ⴚ), საქმე 27,2ႢႪႭ; თანა წარიტაცნეს გაიოს და არისტარქოს მაკედონელნი, საქმე 19,29ႪႭ; მო-რაჲ-ვიდენ მ. ჩემ თანა, 2 კორ. 9,4; ვიქადი მაკედონელთა (მაკედონიელთა Ⴊ) თანა, 2 კორ. 9,2; იგი არს პირველი ნაწილი მაკედონელთაჲ (მაკედონელთა Ⴂ), საქმე 16,12.

მაკედონია ნ. მაკედონელი.

მაკედონის-ი ნ. მაკედონელი.

მაკუდინებელ-ი მომაკუდინებელი, სასიკუდილო: ენაჲ... კაცთაჲ... სავსე გესლითა მაკუდინებელითა, იაკ. 3,8.

მალე სწრაფი, ჩქარი: მალე არიან ფერჴნი მათნი დასთხევად სისხლისა, ჰრომ. 3,15.

მალედ ზმნზ. სწრაფად, ჩქარა, მალე: მალედ წარმოვედით, საქმე 21,1.

მალიად ზმნზ. სწრაფად, ჩქარა, მალე: უკუეთუ მალიად მოვიდეს, ებრ. 13,23D.

მამა 1. რელიგ. მამაღმერთი, შემოქმედი, შემოქმნელი ყოვლისავსი: ვიყო მე თქუენდა მამა, 2 კორ. 6,18; მე ვიყო მისა მ., ებრ. 1,5; ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამაჲ, 1 კორ. 8,6; კურთხეულ არს ღმერთი და მ. უფლისა ჩუენისა, 2 კორ. 1,3; ეფეს. 1,3; 1 პეტ. 1,3; ერთ არს

ღმერთი და მ. ყოველთაჲ, ეფეს. 4,6; რამეთუ იცანთ მ., 1 იოვ. 2,13ႢႪႭ; რომელმან უვარ-ყოს მ., 1 იოვ. 2,22; მის თანა არცა მ. არს, 1 იოვ. 2,23; მ. არცა მის თანა არს, 1 იოვ. 2,23; მამაჲცა არს მის თანა, 1 იოვ. 2,23Ⴍ; მის თანა ძჱცა და მ. არს, 2 იოვ. 1,9.

რომელ-იგი მამამან დადვა, საქმე 1,7; მ. უფლისა ჩუენისა... იცის, 2 კორ. 11,31; იესუ ქრისტჱსმან მ. მოგცეს თქუენ სული, ეფეს. 1,17; მ. ... იესუ ქრისტჱსმან... მოგცეს თქუენ, ეფეს. 1,17D; ღმერთმან და მ. ჩუენმან... წარჰმართენინ გზანი ჩუენნი, 1 თეს. 3,11; მ. ჩუენმან... შემიყუარნა ჩუენ, 2 თეს. 2,16; რაჲდენი სიყუარული მომცა ჩუენ მ., 1 იოვ. 3,1; მ. მოავლინა ძჱ მაცხოვრად სოფლისა, 1 იოვ. 4,14.

ადიდებდეთ ღმერთსა და მამასა... იესუ ქრისტჱსსა, ჰრომ. 15,6; რაჟამს მოსცეს სუფევაჲ ღმერთსა და მ., 1 კორ. 15,24; ჰმადლობდით... ღმერთსა და მ., ეფეს. 5,20; ღმერთსა და მ. ჩუენსა დიდებაჲ, ფილიპ. 4,20; ვჰმადლობთ ღმერთსა და მ. უფლისა ჩუენისასა, კოლ. 1,3; 1 თეს. 1,2Ⴁ; ჰმადლობდით ღმერთსა და მ. მის მიერ, კოლ. 3,17; მით ვაკურთხევთ ღმერთსა და მ., იაკ. 3,9; არა-მე უფროს დავემორჩილნეთა მ. მას სულთასა, ებრ. 12,9.

მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა, ჰრომ. 1,7; 1 კორ. 1,3; ეფეს. 1,2; ფილიპ. 1,2; კოლ. 1,3; 1 თეს. 1,1CD; ფილემ. 1,3; მადლი თქუენდა... ღმრთისა მიერ მ. და უფლისა ჩუენისა, 2 კორ. 1,2; 2 თეს. 1,2; პავლე, მოციქული... იესუ ქრისტჱს მიერ და ღმრთისა მ. [გიკითხავს], გალ. 1,1; მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მ., გალ. 1,3; ნებითა ღმრთისა და მ. ჩუენისაჲთა, გალ. 1,4; მშჳდობაჲ ძმათა... ღმრთისა მიერ მ., ეფეს. 6,23; აღუვაროს, რამეთუ უფალი იესუ ქრისტჱ სადიდებლად ღმრთისა მ., ფილიპ. 2,11; ღმრთისა მიერ მ. მადლი თქუენდა, 1 თეს. 1,1; მოუკლებელად მოვიჴსენებთ... წინაშე ღმრთისა და მ. ჩუენისა, 1 თეს. 1,3; განმტკიცნენ გულნი თქუენნი... მ. ჩუენისა მოსლვასა, 1 თეს. 3,13; [გიკითხავთ] ღმრთისა მიერ მ. ჩუენისა, 2 თეს. 1,1; ტიმოთეს... მადლი... ღმრთისა მიერ მ., 1 ტიმ. 1,2; 2 ტიმ. 1,2; ტიტეს... მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მ., ტიტე 1,4; მსახურებაჲ წმიდაჲ... ღმრთისა მიერ და მ. ესე არს, იაკ. 1,27; მოიღო ღმრთისაგან მ. პატივი, 2 პეტ. 1,17; იყოს ჩუენ თანა... წყალობაჲ ღმრთისა მიერ მ., 2 იოვ. 1,3; თქუენ, ღმრთისა მიერ მ. შეყუარებულთა, იუდა 1,1; მყვნა ჩუენ... მღდელ ღმრთისა და მ. თჳსისა, გამოცხ. 1,6; აქუნდა სახელი მისი და სახელი მ. მისისაჲ, გამოცხ. 14,1.

აღთქუმაჲ სულისაჲ მიიღო მამისაგან, საქმე 2,33; ნიჭი... ზეგარდამოსრული არს მ. ნათლისაჲსა, იაკ. 1,17; არა არს ესე მ., 1 იოვ. 2,16; მცნებაჲ მოვიღეთ მ., 2 იოვ. 1,4; ვითარცა მე მოვიღე მ., გამოცხ. 2,27; რომელი იყო მამისა თანა, 1 იოვ. 1,2; თქუნცა მ. თანა და ძისა თანა ეგნეთ, 1 იოვ. 2,24; გაქუნდეს... ზიარებაჲ იგი ჩუენი მ. თანა, 1 იოვ. 1,3; დავჯედ მ. ჩემისა თანა საყდარსა მისსა, გამოცხ. 3,21; რომელმან მ. ჩუენისა მიერ... სთქუ, საქმე 4,25; მაქუს ჩუენ მიახლებაჲ იგი... მ. მიმართ, ეფეს. 2,18; მოვიდრეკ მუჴლთა ჩემთა მ. მიმართ, ეფეს. 3,14; ნუგეშინის-მცემელი გუაქუს მ. მიმართ იესუ ქრისტე, 1 იოვ. 2,1; აღვიარო სახელი მისი წინაშე მ. ჩემისა, გამოცხ. 3,5.

უკუეთუ მამით ხადით მას, 1 პეტ. 1,17.

რაჲთა იყოს იგი მამად ყოველთა მორწმუნეთა, ჰრომ. 4,11.

რომლითა ვღაღადებ: აბბა, მამაო, ჰრომ. 8,15; რომლითა ღაღადებთ: აბბა, მ., გალ. 4,6.

სიყუარული ღმრთისა და მამისაჲ, 2 კორ. 13,13CD; არა არს სიყუარული მ. მის თანა, 1 იოვ. 2,15ႢႪႭ; მოელოდეთ აღთქუმასა მამისასა, საქმე 1,4ႢႪႭ; საიდუმლოსა მას ღმრთისასა და მ., კოლ. 2,2; იყოს ჩუენ თანა მადლი... ქრისტე იესუჲს მიერ ძისა მამისაჲსა, 2 იოვ. 1,3; ვითარცა აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაჲთა, ჰრომ. 6,4; წინაჲსწარ ცნობითა ღმრთისა მ., 1 პეტ. 1,2.

2. მშობელი. მამა, отец: წარმართი იყო მამაჲ მისი, საქმე 16,3; იყო მ. პოპლიოჲსი... სნეულ, საქმე 28,8; დაუტეოს კაცმან მ. თჳსი, ეფეს. 5,31; ვითარცა მ. შვილსა, ეგრეთ ნუგეშინის-გცემდით, 1 თეს. 2,11; ვითარცა მამამან შვილსა, ეგრეთ ჰმონა, ფილიპ. 2,22ႼႪ; ვინმე არს შვილი, რომელი არა სწავლის მ., ებრ. 12,7; მოუწოდა იაკობს, მამასა თჳსსა, საქმე 7,14; პატივ-ეც მ. შენსა, ეფეს. 6,2; ვითარცა მ. შვილმან, ეგრე ჰმონა, ფილიპ. 2,22; მოხუცებულსა ჰლოცევდ ვითარცა მ., 1 ტიმ. 5,1; არცა წარმართთა შორის სახელ-ედების, ვითარმცა მამის ცოლი ვისმე ცოლად ესუა, 1 კორ. 5,1; გიკითხავს თქუენ მარკოს, მ. ძმის წული ბარნაბაჲსი, კოლ. 4,10; მართალსა შჯულ არა უც, არამედ... მ. (+ა ႢႪ) მაგინებელთა, 1 ტიმ. 1,9; შემდგომად სიკუდილისა მამისა მისისა მოვიდა ქუეყანასა ამას, საქმე 7,4; იზარდებოდა... სახლსა შინა მ. თჳსისასა, საქმე 7,20; ძჱ იყო... მ. წარმართისაჲ, საქმე 16,1; ვიდრე ადგილად მოდგომადმდე მ. თჳსისა, გალ. 4,2; წელთაღა შინა მ. იყო, ებრ. 7,10Ⴊ.

მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, კოლ. 3,21; უკუეთუმცა გუესხნეს ჴორციელნი მ., ებრ. 12,9; მ. ეგე ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, ეფეს. 6,4; ბოროტსა უყოფდა მამათა ჩუენთა, საქმე 7,19; წელთაღა შინა მამისათა იყო, ებრ. 7,10.

3. იხმარება მრ. რიცხვში, წინაპრები, მამა-პაპა, предки: არა ჰპოვებდეს საზრდელსა მამანი ჩუენნი, საქმე 7,11; წარავლინნა მ. ჩუენნი, საქმე 7,12; აღესრულა იგი და მ. ჩუენნი, საქმე 7,15; წინა-აღუდგებით, ვითარცა მ. თქუენნი, საქმე 7,51; ღმერთმან... გამოირჩინა მ. ჩუენნი, საქმე 13,17; მ. ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყვნეს, 1 კორ. 10,1; რომელიცა შემოიღეს... მამათა [მოთხრ.] ჩუენთა, საქმე 7,45; რომელნი-მე წინაწარმეტყუელთაგანნი არა დევნნეს მ. (+მათ ႼႪႭ) თქუენთა, საქმე 7,52; ვერცა მ. ჩუენთა, ვერცა ჩუენ შეუძლეთ ტჳრთვად, საქმე 15,10; განმცადეს მე მ. თქუენთა, ებრ. 3,9; ვინაჲთგან მ. დაისუენეს, 2 პეტ. 3,4; არა ინებეს დამორჩილებად მ. მათ ჩუენთა, საქმე 7,39; რომელი-იგი აღუთქუა ღმერთმან მამათა [მიც.] თქუენთა, საქმე 3,25; ეტყოდა მ. ჩუენთა, ებრ. 1,1; აღუთქუ მ. მათთა, ებრ. 8,9; რომელი-იგი ეტყოდა მას მთასა სინასა მ. მათ ჩუენთა, საქმე 7,38; რომელი-იგი აღთქუმულ იყო მ. მათ თქუენთა, საქმე 13,32; ღმერთმან მამათა [ნათ.] ჩუენთამან ადიდა, საქმე 3,13; ღმერთმან მ. ჩუენთამან აღადგინა იესუ, საქმე 5,30; მე ვარ ღმერთი მ. შენთაჲ, საქმე 7,32; რომელნი-იგი მოსპნა ღმერთმან პირისაგან მ. ჩუენთაჲსა, საქმე 7,45; ღმერთმან მ. ჩუენთამან გამოგირჩია

შენ. საქმე 22.14; ვჰმსახურებ მ. ღმრთისა. საქმე 24,14; სასოებისათჳს მ. ჩუენთაჲსა აღთქუმისა… განვიკითხვი. საქმე 26.6; კეთილად იტყოდა სული წმიდაჲ… მ. თქუენთათჳს. საქმე 28.25; იჴსნენით თქუენ ამაოჲსა მისგან მ. მოცემულისა სლვისა. 1 პეტ. 1,18; შეეძინა იგი მ. თანა, საქმე 13,36; რომელი იყო მ. ჩუენთა თანა, საქმე 7.44; მოსე თქუა მ. მიმართ, საქმე 3,22ႪႭ; გახარებთ მ. მიმართ ქმნილსა მას აღთქუმასა. საქმე 13,32ႪႭ; რაჲთა მტკიცე იყოს აღთქუმაჲ იგი მამათაჲ, ჰრომ. 15,8; დასამტკიცებელად აღთქუმასა მას მამათასა, ჰრომ. 15,8CD.

4. გადატ. მამამთავარი (ებრაელებისა), პატრიარქი, родоначальник: რომელ არს მამაჲ ჩუენ ყოველთაჲ. ჰრომ. 4,16 იგულისხმება აბრაჰამი; აბრაჰამ, მ. ჩუენი, საქმეთაგან განმართლდა, იაკ. 2,21; იპოვა-მეა აბრაჰამ, მ. იგი ჩუენი, ჴორციელად, ჰრომ. 4,1; ღმერთი… ეჩუენა მამასა ჩუენსა აბრაჰამს, საქმე 7,2; რაჲ-მე უკუე ვთქუათ აბრაჰამისგან, მამისა ჩუენისა, პოვნად, ჰრომ. 4,1D; რომელნი ჰგიან კუალთა მათ წინადაუცუეთილებისა სარწმუნოებისათა მ. ჩუენისა აბრაჰამისთა, ჰრომ. 4,12; რებეკასცა ერთისაგან საწოლისა ესუა ისაკ მ. ჩუენისა, ჰრომ. 9,10; მამად მრავალთა თესლთა დაგადგინე შენ, ჰრომ. 4,17; რაჲთა იყოს იგი მ. მრავალთა თესლთა, ჰრომ. 4,18; რომელთანი იყვნეს მამანი, ჰრომ. 9.5; რჩეულებისა მისგან — საყუარელ მამათათჳს, ჰრომ. 11,28.

5. შემქმნელი, შემოქმედი, დამწყები, საფუძვლის ჩამყრელი, ფუძემდებელი: კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, მამაჲ მოწყალებათაჲ, 2 კორ. 1,3; რაჲთა იყოს იგი… მამად წინადაცუეთილებისა, ჰრომ. 4,12.

6. სულიერი მამა: დაღაცათუ ბევრ მზარდულ გესხნეს თქუენ ქრისტჱს მიმართ, არამედ არა მრავალ მამა, 1 კორ. 4,15.

7. პატივისცემით მიმართვა, იხმარება ზრდილობიანი მიმართვისას უმცროსისა უფროსისადმი: კაცნო, ძმანო და მამანო, ისმინეთ ჩემი, საქმე 7,2; 22,1; მივწერ(!) თქუენდა, მ., რამეთუ იცანთ პირველი იგი, 1 იოვ. 2,13; მივწერე თქუენდა, მ., რამეთუ იცანთ პირველი იგი, 1 იოვ. 2,14ႪႭ.

8. მამაკაცი, мужчина: თუ ვინმე პოვნეს ამის მოძღურებისა გზასა, მამები ანუ დედები, საქმე 9,2; სახლებსა შევიდოდა და გამოითრევდა მამებსა და დედებსა, საქმე 8,3; ჰრწმენა… დედათა მრავალთა და მ. არა მცირედსა, საქმე 17,12; ნათელს-იღებდეს მამანი და დედანი, საქმე 8,12; მ. მამათა თანა სარცხჳნელსა იქმოდეს, ჰრომ. 1,27; მამათა [მოთხრ.] მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი დედათაჲ. ჰრომ. 1,27; მივსცემდი საპყრობილესა მამათა [მიც.] და დედათა, საქმე 22,4; ჭაპუკთა მ. (+მათ Ⴂ) ევრევე ჰლოცევდ, ტიტე 2,6; შეეძინებოდა სიმრავლჱ მამათა [ნათ.] და დედათა მორწმუნეთაჲ, საქმე 5,14; მამანი მ. თანა სარცხჳნელსა იქმოდეს, ჰრომ. 1,27; შეეძინებოდეს მორწმუნენი… სიმრავლე მამათაჲ და დედათაჲ, 5,14DEH; მნებავს უკუე ლოცვაჲ მ., 1 ტიმ. 2,8.

მამა-დედა დედ-მამა, მშობლები: იყვნენ კაცნი მამა-დედის (+ა ႪႢCD) ურჩ, 2 ტიმ. 3.2Ⴍ; იყვნენ კაცნი… მამის-დედის ურჩ. 2 ტიმ. 3.2AႨ; უუნჯებელ… მამა-დედანი შვილთა, 2 კორ. 12.14; უკუეთუმცა გუესხნეს ჴორციელნი მ., ებრ. 12,9CD; მოსე… დამალეს… მამა-დედათა [მოთხრ.] მისთა, ებრ. 11,23; არა შვილნი მამა-დედათა [მიც.] უუნჯებედ. 2 კორ. 12,14; მორჩილ იყვენით მ. თქუენთა, ეფეს. 6,1; შვილნი დაემორჩილენით მ. თქუენთა, კოლ. 3,20; პატივ-სცემდე მ., 1 ტიმ. 5,4; მამა-დედათა [ნათ.] ურჩ იყვნეს, ჰრომ. 1,30; იყვნენ კაცნი… მ. ურჩ, 2 ტიმ. 3,2Ⴇ.

მამათმავალ-ი, მამადმავალ-ი: არცა მამათმავალთა (მამადმავალთა Ⴂ) [მოთხრ.], არცა მპარავთა… სასუფეველი ღმრთისაჲ არა დაიმკჳდრონ, 1 კორ. 6,9; მართალსა შჯული არა უც, არამედ… მამათმავალთა [მიც.], 1 ტიმ. 1,10.

მამათმთავარ-ი პატრიარქი, родоначальник: ათეული მისცა აბრაჰამ რჩეულთა მათგანი მამათმთავარმან მან, ებრ. 7,4; ჯერ-არს თქუმად განცხადებულად თქუენდა მიმართ მამათმთავრისა დავითისთჳს, საქმე 2,29; მამათმთავარნი იგი ეშურებოდეს იოსებს, საქმე 7,9; წინადასცჳთა… იაკობმან ათორმეტთა მათ მამათმთავართა, საქმე 7,8.

მამაკაც-ი: დამიტევებიეს თავისა ჩემისა შჳდ ათას ოდენ მამაკაც, ჰრომ. 11.4; ოდეს ვიქმენ მ., 1 კორ. 13,11; დამიტევებიეს თავისა ჩემისა შჳდ ათასი მამაკაცი, ჰრომ. 11,4CD; არა მ. დედაკაცისაგან არს, 1 კორ. 11,8; ყოველი მ., რომელი ილოცვიდეს, 1 კორ. 11,4; არა დაებადა მ. დედაკაცისათჳს, 1 კორ. 11,9; არცა მ. [არს] თჳნიერ დედაკაცისა, 1 კორ. 11,11; მამაკაცმან თუ გარდაუტეოს თმაჲ გრძელად, 1 კორ. 11,14; მიგათხოვენ თქუენ ერთსა მამაკაცსა, 2 კორ. 11,2; ყოვლისა მამაკაცისა თავ ქრისტჱ არს, 1 კორ. 11,3; მ. არა ჯერ-არს დაბურვაჲ თავისაჲ 1 კორ. 11,7; დედაკაცი მამაკაცისაგან არს, 1 კორ. 11,8; არა [არს] დედაკაცი თჳნიერ მამაკაცისა, 1 კორ. 11,11; არამედ დედაკაცი მამაკაცისათჳს [დაებადა], 1 კორ. 11,9; მივეწიფენით… მამაკაცად სრულად, ეფეს. 4,13; ანუ შენ რაჲ იცი, მამაკაცო, 1 კორ. 7,16; არა არს რჩევა მამაკაცისა [ნათ.-წრფ.], გალ. 3.28; არა არს რჩევაჲ მამაკაცისაჲ, გალ. 3,28Ⴊ.

მამობა ტომი, მოდგმა, ხალხი, სინონ. ნათესავი: რომლისაგან ყოველნი მამობანი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სახელ-იდებიან. ეფეს. 3,15ხ.

მამულ-ი მამაპაპისეული, მშობლიური: მე არარაჲ ბოროტი ვქმენ ერისათჳს, გინა თუ შჯულისა მამულისა, საქმე 28,17; სწავლულ ვარ ჭეშმარიტებით მამულითა შჯულითა. საქმე 22,3; მოშურნე ვიყავ მამულთა ჩემთათჳს მოძღურებათა, გალ. 1,14.

მან, მას, მის… იხ. იგი.

მანანა საჭმელი, რომელიც თითქოს ციდან უცვიოდათ ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელებს უდაბნოში მოგზაურობის დროს, μάννα: მიესცე მას მანანაჲსა მისგან დაფარულისა, გამოცხ. 2,17; რომელსა შინა იყო ტაკუკი ოქროჲსაჲ საესჱ მანანაჲთა, ებრ. 9,4.

მანგალ-ი ნამგალი: აქუნდა… ჴელთა მისთა მანგალი ახლესული, გამოცხ. 14,14; მიყო მჯდომარემან მან ღრუბელსა ზედა მ. თჳსი ქუეყანად, გამოცხ. 14,16; აქუნდა მასცა მ. მახჳლი, გამოცხ. 14,17; რომელსა-იგი აქუნდა მ. მახჳლი, გამოცხ. 14,18; გამოიღო ანგელოზმან მან მ. თჳსი, გამოცხ. 14,19; მიყავ მ. ეგე შენი და მომკე, გამოცხ. 14,15; მიყავ მ. ეგე მახჳლი, გამოცხ. 14,18.

მანდა ზმნზ. მანდ. იმ ადგილას, იქ: შეპირაცხიეს, ვითარცა მანდა მყოფსა, 1 კორ. 5,3; შენ დეგ მ., იაკ. 2,3.

მანკიერება უკეთურება, ბიწიერება, უპატიოსნება: სავსენი ყოვლითა... მანკიერებითა, საქმე 13,10.

მანქანება ცბიერება, ვერაგობა, მზაკვრობა, ეშმაკური ხრიკები: არა ვიყვნეთ... მიმოტაცებულ... ზაკვულებითა მანქანებისა მის მიმართ საცთურებისასა, ეფეს. 4,14; რაითა შეუძლოთ თქუენ წინა-დადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა, ეფეს. 6,11.

მარ-ი მიდიელი: რომელნი-ესე ვართ მარნი და უეკნი და ელამიტელნი, საქმე 2,9.

მარადის ზმნზ. სულ, მუდამ, მარად, ყოველთვის: ვხედევდ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის, საქმე 2,25; თქუენ მ. სულსა წმიდასა მჴდომად წინა-აღუდგებით, საქმე 7,51; ევედრებინ იგი ღმრთსა მ., საქმე 10,2; ერისაგანი ერთი... წინაშე მდგომელთაგანი მისთაი მ., საქმე 10,7; მ. გამოეძიებდეს წიგნებსა მას, საქმე 17,11; ეტყოდა მ., საქმე 17,17; გონებაი მაქუს ღმრთისა მიმართ... მ., საქმე 24,16; მ. თქუენთჳს ვილოცავ, ჰრომ. 1,10; ზურგნი მათნი მ. შედრიკე, ჰრომ. 11,10; ვჰმადლობ ღმრთსა ჩემსა მ., 1 კორ. 1,4; მ. უწყოდეთ, 1 კორ. 15,58ႢCD; მ. მომძლევანის ჩუენ ქრისტჱს მიერ, 2 კორ. 2,14; მ. სიკუდილი იგი... გუამითა ჩუენითა ვიტჳრთავს, 2 კორ. 4,10; მ. სიკუდილსა მიეცემით, 2 კორ. 4,11; ვიკადრებთ უკუე მ., 2 კორ. 5,6; მ. გჳხარის, 2 კორ. 6,10; მ. ყოველივე უნაკლულოდ გაქუნდეს, 2 კორ. 9,8; ჰმადლობდით მ. ყოველთათჳს, ეფეს. 5,20; მ. ... ლოცვასა ვჰყოფ, ფილიპ. 1,4; მ. ჴსენებასა შენსა ვჰყოფ, ფილემ. 1,4; ვითარცა მ. და აწცა იდიდოს ქრისტე, ფილიპ. 1,20; გიხაროდენ მ., ფილიპ. 4,4; მ. ვილოცავთ თქუენთჳს, კოლ. 1,3; სიტყუაჲ თქუენი მ. მადლითა... შეზავებულ იყავნ, კოლ. 4,6; მ. იღუწის თქუენთჳს, კოლ. 4,12; ვჰმადლობთ ღმერთსა მ., 1 თეს. 1,2CD; რაითა აღესრულნენ ცოდვანი მათნი მ., 1 თეს. 2,16; გაქუს ჴსენებაჲ ჩუენი... მ., 1 თეს. 3,6; მ. უფლისა თანა ვიყოფოდით, 1 თეს. 4,17; მ. კეთილსა შეუდეგით, 1 თეს. 5,15; მ. გიხაროდენ, 1 თეს. 5,16; მადლობაჲ გჳღირს ღმრთისა მ., 2 თეს. 1,3; ვილოცავთ მ. თქუენთჳს, 2 თეს. 1,11CD; თანა-გუაც მადლობაჲ მ. თქუენთჳს, 2 თეს. 2,13; მოგეცინ თქუენ მშჳდობაჲ მ., 2 თეს. 3,16; მ. ცხორებად თანა-მდებ იყვნეს კირთებასა, ებრ. 2,15; მ. სცთებიან იგინი, ებრ. 3,10; მ. ცხოველ არს, ებრ. 7,25; მ. შევლენედ მღდელნი, ებრ. 9,6; შევსწირავთ მსხუერპლსა ქებისასა მ. ღმრთისა, ებრ. 13,15; მ. ისწავებედ, 2 ტიმ. 3,7; კრეტელნი მ. მტყუარნი, ტიტე 1,12; განმზადებულ იყვენით მ., 1 პეტ. 3,15; ვიზრუნოთ თქუენდა მოჴსენებად მ., 2 პეტ. 1,12; მისა დიდებაჲ აწ და მ., 2 პეტ. 3,18.

მარადღე ზმნზ. ყოველდღე, სულ, მუდამ: მარადღე გამოეძიებდეს წიგნთაგან, საქმე 17,11ႪႭ; შენთჳს მოვწყდებით ჩუენ მ., ჰრომ. 8,36; მ. მოვკუდები, 1 კორ. 15,31CD; მ. სცთებიან იგინი, ებრ. 3,10Ⴂh.

მარანათა უფალი მოვიდა (სამ.), μαρὰν ἀθᾶ (არამ.), ან μαράνα θά უფალო, მოდი!: რომელსა არა უყუარდეს უფალი ჩუენი იესუ ქრისტჱ, იყავნ შეჩუენებულ, მარანათა, 1 კორ. 16,22.

მარგალიტ-ი: ღირსებით შემკობად თავთა თჳსთა... ნუ... ოქროითა ანუ მარგალიტითა, 1 ტიმ. 2,9; ემოსა პორფირი... შემკული... მ., გამოცხ. 17,4; ვაჲ ქალაქი იგი დიდი... შემკული... მ., გამოცხ. 18,16; ათორმეტნი იგი ბჭენი იყვნეს ათორმეტნი მარგალიტნი, გამოცხ. 21,21; არღარაჲ იყოს ტჳრთები... ქვისა პატიოსნისა და მარგალიტისაჲ, გამოცხ. 18,12; თითოეული ბჭჱ იყო ერთისა და ერთისა მ., გამოცხ. 21,21.

მართალ-ი 1. ნამდვილი, სწორი, უტყუარი, ჭეშმარიტი: მცნებაჲ იგი მართალ [არს], ჰრომ. 7,12; სარწმუნო არს და მ., 1 იოვ. 1,9; მ. და ჭეშმარიტ არიან გზანი შენნი, გამოცხ. 15,3; მ. არიან სასჯელნი შენნი, გამოცხ. 16,7.

2. ადამიანი, რომელიც რელიგ. კანონებს ემორჩილება, მათ მიხედვით ცხოვრობს, ღვთის მსახური, ღვთის მოშიში, მართლმორწმუნე, праведный, праведник, ხშირად ქრისტეს ეპითეტია; პატიოსანი, სამართლიანი: არა მსმენელნი შჯულისანი მართალ ღმრთისა მიერ, ჰრომ. 2,13Ⴂb; არავინ არს მ. არცა ერთ, ჰრომ. 3,10; რაჲთა იყოს იგი მ., ჰრომ. 3,26; რაჲ-იგი არს მ., ფილიპ. 4,8 სამართლიანი; მ. არს, ებრ. 11,4; წმიდა, მ., ღირს, მოთმინე [ჯერ-არს], ტიტე 1,8; ვითარმედ მ. არს, 1 იოვ. 2,29; იგი მ. არს, 1 იოვ. 3,7; საქმენი მისნი ბოროტ იყუნეს, ხოლო ძმისანი — მ., 1 იოვ. 3,12; მ. ხარ, გამოცხ. 16,5; ხოლო თქუენ წმიდაჲ იგი და მართალი უარ-ჰყავით, საქმე 3,14; მ. სარწმუნოებითა ცხოვნდეს, ჰრომ. 1,17; მ. ძნიად განერეს, 1 პეტ. 4,18; მ. ლოთ... იჴსნა, 2 პეტ. 2,7; სული იგი მისი მ. ... იტანჯებოდა, 2 პეტ. 2,8; ნუგეშინის-მცემელი გუაქუს მამისა მიმართ ქრისტე იესუ მ., 1 იოვ. 2,1ႪႭ; მ. სიმართლესა იქმოდენ ჯერეთ, გამოცხ. 22,11; მ. იგი სარწმუნოებითა ცხოვნდეს, გალ. 3,11; ებრ. 10,38; მოჰკალთ მ. იგი, იაკ. 5,6; მიეცა მ. იგი მსაჯულსა, 1 პეტ. 2,23ႪႭ; მ. იგი დამკჳდრებულ რაჲ იყო მათ შორის, 2 პეტ. 2,8.

კაცმან მართალმან... მოიღო ბრძანებაჲ, საქმე 10,22; მომცეს... მ. მან მსაჯულმან, 2 ტიმ. 4,8; ივნო მ. ცრუთათჳს, 1 პეტ. 3,18; მართალსა შჯულ არა უც, 1 ტიმ. 1,9; გამოგირჩია შენ... ხილვად მართლისა მის, საქმე 22,14; ძნიად ვინმე მართლისათჳს მოკუდის, ჰრომ. 5,7; მართალნი შემოვიდეს მრავალნი, ჰრომ. 5,19; მართალთა შჯულ არა უც, 1 ტიმ. 1,9Ⴊ; მოსრულ ხართ თქუენ... სულებისა მართალთა [ნათ.] მათ აღსრულებულთაჲსა, ებრ. 12,23; თუალნი უფლისანი მ. ზედა, 1 პეტ. 3,12; ფრიად შემძლებელ არს ვედრებაჲ მართლისაჲ, იაკ. 5,16; წინაისწარ უთხრობდეს მოსლვასა მას მართლისასა, საქმე 7,52ႳႪႭ; ფრიადი ძალ-უც ლოცვასა მ., იაკ. 5,16HI; აღმდგომაჲ ყოფად არს მართალთაჲ და ცოდვილთაჲ, საქმე 24,15; აღდგომაჲ ყოფად არს მართალთაჲცა და ცოდვილთაჲცა, საქმე 24,15ႳႪႭ.

3. სწორი, პირდაპირი: რომელსა ჰრქჳან უბანი მართალი, საქმე 9,11 სწორი, პირდაპირი ქუჩა.

მართება 6. მმართებელი.

მართლ 1. ნამდვილად, ჭეშმარიტად (?) ნუგეშინის-მცემელი გუჳს მამისა მიმართ იესუ ქრისტე მართლ, 1 იოვ. 2,1.

2. პირდაპირ, პირდაპირი გზით: და მართლ მივისწრაფეთ სამოთრაკედ, საქმე 16,11KႳႪႭ; მ. წარმოვედით და მივიწიენით კონდ, საქმე 21,1ႪႭ.

3. სწორად, პირდაპირ დადგომა, прямо, ὀρθός: აღ-დეგ ფერჴთა შენთა ზედა მართლ, საქმე 14,10.

4. სწორად, მართებულად: არა მართლ წარმართე-ბულ არიან, გალ. 2,14CD.

5. სწორად, განუხრელად, გაუმრუდებლად: შეუძ-რძალოთ აღსარებაჲ იგი მართლ, ებრ. 4,14ႧCD; შეუძ-რძალოთ აღსაარებაჲ იგი სასოებისაჲ მ., ებრ. 10,23.

მართლ-ყოფა გასწორება (გზისა): ალაგნი მართლ ყვენით ფერჴთა თქუენთანი, ებრ. 12,13.

მართლად სამართლიანად, პატიოსნად: ღირსად და მართლად და უბიწოდ... ვიყვენით, 1 თეს. 2,10CD.

[მართლ-კუეთა] სწორად კვეთა, გადატ. სწორად, მართლად (გავრცელება): წარმართებად მართლ-მკუეთე-ლად სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა, 2 ტიმ. 2,15D.

მართლმსაჯულება, მართლმსაჯულობა სწო-რად გასამართლება: გამოსაცხადებლად მართლმსაჯულე-ბისა ღმრთისა, 2 თეს. 1,5D; იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა დღესა მას... მართლმსაჯულობისა ღმრთისასა, ჰრომ. 2,5CD.

მართლუკუნ, მართუკუნ უკან: მართუკუნ იქ-ცეს... ქუეყანად ეგჳპტედ, საქმე 7,39; ვიდრე ცნობასა და მართლუკუნ (მართუკუნ C[1]) ქცევასა, 2 პეტ. 2,21ႧႪ.

მარილ-ი: სიტყუაჲ თქუენი... მადლითა ვითარცა მარილითა შეზავებულ იყავნ, კოლ. 4,6.

მარილიან-ი, მარილოვან-ი: მარილოვანი წყალი ტკბილ ყოფად, იაკ. 3,12; ვერცა ერთი წყაროჲ მარილი-ანსა და ტკბილსა წყალსა აღმოცენებად, იაკ. 3,12ႪႭ.

მარმარილო, მარმარილონ-ი, μάρμαρος: არღა-რა იყოს... ყოველივე ჭურჭელი... რვალისა და რკინისა და მარმარილოჲსაჲ (მარმარილონისა AB), გამოცხ. 18,12.

მარტი(ვ)ობა სიმარტივე, უბრალოება, გულუბ-რყვილობა: მარტივობითა (მარტიობითა ႩႧ) გულისაჲ-თა გეშინოდენ უფლისა, კოლ. 3,22CD.

მარტო ცალკე, განცალკევებულად, სხვების გარე-შე; მხოლოდ: მე მარტოჲ დაშთომილ ვარ, ჰრომ. 11,3; ლუკა არს მ. ჩემ თანა, 2 ტიმ. 4,10; არცა ერთი ეკლე-სიაჲ მეზიარა მე... გარნა თქუენ მარტოდ, ფილიპ. 4,15; ჯერ-გჳჩნდა დაშთომაჲ მარტოთა, 1 თეს. 3,1.

მარტო-ქმნულ-ი განმარტოებული, одинокая: ნან-დჳლვე ქურივი იგი არს და მარტო-ქმნული, რომელი ესავს უფალსა, 1 ტიმ. 5,5.

მარტჳლია, მარტჳრია ქრისტიანული დღესასწა-ული, სულიწმიდის მოფენის დღე: დავადგრე ეფესოს ში-ნა ვიდრე მარტჳრიადმდე (მარტჳლიადმდე ႧCD), 1 კორ. 16,8; იწრაფდა... დღე იგი მარტჳრიისაჲ ყოფად იერუსალჱმს, საქმე 20,16.

ნ.კ. მეერგასის-ი, მეერგასისე.

მარცუალ-ი მარცვალი: დასთესი... შიშუელი მარ-ცუალი რომელივე იფქლისაჲ, 1 კორ. 15,37.

მარცხენე, მარცხენა: დადვა ფერჴი მისი... მარ-ცხენე (მარცხენაჲ C) ქუეყანასა ზედა, გამოცხ. 10,2; წარუდგინენით თავნი თჳსნი... საჭურველითა სიმართლი-სათა მარჯუენისათა და მარცხენისათა, 2 კორ. 6,7.

მარცხენით, მარცხნით მარცხნით, მარცხნივ: და-უტევეთ იგი მარცხენით (მარცხნით Ⴂ), საქმე 21,3.

მარხვა 1. დაცვა, შესრულება (ღვთის მცნებებისა, რელიგ. კანონებისა), ი: იმარხავ შჯულსა, საქმე 21,24; უკუეთუ შჯულსა ი., ჰრომ. 2,25CD; სიმართლესა შჯუ-ლისასა იმარხავს, ჰრომ. 2,26CD; მცნებათა მისთა ვი-მარხავთ, 1 იოვ. 3,22; არცაღა იგინი... შჯულსა იმარ-ხვენ, გალ. 6,13; რომელნი ი. მცნებასა ღმრთისასა, გა-მოცხ. 12,17; შჯულსა თუ იმარხვიდე, ჰრომ. 2,25; უკუ-ეთუ... სიმართლესა შჯულისასა იმარხვიდეს, ჰრომ. 2,26; მცნებათა მისთა არა ი., 1 იოვ. 2,4; რომელი ი. მცნებათა მისთა, 1 იოვ. 3,24; უკუეთუ მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ, 1 იოვ. 2,3; მცნებათა მისთა ვ., 1 იოვ. 5,2ႧႪ; 5,3; არარას ეგევითარსა იმარხვიდენ, საქმე 21,25.

2. დაცვა, შენახვა რელიგ. წესისა, რომელიც კრძა-ლავს ხორცეულისა და რძის პროდუქტების ჭამას, მარ-ხულობა; თავშეკავება, მოთმინება, ი: რომელიმე იმარხავნ დღით გამოღებით, ჰრომ. 14,5; რომელიმე ი. ყოველთა დღეთა, ჰრომ. 14,5; ვიდრე იგინი... იმარხვიდეს, საქმე 13,2; ილოცვიდეს იგინი და ი., საქმე 13,3; მაშინ იმარ-ხეს და ილოცეს, საქმე 13,3ႪႭ.

ნაყოფი სულისაჲ არს: მარხვაჲ, გალ. 5,23CD; [ყავთ] მეცნიერებასა შინა მ., 2 პეტ. 1,6; [ყავთ] მარხვა-სა შინა მოთმინებაჲ, 2 პეტ. 1,6; ლოცვითა და მარხვი-თა შეჰვედრნეს იგინი უფალსა, საქმე 14,23; წარუდგინე-ნით თავნი თჳსნი... მ., 2 კორ. 6,5; [ვიყავ] მ. მრავალ-გზის, 2 კორ. 11,27; რაჲთა მოიცალოთ... მარხვად, 1 კორ. 7,5CD.

წმიდა, მართალ, ღირს, მმარხველ [არს], ტიტე 1,8D; ვიდრე აქა ჟამადმდე ვიყავ მარხული (მარხულ G), საქმე 10,30ႪႭ.

3. მარხვის (2) დრო, მარხვის დღეები: მარხვანი წარ-ოდენ-სრულ იყვნეს, საქმე 27,9.

მარჯუე მარჯვე, მოხერხებული (დრო): ჟამსა მას მარჯუესა, 1 პეტ. 1,5.

მარჯუენე 1. მარჯვენა მხარისა (ჴელი, ფერჴი...): და უპყრა ჴელი მარჯუენჱ (მ-ე DႪႭ), საქმე 3,7; დად-გა ფერჴი მისი მ. (მ-ე B, მ-აჲ, C) ზღუასა ზედა, გა-მოცხ. 10,2; აღიღო ჴელი თჳსი მ. (მ-ე B, მ-აჲ, C), გამოცხ. 10,5; მარჯუენესა ჴელსა მისსა აქუნდეს, გა-მოცხ. 1,16; ჴელსა მათსა მ. ზედა, გამოცხ. 13,16.

2. მარჯვენა ჴელი: დადვა მან მარჯუენჱ მისი ჩემ ზედა, გამოცხ. 1,17; რომელნი იხილენ მარჯუენესა ზედა ჩემსა, გამოცხ. 1,20; უპყრიან შჳდნი იგი ვარსკულავნი მ. მისსა, გამოცხ. 2,1; ვიხილე წიგნი მარჯუენისაგან საყ-დარისა ზედა მჯდომარისა, გამოცხ. 5,7; მარჯუენითა ღმრთისათა აღმაღლდა, საქმე 2,33; აღამაღლა მ. თჳსი-თა, საქმე 5,31; წარუდგინენით თავნი თჳსნი... საჭურვე-ლითა სიმართლისათა მარჯუენისაჲთა და მარცხენისა-სთა, 2 კორ. 6,7.

მარჯუენის მიცემა კავშირის შეკვრა: მარჯუენჱ (მ-ე CD, მარჯუენაჲ Ⴍ) მომცეს... ზიარებისაჲ, გალ. 2,9 ერთობის კავშირი შეკრეს.

მარჯუენით ზმნზ. მარჯვნით, მარჯვნივ: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, საქმე 2,34; ებრ. 1,13; მდგომარე მ. ღმრთისა, საქმე 7,55; მდგომარესა მ. ღმრთისა, საქმე

7,56; რომელი ზის მ. ღმრთისა, ჰრომ. 8,34: დასუა იგი მ. მისა, ეფეს. 1,20; მ. ღმრთისა მჯდომარჱ, კოლ. 3,1; დაჯდა იგი მ., ებრ. 1,3; 10,12; დაჯდა საყდართა დიდებისათა მ., ებრ. 8,1; მ. საყდართა ღმრთისათა დაჯდა, ებრ. 12,2; რომელი არს მ. ღმრთისა, 1 პეტ. 3,22; ვიხილე მ. საყდართა ზედა მჯდომარისა მის წიგნი, გამოცხ. 5,1.

მარჯულ, მარჯუნ მარჯვნივ: რამეთუ მარჯუნ (მარჯულ DႢႭ) ჩემსა არს, საქმე 2,25.

მასწავლელ-ი 1. მასწავლებელი, დამრიგებელი, მწვრთნელი: ესავ თავსა შენსა... მასწავლელად უგუნურთა, ჰრომ. 2,20CD; იცნითმცა მასწავლელნი იგი თქუენნი, 1 თეს. 5,12; ეზიარებოდენ უმეცარი იგი სიტყუასა მას მასწავლელისასა, გალ. 6,6.

2. დამსჯელი: უკუეთუმცა გუესხნეს ჴორციელნი მამანი მასწავლელად, გუეკდიმებოდამცა, ებრ. 12,9.

მატ(ება) მეტობა, აღმატება, გადამეტება; მომატება, 0–2: ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმატს დიდებითა, 1 კორ. 15,41 მეტია, აღემატება; ჰ. ყოველთა გონებათა, ფილიპ. 4,7 აღემატება; ვითარცა-იგი ჰმატან ვნებანი ქრისტჱსნი ჩუენდა მომართ, ეგრეცა ქრისტჱს მიერ ჰ. ნუგეშინის-ცემანი ჩუენნი, 2 კორ. 1,5; ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმატნ დიდებითა, 1 კორ. 15,41ႤႪ; არა ჰ. მონასა, გალ. 4,1.

ნ.კ. წინა-მატ.

მატება 1. წარმატება, преуспевать, 0–2: ჰმატებდით საქმესა უფლისასა, 1 კორ. 15,58; ჰ. ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა, 2 კორ. 9,8ႤႪႭ; გლოცავ თქუენ, ძმანო, ჰმატებდითღა უფროის, 1 თეს. 4,10; ვჰმატებდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა, 2 კორ. 9,8Ⴐ; ჰმატებდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა, 2 კორ. 9,8; რაჲთა ჰ. უფროის, 1 თეს. 4,1.

2. მომატება, приумножать, ე: რომელმან ფრიად მოიღო, აღარა(!) ემატა, 2 კორ. 8,15; და თუ ვჭამოთ, არღარაჲ გუემატოს, 1 კორ. 8,8.

მატლ-ი იქმნა იგი მატლთა (მატლთ G) შესაჭმელ, საქმე 12,23.

მატყლ-ი თავი და თმანი მისნი სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტაკი, გამოცხ. 1,14; მოიღის სისხლი იგი ზუარაკთაჲ... მატყლითა მეწამულითა, ებრ. 9,19

მაუწყებელ-ი ნ. უწყება.

მაქებელ-ი ნ. ქება.

მაქმნეველ-ი ნ. ქმნა.

მაღალ-ი 1. მაღალი, высокий; დიდი, ძლიერი (ჴმა): აქუნდა ზღუდჱ მაღალი, გამოცხ. 21,12; მთასა მაღალსა, გამოცხ. 21,10; ჴმითა მაღლითა, საქმე 7,57; 8,7; ებრ. 5,7.

2. სიმაღლე, высота, ὕψος (ე. ი. ზეცა); აღჴდა მაღალსა, ეფეს. 4,8; დაჯდა იგი მარჯუენით სიმდიდრესა მაღალთა შინა, ებრ. 1,3.

3. უმაღლესი, უზენაესი; ამაღლებული: მკლავითა მაღლითა გამოიყვანნა იგინი, საქმე 13,17ႪႭ; მღდელი ღმრთისა მაღლისაჲ, ებრ. 7,1; ესე კაცნი მონანი არიან ღმრთისა მაღლისანი, საქმე 16,17.

4. ღმერთი: არა თუ მაღალი იგი ჴელით ქმნულთა ტაძართა შინა დამკჳდრებულ არს, საქმე 7,48.

მაღლის ზრახვა ქედმაღლობა, მედიდურობა, თავის თავზე მაღალი წარმოდგენის ქონება, 0–2: ნუ მაღალსა მას ჰზრახავთ, ჰრომ. 12,16.

მაღლო(ვ)ა ქედმაღლობა, მედიდურობა, ამპარტავნობა; კვეხნა, ბაქიაობა, 0–1: ნუ ჰმაღლოებ (ჰმაღლოი ႠႤႪႭႢႨჃ, ჰმაღლოს Ⴐ), არამედ გეშინოდენ, ჰრომ. 11,20ႢႨႢႨ; ენაჲ მცირჱ ასოჲ არს და დიდად მაღლოვის (მაღლოის ႤႪHI, მაღლოჲს G), იაკ. 3,5; სიყუარულსა არა ჰშურნ, არა მაღლოინ (მაღლოვინ ႤႰ), 1 კორ. 13,4; რაჲთა არა მაღლოოდიან (მაღლოდიან ႪႢ), 1 ტიმ. 6,17.

მაყულო(ვ)ან-ი მაყვლოვანი, მაყვლებიანი ადგილი: რომელ-იგი ეჩუენა მაყულოვანსა (მაყულოანსა ACE) მას, საქმე 7,35; ეჩუენა მას... ანგელოზი უფლისაჲ... მ. (-ოანსა D) მას შინა, საქმე 7,30; ეჩუენა მას... ანგელოზი უფლისაჲ... მაყულოვნით (მაყულოვანით HI, მაყულოანით G), საქმე 7,30Ⴊ.

მაშა თუნდ, მაინც: უკუეთუ არა, მაშა ვითარცა უგუნური თავს-მიდევით მე, 2 კორ. 11,16CD.

მაშინ 1. იმ დროს, იმ ჟამს, тогда: მაშინ მიიქცეს, საქმე 1,12; მ. დადგა პეტრე, საქმე 2,14; მ. პეტრე აღივსო სულითა წმიდითა, საქმე 4,8; მ. მოვიდა მღდელთ მოძღუარი იგი, საქმე 5,21; მ. მივიდა ერისთავი იგი, საქმე 5,26; მ. მოუწოდეს ათორმეტთა მათ, საქმე 6,2; მ. აბირნეს ვინმე კაცნი, საქმე 6,11; მ. გამოვიდა იგი, საქმე 7,4; მ. დასდებდეს ჴელსა მათსა, საქმე 8,17; მ. მიუგო პეტრე, საქმე 10,46ႪႭ; მ. ევედრებოდეს მას, საქმე 10,48; მ. იწყო თხრობად, საქმე 11,4; მ. განიკითხნა მცველნი, საქმე 12,19; მ. ილოცვიდეს იგინი, საქმე 13,3; მ. ვითარცა იხილა მან, საქმე 13,12; მ. მოითხოვეს... მოკლეად იგი, საქმე 13,28; მ. განიწვალა სიმრავლჱ იგი, საქმე 14,4; მ. ვითარცა იხილა ერმან მან, საქმე 14,11; მ. დრო-ყვეს აღსლვაჲ პავლჱსი, საქმე 15,2; მ. ჯერ-უჩნდა მოციქულთა მათ და ხუცესთა, საქმე 15,22; მ. დადგა პავლე, საქმე 17,22; მ. შეიპყრეს... სოსთენე, საქმე 18,17; მ. მოგჳგო პავლე, საქმე 21,13; მ. უთხრობდა, საქმე 21,19; მ. პავლე წარიყვანნა კაცნი იგი, საქმე 21,26; მ. მიეახლა ათასისთავი იგი, საქმე 21,33; მ. განეშორნეს, საქმე 22,29; მ. მიუგო პავლე, საქმე 23,3; მ. ეიკითხო თქუენთჳს, საქმე 24,22; მ. ფესტოს ზრახვა-ყო, საქმე 25,12; მ. პავლე განყო ჴელი, საქმე 26,1; მ. აღდგა მეფჱ, საქმე 26,30; მ. უფსკრული იგი კილიკიაჲსსაჲ განვლეთ, საქმე 27,5; მ. პავლე აღდგა, საქმე 27,21; მ. პავლე ჰრქუა, საქმე 27,31; მ. განუკუეთნეს ერისაგანთა საბელნი იგი ჴუამალდისანი, საქმე 27,32; მ. იცნეს, საქმე 28,1; ნაყოფი გაქუნდა მ.; ჰრომ. 6,21; ეიდრე მ., ოდესღა-ესე გურწმენა, ჰრომ. 13,11D; მ. ქებაჲ იყოს კაცად-კაცადისაჲ, 1 კორ. 4,5; სხუაჲ იგი, ოდეს მოვიდე, მ. ვბრძანო, 1 კორ. 11,34; ხოლო მ. [ვხედავ] პირსპირ, 1 კორ. 13,12; მ. თავადიცა ძჱ დაემორჩილოს მას, 1 კორ. 15,28; მ. აღესრულოს სიტყუაჲ იგი წერილისაჲ, 1 კორ. 15,54; რაჟამს მოუძლურდი, მ. განვძლიერდი, 2 კორ. 12,10; გეტყჳ, ვითარცა-იგი პირისპირ მ., 2 კორ. 13,2; მ. არა იცოდეთ, გალ. 4,8; მ. ჴორციელად შობილი იგი სდევნიდა, გალ. 4,29CD; მ. ... ქებაჲ იგი აქუნდინ, გალ. 6,4; მ. თქუენცა მის თანა გამოსცხადნეთ, კოლ. 3,4; მ. მოიწიოს... მომსრველი, 1 თეს. 5,3; მ. გამოჩნდეს უშ-

ჯ:ულოებაჲ იგი. 2 თეს. 2.8; მ. ვთქუ, ებრ. 10,7; მ. თქუა, ებრ. 10,9; ქუეყანაჲ შეძრა მ., ებრ. 12,26; მ. მიუწერა მეორე ესე ეპისტოლე ჰრომით, 2 ტიმ. (დასასრ.).

მღჳძარება ფხიზლად ყოფნა, ღამის თევა: წარუდგინენით თავნი თჳსნი... მღჳძარებითა, მარხვითა, 2 კორ. 6,5; [ვიყავ] მ. მრავალ-გზის, 2 კორ. 11,27.

მყის მაშინვე, იმ წამსვე: მყის გარდამოვარდეს თუალთაგან მისთა ვითარცა ნაქერთენი რაჲმე, საქმე 9,18.

მყის-ი წამიერად, მაშინვე: ამისსა ვესავ მიველინებასა, რაჟამს განვიგო თავისა ჩემისაჲ მყისი, ფილიპ. 2,237b.

მყოვარ დიდხანს, დაყინებით, დაჟინებულად: მყოვარ მოლოდებაჲ იგი დაბადებულისაჲ გამოცხადებასა ძეთა კაცისათასა მოელის, ჰრომ. 8,19D.

მყოვარ (მყუვარ, მყუარ) ჟამ დიდხანს: მყოვარ (მყუვარ KÕ, მყუარ Ղ L) ჟამ დგეს, საქმე 28,6.

მყოფ-ი ნ. ყოფა.

მყოფელ-ი ნ. ყოფა.

მყუარ-ი (მყურისა) ბაყაყი: ვიხილენ... სულნი არაწმიდანი სამნი, ვითარცა მყუარნი, გამოცხ. 16,13.

მყუდრო ნ. ყუდრო.

მყუდროება ნ. ყუდროება.

მყჳრალÕ ნ. ყჳრილი.

მშევა მომშევა, შიმშილი, 0—2: რომელსამე ჰშშიან (ჰშიან Ⴊ, ჰშინ C, ჰმშინ Ղ L, შინ Ղ) და რომელსამე სთრავნ, 1 კორ. 11,21.

მშ(უ)რომელ-ი მშრომელი: რაჲთა... დაემორჩილნეთ... ყოველსა მას შემწესა და მშურომელსა (მშრომელსა Ղ L ՂCD), 1 კორ. 16,16; მშურომელისა (მშურომლისა C, მშრომელისა CD) მის ქუეყანის მოქმედისა ჯერ-არს პირველად ნაყოფისა მოღებაჲ, 2 ტიმ. 2,6; ძმანო, იცნითმცა მშრომელნი იგი თქუენ შორის, 1 თეს. 5,12CD; მშრომელთა მათდა ჯერ-არს შეწყნარებაჲ უძლურთაჲ მათ, საქმე 20,35ՂLÕ; მშრომელისაჲ მის ქუეყანის მოქმედისაჲ ჯერ-არს პირველად ნაყოფისა გამოღებაჲ, 2 ტიმ. 2,6ՂLՂbႠ.

მშჳდ-ი მშვიდი, წყნარი: ვიქმნენით ჩუენ მშჳდ და მყუდრო(!) თქუენ შორის, 1 თეს. 2,7CD; რომელნი იყვნენ... უხრწნელითა მით მშჳდისა მის და მყუდროჲსა სულისა წესითა, 1 პეტ. 3,4ՂLÕ.

მშჳდობა მშვიდობა, მშვიდობიანობა; სიმშვიდე, სიწყნარე: ზრახვაჲ იგი სულისაჲ [არს] მშჳდობა, ჰრომ. 8,6; სასუფეველი ღმრთისაჲ... მ. და სიხარულ [არს], ჰრომ. 14,17; მადლი თქუენდა და მშჳდობაჲ, ჰრომ. 1,7; 1 კორ. 1,3; 2 კორ. 1,2; გალ. 1,3; ეფეს. 1,2; ფილიპ. 1,2; კოლ. 1,3; 1 თეს. 1,1; 2 თეს. 1,2; ფილემ. 1,3; გამოცხ. 1,4; მ. ყოველსა მოქმედსა კეთილისასა, ჰრომ. 2,10; მ. (მშჳდობა AՂLÕՂ) გუაქუს ღმრთისა მიმართ, ჰრომ. 5,1ՂLCD; ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული..., მ., გალ. 5,22; მ. მათ ზედა, გალ. 6,16; იგი თავადი არს მ. ჩუენი, ეფეს. 2,14; გახარა მ. თქუენ, შორიელთა, და მ. — მახლობელთა, ეფეს. 2,17; მ. ძმათა და სიყუარული, ეფეს. 6,23; რაჟამს თქუან: მ. და კრძალულებაჲ, 1 თეს. 5,3; ღმერთმან... მოგცინ თქუენ მ., 2 თეს. 3,16; ტიმოთეს... წყალობაჲ და მ., 1 ტიმ. 1,2; 2 ტიმ. 1,2; ტიტეს... მადლი და მ., ტიტე 1,4; ზეგარდამოჲ იგი სიბრძნე პირველად სიწმიდე არს, მერმე მ., იაკ. 3,17; მოიძიენ მ., 1 პეტ. 3,11; მ. განმრავლდინ, 1 პეტ. 1,2; 2 ტიმ. 1,2; მ. თქუენ თანა, 1 პეტ. 5,14; იყოს ჩუენ თანა... მ., 2 იოვ. 1,3; მ. შენდა, 3 იოვ. 1,15; მ. და სიყუარული განმრავლდინ, იუდა 1,2; მიეცა აღებად მ. ქუეყანით, გამოცხ. 6,4; მ. იგი ქრისტესი განმტკიცენინ, კოლ. 3,15.

მშჳდობამან ღმრთისამან... განამტკიცენინ გულნი თქუენნი, ფილიპ. 4,7; რამეთუ მშჳდობას (მშჳდობასა ՂLՂCD) გჳწოდნა ჩუენ ღმერთმან, 1 კორ. 7,15; ითხოვდეს მშჳდობასა, საქმე 12,20, მ. ჰყოფდით, ჰრომ. 12,18;

2 კორ. 13,11: 1 თეს. 5,13; მ. უკუე შეუდეგით, ჰრომ. 14,19; ებრ. 12,14; შეუდეგ სიმართლესა..., მოთმინებასა, მ., 1 ტიმ. 6,11; შეუდეგ სიმართლესა..., სიყუარულსა, მ., 2 ტიმ. 2,22; რომელნი ჰყოფენ მ., იაკ. 3,18; მრავალსა მ. შინა ვართ, საქმე 24,3; რომელი მოუვლინა ძეთა ისრაჱლისათა მახარებელად მშჳდობისა. საქმე 10,36; ღმერთი მოუვლინა ძეთა ისრაჱლისათა მახარებელად მ., საქმე 10,36: ღმერთი მ. და სიყუარულისაჲ იყავნ თქუენ თანა, 2 კორ. 13,11D; რაჲთა... დაჰბადოს... ახლად კაცად ყოფად მ., ეფეს. 2,15; პირველად ითარგმანების მეფედ მ., ებრ. 7,2D; ეკლესიანი... ეგნეს მშჳდობით, საქმე 9,31; წარმოიგზავნნეს მ. ძმათაგან, საქმე 15,33; აწ ვიდოდეთ მ., საქმე 16,36; წარმოგზავნეთ იგი მ., 1 კორ. 16,11; შეიწყნარნა მსტუარნი იგი მ., ებრ. 11,31; იაკ. 2,25Ⴂ; რაჲთა მ. ... ვცხოვნდებოდით, 1 ტიმ. 2,2; წარვედ მ., იაკ. 2,16; ნაყოფი სიმართლისაჲ მ. დაეთესვის, იაკ. 3,18; რაჲთა იპოვნეთ მ., 2 პეტ. 3,14; ღმერთმან... აღგავსენინ თქუენ... მშჳდობითა სარწმუნოებად, ჰრომ. 15,13; დაავებდა მათ მშჳდობად, საქმე 7,26.

გზაჲ მშჳდობისაჲ არა იცნეს, ჰრომ. 3,17; ღმერთი მ. იყავნ თქუენ ყოველთა თანა, ჰრომ. 15,33; ღმერთი არა შფოთებისაჲ არს, არამედ მ., 1 კორ. 14,33; ღმერთი მ. ... იყავნ თქუენ თანა, 2 კორ. 13,11; განმზადებულებაჲ იგი სახარებისა მის მ., ეფეს. 6,15; ღმერთი მ. (მშჳდობისა G) იყავნ თქუენ თანა, ფილიპ. 4,9; რომელ არს მეუფჱ მ., ებრ. 7,2; ნაყოფი მ. მის მიერ წურთილთა მოაგის — სიმართლჱ, ებრ. 12,11; ნაყოფი... მ. მშჳდობით დაეთესვის, იაკ. 3,18; ღმერთმან მშჳდობისამან შემუსრის ეშმაკი, ჰრომ. 16,20; თავადმან ღმერთმან მ. წმიდა გყვენინ თქუენ, 1 თეს. 5,23; თავადმან ღმერთმან მ. მოგეცინ თქუენ მშჳდობაჲ, 2 თეს. 3,16; ღმერთმან მ. დაგამტკიცენინ თქუენ, ებრ. 13,20; მოვიდე თქუენდა... სულითა მით მშჳდობისაჲთა, 1 კორ. 4,21; დაამტკიცეთ ეგევითარი იგი სულითა მით მ., გალ. 6,1; ისწრაფდით დამარხვად ერთობაჲსა მას სულისასა სიმტკიცითა მით მ., ეფეს. 4,3; ვითარ შუენიერ არიან ფერჴნი მახარებელთა მათ მშჳდობისათანი, ჰრომ. 10,15.

მშჳდობის-ყოფა დამშჳდება, დაწყნარება, შერიგება, умиротворить, εἰρηνοποιέω: 0–2: მშჳდობა-ყო სისხლითა ჯუარისა მისისაჲთა, კოლ. 1,20.

მშჳლდ-ი მშვილდი: მჯდომარესა მას ზედა აქუნდა მშჳლდი, გამოცხ. 6,2.

მშჳლდ-ი ცისა-ჲ ცისარტყელა: ვიხილე... ირისე, რომელ არს მშჳლდი ცისაჲ ბერძლებრ, გამოცხ. 10,1.

მშჳნვიერ-ი, მშუმინვიერ-ი სულდგმული, ცოცხალი არსება, რომელიც სუნთქავს, ψυχικός, გადატ. გრძნობადი, მატერიალური, ფიზიკური. საპირისპ.: სულიერი, πνευματικός: მშჳნვიერი კაცი არა შეიწყნარებს სულისა მისგან ღმრთისაჲსა, 1 კორ. 2,14CD; დაეთესვის ჴორცი მ., 1 კორ. 15,44: უკუეთუ არს ჴორცი მ., არს სულიერიცა, 1 კორ. 15,44; არა პირველად სულიერი იგი, არამედ მ., 1 კორ. 15,46; არა არს ესე სიბრძნჱ ზეგარდამოსრული, არამედ ქუეყანისაჲ, მშუმინვიერი (მშჳნვიერი ႢႭ), საეშმაკოჲ, იაკ. 3,15; მშჳნვიერმან (მშუმინვიერმან Ⴃ) მან კაცმან არა შეიწყნაროს სულისა მისგან ღმრთისაჲსა, 1 კორ. 2,14; ესენი არიან... მშუმინვიერნი, რომელთა სულ არა აქუს, იუდა 1,19.

მშუმინვიერ-ი ნ. მშჳნვიერი.

მცა ნაწილაკი. მოითხოვს თხრობით-კილოიანი მწკრივის ფორმას, რომელსაც მცა ნაწილაკთან გამოყენებისას კავშირებითის შინაარსი აქვს: ანუმცა მიეხჳდნეს მისა, გამოცხ. 5,4; მადლი იგი არამცა შერაცხილ იყო მადლად, ჰრომ. 11,6; ა. განვიკითხენით, 1 კორ. 11,31; ა. იყო მღდელი, ებრ. 8,4; ა. საძიებელ იყო, ებრ. 8,7; ესე თუმცა არა, ა. დასცხრესა შესაწირავნი იგი, ებრ. 10,2Ⴈb; არცა-მცა ერთი რაჲ იჭჳ აქუნდა, ებრ. 10,2; არღარამცა... საძიებელ იყო ადგილი, ებრ. 8,7CD; უბრალო არიედმცა, 1 ტიმ. 3,10Ⴂ; გომორელთამცა მივემსგავსენით, ჰრომ. 9,29; არა ვინანი. დაღათუმცა ვინანდი, 2 კორ. 7,8C; არა ვინანი დაღაცათუმცა ვინანდი, 2 კორ. 7,8Ⴈb; დიაკონნიმცა არიან ერთის ცოლის ქმარ, 1 ტიმ. 3,12; ერთვე-მცა განწმედილ იყვნეს, ებრ. 10,2; ერთიმცა ესე ნუ დავაიწყდების, 2 პეტ. 3,8; არცა ერთი-ღა-მცა რაჲ იჭჳ აქუნდა, ებრ. 10,2C; ხოლო ესუმცა უწყით, ეფეს. 5,5; ე. პირველად უწყით, 2 პეტ. 1,20: 3,3; ვითარმცა თჳსითა ძალითა... გუექმნა, საქმე 3,12Ⴍ; ვ. არა ვიტყოდეთ, საქმე 4,20; ვ. ტანჯნეს იგინი, საქმე 4,21; ვ. მო-ვითარ-კლეს იგი, საქმე 9,24D; ვ. მოქნე ეისამე იყო, საქმე 17,25; არა გჳლირს, ვ. ეპგონებდით, საქმე 17,29; ვ. დაადგრა მუნ, საქმე 18,20Ⴃ; ვ. არა აღვასრულე სრბაჲ ჩემი, საქმე 20,24; ვ. დავარდა სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ჰრომ. 9,6; ვ. არა ესხნეს, 1 კორ. 7,29CD; ვ. არაჲ აქუნდა, 1 კორ. 7,30CD; ვ. არა ტიროდეს, 1 კორ. 7,30CD; ვ. არა უხარის, 1 კორ. 7,30CD; ვ. არა იმსახურებენ, 1 კორ. 7,31CD; ვ. ჰრქუა ჴელსა, 1 კორ. 12,21; არა მნებავს..., ვ. უმეცარ იყვენით, 2 კორ. 1,8; ვ. მტერ რაჲ-მე გექმენ თქუენ, გალ. 4,16; ვ. მოწევნულ იყო, 2 თეს. 2,2; ვ. დაივიწყნა საქმენი თქუენნი.ებრ. 6,10; ეგების-მე... ვ. ღელუმან ზეთის ხილი გამოიღო, იაკ. 3,12; ვ. ეუფლებით მღდელთა მათ ზედა, 1 პეტ. 5,3; ეძიებს, ვ. შთა-ვინმე-ნთქა, 1 პეტ. 5,8Ⴚ; ეძიებს, ვინმცა შთანთქა, 1 პეტრ. 5,8; თუალნიმცა თქუენნი აღმოიჴადენით, გალ. 4,15; არა თუმცა უფალმან... დამიტევა ჩუენ ნათესავი, ჰრომ. 9,29; ჯერ-იყო თ. განიკუეთნესცა, გალ. 5,12Ⴈb; ესე თ. არა, არამცა დასცხრესა, ებრ. 10,2D; და თ. მას მოიჴსენებდეს, ებრ. 11,15; უკუეთუმცა გუესხნეს ჴორციელნი მამანი..., გუექდიმებოდამცა, ებრ. 12,9; სიტყჳსა მისებრმცა თავს-ვიდევ თქუენი, საქმე 18,14ႢႭ; მადლი ღმრთისაჲ... მრავალთა მიმართმცა აღემატა, ჰრომ. 5,15ႨႡD; ქრისტჱს მონაჲმცა არა ვიყავ, გალ. 1,10; ნუმცა იგმობის კეთილი იგი თქუენი, ჰრომ. 14,16; ნ. ვართ მზუაობარ, გალ. 5,26; კეთილისა საქმჱ ნ. გუეწყინების, გალ. 6,9; ნ. დავჰჴსნდებით, გალ. 6,9; ანგაჰრებაჲ ნ. სახელ-ედების თქუენ შორის, ეფეს. 5,3; აწ ნ. გუძინავს, 1 თეს. 5,6; ნ. ვინ გაცთუნებს თქუენ, ეფეს. 5,6CD; 2 თეს. 2,3CD; ნ. შესმენილ არიან ბილწებისათჳს, ტიტე 1,6; ნ. ვის ჰგმობედ, ტიტე 3,2; რაჲთა ნ. რაჲ აკლს, ტიტე 3,13; ნ. ვის თქუენგანსა ევნების, 1 პეტ. 4,15; ნურაჲმცა ვისი თანაგაც, ჰრომ. 13,8; რაჲთა ნუღარამცა ხუალთ თქუენ, ეფეს. 4,17; პოამცა (პოვ. FႭ) იგი, საქმე 17,27E: რაჲთამცა არა ცხოვნდეს, საქმე 7,19: რ. მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ, საქმე 8,15; რ. აღჴდა იგი, საქმე 8,31; რ.

მო-ვითარ-კლეს იგი, საქმე 9,24; აწ მნებავს, რ. უწყოდე, საქმე 10,29; რ. დაადგრა მათ თანა, საქმე 10,48; არა უნებს, რ. ეყო, საქმე 15,20ႢႪႭ; რ. იოვანე თანა წარიყვანა, საქმე 15,37; რ. დაადგრა მუნ, საქმე 18,20; რ. არა აღვიდა იერუსალჱმდ, საქმე 21,4; რ. პყრობილნი იგი მოწყჳდნეს, საქმე 27,42; რ. აქუნდა მათ მეცნიერებით, ჰრომ. 1,28; რ. კუალად გეშინოდა, ჰრომ. 8,15; რ. ... მზუაობარ ვიყავ შენებად, ჰრომ. 15,20Ⴂb; რ. ჩუენცა თქუენ თანა ვმეფობდით, 1 კორ. 4,8D; არა ამისთჳს, რ. შესწუხენით, 2 კორ. 2,4; რ. თქუენ მეწამენით მე, 2 კორ. 12,11; რ. განაქარვა აღთქუმაჲ იგი, გალ. 3,17CD; რ. ცხოვნდეს იგინი, 2 თეს. 2,10; რ. ვერ შემძლებელ იყო შეწყალებად, ებრ. 4,15; რ. იყვენით მოძღუარ, ებრ. 5,12; რ. ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი, გამოცხ. 3,15; რ. არა თაყუანის-სცემდეს ეშმაკთა, გამოცხ. 9,20; რ. წარიღო დედაკაცი იგი მდინარემან მან, გამოცხ. 12,15; რ. მისცეს მას დიდებაჲ, გამოცხ. 16,9; რ. განზომა ქალაქი იგი, გამოცხ. 21,15; რ. შევიდეს, გამოცხ. 21,26; რომელიმცა არა გითხარ, საქმე 20,20; რ. ვერ შემძლებელ იყო შეწყალებად, ებრ. 4,15ႢC; რომელმანმცა შეუძლო განკითხვად შორის ძმისა თჳსისა, 1 კორ. 6,5CD; რომელსამცა საქმე აქუნდა მოყუსისა მიმართ, 1 კორ. 6,1CD; რ. განეღო წიგნი იგი, გამოცხ. 5,4; არავინ იყო უფროჲსი, რომლისამცა ფუცა, ებრ.6,13; რომლითამცა ჯერ-იყო ცხოვრებად ჩუენდა, საქმე 4,12; სადამცა იყო გუამი იგი, 1 კორ. 12,19; სათნომცა ვართ მისა, 2 კორ. 5,9; გუეკდიმებოდა სამემცა, ებრ. 12,9ႭႢCD; სიტყჳსაებრმცა თქუენისა თავს-ვიდევ თქუენი, საქმე 18,14; ვითარცა სოდომელნიმცა შევიქმნენით, ჰრომ. 9,29; უბრალომცა ვარ, საქმე 18,6; უ. არიან, 1 ტიმ. 3,10; უკუეთუმცა ვინმე ეძიებდა, საქმე 17,27; უ. რაჲმე იყო... ძჳრის საქმჱ, საქმე 18,14; უ. შე-ვითარ რაჲ-უძლეს, საქმე 27,39; უ. არა შჯული იტყოდა, ჰრომ. 7,7; უ. უნდა ღმერთსა ჩუენებად რისხვაჲ თჳსი, ჰრომ. 9,22; უ. თავთა თჳსთა განვიკითხევდით, 1 კორ. 11,31; უ. იყო ყოველივე ერთ ასო, 1 კორ. 12,19; უ. კაცთაჲა სათნოვეყოფოდე, გალ. 1,10; უ. მოეცა შჯული, გალ. 3,21; უ. განსრულებაჲ მღდელობისაჲ იყო, ებრ. 7,11 უ. იყო ქუეყანასა ზედა, ებრ.8,4; უ. პირველი იგი იყო უბიწო, ებრ. 8,7; უ. არა, არასადა დასცხრეს, ებრ. 10,2BCD; უ. გუესხნეს ჴორციელნი მამანი, ებრ. 12,9; აქუნდამცა ჟამი, ებრ. 11,15; ღირსმცა არიან, 1 ტიმ. 3,11; ღმრთის-მსახურებითამცა გუექმნა სლვაჲ მაგისი, საქმე 3,12ႢႪႭ; შვილნიმცა თქუენნი არა-წმიდა იყვნეს, 1 კორ. 7,14; შ. უსხენ, 1 ტიმ. 3,4; შ. კეთილად მოღუაწ არიან, 1 ტიმ. 3,12Ⴍ; შ. უსხენ მორწმუნენი, ტიტე 1,6; შვილთამცა კეთილად მოღუაწ არიან, 1 ტიმ. 3,12; შჯულისაგანმცა იყო სიმართლჱ, გალ. 3,21; იცითმცა, ვითარ-იგი თითოეულსა ღირს სიტყჳს-მიგებაჲ, კოლ. 4,6; იცნითმცა, რომელნი-იგი შურებიან თქუენ შორის, 1 თეს. 5,12; რაჲთა გლახაკნი ხოლომცა გუაჴსოვნან(!), გალ. 2,10; ჴორცნიმცა მკუდარ არიან ცოდვისათჳს, ჰრომ. 8,10.

და-მცა-დგრომილ იყუნეს ჩუენ თანა, 1 იოვ. 2,19; უკუეთუ არა, და-ეიდრემემცა-სცხრეს შეწირვისაგან, ებრ. 10,2; თავს-თუმცა-იდევით ჩემი მცირედ უგუნურებისაჲ, 2 კორ. 11,1; შე-თუმცა-საძლებელ იყო, გალ. 4,15.

მცემელ-ი ნ. ცემა, თაყუანის-მცემელი.

მცველ-ი ნ. ცვა, მესაპყრობილეთ-მცველი, საპყრობილის-მცველი.

მცირე 1. (ზომით) პატარა, მცირე ზომისა, небольшой (საპირისპ. დიდი): აღიპყრეს აფრაჲ იგი მცირჱ (მცირე ႪႭ), საქმე 27,40; ენაჲ მ. (მ-ე ႴႪႭ) ასოჲ არს, იაკ. 3,5; მცირემან ცეცხლმან რავდენი ტყჱ აღაგზნის, იაკ. 3,5; ნავნიცა... მოიქცევიან მცირისაგან საჭისა, იაკ. 3,4.

2. (რაოდენობით) ცოტა, მცირე რაოდენობისა, немного (საპირისპ. მრავალი): თავს-თუმცა-იდევით ჩემი მცირე უგუნურებისაჲ, 2 კორ. 11,1Ⴖ; მცირჱ ძალი გაქუს, გამოცხ. 3,8; მცირემან ცომმან ყოველივე შესუარული აღაფუვნის, 1 კორ. 5,6; გალ. 5,9; მცირეთა დღეთა... სწავლიდეს, ებრ. 12,10; ვილოცავ ღმრთისა მიმართ მცირეთათჳს (მცირეთათჳსცა ႪႭ) და მრავალთა, საქმე 26,29; ნუუკუე მცირედ რაჲ-მე მიყოფიეს, 2 კორ. 1,17; რომელმან მ. [მოიღო], 2 კორ. 8,15; ღჳნოჲცა მ. იმსახურე, 1 ტიმ. 5,23; რომელსა შინა იყვნეს მ., ესე იგი არს რვანი სულნი, 1 პეტ. 3,20ႴႪ.

3. წლოვანებით, ასაკით პატარა, მცირეწლოვანი: ვდგა და ვწამებ მცირესა და დიდსა, საქმე 26,22; ჰხედვიდეს ყოველნი, მცირითგან ვიდრე დიდადმდე, საქმე 8,10; მიცოდიან მე მ. ვიდრე დიდადმდე მათა, ებრ. 8,11; ყვნეს ყოველნივე – მცირენი და დიდნი, რაჲთა მიიღონ ბეჭედი, გამოცხ. 13,16; აქებდით ღმერთსა... მ. და დიდნი, გამოცხ. 19,5; მიცემად სასყიდელი... მცირეთა და დიდთა, გამოცხ. 11,18; რაჲთა შჭამნეთ... ჴორცნი... მ. და დიდთანი, გამოცხ. 19,18.

4. უმნიშვნელო, მსუბუქი: საწუთროჲ ესე მცირჱ (მცირე ႪCD) ჭირი ჩუენი... დიდსა დიდებასა შეიქმს, 2 კორ. 4,17; საწუთროჲ ესე მცირედ ჭირი ჩუენი... დიდსა დიდებასა შეიქმს, 2 კორ. 4,17Ⴍ.

ნ.კ. არამცირე.

მცირედ 1. ცოტათი, ნაწილობრივ, არასრულად: აწ ვიცი მცირედ, 1 კორ. 13,12; თავს-თუმცა-იდევით ჩემი მ. უგუნურებისაჲ, 2 კორ. 11,1; რომლითა გიხაროდ მ. აწ, 1 პეტ. 1,6; რომელნი-იგი მ. განრინებულ არიან, 2 პეტ. 2,18; მცირედცა ვწინაჲსწარმეტყუელებთ, 1 კორ. 13,9.

2. მოკლედ: მცირედ (+რე CD) უწინარჱსრე მიეწერე, ეფეს. 3,3; დაღათუ მ. მიწერე თქუენდა, ებრ. 13,22; ვითარ-იგი მ. მიეწერე, 1 პეტ. 5,12.

3. ცოტა ხანს, მცირე ხანს: ბრძანა მცირედ გარე განყვანებაჲ... მოციქულთაჲ, საქმე 5,34ႢႪႭ; მ. დაყოვნჳს, საქმე 27,28;ᲔᲛ: და მომავალი იგი მოვიდეს, ებრ. 10,37CD; მ. ჯერ-არს მისი ყოფაჲ, გამოცხ. 17,10.

მცირედ-ი ცოტა, მცირე რაოდენობისა: რომელმან მცირედი [მოიღო], 2 კორ. 8,15Ⴖ; მაქუს შენდა მიმართ მ., გამოცხ. 2,14; მ. სახელები გაქუს სარდეს შინა, გამოცხ. 3,4; მ. ჟამი უჩს მას, გამოცხ. 12,12; მცირედიცა იგი გან-ე-ქარდეს, 1 კორ. 13,10; მცირედმან ცომმან ყოველივე შესუარული აღაფუვნის, 1 კორ. 5,6Ⴊ; მამებსა არა მცირედსა, საქმე 17,12; რომელსა შინა იყვნეს მცირედნი, 1 პეტ. 3,20; მცირედთა დღეთა... სწავლიდეს, ებრ. 12,10ႢႪႢCD.

ნ.კ. არამცირედი.

მცირედ ჟამ ცოტა ხანს, მცირე ხანს: რომელი მცირედ ჟამ ჩნ. იაკ. 4,14; ჯერ-არს განჴსნაჲ მისი მ., გამოცხ. 20,3.

მცირედ ჟამლა კიდევ ცოტა ხანს: განისუენონ მცირედ ჟამლა, გამოცხ. 6,11.

მცირედ-რაჲმე ცოტათი, ნაწილობრივ, რამდენად-მე: რამეთუ მცირედ-რაჲმე ვიცით, 1 კორ. 13.9; მ. ვწინასწარმეტყუელებთ, 1 კორ. 13,9CD; მეცა მ. ვიქადო, 2 კორ. 11,16; დააკლე იგი მ. ანგელოზთა შენთა, ებრ. 2,7; მ. ანგელოზთა დაკლებულად ვხედავთ იესუს, ებრ. 2,9.

მცირედლა კიდევ ცოტა: მცირედლა და დამარწუნო მე ქრისტეანე ყოფაჲ, საქმე 26,28; მ. მომავალი იგი მოვიდეს, ებრ. 10,37; მ. თუ გევნო, 1 პეტ. 5,10.

ნ.კ. არამცირედ.

მცნება 1. შეტყობინება, გაფრთხილება, ა—3: გამოიყვანა საპყრობილით და ამცნო მათ, საქმე 12,17; განუტევა ჭაბუკი იგი და ა., საქმე 23,22.

2. ბრძანება, სახელმძღვანელო განკარგულების მიცემა; ანდერძისებრი ბრძანება, განკარგულება, ა—3: გამცნებ შენ სახელითა უფლისა იესუ ქრისტჱსითა, საქმე 16,18; გ. თქუენ, ძმანო, 2 თეს. 3,6; ხოლო ქორწინებულთა მათ ვამცნებ არა მე, 1 კორ. 7,10; აწ ამცნებს კაცთა ყოველთა, საქმე 17,30; გამცნებთ თქუენ, ძმანო, 2 თეს. 3,6ႢႨႨ ႢႡ; ამცნებდა მოციქულთა სულითა წმიდითა, საქმე 1,2; თანა-ექცეოდა მათ და ა., საქმე 1,4; მამცნო ჩუენ ქადაგებად ერსა მას, საქმე 10.42; ესრე მ. ჩუენ უფალმან, საქმე 13,47; იოსეფ... ძუალთა თჳსთათჳს ამცნო, ებრ. 11,22; ამცნეს მესაპყრობილეთ-მცველსა მას, საქმე 16,23; და მოუწოდეს და ა., საქმე 4.18; რომელთადა ჩუენ არაჲ გუემცნო, საქმე 15,24ႪႭ.

ესევითარი მცნებაჲ მოილო მათგან, საქმე 16,24; მოიღეს მ. პავლჱსგან, საქმე 17,15; რომლისათჳს მიიღეთ მ., კოლ. 4,10; ჯერ-არს წინა-დაცუეთად მათა და მცნებად, რაჲთა დაიმარხონ შჯული მოსჱსი, საქმე 15.5.

3. ბიბლიური გამონათქვამი, რომელიც შეიცავს რელიგიურ-ზნეობრივ წესს, заповедь, ἐντολή: ოდეს მოიწია მცნებაჲ (+იგი CD), ჰრომ. 7,9; სხუაჲ თუ რაჲმე მ. არს, ჰრომ. 13,9; რომელ არს მ. პირველი, ეფეს. 6,2; მ. აქუს ათეულისა მიღებაჲ ერისაგან, ებრ. 7,5; ესე არს მ. მისი, 1 იოვ. 3.23; მან მომცა ჩუენ მ., 1 იოვ. 3,23; ესე მ. მოვიღეთ მისგან, 1 იოვ. 4,21; ვითარცა-იგი მ. მოვიღეთ მამისაგან, 2 იოვ. 1,4; ესე არს მ., რაჲთა მას შინა ხუიდოდით, 2 იოვ. 1,6; მეპოვა მე მ. იგი, ჰრომ. 7,10CD; მ. იგი წმიდა [არს], ჰრომ. 7,12; შეურაცხ იქმნების პირველი იგი მ., ებრ. 7,18; დამარხვად შენდა მ. იგი, 1 ტიმ. 6,14; მ. იგი პირველი არს სიტყუაჲ იგი, 1 იოვ. 2,7; ამას მცნებასა შეგვედრებ შენ, 1 ტიმ. 1,18; არა მ. ახალსა მიესწერ თქუენდა, არამედ მ. პირველსა, 1 იოვ. 2,7; კუალად მ. ახალსა მიესწერ თქუენდა, 1 იოვ. 2,8; არა ვითარცა მ. ახალსა მიესწერ შენდა, 2 იოვ. 1,5; რომელნი იმარხვენ მ. ღმრთისასა, გამოცხ. 12,17; [მართუკუნ ქცევაჲ] მოცემულისა მისგან მათა წმიდისა მცნებისა, 2 პეტ. 2,21; მიზეზი უკუე პოვა ცოდვამან მ. მისგან, ჰრომ. 7,8; ცოდვამან მიზეზი პოვა მ. მისგან, ჰრომ. 7,11; რაჲთა იყოს გარდარეულად ცოდვილ ცოდვაჲ იგი მ. მისგან, ჰრომ. 7,13; მცნებით რაჲმე გამცენით თქუენ, საქმე 5,28; უწყოდენ..., რამეთუ უფლისა მცნებანი არიან, 1 იოვ. 14,37; მ. გამცენით თქუენ, 1 თეს. 4,2; მოგეჴსენნენ მ. უფლისა და მაცხოვრისანი, 2 პეტ. 3,2; მ. მისნი მძიმე არა არიან, 1 იოვ.5,3; რომელთა დაიცვნენ მ. ღმრთისანი, გამოცხ. 14,12; ითქუნეს ყოველნი იგი მ., ებრ. 9,19; უკუეთუ მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ, 1 იოვ. 2,3; მ. მისთა არა იმარხვიდეს, 1 იოვ. 2,4; მ. მისთა ვიმარხაეთ, 1 იოვ. 3,22; რომელი იმარხვიდეს მ. მისთა, 1 იოვ. 3,24; მ. მისთა ვყოფდეთ, 1 იოვ. 5,2; რაჲთა მ. მისთა ვიმარხვიდეთ, 1 იოვ. 5,3; რომელნი იქმოდიან მ. მისთა, გამოცხ. 22,14; წინადაუცუეთილებაჲ არა-ვე-რაჲ არს, არამედ დამარხვაჲ მ. ღმრთისათაჲ, 1 კორ. 7,19; მოჴსენებად... მოციქულთა მათ თქუენთა მ. უფლისა მაცხოვრისათა, 2 პეტ. 3,2ႪႭ; რაჲთა ვიდოდით მცნებათაებრ მისთა, 2 იოვ. 1,6; რაჲთა ვიდოდით მცნებათა მისთაებრ, 2 იოვ. 1,6Ⴃ; შეურაცხებაჲ იქმნების პირველისა მის მცნებისაჲ, ებრ. 7,18CD; შჯული იგი მცნებათაჲ მათ... განაქარვა, ეფეს. 2,15.

4. რაიმეს აკრძალვა, ა—3: მცნებით რაჲმე გამცენით თქუენ. საქმე 5,28; ამცნეს, რაჲთა არა იტყოდიან სახელითა იესუჲსითა, საქმე 5,40.

5. დარიგება, დამოძღვრა, რჩევის მიცემა, შეგონება, ა—3: გამცნებ შენ წინაშე ღმრთისა, 1 ტიმ. 6,13; ხოლო ამას გ. [თქუენ], 1 კორ. 11,17; მდიდართა მათ ამას სოფელსა ვამცნებ, 1 ტიმ. 6,17Ⴊ; რომელსა-ესე გამცნებთ თქუენ, 2 თეს. 3,4CD; ესევითართა მათ ვამცნებთ, 2 თეს. 3,12; ამასვე გამცნებდი (გამცნებდით AႣႪႭ) თქუენ [მე], 2 თეს. 3,10ႢCD; ამცნებდა მათ პავლე, საქმე 27,9ႪႭ; ამცნებდ ამას და ასწავებდ, 1 ტიმ. 4,11; და ამას ა., რაჲთა უბრალო იყვნენ, 1 ტიმ. 5,7; მდიდართა მათ... ა., 6,17; გამცნო თქუენ ღმერთმან, ებრ. 9,20; ვითარცა-იგი გამცენით თქუენ, 1 თეს. 4,11; რომელ-იგი გ., ჰყოფთ, 2 თეს. 3,4; მცნებანი გ. (გამცნენით ႠႣႪႭႢ) თქუენ, 1 თეს. 4,2; მდიდართა მათ ამას სოფელსა ამცენ [ბრძ.], 1 ტიმ. 6,17ႭႢCD; რაჲთა ამცნო ვიეთმე, 1 ტიმ. 1,3.

ნუ ერჩიედ... მცნებასა კაცთასა, ტიტე 1,14; რომელი არა შჯულისა მისებრ მცნებისა ჴორციელისა იყოს, ებრ. 7,16; მ. მისებრ და მოძღურებისა კაცთაჲსა, კოლ. 2,22.

6. მოძღვრება: დასასრული მცნებისაჲ არს სიყუარული, 1 ტიმ. 1,5.

მძაფრიად ზმნზ. ხმაურით, გრიალით, с грохотом, ῥοιζηδόν: ცანი მძაფრიად წარჴდენ, 2 პეტ. 3,10.

მცხუედ-ი გვიანი, ანტონ. მსთუაჲ: ვიდრემდე მოიღოს წჳმაჲ მსთუაჲ და მცხუედი, იაკ. 5,7.

მძიმე 1. მძიმე, ძნელი, ძნელად დასაძლევი, მკაცრი: წიგნები ესე რეცა მძიმე (მძიმჱ Ⴊ) [არს], 2 კორ. 10,10; მცნებანი მისნი მ. არა არიან, 1 იოვ. 5,3; მრავალსა და მძიმესა ბრალსა დასდებდეს, საქმე 25,7.

2. ნელი, აუჩქარებელი, დინჯი: იყავნ ყოველი კაცი... მძიმე სიტყუად, მ. გულის-წყრომად, იაკ. 1,19.

3. მძვინვარე, სასტიკი: შემოვიდენ... მგელნი მძიმენი, საქმე 20,29ႪႭ.

მძიმედ ზმნზ. 1. ძნელად, გაჭირვებით: ყურითა მძიმედ ისმინეს, საქმე 28,27.

2. ნელა, აუჩქარებლად: მრავალ დღე მძიმედ ვიდოდეთ, საქმე 27,7.

მძინარე: გარდავარდა მძინარჱ (მძინარე ႪႭ) და დაეცა... ქუეყანასა, საქმე 20,9.

მძლავრება, მძლავრობა ძალადობა, ძალმომრეობა, ჩაგვრა, 0—2: მდიდარნი იგი გმძლავრობენ თქუენ, იაკ. 2,6; რომელნი-იგი გ. თქუენ, I პეტ. 3,16; ანუ არა მდიდარნი გმძლავრობენა თქუენ, იაკ. 2,6ႪႭ; ესე ჰმძლავრობდა ნათესავსა ჩუენსა, საქმე 7,19; რომელნი-იგი ჰმძლავრობდენ თქუენსა მას კეთილსა... სლვასა, 1 პეტ. 3,16ႪႭ.

ზე აქუნდა პავლე ერისაგანთა მათ მძლავრებისა მისთჳს ერისა, საქმე 21,35.

მძლე ეინც სძლევს, მომრევი: ნუვინ... მძლე გექმნებინ, კოლ. 2,18.

მძორ-ი გვამი, труп, πτῶμα: მძორები მათი უბანთა ზედა ქალაქისა მის დიდისათა, გამოცხ. 11,8; იხილონ... წარმართთა მ. მათი, გამოცხ. 11,9; არა უტეონ მძორებსა მათსა დადებად სამარებსა შინა, გამოცხ. 11,9.

მძღუარ-ი ნ. წინამძღუარი.

მწამლველ-ი გრძნეული, ჯადოქარი, чародей, волшебник, φάρμακος: გარე იყვნენ შეგინებულნი და მწამლველნი, გამოცხ. 22,15; მწამლველთა... და ყოველთა მტყუვართაჲ ნაწილი მათი იყოს ტბასა მას ცეცხლითა... მოტყინარესა, გამოცხ. 21,8.

მწამლველობა ჯადოქრობა, გრძნეულება, ჯადოს გაკეთება, волшебство, колдовство, φαρμακεία: მწამლველობითა შენითა სცთეს ყოველნი წარმართნი, გამოცხ. 18,23; ცხად არიან საქმენი ჴორცთანი, რომელ არიან: სიძვანი... მწამლველობანი, გალ. 5,2CD; არა შეინანეს... არცა მწამლველობათა მათთაგან, გამოცხ. 9,21.

მწარე მწარე, გადატ. ძლიერი, მწვავე: იყოს ძირი მწარე, ებრ. 12,15D; ნუუკუე წყაროჲსაგან მისვე თუალისაგან გამოდინ ტკბილი და მწარჱ (მწარე ႪႭ), იაკ. 3,11; უკუეთუ შური მ. (მწარე ႪႭ) გაქუნდეს... გულთა თქუენთა, იაკ. 3,14.

მწე შემწე, დამხმარე, მშველელი: ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ და მწე (მწჱ C), ებრ. 4,12; უფალი არს მ. (მწჱ Ⴊ) ჩემდა, ებრ. 13,6; უფალი არს მწედ ჩემდა, ებრ. 13,6Ⴍ.

მწვალებელ-ი გამყოფი, განხეთქილების ჩამომგდები, ერეტიკოსი, სინონ. ერესიოტი: მწვალებელსა კაცსა... განეშორე, ტიტე 3,10ႭCD.

მწერ-ი: მწერსა აჩრდილად ხედავს, 2 პეტ. 1,9 ახლომხედველია, ვერ ხედავს, μυωπάζω.

მწერალ-ი ნ. ანდერძის მწერალი, სჯულის მ., წიგნის მ.

მწიგნობარ-ი მწერალი, წიგნის მცოდნე, სწავლული, γραμματεύς ὁ, книжник; (სახელმწიფო) მდივანი, მწერალი, писец, секретарь: ანუ სადა არს მწიგნობარი, 1 კორ. 1,20; ჴელი განუყარა მწიგნობარმან (+მან ႩႪႭ) ერსა მას და თქუა, საქმე 19,35; აღძრეს ერი იგი და მოხუცებულნი და მწიგნობარნი, საქმე 6,12; აღ-ვინმე-დგეს მ. კრებულისაგან ფარისეველთაჲსა, საქმე 23,9ႪႭ; იყო ხეალისაგან შეკრებაჲ... ხუცესთა და მწიგნობართაჲ, საქმე 4,5.

მწიგნობართაგან-ი: აღ-ვინმე-დგეს მწიგნობართაგანნი კრებულისა მისგან ფარისეველთაჲსა, საქმე 23,9.

მწი(ნ)კულ-ი ჭუჭყი, სიბინძურე: არა ჴორცთაგან განშორებაჲ მწინკულისაჲ (მწიკულისაჲ G), არამედ გონებისა სათნო-ყოფაჲ ღმრთისაჲ, 1 პეტ. 3,21.

მწინკულევან-ი ჭუჭყიანი, უსუფთაო: შევიდეს გლახაკიცა სამოსლითა მწინკულევანითა, იაკ. 2,2.

მწი(ნ)კულევანება უსუფთაობა, სიბინძურე, უწმინდურება: რაჲთა... არა აქუნდეს მწინკულევანება (+ჲ Ⴊ, მწიკ. Ⴀ), ეფეს. 5,27; განიშორეთ ყოველივე მწინკულევანებაჲ (მწიკ. ႪႭ), იაკ. 1,21.

მწირ-ი 1. უცხოელი, სხვა ქვეყნიდან მოსული: მწირ იყოს ნათესავი შენი ქუეყანასა უცხოსა, საქმე 7,6; იყო მ. ქუეყანასა მადიამისასა, საქმე 7,29; არღარა ხართ უცხო და მ., ეფეს. 2,19; პეტრე, მოციქული იესუ ქრისტჱსი, რჩეულთა მწირთა, განთესულთა პონტოჲსა და გალატიაჲსათა [გიკითხავს], 1 პეტ. 1,1; გლოცავ თქუენ, ვითარცა მ., I პეტ. 2,11.

2. უკანონო შვილი, внебрачный, νόθος: გადატ. არანამდვილი, ყალბი:უკუეთუ შორს ხართ სწავლასა, რომლისა ზიარ-ქმნულ არიან ყოველნი, მწირნი ვიდრემე ხართ და არა შვილნი, ებრ. 12,8.

3. უცხოელი, ახლადმოქცეული (იუდაიზმზე), προσήλυτος: გამოირჩიეს სტეფანე... და ნიკოლაოს, მწირი ანტიოქიელი, საქმე 6,5; რომელნი-ესე ვართ... კჳრინჱთ კერძონი და მოსრულნი ჰრომნი, ჰურიანი, მწირნი, საქმე 2,10.

მწირთაგან-ი იგივეა, რაც მწირი (3): მისდევდეს მათ მრავალნი ჰურიათაგანნი და მორწმუნეთა მწირთაგანნი, საქმე 13,43.

მწირობა უცხო ქვეყანაში ცხოვრება, 0—1: მწირობდა იგი ქუეყანასა მადიამისასა, საქმე 7,29ႩႪႭ; სარწმუნოებით მ. ქუეყანასა აღთქუმისასა, ვითარცა უცხოსა, ებრ. 11,9.

მწირობისა მაგის თქუენისა ჟამნი აღასრულენით, 1 პეტ. 1,17; ერი იგი აღამაღლა ჟამსა მას მწირობისასა, საქმე 13,17.

მწრაფლ, მსწრაფლ ზმნზ. სწრაფად, მალე: მწრაფლ (მსწრაფლ Ⴆ) მოვაველინე ეგე, ფილიპ. 2,28; განვეშორეროთ... მ. (მსწრაფლ CD) მომავალი იგი ცოდვაჲ, ებრ. 12,1; მ. (მსწრაფლ Ⴆ) მეძიებდა მე, 2 ტიმ. 1,17.

მწუანე მწვანე: მოვედ და იხილე, და აჰა ცხენი მწუანჱ (მწუანე A), გამოცხ. 6,8.

მწუანვილ-ი ბალახი, მცენარეულობა (მწვანე ფერისა): რომელმან... გამოიღის მწუანვილი, ებრ. 6,7; რაჲთა არა ავნონ თივასა ქუეყანისასა, არცა ყოველსა მწუანვილსა, გამოცხ. 9,4.

მწუბება გორვა, ამოსვრა ტალახში, წუმპეში: ი ვნ.: ღორი იმწუბა (ინწუბა ႩႪ) საგორელსა მწჳრისასა, 2 პეტ. 2,22.

მწჳრე ლაფი, ტლაპო, ტალახი: ღორი იმწუბა საგორელსა მწჳრისასა, 2 პეტ. 2,22.

მწუხარე შეჭირვებული, შეწუხებული: ვართ... ვითარცა მწუხარენი და მარადის გჳხარის, 2 კორ. 6,10.

მწუხარება წუხილი, ურვა, დანაღვლიანება: მწუხარება არს ჩემდა დიდ, ჰრომ. 9,2CD; ყოველივე სწავლაჲ... არა არნ სიხარული, არამედ მ., ებრ. 12,11; მწუ-

ხარებაჲ არს ჩემდა დიდი, ჰრომ. 9,2; რაჲთა არა... მ. მწუხარებასა ზედა დამჴრთოს, 2 კორ. 2,3; სოფლისა ამის მ. სიკუდილსა შეიქმს, 2 კორ. 7,10; ღმრთისა მიერ მ. (÷იგი ႨCႦ) სინანულსა... შეიქმს, 2 კორ. 7,10; რაჲთა არა მ. მწუხარებასა ზედა დამჴრთოს, ფილიპ. 2,27; დაითმინოს მ., 1 პეტ. 2,19; მწუხარებამან მაგან თქუენმან... შექმნა თქუენ შორის წრაფაჲ, 2 კორ. 7,11; რაჲთა არა... მწუხარებაჲ მწუხარებასა ზედა დამჴრთოს, 2 კორ. 2,3; რაჲთა არა მწუხარებაჲ მ. ზედა დამჴრთოს, ფილიპ. 2,27; მრავლისაგან მწუხარებისა... მიგწერე, 2 კორ. 2,4CD; რაჲთა არა კუალად მწუხარებით მოვიდე თქუენდა, 2 კორ. 2,1; გამოურჩევიეს გულითა, ნუ მ. (+ა Ⴈ), 2 კორ. 9,7; მწუხარებითა დაითქუს, 2 კორ. 2,7; სიხარული თქუენი მწუხარებად [გარდაიქეცინ], იაკ. 4,9; უკუეთუ... დაითმინნეს ვინმე მწუხარებანი, 1 პეტ. 2,19ႢႱႭ; მოსცა მათ ღმრთმან სული მწუხარებისაჲ, ჰრომ. 11,8; ყოველი სწავლულებაჲ... არა საგონებელ იყვის სიხარულისად, არამედ მწუხარებისად, ებრ. 12,11Ⴈb.

მწუხრ-ი ზმნზ. საღამოს, შელამებისას, შებინდებისას: მწუხრი მოვედით სამონდ, საქმე 20,15.

მწყემს-ი ვინც მწყემსავს (საქონელს, პირუტყვს), გადატ. (მწყემსი კაცთა) იესუ ქრისტე; საეკლესიო მოღვაწე (მღვდელი, მოძღვარი...): აღმოიყვანა მკუდრეთით მწყემსი იგი, ებრ. 13,20; მოქცეულ ხართ აწ მწყემსისა მის, 1 პეტ. 2,25; და მან მოსცნა რომელნიმე მოციქულნი... რომელნიმე მწყემსნი და მოძღუარნი, ეფეს. 4,11.

მწყემსთ-მთავარ-ი მღვდელთმთავარი, უმაღლესი სასულიერო პირი, აქ ქრისტე: გამოჩინებასა მას მწყემსთ-მთავრისასა მოიღოთ... დიდებისა გჳრგჳნი, 1 პეტ. 5,4.

მწყსა მწყემსვა, დაცვა, მოვლა, პატრონობა, 0—2: კრავი იგი ჰმწყსის მათ, გამოცხ. 7,17; უშიშად თავთა თჳსთა მწყსიან (ჰმწყსიან ႢႱ), იუდა 1,12; ვინ-მე მწყსინ (ჰმწყსინ Ⴄ) სამწყსოსა, 1 კორ. 9,7; მწყსიდით (ჰმწყსიდით G) [ბრძ.] სამწყსოსა მას ღმრთისასა, 1 პეტ. 5,1; ჰმწყსიდეს მათ კუერთხითა რკინისაჲთა, გამოცხ. 2,27; 19,15.

რომელსა ეგულების მწყსაჲ ყოველთა წარმართთაჲ, გამოცხ. 12,5; სულმან წმიდამან დაგადგინნა... მწყსად ეკლესიათა, საქმე 20,28.

მწყრალ-ი ნ. გულ-მწყრალი.

მჭამელ-ი ნ. ჭამა, არამჭამელი.

მჭედელ-ი ნ. ვეცხლის მჭედელი, ალექსანდრე მჭედელი.

მხალ-ი ბოსტნეული, მხალი: ხოლო უძლური იგი მხალსა ჭამნ, ჰრომ. 14,2.

მხიარულ-ი რაჲთა... მხიარულ იყუნეთ, 1 პეტ. 4,13; მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა... გულითა, საქმე 2,46.

ნ.კ. გულ-მხიარული.

მხიარულად ზმნზ. სიხარულით; კეთილმოსურნედ: მხიარულად შეიწყნარეს, საქმე 2,41; მ. შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა, საქმე 21,17ႢႱႭ; მ. მისაცემელი უყუარს ღმერთსა, 2 კორ. 9,7.

მხიარულება სიმხიარულე, კარგ გუნებაზე ყოფნა; კეთილმოსურნეობა: მიიღებდეს საზრდელსა მხიარულებით, საქმე 2,46Ⴍ; მ. შემიწყნარნეს ჩუენ ძმათა, საქმე 21,17; რომელი სწყალობდეს — მ., ჰრომ. 12,8; მ. მისაცემელი უყუარს ღმერთსა, 2 კორ. 9,7ႭႨCD; რაჲთა მხიარულებითა მით სახარებისაჲთა მოვიდე თქუენდა, ჰრომ. 15,32.

მხილება 1. გამხელა, გამომჟღავნება (საიდუმლოსი), ი/უ—3: ესე უმხილა ვინმე საულეს, საქმე 9,24.

2. გამჟღავნება, გამოაშკარავება (უარყოფითი, მიუღებელი საქციელისა); პირში თქმა ნაკლისა; შეგონება, დარიგება, ა—(3)2: მე რომელნიმცა მიყუარდენ, ვამხილებ და ვასწავებ, გამოცხ. 3,19; სცოდავთ და გამხილებს თქუენ შჯული, იაკ. 2,9Ⴂ; ჰურიათა მათ ამხილებდა, საქმე 18,28; ამხილებდ [ბრძ.] ... ყოვლითა სულგრძელებითა, 2 ტიმ. 4,2Ⴍ; ა. ყოვლითა ბრძანებითა, ტიტე 2,15; უფროისღა ამხილებდით (+ცა CD), ეფეს. 5,11; წინაშე ყოველთა ამხილე [ბრძ.], 1 ტიმ. 5,20; ა. ... ყოვლითა სულგრძელებითა, 2 ტიმ. 4,2; ა. მათ თუალ-უხუავად, ტიტე 1,13.

ე: ცოდვასა იქმთ და გემხილების შჯულისაგან, იაკ. 2,9: ემხილოს ყოველთა მიერ, 1 კორ. 14,24.

ი ვნ.: იმხილებით შჯულისაგან, იაკ. 2,9ႢႱႭ.

ნუცა დაჰჴსნდები მის მიერ მხილებასა, ებრ. 12,5; ჭირ არს ჩუენდა... მხილებისა მოწევნაჲ, საქმე 19,27; მოვიდა უფალი... მხილებად ყოველთა უღმრთოთა, იუდა 1,15.

არს სარწმუნოებაჲ... საქმეთა მამხილებელ არა-ხილულთა, ებრ. 11,1; იყოს... სიტყჳს-მგებელთა მათ მ., ტიტე 1,9; მამხილებელად აქუნდა თჳსისა უშჯულოებისა კარაული უტყუ, 2 პეტ. 2,16.

ყოველივე მხილებული ნათლისა მისგან გამოცხადნების, ეფეს. 5,13.

მხოლო ზედ., ერთადერთი, მარტო, მხოლოდ ერთი: იყავნ ღმერთი მხოლოჲ ჭეშმარიტ, ჰრომ. 3,4; შენ მ. ხარ წმიდა, გამოცხ. 15,4; არავინ არს ღმერთ, გარნა მ. იგი, 1 კორ. 8,4; აჩუენოს... მხოლომან ძლიერმან მეუფემან, 1 ტიმ. 6,15; მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა... დიდებაჲ, ჰრომ. 14,26; 16,26; მ. ღმერთსა პატივი და დიდებაჲ, 1 ტიმ. 1,17; მ. რომელსა აქუს უკუდავებაჲ, 1 ტიმ. 6,16; მ. ... უფალსა ჩუენსა... უვარ-ჰყოფენ, იუდა 1,4; მ. ღმერთსა მაცხოვარსა ჩუენსა... დიდებაჲ, იუდა 1,25.

მხოლოდ-შობილ-ი დედისერთა, ერთადერთი შვილი: ძჱ თჳსი მხოლოდ-შობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, 1 იოვ. 4,9; მხოლოდ-შობილსა მას შესწირვიდა, ებრ. 11,17.

მჴარ-ი „ოთხი წყრთა ერთი მჴარი არს, ვიდრე ორთავე ჴელთა სრულიად გაწუდა" (საბა), ὀργυιά, ზღვის საზომი = 185 სმ.: გარდაუტევეს საზომი იგი და იყო ოც მჴარ, საქმე 27,28; კუალად ზომეს და იყო ათხუთმეტ მ. (მჴარი ႢႭ), საქმე 27,28.

მჴდომ-ი მოწინააღმდეგე, მოდავე, მოცილე; მტერი, სატანა: მჴდომ რაჲმე არიან თქუენ შორის, 1 კორ. 1,11Ⴈ; მომეცა მე საწერტილი ჴორცთაჲ — ანგელოზ მჴდომ, 2 კორ. 12,7b; ესენი მ. არიან ურთიერთას, გალ. 5,17; მომეცა მე საწერტილი ჴორცთაჲ — ანგელოზი მჴდომი, 2 კორ. 12,7; გამოჩნდეს... მ. იგი, 2 თეს. 2,4; დამაბრკოლნა ჩუენ მჴდომმან, 1 თეს. 2,18; ნუცაღა ერთსა რას მიზეზ-სცემედ მჴდომსა გინებისა ადგილ, 1 ტიმ. 5,14; არცა ერთისა მიზეზისა ცემად მჴდომისა ად-

გილად გინებისა, 1 ტიმ. 5,14CD; ესე ყოველნი მჴდომად ბრძანებათა კეისრისათა იქმან, საქმე 17,7 საწინაღმდეგოდ; მომეცა მე საწერტელი ჴორცთაჲ — ანგელოზ მჴდომნი, 2 კორ. 12,7C.

ნ.კ. ჴდომა.

მჴედარ-ი მხედარი, „ცხენოსანი მებრძოლი“, მეომარი: განემზადეთ... მჴედარი სამეოც და ათი, საქმე 23,23; ზედა მიუჴედ მჴედრებითურთ, საქმე 23,27ႢႪႭ; იხილეს ათასისთავი იგი და მჴედარნი, საქმე 21,32ႢႪႭ; მან... წარიყვანნა მ., საქმე 21,32ႢႪႭ; განუტევნა მ. იგი მისლვად მის თანა, საქმე 23,32; ზე აქუნდა პალე მჴედართა მათ, საქმე 21,35ႢႪႭ.

მჴედრობა მხედრობა, ცხენოსანი ლაშქარი: უბრძანა მჴედრობასა შთასლვაჲ და გამოტაცებაჲ მისი, საქმე 23,10ႢႪႭ; შეკრებულნი ბრძოლის-ყოფად... მჴედრობისა მისისა მიმართ, გამოცხ. 19,19; მჴედრობანი ცათანი შეუდგეს მას, გამოცხ. 19,14; ვიხილე... მ. მათნი, გამოცხ. 19,19; საჭურველი ჩუენისა მის მჴედრობისაჲ, 2 კორ. 10,4CD; რიცხჳ მჴედრობათაჲ მათ ცხენთაჲ ბევრნი ბევრთანი [იყო], გამოცხ. 9,16.

მჴევალ-ი მონა ქალი, არათავისუფალი; მსახური ქალი, მოახლე: გამოვიდა მჴევალი ერთი სმენად, საქმე 12,13 მსახური ქალი; მ. ერთი წინა შემემთხჳა ჩუენ, საქმე 16,16; განაძე მ. ეგე, გალ. 4,30; ორ ძე ესხნეს: ერთი მჴევლისაგან და ერთი აზნაურისაგან, გალ. 4,22; მჴევალთა ჩემთა [ზედა] მივჰფინო, საქმე 2,18; არა დაიმკჳდროს შვილმან მჴევლისამან, გალ. 4,30; არა ვართ შვილნი მჴევლისანი, გალ. 4,31.

მჴევლისაგან-ი მონა ქალის შვილი: მჴევლისაგანი იგი ჴორციელად შობილ იყო, გალ. 4,23.

მჴეცი მხეცი, ნადირი, საერთოდ, გარეული მტაცებელი ცხოველი; გადატ. მხეცის თვისებების მქონე უსამართლო, სასტიკი, ავი ადამიანი: რომელსა შინა იყო... ყოველი მჴეცი ქუეყანისაჲ, საქმე 10,12ႢႪႭ; ვიხილე ყოველივე... მ. ქუეყანისაჲ, საქმე 11,6; მ. ღათუ შეეხებოდა მთასა მას, ებრ. 12,20; ვიხილე მ. ერთი, გამოცხ. 13,1; ვიხილე სხუაჲ მ., გამოცხ. 13,11; ათნი იგი რქანი... და მ. — მათ მოიძულონ მეძავი იგი, გამოცხ. 17,16; მ. ეგე... იყო და არა არს, გამოცხ. 17,8; მ. იგი... იყო მსგავსი ვეფხისაჲ, გამოცხ. 13,2; იყო მ. იგი და არა არს, გამოცხ. 17,8; მ. იგი... წარსაწყმედელად წარვალს, გამოცხ. 17,11; ვიხილე მ. იგი, გამოცხ. 19,19; შეპყრობილ იქმნა მ. იგი, გამოცხ. 19,20; სადა იყვნეს მ. იგი და ცრუ-წინაწარმეტყუელი, გამოცხ. 20,10; მჴეცმან მან... ბრძოლა-ყოს მათ თანა, გამოცხ. 11,7; თაყუანის-სცეს მჴეცსა, გამოცხ. 13,4; რომელთაცა სძლიან ხატსა მას და მ., გამოცხ. 15,2; ჴელმწიფებასა მათსა მ. მისცემენ, გამოცხ. 17,13; მიცემად მეფობაჲ მათი მ., გამოცხ. 17,17; მისცა ჴელმწიფებაჲ იგი მ. მას, გამოცხ. 13,4; რაჲთა თაყუანის-სცენ მ. მას, გამოცხ. 13,12; რომელმანცა თაყუანი-სცეს მ. მას, გამოცხ. 14,9; რომელთაცა თაყუანის-სცენ მ. მას, გამოცხ. 14,11; ვიხილე დედაკაცი მჯდომარე მ. ზედა, გამოცხ. 17,3.

ვინ შემძლებელ არს ბრძოლად მჴეცისა, გამოცხ. 13,4C; ვიხილენ... პირისაგან მ. სულნი არაწმიდანი, გამოცხ. 16,13; მიცემად მეფობაჲ მათი მ., გამოცხ. 17,17AC; ვინ არს მსგავს მ. მის, გამოცხ. 13,4; ქმნან ხატი მ. მის, გამოცხ. 13,14C; რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მ. მის, გამოცხ. 13,17; დასხა [ლანკნაჲ] საყდარსა მას ზედა მ. მის, გამოცხ. 16,10; ჴელმწიფებასა... მიიღებენ მ. მის თანა, გამოცხ. 17,12; დაუკჳრდა ყოველსავე ქუეყანასა მ. მისთჳს, გამოცხ. 13,3; რომელ მიეცნეს მას ქმნად წინაშე მ. მის, გამოცხ. 13,14; ვიხილე მას შინა... მჴეცნი და ქუეწარმავალნი, საქმე 11,6ႢႪႭ; კრეტელნი... მ. ბოროტნი [არიან], ტიტე 1,12; უკუეთუ კაცობრივ მჴეცთა (მჴეცთ ႤႪ) ბრძოლა-ვყავ ეფესოს, 1 კორ. 15,32; ყოველი ბუნებაჲ მ. და მფრინველთაჲ... დაიმწყსების, იაკ. 3,7ႤႢႪႭ; მიეცა მას ჴელმწიფებაჲ... მოსრვად მათდა... მ. მიერ ქუეყანისათა, გამოცხ. 6,8.

ალიპყარნ რიცხჳ იგი მჴეცისაჲ, გამოცხ. 13,18; გითხრა შენ საიდუმლოჲ დედაკაცისაჲ მის და მ., გამოცხ. 17,7; რომელთა მიიღეს ბეჭედი იგი მ., გამოცხ. 19,20; ქმნან ხატი მ. მის, გამოცხ. 13,14; რაჲთა იტყოდის ხატი მ. მის, გამოცხ. 13,15; ჴელმწიფებასა პირველისა მის მჴეცისასა ყოველსა იქმს, გამოცხ. 13,12; მიეცა მას სული მიცემად ხატსა მას მ., გამოცხ. 13,15; რომელთა არა თაყუანის-სცენ ხატსა მ., გამოცხ. 13,15; არა თაყუანის-სცეს ხატსა მას მ., გამოცხ. 20,4; ყოველი ბუნებაჲ მჴეცთაჲ... დაიმწყსების, იაკ. 3,7.

მჴნე მხნე, მამაცი, მტკიცე, ძლიერი: მჴნე (მჴნეთ Ⴊ) იყვენით და განძლიერდით, 1 კორ. 16,13; ქებული ლუსია მჴნესა ფილიკს მთავარსა [ვიკითხავ], საქმე 23,26; მრავალსა მშჳდობასა შინა ვართ შენ ძლით, მჴნეო ფილიქს, საქმე 24,3; არა ვბორგი, მ. ფესტოს, საქმე 26,25.

მჴურვალედ გულმხურვალედ, გულმოდგინედ: მოგაჴსენებ შენ განცხოველებად მჴურვალედ მადლსა მას ღმრთისასა, 2 ტიმ. 1,6.

ნ

ნ, ნარ ქართული ანბანის მე-14 ასო, რიცხვითი მნიშვნელობა – 50: თავი გ, მუჳლი ნ. ფილიპ. 1,26Ⴊ.

ნ (ნდომა) ნდომა, სურვილი, წადილი; დაპირება (რისამე), ი/უ–2: მინდა გულისხმის-ყოფად ბრალი იგი, საქმე 23,28; მ. მეცა კაცისა მისგან სმენად, საქმე 25,22; რამეთუ მრავალ-გზის მ. მისლვად თქუენდა, პრომ. 1,13; ამითვე სასოებითა მ. ... მისლვად თქუენდა, 2 კორ. 1,15; მ. მისლვაჲ თქუენდა, გალ. 4,20; მრავალი მ. მიწერად თქუენდა, 2 იოვ. 1,12ႢႪႭ; მრავალი მ. მიწერად შენდა, 3 იოვ. 1,13; უნდა პირის ჴსნაჲ, საქმე 10,10; უ. მათგან სმენად სიტყჳსა, საქმე 13,7G; ბარნაბას ესრე უ., საქმე 15,37; უ. სიტყჳს მიგებად ერისა მის, საქმე 19,33; უ. პავლეს ეფესოსა თანა-წარსლვაჲ, საქმე 20,16; ხუალისაგან უ. გულისხმის-ყოფად, საქმე 22,30; უ. მომადლებაჲ ჰურიათაჲ ფილიქს, საქმე 24,27; ფესტოსს უ. მომადლებაჲ ჰურიათაჲ, საქმე 25,9; უკუეთუმცა უ. მისლვად იერუსალჱმდ, საქმე 25,20; ასისთავსა მას უ. პავლესი განრინებაჲ, საქმე 27,43; უკუეთუმცა უ. ღმერთსა ჩუენებად რისხვაჲ, პრომ. 9,22; ღმერთმან დაამტკიცნა ასონი იგი..., ვითარცა უ., 1 კორ. 12,18; შეპყრობაჲ ჩემი უ., 2 კორ. 11,32; რომლისათჳს უ. ღმერთსა... ჩუენებად, ებრ. 6,17; უ. დამკჳდრებად კურთხევაჲ, ებრ. 12,17; მას უ. და გუშვნა ჩუენ, იაკ. 1,18ႠႪႭ; უნდა მათ ბითჳნიაჲთ კერძო წარსლვად, საქმე 16,7C; უ. განტევებაჲ ჩემი, საქმე 28,18; უ. მათ, რაჲთამცა იყვნეს შჯულის მოძღუარ, 1 ტიმ. 1,7; უკუეთუ მინდეს სიქადული, 2 კორ. 12,6; რომელსა უნდეს ჩემდა ყოფად კეთილი, პრომ. 7,21; უფალსა თუ უ., 1 კორ. 4,19; მას უ. ყოფაჲ მის თანა, 1 კორ. 7,13Ⴂ; რაჲ უ., ყავნ, 1 კორ. 7,36; უ. თუ ქორწინებაჲ, 1 კორ. 7,39; უკუეთუ ვისმე უ. ცილობის, 1 კორ. 11,16; ვისი-იგი უ., ეფეს. 4,28Ⴂ*; ნუვინ... მძლე გექმნებინ, უ. ღათუ სიმდაბლითა, კოლ. 2,18; უკუეთუ ვისმე არა უ. საქმის, 2 თეს. 3,10; უკუეთუ ვისმე ეპისკოპოსობის უ., 1 ტიმ. 3,1; რომელსა უ. მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, იაკ. 4,4ႪႭ; უკუეთუ უფალსა უ., იაკ. 4,15; რომელსა უ. სიყუარული ცხორებისაჲ, 1 პეტ. 3,10; რომელსა უ. ვნებად მათდა, გამოცხ. 11,5; და გინდეს მისლვად, 1 კორ. 10,27; რაჲ-იგი გ., გალ. 5,17; უკუეთუ უნდეს წამების, საქმე 26,5; უკუეთუ რაჲმე სწავლის უ., 1 კორ. 14,35; რომელთა უ. ცხორებაჲ, 2 ტიმ. 3,12.

ნაგებ-ი კერპისადმი შესწირავი: ანუ ნაგები იგი რაჲ არს, 1 კორ. 10,19CD.

ნაგევ-ი ნაგავი გადატ.: ულირსი, შეურაცხი: შეჰრაცხიეს იგი ნაგევად, ფილიპ. 3,8.

ნაგუემ-ი ჭრილობა: დაბანნა იგინი ნაგუემისაგან, საქმე 16,33; დაბანნა იგინი ნაგუემისა მისგან, იქვე Ⴂ; განბანნა იგინი ნაგუჱმთაგან, იქვე Ⴍ; განბანნა იგინი ნაგუემთა მათგან, იქვე Ⴊ.

ნ. გუემა.

ნავ-ი ხომალდი: ეპოვეთ ნავი, საქმე 21,2; პოვა ასისთავმან მუნ ნ. ალექსანდრიაჲსაჲ, საქმე 27,6; იყო-ღა ნ. საცთომელ სავალად, საქმე 27,9ႢႪႭ; მიმოაქუნდა ნ. მაჲთ ნელიად, საქმე 27,17G; სამ-გზის ნ. დამექცა, 2 კორ. 11,25; შეაბრკოლა ნავი იგი, საქმე 27,15; ეგულებოდა... განდგინებად ნ. იგი, საქმე 27,39; დაჰკიდეს ნ. იგი, საქმე 27,41; მიერ შესხდეს ნავსა, საქმე 13,4; აღუჴედით ნ. ტროადით, საქმე 16,11; შევიდა ნ. ეფესოსთ, საქმე 18,21; იყო შესლვაჲ ჩუენი ნ., საქმე 21,1; შევსხედით ნ., საქმე 21,6; შევვედით ნ. არდამუნტჱსასა, საქმე 27,2; შემოსწებეს ნ., საქმე 27,17; შემდგომად სამისა დღისა შევვედით ნ., საქმე 28,11; რომელნი არიან შენ თანა ნავსა ამას, საქმე 27,24; რომელნი არიან შენ თანა ნავსა მაგას, იქვე ႢႪႭ; აღუმცირებდეს ნავსა მას, საქმე 27,38; თავნიცა ჩუენნი წარწყმედად არიან ნავსა თანა, საქმე 27,10; უკუეთუ ესენი არა იყვნენ ნავსა ამას შინა, საქმე 27,31; ვიყვენით... ნავსა მას შინა, საქმე 27,37; იყო-ღა ნავის საცთომელ სლვად, საქმე 27,9; გარდაყრად იყო ნავისა მის ტჳრთი, საქმე 21,3; ბოლოჲთ კერძო ნ. მის გარდასთხინეს ოთხნი კავნი, საქმე 27,29; თავით კერძო ნ. მის განპმარტებენ კავთა, საქმე 27,30ႪႭ; თავნიცა ჩუენნი წარწყმედად არიან ნავისა თანა, საქმე 27,10ႪႭ; ეგულებოდა სივლტოლაჲ ნავისა მისგან, საქმე 27,30; გარდასდებდეს ნ. მისგან იფქლსა მას, საქმე 27,38; მიერ ნავითა წიაღჳდეს კჳპრედ, საქმე 13,4ႪႭ; მიერ ნ. წარმოვიდეს, საქმე 14,26; ბარნაბა... განვიდა ნ. კჳპრედ, საქმე 15,39; პავლე... გამოვიდა ნ. ასურეთად, საქმე 18,18; ხოლო ჩუენ ნ. წარმოვედით, საქმე 20,6; 20,15; 21,7; წინა წარუძღუთ ნ., საქმე 20,13; განაჩინეს ნ. წარსლვაჲ, საქმე 27,1; წარმოჰგზავნიდეს მას ნავად, საქმე 20,38; ვითარცა იყო შესლვაჲ ჩუენი ნ., საქმე 21,1Ⴂ; რომელთა აქუნდა ნავები, გამოცხ. 18,19; ნავებიცა იგი... მოიქცევიან მცირისაგან საჭისა, იაკ. 3,4ႢႪႭ; ნავნიცა... მოიქცევიან მცირისაგან საჭისა, იქვე; ჭირი და ზღვევაჲ ყოფად არს არა ხოლო თუ ტჳრთისა და ნავისაჲ, საქმე 27,10; ჭურჭერი ნ., საქმე 27,17; 27,19; განჴუებაჲ სულისაჲ არცა ერთისაჲ იყოს თქუენგან, თჳნიერ ხოლო ნ., საქმე 27,22G; განჴუებაჲ სულისაჲ არცა ერთისაჲ იყოს თქუენგან, თჳნიერ ხოლო ნავისა, იქვე; ტჳრთი ნავისაჲ მის, საქმე 21,3Ⴍ; განდგინებაჲ ნ. მის, საქმე 27,39ႪႭ; ჭურჭლითა რომლითამე ნავისაჲთა, საქმე 27,44; მესამედი ნავთაჲ, გამოცხ. 8,9.

ნავთ-სადგურ-ი ნავსადგური: უმარჯუ იყო ნავთსადგური იგი, საქმე 27,12Ⴊ; მუნ დაზამთრებად ნავთსადგურსა მას კრიტისასა, საქმე 27,12F.

ნავის-უფალ-ი მესაჭე, КОРМЧИЙ: ასისთავი იგი ნავის უფალსა (ნავისა უფალსა ႢႪFGH) ერჩდა, საქმე 27,11.

ნავღელ-ი ნაღველი: სიმწარესა ნავღლისასა, საქმე 8,23; სიმწარედ ნავღლისა, საქმე 8,23ႢႪႭ; სიმწარედ ნავღლისად, იქვე DK.

ნაზარეველ-ი ვინც ნაზარეთიდან არის, ნაზარეთის მკჳდრი: წინამძღუარი ნაზარეველთა წვალებისაჲ, საქმე 24,5Ⴍ.

* გამოცემაში: ეფეს. 4,27Ⴂ.

1. ნაზორევ-ი კერპისადმი შეწირული: ჭამად კერპთა ნაზორევისა. გამოცხ. 2.14; 2.20: კერპთა ნაზორევთა მათთჳს უცყით. 1 კორ. 8.11ᲘD.

2. ნაზორევ-ი შებილწული: რაჲთა განეყენნენ იგინი ჭამად ნაზორევისაგან კერპთაჲსა. საქმე 15.20DႢႪႭ: რაჲთა განეყენნენ იგინი ჭამად ნაზორევთაგან კერპთაჲსა. იქვე.

ნ. კერპთ-ნაზორევი.

ნათელ-ი არს. სახ. = სინათლე; დღე: ნათელ ხართ უფლისა მიერ. ეფეს. 5.8; ყოველივე განცხადებული ნ. არს. ეფეს. 5.13; რამეთუ ღმერთი ნ. არს, 1 იოვ. 1.5; ნათელი დიდი გამობრწყინდა სახლსა მას. საქმე 12,7; გამობრწყინვიდა ნ. დიდი ჩემ ზედა. საქმე 22.6; გარემო მობრწყინვიდა მე ნ., საქმე 26.13; ვითარ-იგი პირველ მკუდართა აღდგომისა ნ. მითხრობად, საქმე 26,23: ნ. შევიმოსოთ, ჰრომ. 13,12; რომელმან თქუა ნ. გამობრწყინვებად, 2 კორ. 4.6; ნ. სანთლისაჲ არღარა იხილვოს. გამოცხ. 18,23; არა საჴმარ იყოს ნ. და მზჲ, გამოცხ. 22,5; ნათელი იგი იხილეს, საქმე 22,9; არა გამოუბრწყინდეს მათ ნ. იგი, 2 კორ. 4,4; ნ. იგი ჭეშმარიტი აწვე ჩანს. 1 იოვ. 2,8; ნათელსა მყოფ არს მიუწდომელსა, 1 ტიმ. 6.16; გიწოდა თქუენ საკჳრველსა მას ნათელსა მისსა, 1 პეტ. 2,9; ღირს გუყვნა ჩუენ ნაწილსა მას მკჳდრობისა წმიდათაჲსა ნათელსა შინა, კოლ. 1,12; უკუეთუ ნ. შინა ვიდოდით, ვითარცა-იგი ნ. შინა არს, 1 იოვ. 1,7; რომელმან თქუას ნ. შინა ყოფაჲ, 1 იოვ. 2,9; ნ. შინა არს, 1 იოვ. 2.10; რომელმან ღირს გყვნა თქუენ ნაწილსა მას მკჳდრობისა წმიდათაჲსა ნათელსა მას შინა, კოლ. 1,12ႭႢ; პირველ მკუდართა აღდგომისა ნათლისა ევულების მითხრობად, საქმე 26,23Ⴊ; ყოველივე მხილებული ნათლისაგან გამოცხადნების, ეფეს. 5,13CD; ყოველივე მხილებული ნათლისა მისგან გამოცხადნების, იქვე AB; ვიდოდიან წარმართნი ნათლითა მისითა, გამოცხ. 21,24; დაგადგინე შენ ნათლად წარმართთა, საქმე 13,47; მივავლინო შენ... მოქცევად ბნელისაგან ნ., საქმე 26.18; ესავ თავსა შენსა ნ. მათა, ჰრომ. 2,19; მბრწყინვალებაჲ ნათლისაჲ. საქმე 9.3; პირველ მკუდართა აღდგომისა ნ. ევულების მითხრობად, საქმე 26.23Ⴍ; საჭურველი ნ., ჰრომ. 13,12; რაჲ ზიარებაჲ არს ნ. და ბნელისაჲ, 2 კორ. 6,14Ⴂ; ნაყოფი იგი ნ., ეფეს. 5.9; რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა, 2 კორ. 6.14; მამისაგან ნათლისაჲსა, იაკ. 1,17; დიდებისა მისგან ნათლისა (÷მის ႪႭ), საქმე 22,11; მამისაგან ნ.. იაკ. 1.17ႢႪႭ; ანგელოზად ნათლისად (ნათლისა CD), 2 კორ. 11.14; შვილნი ნათლისანი, ეფეს. 5,8; ნაშობნი ნ., 1 თეს. 5,5.

ნ.ქ. ნათლის მოცემა, ნათლის-ცემა, ნათლის-ღება.

1. ნათესავ-ი თაობა, მოდგმა, ჩამომავლობა, γενεά, род: ვინაჲთგან ნათესავ ღმრთისა ვართ, საქმე 17,29ႢႪႭ; რომლისა-იგი ნათესავცა ვართ. საქმე 17,28; მწირ იყოს ნათესავი შენი, საქმე 7,6; განეცხადა... ნ. იოსებისი, საქმე 7,13; ხოლო თქუენ ნ. რჩეული, 1 პეტ. 2,9; მე ვარ ძირი და ნ. დავითისი, გამოცხ. 22.16; მოვიწყინე ნათესავი იგი, ებრ. 3,10; აღუთქუა მას მიცემად იგი სამკჳდრებელად და ნათესავსა მისსა, საქმე 7,5; ესე ჰმძლავრობდა ნ. ჩუენსა. საქმე 7,19; ნ. სხუასა არა გამოეცხადა, ეფეს. 3,5; რაჲთა იყვნეთ შეუგინებელი შორის ნათესავსა დრკუსა. ფილიპ. 2,15; დავით ნათესავსა მას შინა თჳსსა ჰმსახურებდა. საქმე 13,36; ნაშობთა ნათესავისა აბრაჰამისთა. საქმე 13.26; რაოდენნი იყვნეს ნათესავისაგან მღდელთ მოძღუართაჲსა. საქმე 4.6ႢႪႭ: განეშორებით ნათესავისა მისგან დრკუისა. საქმე 2.40; მისისა მისგან ნათესავისა (მის ნათესავისაგან ႢႪႭ) ღმერთმან... აღუდგინა ისრაჱლსა მაცხოვარი. საქმე 13.23: იოსე... კჳპრელი ნათესავით. საქმე 4.36; პოვა ვინმე ჰურიაჲ... პონტოელი ნ., საქმე 18.2: ჰურიაჲ ვინმე იყო ალექსანდრელი ნ.. საქმე 18.24: ნ. ისრაჱლისაჲთ. ტომისაგან ბენიამენისი, ფილიპ. 3.5: საიდუმლოჲ იგი, დაფარული საუკუნითგან და ნათესავითგან. კოლ. 1.26; უკუეთუ ნათესავნი ღმრთისანი ვართ, საქმე 17.29: არა იტყჳს „ნათესავთა“, ვითარცა მრავალთასა, გალ. 3.16; წარსრულთა მათ ნათესავთა მიუშუა. საქმე 14.16; ჭირნი ნათესავთაგან. 2 კორ. 11.26ႭႢCD; მისა დიდებაჲ... ყოველთა მიმართ ნათესავთა. ეფეს. 3.21; წარვემატებოდე ჰურიაებასა შინა... ნათესავთა შინა ჩემთა, გალ. 1,14; აღთქუმაჲ იგი ყოვლისა ნათესავისაჲ (ნათესავისა CD). ჰრომ. 4.16: მოსეს დასაბამითგან ნათესავთაჲთ ქადაგნი იგი მისნი... დაედგინნეს. საქმე 15.21; მოსეს პირველთა ნათესავთაჲთგან... ქადაგნი მისნი დაედგინნეს, საქმე 15,21ႢႪႭ; საიდუმლოჲ იგი, დაფარული საუკუნითგან და ნათესავითგან, კოლ. 1,26.

2. ნათესავ-ი ხალხი, ერი, ἔθνος, народ: ნათესავი იგი... ესაჯო მე, საქმე 7.7; და მიეცა მას ჴელმწიფებაჲ ყოველსა ზედა... ნათესავსა, გამოცხ. 13,7: რომელ იყოს ნათესავსა შინა ჩემსა იერუსალჱმს, საქმე 26.4; რომელ იქმნების ნათესავსა ამას შინა, საქმე 24.3; განაკჳრვებდა ნათესავსა მას სამარიტელთასა, საქმე 8.9: მე გაშურო მათ არა ნათესავსა მას ზედა, ჰრომ. 10.19; რომელი წამებულ არს ყოვლისაგან ნათესავისა, საქმე 10.22: არა თუ შესმენაჲ რაჲ მედვა ნ. ჩემისაჲ, საქმე 28.19: გიცოდე შენ მსაჯულად ნათესავისა ამის, საქმე 24.10: ნათესავითა მით უგულისხმოჲთა განვარისხნე იგინი, ჰრომ. 10,19; დაარღჳნა ნათესავნი შჳდნი, საქმე 13.19; შექმნა ერთისაგან სისხლისა ნ. კაცთანი, საქმე 17.26; გიცოდე შენ მსაჯულად ნათესავისად ჩემისა, საქმე 24.10G.

3. ნათესავ-ი ნათესავი დღევანდელი მნიშვნელობით, συγγενής, родственник: მოუწოდა... ყოველსა ნათესავსა მისსა. საქმე 7,14; კითხვაჲ არქუთ ეროდიანს, ნ. ჩემსა, ჰრომ. 16.11; გამოვედ... ნათესავისაგან შენისა, საქმე 7,3ႢႪႭ; Ⴈასონ და სოსიპატროს. ნათესავნი ჩემნი, ჰრომ. 16,21CD; კითხვაჲ არქუთ ანდრონიკეს და იუნიას, ნათესავთა ჩემთა, ჰრომ. 16.7; ვილოცევდ... ძმათათჳს და ნათესავთა ჩემთა. ჰრომ. 9,3.

4. ნათესავ-ი თესლი, ტომი, σπέρμα, семя: ესრე იყოს ნათესავი შენი, ჰრომ. 4.18; ისაკისგან გეწოდოს შენ ნ.. ჰრომ. 9,7CD; არა თუმცა უფალმან... დაჳტევა ჩუენ ნ., ჰრომ. 9.29; ვიდრემდე მოვიდეს ნ. (÷იგი ႭႢCD), გალ. 3.19; ნათესავსა აბრაჰამისსა ეწევის, ებრ. 2,16Ⴈb; ნათესავისა მისისა მკჳდრ ყოფაჲ იგი, ჰრომ. 4,13; ხოლო აბრაჰამისა მიმართ ითქუნეს აღთქუმანი ესე და ნ. მისისა... „და ნ. შენისა“, რომელ არს ქრისტჱ, გალ. 3,16; მოიჴსენე იესუ ქრისტჱ... ნათესავისაგან დავითისა, 2 ტიმ. 2.8: ნ. აბრაჰამისა იწყო. ებრ. 2.16; ნათესავისა შენისა მიმართ იკურთხეოდიან, საქმე 3.25; შვილნი იგი აღთქუმისანი შერაცხილ არიან ნათესავად. ჰრომ. 9,8; ისაკისგან გეწოდოს შენ ნ.. ებრ. 11.18;

არცა არიან ნათესავნი აბრაჰამისნი ყოველნი შვილ, ჰრომ. 9,7; ნ. თუ აბრაჰამისნი არიან, 2 კორ. 11,22.

5. **ნათესავ-ი** ტომი, φυλή, колено: ათორმეტი ნათესავი... ჰმსახურებს, საქმე 26,7; სხჳსა ნათესავმან დაიპყრა, ებრ. 7,13ႢႪ; ნათესავისა მღდელობისაჲ არარაჲ აჴსენა მოსემან, ებრ. 7,14Ⴍ; მოსცა მათ... კაცი ნათესავისაგან ბენიამენისა, საქმე 13,21; იუდაჲს ნ. აღმოჳცენდა უფალი ჩუენი, ებრ. 7,14; ათორმეტთა (+მათ Ⴂ) ნათესავთა მიმოდათესულთა, — გიხაროდენ, იაკ. 1,1; რომლისა ნათესავისაჲ მღდელობისათჳს არაჲ აჴსენა მოსემან, ებრ. 7,14; სხჳსა ნათესავისამან დაიპყრა, ებრ. 7,13.

6. **ნათესავ-ი** გვარი, πατριά, род: იკურთხეოდიან ყოველნი ნათესავნი ქუეყანისანი, საქმე 3,25; ყოველნი ნ. სახელ-დებულ არიან, ეფეს. 3,15.

7. **ნათესავ-ი** იხმარება მრ. რიცხვში. წარმართი: ნათესავთა შორიელთა მიგავლინო შენ, საქმე 22,21; ნათელი მითხრობად ერთა და ნ., საქმე 26,23; განრინებად შენდა ერისაგან და ნათესავთაგან, საქმე 26,17.

1. **ნათესავ-მოუჴსენებელ-ი** უგვარტომო, უნათესაო: რომელ-არს ნათესავ-მოუჴსენებელ (-ელი), ებრ. 7,3ႭCD.

2. **ნათესავ-მოუჴსენებელ-ი** სხვა ტომის წარმომავლობისა: ხოლო ნათესავ-მოუჴსენებელსა მას მათგან ათეული მისცა აბრაჰამ, ებრ. 7,6; ხოლო ნათესავ-მოუჴსენებელმან მან მათგან ათეული მიიღო აბრაჰამისგან, ებრ. 7,6CD.

ნათლის მოცემა მონათვლა: მოსცა მას ნათელი, საქმე 8,38.

ნ.კ. ნათლის-ცემა.

ნათლის-ღება მონათვლა (თავისი), ი უობ.: რომელნი-იგი ნათელ-იღებენ (ნათელს-იღებენ CD) მკუდართათჳს, 1 კორ. 15,29Ⴂ; რაჲსაღა ნ. (ნათელს-ი. CD) მათთჳს, 1 კორ. 15,29; ნათელ-იღებდეს (ნათელს-იღებდეს EGH) მამანი და დედანი, საქმე 8,12; მრავალნი კორინთელნი ისმენდეს და... ნ. (ნათელს-ი. E), საქმე 18,8; სჳმონსცა თჳთ ჰრწმენავე და ნათელ-იღო (ნათელს-იღო H), საქმე 8,13; აღდგა და ნ., საქმე 9,18; ვითარ ნ. მან, საქმე 16,15; მან თავადმან ნ., საქმე 16,33; რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტჱს მიმართ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნ., ჰრომ. 6,3; ერთისა მიმართ გუამისა ნ., 1 კორ. 12,13; ნ. ქრისტჱს მიმართ, გალ. 3,27; ანუ სახელისა მიმართ პავლჱსისა ნათელ-იღეთ, 1 კორ. 1,13; სახელითა ჩემითა ნ., 1 კორ. 1,15; ქრისტეს მიმართ ნ., გალ. 3,27CD; რომელთა-იგი შინა ნ., ებრ. 10,32; ნათელ-იღეს მას დღესა შინა, საქმე 2,41; ნ. სახელითა იესუ ქრისტჱსითა, საქმე 19,5; ყოველთავე მოსჱს მიერ ნ., 1 კორ. 10,2; რომელთა-იგი ნ. მკუდართათჳს, 1 კორ. 15,29; აღდეგ და ნათელ-იღე, საქმე 22,16; ნათელ-იღენ კაცად-კაცადმან, საქმე 2,38FGI; შეინანეთ და ნათელ-იღეთ, საქმე 2,38; ხოლო თქუენ ნათელ-იღოთ სულითა წმიდითა, საქმე 1,5; 11,16; რაჲთა უკუე ნათელ-გიღებიეს, საქმე 19,3.

ერთ არს უფალ და... ერთ ნათლის-ღება, ეფეს. 4,5; თქუენცა გაცხოვნებს ნათლის-ღებაჲ, 1 პეტ. 3,21; ქადაგებდა ნათლის-ღებასა სინანულისასა, საქმე 13,24; რაჲ ყენება არს ჩემდა ნათლის-ღებისა, საქმე 8,36; ნ. სწავლისა, ებრ. 6,2; თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, ჰრომ. 6,4; მის თანა დაეფლენით ნ. მით, კოლ. 2,12; რაჲღა ყენება არს ჩემდა ნათლის-ღებად, საქმე 8,36ႢႪႭ; უბრძანა მათ სახელითა უფლისა იესუ ქრისტჱსითა ნ., საქმე 10,48; რაჲ ყენება არს ჩემდა ნათლის-ღებისაჲ, საქმე 8,36D.

ვერ ჴელ-ეწიფების ერთვე ნათელ-ღებულთა მათ, ებრ. 6,4.

ნათლის-ცემა მონათვლა (სხვისი), O–(3)2: რამეთუ იოვანე ნათელ-სცემდა წყლითა, საქმე 1,5; 11,16; იოვანე ნ. ნათლის-ცემასა სინანულისასა ერსა, საქმე 19,4; რამეთუ არავის თქუენგანსა ნათელ-ვეც, 1 კორ. 1,14; სახელითა ჩემითა ნ., 1 კორ. 1,15CD; ხოლო ნ. სტეფანაჲსსაცა სახლსა; მერმე არა ვიცი, უკუეთუ ვისმე ნ. სხუასა, 1 კორ. 1,16; და ნათელ-სცა მას, საქმე 8,38ႢႪႭ.

წყლისაგან ნუ რაჲ ყენება არს ნათლის-ცემაჲ ამათი, საქმე 10,47; იცოდა ნ. ხოლო იოვანჱსი, საქმე 18,25; ქადაგებდა... ნათლის-ცემასა სინანულისასა, საქმე 13,24D; იოვანე ნათელ-სცემდა ნ. სინანულისასა, საქმე 19,4; რომელ-იგი იწყო გალილეაჲთგან შემდგომად ნათლის-ცემისა, საქმე 10,37; მათ ჰრქუეს: იოვანეს ნათლის-ცემითა, საქმე 19,3; იწყო ნათლის-ცემითგან იოჰანჱსსა, საქმე 1,22; წყლისაგან ნუ რაჲ ყენებაჲ არსა არა ნათლის-ცემად ამათი, საქმე 10,47FGH; უბრძანა მათ ნ., საქმე 10,48F; არა მომავლინა მე უფალმან ნ., 1 კორ. 1,17.

ნათლის-მცემელი ნ. იოჰანე ნათლის-მცემელი.

ნათხევარ-ი ნარწყევი: ძაღლი მიექცა თჳსსა ნათხევარსა, 2 პეტ. 2,22.

ნაკერპავ-ი კერპისადმი შესაწირავი, ნაზორევი, ნაგები: ნაკერპავი არს, 1 კორ. 10,28; ნაკერპავი იგი რაჲმე არს, 1 კორ. 10,19; რომელნიმე... კერპთასა მას ვითარცა ნაკერპავსა ჭამენ, 1 კორ. 8,7; ჭამისათჳს ნაკერპავისა ვიცით, 1 კორ. 8,4; არა-მცა გონებაჲ იგი მის უძლურისაჲ განაჴნდეს ნაკერპავისა მის ჭამად, 1 კორ. 8,10; განშორებად თქუენდა ნაკერპავისაგან, საქმე 15,29CႪႭ; განშორებად თქუენდა ნაკერპავთაგან, იქვე; ნაკერპავთა მათთჳს ვიცით, 1 კორ. 8,1; ჭამისათჳს ნაკერპავთაჲსა უწყით, 1 კორ. 8,4CD.

ნაკლულ-ი დაუმთავრებელი, არასრულყოფილი: რაჲთა ნაკლული იგი განაგო, ტიტე 1,5; ნაკლულსა მას უმეტესი მისცა პატივი, 1 კორ. 12,24CD.

1. **ნაკულულევან-ი** რომელსაც რაიმე აკლია. ხელმოკლე: არარაჲთ ნაკლულევან ხართ, 1 კორ.1,7; ნ. ვიქმენ, 2 კორ. 11,8CD; რაჲთა იყუნეთ... არარაჲთ ნ., იაკ. 1,4; ვინმე თქუენგანი ნ. არს, იაკ. 1,5; უკუეთუ... შიშუელ იყუნენ და ნ., იაკ. 2,15; იქცეოდეს... თხის ტყავებითა ნაკლულევანნი, ებრ. 11,37; განხრწნილთა კაცთა გონებაჲ და ნაკლულევანთაჲ (ნაკლულევანთა ႪႭႨ) ჭეშმარიტებისაგან, 1 ტიმ. 6,5.

2. **ნაკლულევან-ი** დაუმთავრებელი, არასრულყოფილი: რაჲთა ნაკლულევანი იგი განაგო, ტიტე 1,5CD; ნაკლულევანსა მას უმეტჱსი მისცა პატივი, 1 კორ. 12,24.

3. **ნაკლულევან-ი** გაჭირვებული: და არავინ ნაკლულევან იყო მათ შორის, საქმე 4,34.

ნაკლულევანება რისამე ნაკლებობა, გაჭირვება: რამეთუ ნაკლულევანებაჲ იგი ჩემი აღავსეს ძმათა, 2 კორ. 11,9; თქუენი იგი ნამეტავი მათისა მის ნაკლულევანებისა, რაჲთა მათი იგიცა ნამეტავი იყოს თქუენისა მის ნ., 2 კორ. 8,14; მსახურებაჲ ესე ხარკისაჲ ამის არა ხოლო თუ არს აღმავსებელ ნ. მის წმიდათაჲსა, 2 კორ. 9,12; არა თუ ნაკლულევანებისათჳს რაჲსმე გეტყჳ, ფილიპ. 4,11.

ნაკუერცხალ-ი ნაკვერჩხალი: ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ შეჰკრიბო თავსა მისსა, ჰრომ. 12,20.

1. **ნამეტავ-ი, ნამეტნავ-ი** სიჭარბე, სიუხვე, საესება: თქუენი იგი ნამეტავი (ნამეტნავი ႢCD) მათისა მის ნაკლულევანებისა, რაჲთა მათი იგიცა ნ. (ნამეტნავი CD) იყოს თქუენისა მის ნაკლულევანებისა, 2 კორ. 8,14; განდიდებად კანონისაებრ ჩუენისა ნამეტნავად, 2 კორ. 10,15CD.

2. **ნამეტავ-ი, ნამეტნავ-ი** ზედმეტი: ნამეტავ (ნამეტნავ CႧხ) არს ჩემდა მიწერად თქუენდა, 2 კორ. 9,1Ⴂ.

ნამუშაკევ-ი საქმე, ნაქმნარი: ღმრთისა ნამუშაკევნი... ხართ, 1 კორ. 3,9; ანუ არა ნ. ჩემნი თქუენ ხართ უფლისა მიერ, 1 კორ. 9,1.

ნანა სინანული, ი: არა ვინანი, დაღათუ ვინანდი, 2 კორ. 7,8.

ნანდჳლ ნამდვილად: ნანდჳლ სიმონისი... ვანი აქა არს, საქმე 10,18.

ნანდჳლვე, ნამდჳლვე ნამდვილად: უკუეთუ ნანდჳლვე (ნამდჳლვე FႭ) წარმართთაცა მისცა ღმერთმან სინანული, საქმე 11,18E; ნ. (ნამდჳლვე D, ნანდულვე Ⴂ) ღმერთი თქუენ შორის არს, 1 კორ. 14,25; უკუეთუ ნ. (ნამდჳლვე ႨD) მკუდარნი არა აღდგებიან, 1 კორ. 15,15ႨႡ; ნ. (ნამდჳლვე ႨD) შჯულისაგანმცა იყო სიმართლჱ, გალ. 3,21; ნ. (ნამდჳლვე ႨႧႢ) დასნეულდა, ფილიპ. 2,27; ნ. ქურივი იგი არს, 1 ტიმ. 5,5; ნ. (ნამდჳლვე D) არს სარეწავ, 1 ტიმ. 6,6.

ნაოჭ-ი ჭრილობის ნაწიბური, გადატ. ბიწი, მანკი: არა აქუნდეს... ნაოჭ ბრძჳლის, ეფეს. 5,27.

სწავება სწავლება, გადაცემა; დარიგება: ა—3: ვითარცა შვილთა საყუარელთა განსწავებ თქუენ, 1 კორ. 4,14; ვითარცა-იგი ყოველთა ადგილთა ყოველთა ეკლესიათა ვასწავებ, 1 კორ. 4,17ႡႢႧCD; ვამხილებ და ვ., გამოცხ. 3,19; განდგომილებასა ასწავებ, საქმე 21,21; რომელი-ეგე ა. მოყუასსა, თავსა თჳსსა არა ა., ჰრომ. 2,21; არცაღა თჳთ იგი ბუნებაჲ განსწავებს თქუენ, 1 კორ. 11,14; თჳთ იგივე ცხებულებაჲ გ. თქუენ ყოვლისათჳს, 1 იოვ. 2,27ႢO; განდგომასა ასწავებს, საქმე 21,21ႡႢ; ყოველსა ადგილსა მასვე ა., საქმე 21,28; ვასწავებთ ყოველსა კაცსა, კოლ. 1,28; ნუ იტყჳთ, ნუცა ასწავებთ სახელითა იესუსითა, საქმე 4,18; ასწავებენ ერსა, საქმე 5,25; ა., რომელი არა ჯერ-არს, ტიტე 1,11; ასწავებდა მათ შორის სიტყუასა მას ღმრთისასა, საქმე 12,11; ა. ჭეშმარიტად იესუსთჳს, საქმე 18,25; რომელთა ა., საქმე 28,23; ა. იესუ ქრისტჱსთჳს, საქმე 28,31; ასწავებდეს ერსა მას, საქმე 5,21; ვიდრე იგინი... ა., საქმე 14,18; ა. ძმათა, საქმე 15,1; პავლე და ბარნაბა... ა., საქმე 15,35; ა. დამარხვად შჯულისა, საქმე 16,4; ამას ასწავებდ, 1 ტიმ. 4,6; 6,2; ამცნებდ ამას და ა., 1 ტიმ. 4,11; ასწავებდით... თავთა თქუენთა, კოლ. 3,16; ა. უწესოთა მათ, 1 თეს. 5,14ႺႧb; ა. ვითარცა ძმასა, 2 თეს. 3,15; რომელი ასწავებდეს, ჰრომ. 12,7CD; არღარა ა. კაცად-კაცადი მოქალაქესა თჳსსა, ებრ. 8,11; რაჲთა არა ასწავებდეთ სახელითა ამით, საქმე 5,28; არღარა ასწავებდენ კაცად-კაცადი, ებრ. 8,11Ⴂ; რომელიმცა არა გითხარ და გასწავე, საქმე 20,20; ვითარცა-იგი გ. თქუენ, 1 კორ. 11,2; არა გიჴმს, ვითარმცა ვინ გასწავა თქუენ, არამედ მანვე ცხორებამან გასწაოს თქუენ ყოვლისათჳს... ვითარცა-იგი განსწავა თქუენ, ეგენით მას ზედა, 1 იოვ. 2,27; რომელი ასწავა ბალაკს, გამოცხ. 2,14.

ი: მას თანა უქმობასა ისწავებენ, 1 ტიმ. 5,13CD; ყოვლადვე ი., 2 ტიმ. 3,7CD; ისწავებედ პირველად თჳსსა სახლსა ღმრთის მსახურებასა, 1 ტიმ. 5,4CD; მას თანა უქმებასა ი., 1 ტიმ. 5,13; მარადის ი., 2 ტიმ. 3,7; ი. ჩუენნიცა იგი კეთილისა საქმესა წარდგინებად, ტიტე 3,14ႧႺ; ისწავებდ პირველად თჳსსა სახლსა ღმრთის-მსახურებასა, 1 ტიმ. 5,4ႨႬႸႧb; მას თანა უქმებასა ი., 1 ტიმ. 5,13O; ი. ჩუენნიცა იგი კეთილისა საქმესა წარდგინებად, ტიტე 3,14ႨႬႸ; დედაკაცი მდუმრიად ისწავებდინ, 1 ტიმ. 2,11; ი. პირველად თჳსსა სახლსა ღმრთის მსახურებასა, 1 ტიმ. 5,4O; ისწავებდედ პირველად თჳსსა სახლსა ღმრთის მსახურებასა, 1 ტიმ. 5,4; ი. ჩუენნიცა იგი კეთილისა საქმესა წარდგინებად, ტიტე 3.14; რაჲთა ყოველნი ისწავებდენ, 1 კორ. 14,31CD; ი. ჩუენნიცა იგი კეთილისა საქმესა წარდგინებად, ტიტე 3,14O; მოვიღე იგი გინა თუ ვისწავე, გალ. 1,12; ისწავა, ვითარმედ კილიკიელი არს, საქმე 23,34; რომელ-იგი ი. ჩუენგან, 2 თეს. 3,6; ი. მორჩილებით, ებრ. 5,8; ვითარცა ვისწავეთ, კოლ. 2,7Ⴂ; რომელცა-იგი ისწავეთ, ფილიპ. 4,9; ვითარცა-იგი ი., კოლ. 1,7; 2,7; 1 თეს. 4,1; რაჲთა ჩუენ მიერ ისწაეთ (ისწაოთ ႡႧCD), 1 კორ. 4,6; რაჲთა ყოველთავე ისწავონ (ისწაონ C), 1 კორ. 14,31.

მე მისწავიეს, ფილიპ. 4,11; რომელი თქუენ გისწავიეს, ჰრომ. 16,17; თქუენ არა ეგრეთ გ. ქრისტე, ეფეს. 4,20; მისა მიმართ გ., ეფეს. 4,21; ვითარცა-ეგე გ. ქრისტე იესუს მიერ, კოლ. 2,6; რომელცა-ეგე გ., 2 თეს. 2,15; რომელიცა გ. და გრწმენა, 2 ტიმ. 3,14.

1. **სწავლა** სწავლება, დამოძღვრა, დარიგება, 0—2: სწავლიდით უწესოთა მათ, 1 თეს. 5,14.

ა—3: რომელი... ასწავლის და აცთუნებს ჩემთა მონათა, გამოცხ. 2,20.

ი: დედაკაცი მდუმრიად ისწავლიდინ, 1 ტიმ. 2,11O.

ი ენ.: რაჲთა ისწავლნენ არა-გმობად, 1 ტიმ. 1,20.

რაჲ არს ახალი ესე შენ მიერი სიტყჳსა სწავლაჲ? საქმე 17,19; რომელთა არა აქუს ს. ესე, გამოცხ. 2,24; რომელთა უპყრიეს ს. იგი ბალამისი, გამოცხ. 2,14; რომელთა უპყრიეს ს. იგი ნიკოლაველთაჲ, გამოცხ. 2,15; არა დავსცხრებოდე ცრემლით სწავლასა, საქმე 20,31ႢO; ნუ კუალად საძირკუელსა დავსდებდეთ... ნათლისღებისა ს., ებრ. 6,2; უკუეთუ რაჲმე სწავლის უნდეს, 1 კორ. 14,35; ნუ კუალად საძირკუელსა დავსდებთ... სარწმუნოებისა ღმრთისა მიმართ, ნათლის-ღებისა სწავლისა, ებრ. 6,2CD; შემდგომად ერთისა და ორისა ს. განეშორე, ტიტე 3,10CD; რომელნი იქმნებოდინ გარეშე ს. მის, ჰრომ. 16,17Ⴇb; მოიწინეს... ღმრთბილნი ს. მისთჳს ერისა, საქმე 4,2;არა დავსცხრებოდე სწავლითა, საქმე 20,31; ს. სულისა წმიდისაჲთა... შეუატყუებთ, 1

კორ. 2,13; განზარდენით იგინი ს., ეფეს. 6,4; ერესიოტ-სა მას კაცსა ერთითა და ორითა ს. განეშორე, ტიტე 3,10: გინა რომელი ასწავებდეს – ს. მით, ჰრომ. 12,7CD; რომელთა იწყო იესუ ყოფად და სწავლად, საქ-მე 1,1; ამცნეს... არა სიტყუად, არცა ს. სახელითა იესუ-ჲსითა, საქმე 4,18ႢႤ; იყო მუნ მათი წელიწადი ერთი... ს. ერისა, საქმე 11,26; შემძლებელ ხართ ურთიერთსაცა ს., ჰრომ. 15,14; რომელნი შემძლებელ იყვნენ სხუათაცა ს., 2 ტიმ. 2,2.

რაჲთა სახიერ იყოს ყოველთა მიმართ, მასწავლელ, 2 ტიმ. 2,24; ესავ თავსა შენსა... მასწავლელად უგუ-ნურთა, ჰრომ. 2,20CD; რაჲთა სახიერ იყოს ყოველთა მიმართ მასწავლელთა, 2 ტიმ. 2,24Ⴄ.

2. **სწავლა** დასჯა, 0–2: რომელი უყუარნ უფალსა, სწავლის, ებრ. 12,6; რომელი არა ს. მამამან, ებრ. 12,7; იგინი... მათისაებრ ნებისა სწავლიდეს, ებრ. 12,10.

ყოველივე სწავლაჲ... არა არნ სიხარულ, ებრ. 12,11; ნუ სულ-მოკლე იქმნები სწავლასა უფლისასა, ებრ. 12,5; ს. დაუთმეთ, ებრ. 12,7; შორს ხართ ს., ებრ. 12,8.

სწავლად-ი სასჯელის განმცდელი, დასჯილი: წა-რუდგინენით თავნი თჳსნი... ვითარცა სწავლადნი, 2 კორ. 6,9.

1. **სწავლულ-ი** განსწავლული, ნასწავლი, მცოდნე: ესე იყო სწავლულ გზასა უფლისასა, საქმე 18,25; ს. ვარ ჭეშმარიტებით მამულითა შჯულითა, საქმე 22,3; ს. ხარ შჯულისაგან, ჰრომ. 2,18; თქუენ ყოველნი ღმრთით სწავლულნი ხართ, 1 თეს. 4,9; რომელსაცა-ესე ვიტყჳთ არა სწავლულთა კაცთა სიბრძნისა სიტყჳთა, 1 კორ. 2,13Ⴂ.

2. **სწავლულ-ი** მასწავლებელი, მოძღვარი: რაჲთა უბრალო იყოს სწავლულ (διδακτικόν), 1 ტიმ. 3,2.

3. **სწავლულ-ი** დასჯილი: წარუდგინენით თავნი თჳსნი... ვითარცა სწავლულნი, 2 კორ. 6,9ႧCD.

1. **სწავლულება** ნასწავლი, შეთვისებული: რო-მელსაცა-ესე ვიტყჳთ არა სწავლულებითა კაცთა სიბ-რძნისა სიტყჳთა, 1 კორ. 2,13.

2. **სწავლულება** დასჯა: ყოველი სწავლულებაჲ... არა საგონებელ იყვის სიხარულისად, ებრ. 12,11ႨႡ.

1. **სწორ-ი** ტოლი, თანასწორი: ათორმეტი სიგრძჱ და სივრცჱ... მისი სწორ არიან, გამოცხ. 21,16 მადლი იგი სწორი, საქმე 11,17; ს. პატივი, 2 პეტ. 1,1; სწორად წყალობად შემძლებელ არნ, ებრ. 5,2; წარვემატებოდე... უფროჲს მრავალთა ჰასაკის სწორთა ჩემთა, გალ. 1,14.

2. **სწორ-ი** სამართლიანობა, მიუდგომლობა: სამარ-თალსა და სწორსა (τὴν ἰσότητα) მონათა მათ მიაგებ-დით, კოლ. 4,1.

1. **სწორება** თანასწორობა: არა რაჲთა სხუათა ლხინი და თქუენ ჭირი, არამედ სწორებით, 2 კორ. 8,13Ⴂ; შეირაცხა თავი თჳსი სწორებად ღმრთისა, ფი-ლიპ. 2,6.

2. **სწორება** შეთავსებადობა, ერთარსობა: რაჲ სწორება (სწორებაჲ ႰD) (συνκατάθεσις) არს ტაძ-რისა ღმრთისა კერპთა თანა? 2 კორ. 6,16.

სწრაფა ნ. წრაფა.

სწრობა გასწრება, დასწრება, მოსწრება, ა–(3)2: მზჱ ნუ გასწრობნ, ეფეს. 4,26Ⴂ.

ი/უ: პატივის-ცემითა ურთიერთსა უსწრობდით, ჰრომ. 12,10; ვერ უსწროთ შესუენებულთა მათ, 1 თეს. 4,15D.

სხდომა, 0–1: რომელნი სხენან წინაშე საყდარსა ღმრთისასა, გამოცხ. 11,16; წინა ს. სახედ ცეცხლისა საუკუნისა, იუდა 1,7; სადა-იგი სხდეს მოციქულნი, საქ-მე 2,2; რომელნი ს. კრებულსა მას შორის, საქმე 6,15.

სადა-იგი იყვნეს მსხდომარე, საქმე 2,2ႢႤ; მჴედ-რობანი ცათანი შეუდგეს მას, მსხდომარენი ცხენთა ზე-და სპეტაკთა, გამოცხ. 19,14; საყდართა მათ ზედა ოც და ოთხნი მღდელნი მ., გამოცხ. 4,4; აღდგა მეფე... და მათ თანა მ. იგი, საქმე 26,30ႠႢႤ; მსხდომარეთა მათ ზედა აქუნდა ჯაჭუები, გამოცხ. 9,17; ჰორცნი ცხენთანი და მათ ზედა მსხდომარეთანი, გამოცხ. 19,18.

აღდგა მეფჱ... და მათ თანა მსხდომელნი იგი, საქმე 26,30.

სხეულ-ი ჩონჩხის ძვალთა მეტ-ნაკლებად მოძრავი ნაერთი, აგებულება, ἁφή: ყოველი გუამი სხეულთაგან და ნაწევართა შექმნულ არს, კოლ. 2,19;

1. **სხმა** ყოლა (შვილებისა...) (სუბ. მრ.-ში), ი/უ: შვილნიმცა უსხენ, 1 ტიმ. 3,4; ტიტე 1,6.

ე: დაღათუ ბევრ მზარდულ გესხნეს თქუენ ქრის-ტჱს მიმართ, 1 კორ. 4,15; სადა-იგი ესხნეს მას ორ ძე, საქმე 7,29; ესრეთ იყვნენ, ვითარმცა არა ე., 1 კორ. 7,29CD; აბრაჰამსა ორ ძე ე., გალ. 4,22; უკუეთუმცა გუესხნეს ჴორციელნი მამანი, ებრ. 12,9: დაღათუ ბევრ მზარდულ გესხნენ ქრისტეს მიერ, 1 კორ. 4,15ႠႢႧCD; რომელთა ესხნენ ცოლ, ვითარცა არა ე., 1 კორ. 7,29; ქურივსა შვილ გინა შვილის შვილ ე., 1 ტიმ. 5,4; რო-მელთა მორწმუნენი ე. უფალნი, 1 ტიმ. 6,2.

მნებავს... შვილთა სხმაჲ, 1 ტიმ. 5,14; ცხოვნდების შვილთ სხმისაგან, 1 ტიმ. 2,15.

2. **სხმა** ქონება, ქონა (სუბ. მრ.-ში), ა–2: თქუენცა ჴორცნივე გასხენ, ებრ. 13,3; თუალნი ასხენ, 2 პეტ. 2,14.

ი/უ: რომელსა-იგი საფუძველ უსხენ ქალაქსა, ებრ. 11,10.

ნ.კ. აღუვ-სხმა, თავს-სხმა.

1. **სხუა** სხვა, დანარჩენი: სხუა (სხუაჲ ႠႢႧCD) არს კაცთაჲ და ს. (სხუაჲ ႠႢCD) ჴორც არს პირუტყუ-თაჲ და ს. (სხუაჲ ႠႢCD) ჴორც არს მფრინველთაჲ და ს. (სხუაჲ CD) ჴორც არს თევზთაჲ... ს. (სხუაჲ ႠႢႧCD) არს ზეცისათა მათ დიდებაჲ და ს. (სხუაჲ ႠႢႧCD) არს ქუეყანისათაჲ. სხუაჲ დიდებაჲ არს მზისაჲ და ს. დიდებაჲ არს მთოვარისაჲ და ს. დიდებაჲ არს ვარსკულავთაჲ, 1 კორ. 15,39-41; სხუა (სხუაჲ ႢႤ) არარაჲ არს, გალ. 1,7; ს. ზრახვაჲ (სხუაჲ ზრახვაჲ ႠႤႧ) არარაჲ იზრახოთ, გალ. 5,10; არავინ მაქუს სხუა ერთგულ (სხუაჲ ერთგული ႧCD), ფილიპ. 2,20; მარ-თალსა შჯულ არა უც, არამედ: ცრუფიცთა და სხუა (სხუაჲ ႤCD), 1 ტიმ. 1,10; ს. სიხარულ... არა მაქუს, 3 იოვ. 1,4; მეფჱ სხუაჲ, საქმე 7,18; სხუაჲ სხუასა რასმე ღაღადებდა, საქმე 19,32Ⴀ; სხუაჲ (სხუა Ⴂ) თუ რაჲმე მცნებაჲ არს, ჰრომ. 13,9; არარაჲ ს. დავიდევ გულსა ჩემსა, 1 კორ. 2,2; ს. იტყოდის, 1 კორ. 3,4CD; საფუძველი ს., 1 კორ. 3,11; არავინ არს ღმერთ ს. (სხუა D), 1 კორ. 8,4CD; ს. თესლი, 1 კორ. 15,37; ს.

იესუ გიქადაგოს, 2 კორ. 11,47ხ; სხუასა იესუს ქადაგებდეს, ... გინა თუ სხუაჲ სული მოაქუნდეს, ... გინა თუ სახარებაჲ ს., 2 კორ. 11,4; ს. მოციქულთაგანი არავინ ვიხილე, გალ. 1,19; ს. ბრძანებაჲ, გალ. 3,15; ს. რაჲ ესევითარი, ეფეს. 5,27; ს. ჰგონებს, ფილიპ. 3,47ხ; ს. თუ რაჲმე იზრახებოდის, ფილიპ. 3,15Ⴀხ; რაჲ საჭმარ იყო წესსა მას ზედა მელქისედეკისსა ს. აღდგინებად მღდელი, ებრ. 7,11; ს. მღდელთმოძღუარი, ებრ. 7,15; ს. უფროჲსი სიხარული, 3 იოვ. 1,4ႢႭ; ს. სიმძიმე, გამოცხ. 2,24; ს. ცხენი წითელი, გამოცხ. 6,4; ს. ანგელოზი, გამოცხ. 7,2; 8,3; 14.15; 14,17; 14,18; 18.1; ს. სასწაული, გამოცხ. 12,3; 15,1; ს. მჴეცი, გამოცხ. 13,11; ს., მეორჱ ანგელოზი, გამოცხ. 14,8; ს. ანგელოზი მესამჱ, გამოცხ. 14,9; ს. ჴმაჲ, გამოცხ. 18,4; ს. წიგნი, გამოცხ. 20,12; ს. იგი აშჱნებდინ, 1 კორ. 3,10; ს. იგი, მაშინ ვბრძანო, 1 კორ. 11,34; ს. იგი არღა მოსრულ არს, გამოცხ. 17,10; განსაგებელი მისი მიიღენ სხუამან, საქმე 1,20; ს. დაბადებულმან, ჰრომ. 8,39; ს. თქუას, 1 კორ. 3,4; მრავალსა სხუასა (+ცა ႩႢ) დაბნებსა და ქალაქებსა, საქმე 8,25; ს. ადგილსა, საქმე 12,17; იგინი ს. ნუ უყოფენ, საქმე 15,20ႢႭ; ს. ნუ უყოფთ, საქმე 15,29ႢႭ; შჯულსა რასმე ს., საქმე 16,21D; მეუფესა ვისმე ს., საქმე 17,7; ათენელნი... ს. არარას შინა იყვნეს, საქმე 17,21; სხუანი სხუასა რასმე ღაღადებდეს, საქმე 19,32; სხუანი იგი სხუასა რასმე ჴმობდეს, საქმე 21,34; ქმარსა ს., ჰრომ. 7,3 (2-ჯერ); ს. შჯულსა, ჰრომ. 7,23; ს. სარწმუნოებაჲ მისვე სულისაგან, 1 კორ. 12,9CD; ს. თესლად-თესლადი ენათაჲ, 1 კორ. 12,10; ს. თარგმანებაჲ ენათაჲ, 1 კორ. 12,10CD; უკუეთუ ს. გამოეცხადოს, 1 კორ. 14,30; არა თუ ს. რას მივსწერთ, 2 კორ. 1,13; ს. არარას ზრახვიდეთ, გალ. 5,10CD; ნათესავსა ს., ეფეს. 3,5; ს. (სხუას AB) თუ რასმე ზრახვიდეთ, ფილიპ. 3,15CD; ს. ადგილსა, ებრ. 5,6; ნუ ს. რასმე მოძღურებდენ, 1 ტიმ. 1,3; უკუეთუ ვინმე ს. მოძღურებდეს, 1 ტიმ. 6,3; ს. ფიცსა, იაკ. 5,12; სხუასაცა (-ცა C) ადგილსა, საქმე 13,35; ებრ. 5,6CD; თავისა თჳსისათჳს იტყჳსა, ანუ სხჳსა ვისთჳსმე, საქმე 8,34; ს. რაჲსათჳსმე საძიებელ არს, საქმე 19,39DႢႭ; არა თუ ს. რასმე მივსწერთ, 2 კორ. 1,13Ⴂ; ს. დღისათჳს, ებრ. 4,8; ს. ნათესავისამან, ებრ. 7,13; ს. ცოდვათა, 1 ტიმ. 5,22; ს. მის მკუდრეთით აღდგომილისა, ჰრომ. 7,4; სხჳსაგან იჭჳსა, 1 კორ. 10,29; თავისა თჳსისათჳს იტყჳსა, ანუ სხჳსათჳს, საქმე 8,34ႩႢ; ს. რაჲსამე საძიებელ არს, საქმე 19,39; არავინაჲ არს სხჳთ ცხორებაჲ, საქმე 4,12; ს. გზით, იაკ. 2,25; სხჳთაცა მრავლითა სიტყჳთა უწამებდა, საქმე 2,40; ათინელნი... სხუად არად მოცალე იყვნეს, საქმე 17,21ႢႭ; აწ კუალად ს. სახედ (= პირიქით, საპირისპიროდ, τοὐναντίον) მიჰმადლეთ მას, 2 კორ. 2,7; ს. სახარებად, გალ. 1,6; ჰგონჳბდეს ს. რაჲმე სასოებად ჴორცითა, ფილიპ. 3,4; სხუანი ეკიცხევდეს, საქმე 2,13; პყრობილნი იგი ს., საქმე 16,25; ს. მათთანანი, საქმე 17.34; ს. ვინმე პყრობილნი, საქმე 27,1; უკუეთუ ს. თქუენისაგან ჴელმწიფებისა მიიღებენ, 1 კორ. 9,12; ს. ეკლესიანი, 2 კორ. 11,8; ვიყვენით... ვითარცა-იგი ს., ეფეს. 2,3; შეიწყნარენ... თანა-შემწენი იგი ჩემნი და ს. (+ცა Ⴂ), ფილიპ. 4,3; რაჲთა არა სწუხდეთ, ვითარცა-იგი ს., 1 თეს. 4,13; ს. წინაჲსწარმეტყუელნი, ებრ. 11,35; ს. ტანჯვითა... განიცადნეს, ებრ. 11,36CD; ს. იგი მკუდარნი, გამოცხ. 20,5; უბრძანა... ს. იგი განსლვად, საქმე 27,44; ს. იგი დაბრმეს, ჰრომ. 11,7; ს. იგი სცნობდედ, 1 კორ. 14,29; ს. იგი წარმართნი, ეფეს. 4,17CD; ს. იგი... ტანჯვითა აღესრულნეს, ებრ. 11,35;დაამტკიცენ ს. იგი, გამოცხ. 3,2; ს. იგი შეშინებულ იქმნეს, გამოცხ. 11,13; ს. იგი მოისრნეს, გამოცხ. 19,21; სხუანიცა, ... მოვიდოდეს, საქმე 28,9; ს. ჰურიანი, გალ. 2,13; ეწამებოდეს ს. იგი ჰურიანი, საქმე 24,9; სხუათა მათ კაცთა, გამოცხ. 9,20; თქუენ გეტყჳ ს. მაგათ, გამოცხ. 2,24; ს. მათ მოციქულთა, საქმე 2,37; ს. ვიეთმე ძმათა, საქმე 17.6; ს. ყოველთა ძმათა, ჰრომ. 16,14Ⴆ; ნუუკუე ს. უქადაგებდე, 1 კორ. 9,27; არა რაჲთა ს. — ლხინი და თქუენ — ჭირი, 2 კორ. 8.13; უფროჲს ს. მათ ეკლესიათა, 2 კორ. 12,13; გეტყჳ... ს. ყოველთა, 2 კორ. 13.2; ს. მათ თანა-შემწეთა ჩემთა, ფილიპ. 4,3CD; აწ ნუმცა გუძინავს, ვითარცა-იგი ს., 1 თეს. 5,6; ს. ქურივთა, 1 ტიმ. 5.16; ს. წიგნთა, 2 პეტ. 3,16; ს. მათ ვერ ეძლო შეხებად, საქმე 5,13; ს. მათ ვეტყჳ მე, 1 კორ. 7,12; რაჲთა ს. მათ ეშინოდის, 1 ტიმ. 5,20; წარვიდა ბრძოლისყოფად ს. მათ თანა, გამოცხ. 12,17; რაჲთა სხუათაცა ვმოძღურო, 1 კორ. 14,19; აღსლვაჲ პავლჱსი... და სხუათა ვიეთიმე, საქმე 15,2; ს. მათ შორის თესლთა, ჰრომ. 1,13; ს. ლათუ არა ვარ მოციქულ, 1 კორ. 9,2; ს. მოსწრაფებისათჳს თქუენსა მას სიყუარულსა გულითად გამოვიცდი, 2 კორ. 8,8; ს. მათ ჴმათაგან საყჳრთაჲსა, გამოცხ. 8,13; არცა ვეძიებდით კაცთაგან დიდებასა, არცა თქუენგან, არცა სხუათაგან, 1 თეს. 2,6; სხუათა მიმართ კრებულთა, საქმე 9,2; ს. მიმართ ყოველთა, ფილიპ. 1,13; რომელნი შემძლებელ იყვნენ სხუათაცა (-ცა Ⴍ) სწავლად, 2 ტიმ. 2,2; ახარებდეს ს. მრავალთა თანა, საქმე 15,35; ს. სიტყუათა, საქმე 2,40ႩႢ.

2. სხუა სხვა, უცხო: სხუასა საფუძველსა ზედა, ჰრომ. 15,20; არა ს. წესსა ზედა, 2 კორ. 10,16Ⴍ; სხჳსა (ἀλλότριον) მონასა, ჰრომ. 14,4; ს. საფუძველსა ზედა, ჰრომ. 15,20Ⴀ; ს. შურომილსა ზედა, 2 კორ. 10,15; არა ს. წესსა ზედა, 2 კორ. 10,16; სხუათა საფუძველსა ზედა, ჰრომ. 15,207ხ; სისხლითა სხჳსაჲთა, ებრ. 9,25.

3. სხუა სხვაგვარი: სხუა (ἄλλως) თუ რაჲმე არიან, 1 ტიმ. 5,25.

სხუებრ სხვაგვარად: სხუებრ თუ ვისმე აქუნდეს, 1 ტიმ. 5,25CD.

სხუაჲ ენაჲ უცხოელი: ვიყო მეტყუელისა მის ჩემისა ვითარცა სხუაჲ ენაჲ (βάρβαρος) და რომელ-იგი მეტყოდის მე — ვითარცა სხუაჲ ენაჲ, 1 კორ. 14,11.

სხურება, ა—3: ვგრევე მსგავსად სისხლი ასხურის, ებრ. 9,21.

მოუჴდეთ მას... სხურებულნი გულითა იჭჳსაგან ბოროტისა, ებრ. 10,22.

სჯა, **შჯა** განსჯა, გასამართლება; დადგენა, გადაწყვეტილების მიღება, დაპირება; გარჩევა, დავა, 0—2: მე ესრეთ ვშჯი (ვსჯი ႼႺႨႨ), საქმე 15,19ႢႭ; რომელიცა შჯი (სჯი ႼႠ7ხ) რომლითა საშჯჳლითა შ. (სჯი ႼႠ7ხ) რომელსაცა შ. (შჯი ႼႠ7ხ), ჰრომ. 2,1; რომელი-ეგე ჰშჯი (სჯი ႩႢႧCD, სჯი ႼႠ7ხ) ესევითარისა მოქმედთა მათ, ჰრომ. 2,3; უკუეთუ შჯულსა შჯი.

იაკ. 4,11; ეიდრემდის, არა შ. სისხლსა ჩუენსა, გამოცხ. 6,10; რომელიმე სჯის დღესა დღით შუვა, პრომ. 14,5ႬႡ; შჯის შჯულსა. იაკ. 4,11ႪႭ; სიმართლით შ., გამოცხ. 19,11; გშჯიდეს (გსჯიდეს ႨႡ) ბუნებით წინადაუცუეთელი* იგი, პრომ. 2,27; ოდეს შჯიდეს (სჯიდეს ႨႠႬႡ) ღმერთი დაფარულსა მას კაცთასა, პრომ. 2,16; ვსაჯე მაგისი მიძლუნებაჲ, საქმე 25,25; არარაჲ ვ. უწყებად თქუენდა, 1 კორ. 2,2ႠႬႡ; ესე ვ. თავისა ჩემისა, 2 კორ. 2,1CD; ესე საჯე. გამოცხ. 16,5; რომელმან საჯა განტევებაჲ მისი, საქმე 3,13; ს. ცოდვაჲ იგი ჴორცითა მით, პრომ. 8,3; ს. ღმერთმან სასჯელი თქუენი მისგან, გამოცხ. 18,20; ჴმათა მათ წინაწარმეტყუელთაებრ, საჯეს, საქმე 13,27; უკუეთუ სამართალ არს... საჯეთ, საქმე 4,19; ნათესავი იგი, ვსაჯო მე, საქმე 7,7; ვითარ-მე საჯოს ღმერთმან სოფელი, პრომ. 3,6; მემრუშენი საჯნეს ღმერთმან, ებრ. 13,4; ანგელოზნი ვსაჯნეთ, 1 კორ. 6,3ႠႬႡ.

ი/უ: არა ღირსად გიშჯიან (გისჯიან FGHI) თავნი თჳსნი ცხორებისათჳს საუკუნოჲსა, საქმე 13,46.

ი ვნ.: მე ვისაჯები, საქმე 23,6; ვ. მე თქუენ მიერ, საქმე 24,21; რაჲსა მე ვითარცა ცოდვილი ვ., პრომ. 3,7; შჯულითაცა ისაჯნენ. პრომ. 2,12; რაჲთა ი. ყოველნი, 2 თეს. 2,12; რაჲთა ი. კაცობრივ ჴორცითა, 1 პეტ. 4,6.

ე: ძმაჲ ძმასა ეშჯის, 1 კორ. 6,6; ეითარმცა ეშჯოდა (ერჩოდა ႵႪ) იგი ცრუთა წინაშე, 1 კორ. 6,1; ოდეს-იგი მიქაელ მთავარანგელოზი ეშმაკსა მას ე., იუდა 1,9; ძმაჲ ძმასა ეშჯოდის, 1 კორ. 6,6Ⴌ.

სძლო შჯასა (სჯასა ႨႠႡ) შენსა, პრომ. 3,4; მოვიდა... ჟამი მკუდართა შჯისაჲ, გამოცხ. 11,18.

1. სჯულ-ი, შჯულ-ი, რჩული, შჩულ-ი კანონი; აღთქმა; წესი; ჩვევა; დოგმა; მოძღვრება: წარმართთა რომელთა შჯულ (სჯულ ႠႬႡ) არა აქუს, და ბუნებითისასა მას შჯულსა (სჯულსა ႨႠႬႡ) ჰყოფენ; ამათ რამეთუ შჯულ (სჯულ Ⴀ) არა აქუს, თავისა თჳსისაჲ თჳთ შ. არიან: რომელნი გამოაჩინებენ საქმესა შჯულისასა (სჯულისასა ႨႠႬႡ), პრომ. 2,14-15; მართალსა შჯულ (სჯულ ႨႠႡ, რჩულ Ⴌ) არა უც, 1 ტიმ. 1,9; იესუ ნაზორეველმან... ცვალოს შჯული (სჯული FGI), საქმე 6,14; ვითარცა მეცნიერთა შჯულისათა (სჯულისათა ႨႠႬႡ) გეტყჳ თქუენ, – შჯული (სჯული ႨႠႬႡ) უფლებს კაცსა ზედა, პრომ. 7,1; მოსცა მას შ. (სჯული FGI, რჩული D), საქმე 7,8; რომელთა მოიღეთ შ. (სჯული FGI, რჩული D). საქმე 7,53; აღმოიკითხეს შ. (სჯული FGHI), საქმე 13,15; რაჲთა დაიმარხონ შ. მოსესი, საქმე 15,5; ჯერ-არს... დამარხვად შ. მოსესი, საქმე 15,24; შ. ერთითა კრებითა განიჩგოს, საქმე 19,39D; რომელთა შ. (სჯული Ⴈ) არა აქუნ, პრომ. 2,14ႬCD; ამათ რამეთუ სჯული არა აქუს, თავისა თჳსისათჳს ს. (– Ⴌ) არიან, პრომ. 2,14ႨႠႬ; რაოდენსა შ. (სჯული ႨႠႬႡ, რჩული Ⴌ) იტყჳს, მათ ეტყჳს, რომელნი შჯულსა (სჯულსა ႨႠႬႡ, რჩულსა Ⴌ) ქუეშე არიან, პრომ. 3,19; შჯული რისხვასა შეიქმს, ხოლო სადა არა არს შ., მუნ არცა შჯულისა (სჯულისა ႨႠႬႡ) გარდასლვაჲ, პრომ. 4,15; არღა იყო შჯული, პრომ. 5,13; შ. (სჯული ႨႠႬႡ, რჩული Ⴆ) შორის შემოვიდა, პრომ. 5,20; შ. (სჯული ႨႠႬႡ) ცოდვა-მე არსა? ცოდვაჲ არა ეიცოდე, გარნა შჯულისაგან (სჯულისაგან ႨႠႬႡ) უკუეთუმცა არა შჯული (სჯული ႨႠႬႡ) ეტყოდა, პრომ. 7,7; ამიერითგან შ. (სჯული ႨႠႬႡ) წმიდა არს, პრომ. 7,12; შ. (სჯული ႨႠႬႡ) სულიერ არს, პრომ. 7,14; ეპოვე-მეა შ. (სჯული ႨႠႬႡ, რჩული Ⴆ), პრომ. 7,21; მან შ. (სჯული ႨႠႬႡ, რჩული Ⴌ) აღასრულა, პრომ. 13,8; არა შჯული (+ცა CD, სჯულიცა ႨႠႬႡ, რჩული Ⴌ) ამასვე იტყჳსა, 1 კორ. 9,8; ესე სასუმელი ახალი შ. (სჯული ႨႠႬႡ, რჩული ႬCD) არს სისხლისა ჩემისაჲ, 1 კორ. 11,25; ვითარცა შჯული (რჩული Ⴌ; შჯულიცა CD; სჯულიცა ႨႠႬႡ, რჩულიცა Ⴆ) იტყჳს, 1 კორ. 14,34; ძალ სიკუდილისა – შ. (სჯული ႨႠႬႡ), 1 კორ. 15,56; რომელი შემდგომად ოთხას ოცდაათისა წლისა იყო შ. (სჯული ႨႠႬႡ), გალ. 3,17; აწ უკუე რაჲ შ. (სჯული ႠႬႡ), გალ. 3,19; შ. (სჯული ႨႠႬႡ) მტერ-მე არსა? უკუეთუმცა მოეცა შ. (სჯული ႨႠႬႡ) ნანდჳლვე შჯულისაგანმცა (სჯულისაგანმცა ႨႠႬႡ) იყო სიმართლჱ, გალ. 3,21; რომელთა-ეგე შჯულსა (სჯულსა ႨႠႬႡ) ქუეშე გნებავს ყოფაჲ, შჯული (სჯული ႨႠႬႡ) არა აღმოგიკითხავსა? გალ. 4,21; შ. (სჯული ႨႠႬႡ) ერთითა სიტყჳთა აღესრულების, გალ. 5,14; არა ძეს შ. (სჯული ႨႠႬႡ), გალ. 5,23; აღასრულეთ შ. (+იგი ႵႪႭႬCD; სჯული ႨႠႡ), გალ. 6,2; რომელმან შეურაცხ-ყოს შ. (სჯული ႨႠႬႡ, რჩული Ⴌ) მოსესი, ებრ. 10,28; კეთილ არს შ. (სჯული ႨႠႡ, რჩული Ⴌ), 1 ტიმ. 1,8; მართალსა შ. არა უც, 1 ტიმ. 1,9Ⴊ; გამხილებს თქუენ შჩული, იაკ. 2,9ႵႪ; რომელმან ყოველი შ. (შჩული C¹ႵႪ) აღასრულოს, იაკ. 2,10NႬႪႭ; შ. (სჯული ႨႠႬႡ) იგი არა არს სარწმუნოებისაგან, გალ. 3,12; შ. (სჯული ႨႠႬႡ) იგი მზარდულ გუექმნა, გალ. 3,24; შ. (სჯული ႨႠႬႡ) იგი მცნებათაჲ მათ... განაქარვა, ეფეს. 2,15; შჯულმან (სჯულმან ႨႠႬႡ, რჩულმან Ⴆ) მან სულისა ცხოვრებისამან... განგათავისუფლა შენ შჯულისა (სჯულისა ႨႠႬႡ, რჩულისა Ⴆ) მისგან ცოდვისა, პრომ. 8,2; არარაჲ სრულ ყო შჯულმან (სჯულმან ႨႠႬႡ), ებრ. 7,19CD; შ. (სჯულმან ႨႠႬႡ) კაცნი დაადგინნა მღდელად, ებრ. 7,28; გეტყოდეს დამარხვად შჯულსა (სჯულსა FGHI), საქმე 15,24ႪႭ; ასწავებდეს დამარხვად შ., საქმე 16,4C; მითხრობენ ჩუენ შ. (სჯულსა FGHI) რასმე. საქმე 16,21; იმარხავ შ. (სჯულსა FGHI), საქმე 21,24; რომელი შ. (სჯულსა FI) წერილ არს, საქმე 24,14ႪႭ; არცა შ. (სჯულსა FGHI) ჰურიათასა, რაჲ შევსცოდე, საქმე 25,8; შ. (სჯულსა ႨႠႡ) თუ იმარხვიდე, პრომ. 2,25; რომელი-ეგე... შ. გარდასრულ ხარ, პრომ. 2,27; აწ შ. (სჯულსა ႨႠႬႡ, რჩულსა Ⴆ) ნუ განვაქარვებთა სარწმუნოებითა მით? ნუ იყოფინ. არამედ შ. (სჯულსა ႨႠႬႡ, რჩულსა Ⴆ) დავამ-

* გამოცემაშია: წინადაცუეთილი (ABCD), რაც კორექტ. შეცდომა უნდა იყოს (ლ.პ.).

ტკიცებთ, პრომ. 3,31; თანა-მნებავს მე შ. (სჯულსა ႨD, რჩულსა Ⴁ) ღმრთისასა, პრომ. 7,22CD; ეხედავ სხუასა შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა Ⴁ) ასოთა შინა ჩემთა, რომელნი წინა-განეწყობეიან შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა Ⴁ) მას გონებისა ჩემისასა და წარმტყუენავს მე შჯულითა (სჯულითა ႨႶႢႱ, რჩულითა Ⴁ), პრომ. 7,23 გონებითა ჩემითა ვჰმონებ შჯულსა (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა C) ღმრთისასა და ჴორცითა – შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა Ⴁ) ცოდვისასა, პრომ. 7,25; ისრაჱლი შეუდგა შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) მას სიმართლისასა და შ. (+მას CD, სჯულსა ႨႶႢႱ) სიმართლისასა ვერ მისწუ-და, პრომ. 9,31; შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა Ⴂ) მოსესსა წერილ არს, 1 კორ. 9,9; შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა ႢႡ) წერილ არს, 1 კორ. 14,21; თანა-მდებ არს იგი ყოველსა შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ყოფად, გალ. 5,3; არცაღა იგინი... შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) იმარხვენ, გალ. 6,13; არა დაადგრეს შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა ႷႢ) ჩემსა, ებრ. 8,9; აჩრდილი აქუნდა შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა Ⴂ), ებრ. 10,1; დედაკაცი იგი... შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა Ⴂ) გარდაჰჴდა, 1 ტიმ. 2,14; უკუეთუ შ. (შჩულსა Ⴗ) აღასრულებთ სამეუფოსა, იაკ. 2,8; განიკითხავს შ. და დაშჯის შ.; უკუეთუ შ. შჯი, არა ხარ მყოფელი შჯულისაჲ, იაკ. 4,11; აქუნდა პირველსა მას შჯულსა (სჯულსა ႨႶ) სამართალი, ებრ. 9,1; შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა Ⴁ) მას ღმრთი-სასა ვერ დაემორჩილების, პრომ. 8,7; რომელმან მიხედა შ. მას, იაკ. 1,25; განისუენებ შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ზედა, პრომ. 2,17; არა ხართ შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ქუეშე, პრომ. 6,14; გალ. 5,18; არა ვართ შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ქუეშე, პრომ. 6,15; ვიქმენ შ. (სჯულსა ႨႶႢႱ, რჩულსა Ⴁ) ქუეშე მყოფთა თანა ვითარცა შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ქუეშე მყოფი, რაჲთა შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ქუეშე მყოფნი შევიძინნე, 1 კორ. 9,20C; შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ქუეშე მოცვულ ვიყვენით, გალ. 3,23; შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ქუე-შე მყოფნი იგი გამოიჴსნნეს, გალ. 4,5; იქმნა იგი შ. (სჯულსა ႨႶႢႱ) ქუეშე, გალ. 4,4; რომელთა შ. (სჯულსა ႨႶႢ) შინა ცოდეს, შჯულითაცა (შჯულითა Ⴗ, სჯულითაცა ႨႶႢႱ) ისაჯნენ, პრომ. 2,12; გაქუს შენ ხატი იგი მეცნიერებისაჲ... შ. (სჯულსა ႨႶႱ) შინა, პრომ. 2,20; არა დასცხრების სიტყუასა ბოროტსა ადგი-ლისა ამისთჳს წმიდისა და შჯულისა (სჯულისა FGI, რჩულისა DႪႭ), საქმე 6,13; ასწავებდეს დამარხვად შ., საქმე 16,4; ძიებაჲ რაჲმე არს შ. (სჯულისა FGHI) თქუენისათჳს, საქმე 18,15; მოშურნე შ. (სჯულისა FGHI) არიან, საქმე 21,20; კაცსა ღმრთის მოშიშსა მსგავსად შ. (სჯულისა FGHI), საქმე 22,12; შენ ჰზი მსაჯულად მსგავსად შ. (სჯულისა FGHI), და თჳნიერ შ. ჰბრძანებ ცემად ჩემდა, საქმე 23,3; აბრალებდეს მას ძიებათაჲთჳს შ. (სჯულისა FGHI) მათისათა, საქმე 23,29; მსგავსად შ. (სჯულისა FGHI) ჩუენისა ვინებეთ განკითხვაჲ, საქმე 24,6ႪႭ; ჭეშმარიტისა მისებრ მსა-ხურებისა შ. (სჯულისა FGI) ჩუენისა ვცხონდებოდე, საქმე 26,5; არარაჲ ბოროტი ვქმენ ერისათჳს, გინა თუ შ. (სჯულისა FGHI) მამულისა, საქმე 28,17; უკუეთუ გარდამავალ იყო შ. (სჯულისა ႨႶႱ), პრომ. 2,25; შ. (სჯულისა ႨႶႱ) აღმასრულებელი, პრომ. 2,27; შ. (სჯულისა ႨႶႱ) გარდამავალ, პრომ. 2,27CD; დაყენე-ბულ არს. რომლითამე შ.? საქმეთაგან-მეა? არა, არამედ შჯულისაგან (სჯულისა ႨႶႢႱ) სარწმუნოებისა, პრომ. 3,27; შჯულისა (სჯულისა ႨႶႢႱ) მოწევნადმდე ცოდ-ვაჲ იყო სოფელსა შინა, პრომ. 5,13; თანა-მოწამე ვარ შ. (სჯულისა ႨႶႢႱ), პრომ. 7,16; სათნო ყოფილ ვარ მე შ. (!) ღმრთისასა, პრომ. 7,22; საქმისაგან შ., პრომ. 9,32; მსახურებად ახლისა შ. (სჯულისა ႨႶႢႱ, რჩუ-ლისა Ⴂ), 2 კორ. 3,6; შ. (სჯულისა ႨႶႢႱ) გარდამავა-ლად... შევირაცხო, გალ. 2,18; გამოგჳჴსნნა ჩუენ წყევი-სა მისგან შ. (სჯულისა ႨႶႢႱ), გალ. 3,13; აწ უკუე რაჲ სჯულისა, გალ. 3,19Ⴈ; ებრაელი ებრაელთაგან, ს. ფარისეველი, ფილიპ. 3,5ႨႶႱ; ყოველმან შჯულისა (სჯულისა ႨႶႢႱ, რჩულისა Ⴂ) გარდამავალმან... მოი-ღო, ებრ. 2,2; მცნებაჲ აქუს... მსგავსად შ. (+მის Ⴍ; სჯულისა ႨႶႢႱ, რჩულისა Ⴂ), ებრ. 7,5; შ. (სჯულისა ႨႶႢႱ, რჩულისა Ⴍ) შემდგომად იყო, ებრ. 7,28; მსგავ-სად შ. (სჯულისა Ⴈ) რომელ შეიწირვოდეს მსხუერ-პლნი, ებრ. 8,4 ითქუნეს ყოველნი იგი მცნებანი მსგავ-სად შ. (+მის Ⴍ; სჯულისა ႨႶႢႱ, რჩულისა Ⴂ) მოსესს მიერ, ებრ. 9,19; გემხილების შჩულისაგან (შჯულისაგან NႪႭ) ვითარცა შჩულისა (შჯულისა N) გარდამავალ-თა, იაკ. 2,9; იქმენით გარდამავალ შჯულისა (შჩულისა Ⴗ), იაკ. 2,11; არა ხარ მყოფელ შ., იაკ. 4,11ႪႭ; მოი-წიოს გამოსაჴსრად პირველისა მის შ. (სჯულისა Ⴈ, რჩულისა ႢႡ) გარდასრულთა, ებრ. 9,15; სისხლითა განწმიდნებოდა მსგავსად შ. (სჯულისა ႨႶႢႱ, რჩულისა Ⴂ) მის, ებრ. 9,22 მოსრულ ხართ... შ. (სჯულისა D, რჩულისა Ⴂ) მის ახლისა შუვა-მდგომელისა იესუსსა, ებრ. 12,24; არწმუნებდა მათ იესუსისთჳს შჯულისაგან (სჯულისაგან FGHI), საქმე 28,23; სწავლულ ხარ შ. (სჯულისაგან ႨႶႢႱ), პრომ. 2,18; შ. (სჯულისაგან ႨႶႢႱ, რჩულისაგან Ⴂ) არს გამოცნობაჲ ცოდვისაჲ, პრომ. 3,20; არა შ. (რჩულისაგან ႢႡ) იყო აღთქუმაჲ იგი, პრომ. 4,13; ჩუენ განქარვებულ ვართ ს., პრომ. 7,6ႢႱ; ცოდვაჲ არა ვიცოდე, გარნა შ. (სჯულისაგან ႨႶႢႱ), პრომ. 7,7; უკუეთუ შ. (სჯულისაგან ႨႶႢႱ) არს სიმართლე, გალ. 2,21; შ. (სჯულისაგან ႨႶႢႱ) იყო მკჳდრობაჲ იგი, გალ. 3,18; რაჲთა არა მაქუნდეს ჩემი სიმართლე შ. (სჯულისაგან ႨႶႱ), ფილიპ. 3,9; იმხილებით... ვითარცა გარდამავალნი სჯულისაგან, იაკ. 2,9F; ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა შჯულისაგან აზნაურებისა განშჯადნი, იაკ. 2,12FႪႭ; თჳნიერ შჯულისა (სჯულისაგან FGHI) ურჩ იქმს ესე კაცთა, საქმე 18,13; აწ თჳნიერ შ. (სჯულისა ႨႶႢႱ, რჩულისა ႢႡ) სიმართლე ღმრთისაჲ გამოცხადებულ არს მოწამებუ-ლი შ. (სჯულისა ႨႶႢႱ, რჩულისა Ⴂ) მიერ, პრომ. 3,21;

ცოდეად არად შერაცხილ იყო თჳნიერ შ. (სჯულისა ႨႠႧႱ), ჰრომ. 5.13CD; ცოცხალ სადამე ვიყავ თჳნიერ შ. (სჯულისა ႨႠႧႱ), ჰრომ. 7,9; შ. თჳნიერ ცოდვაჲ მკუ-დარ იყო, ჰრომ. 7,8; შჯულისათჳს (სჯულისათჳს ႨႠႧႱ) შჯულითა (სჯულითა ႨႠႧႱ) მოვკუედ. გალ. 2,19; შჯულისა (რჩულისა ႢႪ) მიერ აზნაურებისა გან-შჯად ხართ, იაკ. 2.12; ვიქმენ... შჯულისა (რჩულისა Ⴇ) ქუეშე მყოფთა მათ თანა ვითარცა შ. (რჩულისა Ⴇ) ქუეშე მყოფი, რაჲთა შ. (რჩულისა Ⴇ) ქუეშე მყოფნი იგი შე-ვიძინნე, 1 კორ. 9.20; შ. ქუეშე მყოფნი იგი გამოიჴსნნეს, გალ. 4.5ႢႪႭႧ; შ. (სჯულისა FGHI) ... ამისთჳს ძჳრსა ზრახავს. საქმე 21,28: შ. (სჯულისა ႨႠႧႱ) მისგან ქმრისა. ჰრომ. 7,2; თავისუფალ არს იგი შ. (სჯულისა ႨႠႧႱ) მისგან, ჰრომ. 7,3; მოჰკუედით თქუენცა შ. (სჯულისა ႨႠႧႱ) მისგან ჴორცითა ქრისტჱსითა, ჰრომ. 7,4; ვნებანი იგი ცოდვისანი შ. (სჯულისა ႨႠႧႱ) მისგან იქმნებოდეს, ჰრომ. 7,5; აწ განთავისუფლებულ ვართ შ. (სჯულისა ႨႠ) მისგან, ჰრომ. 7,6; რომელი არა შ. (სჯულისა ႨႠႧႱ) მისებრ მცნებისა ჴორციელისა იყოს, ებრ. 7,16; შ. (სჯულისა ႨႠႧႱ) მისებრ შეიწირვოდეს, ებრ. 10,8; შჯულისაცა (სჯულისაცა ႨႠႧႱ) ცვალებაჲ იქმნების, ებრ. 7,12ႪႭCD; არა თუ წინა-დაიცჳთოთ შჯულითა (სჯულითა GHI) მოსჱსითა, საქმე 15,1; სწავლულ ვარ ჭეშმარიტებით მამულითა შ. (სჯულითა F), საქმე 22,3; სწავლულ ხარ შ., ჰრომ. 2,18ႢႪ; რომელი შ. (სჯულითა ႨႠႱ) იქადი, გარდასლვითა მაგით შჯულისაჲთა (სჯულისაჲთა ႨႠႱ) ღმერთსა შეურაცხ-ჰყოფ, ჰრომ. 2,23; და-მე-ყენებულ არსა? რომლითა-მე შჯულითა (სჯულითა ႨႠႧႱ)? ჰრომ. 3,27CD; დედაკაცი შეკრულ არს შ. (სჯულითა ႨႠႧႱ), ჰრომ. 7,2; 1 კორ. 7,39CD; შ. (სჯულისა ႨႠႧႱ) არავინ განმართლდების, გალ. 3,11; რომელნი-ეგე შ. (სჯულითა ႨႠႧႱ) განჰმარ-თლდებით, გალ. 5,4; შ. (რჩულით Ⴍ) ფარისეველი შურით ვსდევნიდ ეკლესიათა, სიმართლითა შჯულისაჲთა (სჯულისაჲთა ႨႠႱ) ვიყავ მე უბიწო, ფილიპ. 3,5-6; ვერ განჰმართლდით თქუენ შჯულითა (სჯულისა FGHI) მით მოსჱსითა, საქმე 13,39; მივსცნე შჯულნი (სჯულნი ႨႠႧႱ) ჩემნი, ებრ. 8,10; (+რჩულნი Ⴇ), ებრ. 10,16; ესე არიან ორნი იგი შ. (სჯულნი ႨႠႧႱ, რჩულნი ႧႡ), გალ. 4,24; განსწავლულ ზედამიწევნით მამულთა სჯულთა, საქმე 22,3GHI; სტუმარ შჯულთა (სჯულთა ႨႠႧႱ, რჩულთა CD) მათგან აღთქუმისათა, ეფეს. 2,12; შეუძ-ლებელი იგი შჯულისაჲ (სჯულისაჲ ႨႠႧႱ, რჩულისაჲ Ⴁ), ჰრომ. 8,3 სიმართლჱ იგი შ. (სჯულისაჲ ႨႠႧႱ, რჩულისაჲ Ⴁ). ჰრომ. 8,4; დასასრული შ. (სჯულისაჲ ႨႠႧႱ), ჰრომ. 10,4; აღმასრულებელი შ. (სჯულისაჲ ႨႠႧႱ, რჩულისაჲ Ⴇ), ჰრომ. 13,10; ცვალებაჲცა შ., ებრ. 7,12Ⴇ; კიდობანი იგი შ. (სჯულისაჲ ႨႠႧႱ, რჩულისაჲ Ⴇ), ებრ. 9,4; შჯულისაჲცა (შჯულისაცა ႪႭCD) ცვა-ლებაჲ იყოს, ებრ. 7,12; სიმართლესა შჯულისასა (სჯუ-ლისასა ႨႠႱ) იპარხავს, ჰრომ. 2,26CD; საკითხავსა მას ძუელისა შ. (სჯულისასა ႨႠႧႱ, რჩულისასა Ⴇ) ჰგიეს, 2 კორ. 3,14; ყოველსა მას წერილსა წიგნისა ამის შ. (სჯულისა ႨႠႧႱ), გალ. 3,10; არა მსმენელნი შჯულისა-ნი (სჯულისა ႨႠႧ) განმართლდენ..., არამედ მყოფელნი შ. (სჯულისანი ႨႠႧႱ), ჰრომ. 2,13; ფიცარნი იგი შ. (სჯუ-ლისანი ႨႠႧႱ, რჩულისანი Ⴇ), ებრ. 9,4; იმხილებით შჯულისაგან, ვითარცა გარდამავალნი შ., იაკ. 2,9ႪႭ; საქმეთაგან შჯულისათა (სჯულისა ႨႠႧႱ, რჩულისა Ⴇ) არა განმართლდეს ყოველი ჴორციელი, ჰრომ. 3,20; ვიტყჳთ განმართლებასა კაცისასა... თჳნიერ საქმეთა შ. (სჯულისათა ႨႠႧႱ), ჰრომ. 3,28; არა სარწმუნოებისაგან, არამედ ვითარცა საქმეთაგან შ. (შჯულისთა Ⴇ, სჯული-სათა ႨႠႧႱ), ჰრომ. 9,32CD; საქმეთაგან შ. (სჯულისათა ႨႠႧႱ, რჩულისათა Ⴇ), გალ. 2,16 (3-ჯერ); 3,5; 3,10; ლალვათა შ. (სჯულისათა Ⴀ) განეშორე, ტიტე 3,9.

2. შჯულ-ი გასამართლება, განსჯა: სძლო შჯულ-სა (შდრ.: შჯასა CD; κρίνεσθαι), ჰრომ. 3,4.

სჯულ-დებულ-ი, შჯულ-დებულ-ი კანონით დადგენილი; კანონმდებლობასთან დაკავშირებული (νενομοθέτηται) ერი იგი... შჯულ-დებულ (სჯულ-დე-ბულ ႨႠႧႱ) არს, ებრ. 7,11; უმჯობჱსსა მას აღთქუმასა ზედა შ. (სჯულ-დებულ ႨႠႧႱ) არს, ებრ. 8.6.

სჯულიერ-ი, შჯულიერ-ი კანონიერი: შჯულიერი (სჯულიერი ႨႠႧႱ, რჩულიერი ႧႡ) ქრისტჱსი, 1 კორ. 9,21; შჯულიერითა (სჯულიერითა FGHI) კრებითა გა-ნეგოს, საქმე 19,39; უკუეთუ არა შჯულიერად (სჯული-ერად ႨႠႧႱ, რჩულიერად Ⴇ), 2 ტიმ. 2,5; ყოფისაგან მღდელთა სჯულიერთა მსხუერპლთა შემწირველთაჲსა, ებრ. 8,4ႠႧႱ.

1. **სჯულისაგან-ი, შჯულისაგან-ი** კანონისმიერი: სიმართლჱ შჯულისაგანი, ჰრომ. 10,5 ფილიპ. 3,9ႢႪႧ; სიმართლესა მას შჯულისაგანსა (სჯულისაგანსა ႨႠႧႱ), ჰრომ. 10,5CD.

2. **სჯულისაგან-ი, შჯულისაგან-ი** საღმრთო წიგნთა კანონების მცოდნე: უკუეთუ შჯულისაგანნი იგი მკჳდრ არიან, ჰრომ. 4,14; იყოს მტკიცე აღთქუმაჲ იგი ყოვლისა ნათესავისაჲ არა შჯულისაგანთა (სჯულისაგანთა ႨႠႧႱ, შჯულისაგანისათა ႢႪႧ) ხოლო, ჰრომ. 4,16.

სჯულის-დება, შჯულის-დება კანონმდებლობა: რომელთაჲ იყო შვილებაჲ... და შჯულის (სჯულის ႨႠႧႱ)-დებანი, ჰრომ. 9,4.

შჯულის (შჯულისა) მდებელ-ი კანონმდებელი: ერთი არს შჯულის (+ა C[1]) მდებელი და განმკითხვე-ლი, იაკ. 4,12ႪႭ.

სჯულის-მოძღუარ-ი, შჯულის-მოძღუარ-ი საღმრთო წიგნების კანონთა ამხსნელ-მასწავლებელი: რაჲთამცა იყვნეს შჯულის (სჯულის ႨႠႱ, რჩულის Ⴇ) მოძღუარ, 1 ტიმ. 1,7; აღ-ვინმე-დგა... შჯულის (სჯულის FGHI)-მოძღუარი, საქმე 5,34.

სჯულის მწერალ-ი, შჯულის მწერალ-ი კა-ნონთა მცოდნე: ზენან შჯულის (სჯულის ႨႠ, რჩულის Ⴇ) მწერალი და აპოლო ადრე წარმოგზავნენ, ტიტე 3,13.

ტ

ტ. ტარ ქართული ანბანის 21-ე ასო, რიცხვითი მნიშვნელობა – 300.

ტაბლა მაგიდა, სუფრა: დაუგო მათ ტაბლაჲ, საქმე 16,34; ექმენინ ტ. მათი მათ წინაშე საბრჭე, ჰრომ. 11,9; რომელსა შინა სასანთლენი იგი და ტ., ებრ. 9,2; ვერ ჴელ-გეწიფების ტაბლასა (ტაბლსა Ⴙ) უფლისასა ზიარებაჲ და ტ. (ტაბლსა Ⴙ) ეშმაკთასა, 1 კორ. 10,21ႦႹD; ვერ ჴელ-გეწიფების ტაბლისაგან უფლისა ჭამაჲ და ტ. ეშმაკთაჲსა, იქვე; არა სათნო არს... მსახურებაჲ ტაბლებსა, საქმე 6,2.

ტაკუკ-ი ჭურჭელი: რომელსა შინა იყო ტაკუკი ოქროჲსაჲ, ებრ. 9,4.

ტანჯვა ცემა; ტანჯვა, წვალება; დასჯა, O–2: ვსტანჯევდ... მორწმუნეთა შენთა, საქმე 22,19; მრავალ გზის ვ., საქმე 26,11; ვითარმცა ტანჯნეს იგინი ერისა მისთჳს, საქმე 4,21; ტ. იგინი და ამცნეს, საქმე 5,40; ამათ ორთა წინაწარმეტყუელთა ტ. მკჳდრნი ქუეყანისანი, გამოცხ. 11,10; ტანჯვის ყოველი შვილი, ებრ. 12,6.

ი ვნ.: სული იგი მისი იტანჯებოდა, 2 პეტ. 2,8; იტანჯებოდიან (იტანჯებოდინ AC) დღე და ღამე, გამოცხ. 20,10; იტანჯოს ცეცხლითა, გამოცხ. 14,10; რაჲთა იტანჯნენ, საქმე 22,5; გამოცხ. 9,5.

უკუეთუ... განუკითხველად ჯერ-არს თქუენდა ტანჯვაჲ, საქმე 22,25; რომელთა ეგულებოდა ტ. მისი, საქმე 22,29; შიშსა ტ. აქუს, 1 იოვ. 4,18; ტ. მათი, ვითარცა ტ. ღრიაკალისაჲ, გამოცხ. 9,5; ესეზომად მიეცა მას ტ., გამოცხ. 18,7; რომელთა საშჯელი მოეჴადოს, ტანჯვაჲ იგი საუკუნოჲ, 2 თეს. 1,9; ცრუნი იგი... ტანჯვასა შინა დაიმარხნეს, 2 პეტ. 2,9; რაოდენ უძჳრჱსისა ტანჯვისა ღირს არს, ებრ. 10,29; კუამლი ტ. მისისაჲ, გამოცხ. 14,11; შიშისათჳს ტ. მისისა იტყოდიან, გამოცხ. 18,10; შორს დადგენ შიშისათჳს ტ. მისისა, გამოცხ. 18,15; ტანჯვითა (-ა DႪႭ) განეიკითხო ეგე, საქმე 22,24; ტ. უმეტჱს, 2 კორ. 11,23; სხუანი იგი ძჳრად-ძჳრად ტ. აღესრულნეს, ებრ. 11,35; რომელნიმე ტ. განიცადნეს, ებრ. 11,36; მისცნა იგინი სატანჯველად ტ. დამარხვად, 2 პეტ. 2,4; უკუეთუ კაცისა... უბრალოჲსაჲ ჯერ-არს თქუენდა ტანჯვად, საქმე 22,25ႢႪႭ; მე ტანჯვანი იგი... იესუ ქრისტჱსნი ჴორცთა შინა ჩემთა მიტჳრთვან, გალ. 6,17ႢႪႨ; წარუდგინენით თავნი თჳსნი ჭირთა შინა და... ტანჯვათა, 2 კორ. 6,5.

ტარიგ-ი კრავი: ვითარცა ტარიგი უჴმობელად დგა, საქმე 8,32; ვითარცა ტარიგისა უმანკოჲსა, 1 პეტ. 1,19.

ტარსელ-ი: მოიძიე შენ... სავლე, სახელი ჰრქჳან, ტარსელი, საქმე 9,11; მე კაცი ჰურიაჲ ვარ, ტ. კილიკიაჲსაჲ, საქმე 21,39.

ტარტაროს-ი, ტარტაროზ-ი ჯოჯოხეთი: არამედ ჯაჭუებითა მით წყუდიადისაჲთა ტარტაროსსა (ტარტაროზსა FႭ) შეაყენნა, 2 პეტ. 2,4E.

1. ტაძარ-ი ტაძარი, ἱερόν, ναός: გუამი თქუენი ტაძარ... სულისა წმიდისა არს, 1 კორ. 6,19ႨႡ; ღმრთისა ტ. მისა არს, გამოცხ. 21,22; არტემის ღმრთისა ტაძარი (+ცა ႪႭ) შეურაცხ-ყოფად არს, საქმე 19,27; განზომე ტ. ღმრთისაჲ, გამოცხ. 11,1; განეღო ტ. ღმრთისაჲ, გამოცხ. 11,19; განეღო ტ. კარვისაჲ, გამოცხ. 15,5; ტ. არა მიხილავს მას შორის, გამოცხ. 21,22; რომელმან ტაძარი იგი (-იგი ႨCD) ღმრთისაჲ განხრწნეს... რამეთუ ტ. იგი (-იგი ႨCD) ღმრთისაჲ წმიდა არს, 1 კორ. 3,17; აღივსო ტ. იგი კუამლითა, გამოცხ. 15,8; შევიდოდა ტაძარსა, საქმე 21,26ႢႪႭ; არცა ტ., არცა კეისარსა რაჲ შევსცოდე, საქმე 25,8ႪႭ; ვერვინ შემძლებელ იყო შესლვად ტ., გამოცხ. 15,8; პეტრე და იოვანე აღვიდოდეს ტაძარსა მას, საქმე 3,1; შევიდა მათ თანა ტ. მას, საქმე 3,8ႢႪႭ; და-ცა-ჯდეს იგი ტ. მას ღმრთისასა, 2 თეს. 2,4; კაცნი იგი, ... არიან ტაძარსა შინა, საქმე 5,25; იყო ლოცვასა შინა ჩემსა ტ. შინა, საქმე 22,17; მპოვეს მე განწმედილი ტ. შინა, საქმე 24,18ႪႭ; შემიპყრეს მე ჰურიათა ტ. შინა, საქმე 26,21; ვყო იგი სუეტად ტ. შინა ღმრთისა ჩემისასა, გამოცხ. 3,12; ჰმსახურებენ მას... ტ. შინა მისსა, გამოცხ. 7,15; იხილვა კიდობანი... ტ. შინა მისსა, გამოცხ. 11,19; განკრძალულ იყვნეს ტაძარსა მას შინა, საქმე 2,46; დადეგით ტ. მას შინა, საქმე 5,20; ტ. მას შინა იყოფოდეს, საქმე 5,42; იხილეს იგი ტ. მას (-მას ႪႭ) შინა, საქმე 21,27; რომელმან ტაძარსაცა აზმნო შეგინებად, საქმე 24,6ႪႭ; რაჲ სწორება არს ტაძრისა ღმრთისა კერპთა თანა, 2 კორ. 6,16; რომელი არს გარეგან ტ., გამოცხ. 11,2; სხუაჲ ანგელოზი გამოვიდა ტაძრისაგან, გამოცხ. 14,15; გამოჴდა ჴმაჲ დიდი ტ. ზეცათაჲსა, გამოცხ. 16,17; გამოითრევდეს მას გარე ტაძრისა მისგან, საქმე 21,30; სხუაჲ ანგელოზი გამოვიდა ტ. მისგან, გამოცხ. 14,17; დასჳან... თხოვად ქველისსაქმრისა შემავალთაგან ტაძრად, საქმე 3,2; შე-რაჲ-ვიდოდეს ტ., საქმე 3,3; შევიდეს ცისკარსა ოდენ ტ., საქმე 5,21; შევიდოდა ტ., საქმე 21,26; წარმართნი შეიყვანნა ტ., საქმე 21,28; ტ. შეიყვანა იგი პავლე, საქმე 21,29; ყოველი შენებული... ორძის ტ. წმიდად, ეფეს. 2,21; ტაძარნი ღმრთისანი ხართ, 1 კორ. 3,16; ჴორცნი ეგე თქუენნი ტ. ... სულისა წმიდისანი არიან, 1 კორ. 6,19; ჩუენ ტ. ღმრთისანი ვართ ცხოველისანი, 2 კორ. 6,16; დემეტრიოს... იქმოდა ტაძართა (მიც.) ვეცხლისათა, საქმე 19,24; ... ტაძართა შინა დამკჳდრებულ არს, საქმე 7,48; 17,24; ერისთავი ტაძრისაჲ მის, საქმე 4,1; ერისთავსა მას ტაძრისასა, საქმე 5,24; ბჭეთა თანა მის ტაძრისათა, საქმე 3,2; ბჭეთა ზედა შუენიერითა ტ., საქმე 3,10.

2. ტაძარ-ი საერო დანიშნულების სასახლე, πραιτώριον: უბრძანა ტაძარსა მას ჰეროდესსა დამარხვაჲ მისი, საქმე 23,35ႢႪႭ; კრულებანი ესე ჩემნი განცხადებულ იქმნნეს... ყოველსა მას ტ., ფილიპ. 1,13; უბრძანა ტაძართა მათ ჰეროდჱსთა დამარხვაჲ მისი, საქმე 23,35.

3. ტაძარ-ი სახლი, οἰκία: რომლისა ტაძარი ახს ზღუასა, საქმე 10,6; მოიძიე შენ მუნ ტაძართა მათ იუდაჲსთა სავლე, საქმე 9,11; შევიდა ტ. მათ, საქმე 9,17.

4. ტაძარ-ი საკურთხეველი: არცა ტაძარსა შინა მპოვეს მე, საქმე 24,12ႪႭ; ტაძრისაგან ჭამდიან, 1 კორ.

9.13ႧႡ; ტაძართა მძარცუელ ხარ. ჰრომ. 2.22ႵႡ; რომელნი-იგი ტაძრისასა იქმოდიან. 1 კორ. 9.13ႧႡ.

1. **ტბა:** ესე საკუდილი მეორჱ არს ტბაჲ იგი ცეცხლისაჲ. გამოცხ. 20.14; შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა. გამოცხ. 19.20; შთავარდა ტ. მას ცეცხლისა და წუმწუბისასა. გამოცხ. 20,10; სიკუდილი და ჯოჯოხეთი შთავარდეს ტ. მას ცეცხლისასა. გამოცხ. 20,14; შთავარდა ტ. მას ცეცხლისასა. გამოცხ. 20.15; ყოველთა მტყუეართაჲ ნაწილი მათი იყოს ტ. მას... მოტყინარესა, გამოცხ. 21.8.

2. **ტბა** ნავსადგური: უმარჯუ იყო ტბაჲ იგი დასაზამთრებელად, მუნ დაიზამთრეს ტბასა მას კრეტესასა. საქმე 27,12; რომელსა ერქუა ტბები კეთილი, საქმე 27.8.

ტევან-ი მტევანი: მოისთულენ ტევანნი იგი ქუეყანისა მის ვენაჴისანი. გამოცხ. 14.18.

ტევება გაშვება, ნების დართვა; თავის დანებება, ი/უ—(3)2: არა გჳტევებდა ქარი იგი, საქმე 27,7; უტევე ცოლი შენი იეზაბელ, გამოცხ. 2.20; არა უტევა მათ სულმან უფლისამან, საქმე 16,7; საშჯელმან ცხოვრებად არავე უ.. საქმე 28,4; არა უტევეს მოწაფეთა, საქმე 19,30; განეშორენით კაცთა ამათგან და უტევენით იგინი, საქმე 5,38; რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად... ძალისა თქუენისა, 1 კორ. 10.13; არა უტეონ მძორებსა მათსა დადებად სამარებსა შინა. გამოცხ. 11,9.

ტილო: გარდამოვიდოდა ჭური ერთი რაჲმე, ვითარცა ტილოჲ დიდი, საქმე 11,5; ხედვიდა... ჭურჭელსა რასმე, ვითარცა ტილოსა დიდსა, საქმე 10,11ႪႭ; ჭური რაჲმე, მსგავსი დიდისა ტილოჲსაჲ. იქვე.

ტირილ-ი 0—1: მრქუა მე: ნუ სტირ, გამოცხ. 5,5; რასა ჰზამთ და სტირთ, საქმე 21,13; მე ვტიროდე ფრიად. გამოცხ. 5,4; ტიროდეს და უჩუენებდეს კუბასტებსა, საქმე 9.39; ტ. უფროჲს-ღა სიტყუასა მას ზედა. საქმე 20,38; ვითარმცა არა ტ.. 1 კორ. 7.30CD; ტიროდეთ მტირალთა თანა, ჰრომ. 12,15: დამდაბლდით და ტ., იაკ. 4,9; აწ თქუენცა, მდიდარნი, ტ., იაკ. 5,1; რომელნი ტიროდიან (ტიროდინ ႤႹ), ვითარცა არა ტ., 1 კორ. 7,30; ტ. (ტიროდინ A) და გოდებდენ მის ზედა მეფენი ქუეყანისანი, გამოცხ. 18,9; ვაჭარნი ქუეყანისანი ტ. (ტიროდინ AB), გამოცხ. 18,11; ტ. (ტიროდინ A) და იგლოვდენ. გამოცხ. 18.15; რომელნი ტიროდენ, 1 კორ. 7.30Ⴟ.

იყო ტირილი დიდი ყოველთაჲ. საქმე 20,37; ტირილით გითხრობ თქუენ მტერთა მათთჳს, ფილიპ. 3,18; ღაღადებდეს ტ.. გამოცხ. 18.19.

1. **ტკბილ-ი:** ეგრევე ვერცა მარილოვანი წყალი ტბილ ყოფად. იაკ. 3,12; პირსა შენსა ტ. იყოს ვითარცა თაფლი, გამოცხ. 10,9; იყო პირსა შინა ჩემსა ტ. ვითარცა თაფლი. გამოცხ. 10,10: ნუუკუე წყაროჲსაგან მისვე თუალისაგან გამოდინ ტკბილი. იაკ. 3,11; პირსა შენსა ტ. იყოს ვითარცა თაფლი. გამოცხ. 10,9B; მარილიანსა და ტკბილსა წყალსა, იაკ. 3,12ႪႭ; ტკბილითა განსავსე არიან. საქმე 2,13; ტკბილთაგან სავსე არიან, იქვე E.

2. **ტკბილ-ი** კეთილი, შემწყალე. თანამგრძნობი; მშვიდი: სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ, 1 კორ. 13,4; იყვენით ურთიერთას ტ.. ეფეს. 4,32; მოწყალე არს უფალი და ტ.. იაკ. 5,11; ტ. არს უფალი, 1 პეტ. 2,3; იყვენით ურთიერთას ტკბილი. ეფეს. 4.32CD; გონებანი ტკბილნი, 1 კორ. 15,33; დაემორჩილენით... უფალთა თჳსთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, 1 პეტ. 2,18.

ტკბილად მეტყუელება მჭევრმეტყველება, ენამჭევრობა: ტკბილად მეტყუელებითა მით... აცთუნნიან გულნი უმანკოთანი, ჰრომ. 16.18.

ტკივილ-ი ტკივილი; მწუხარება, ტანჯვა; ავადმყოფობა: მიეცა მას ტანჯვაჲ და ტკივილი, გამოცხ. 18.7; არღარა იყოს, არცა ღაღადებაჲ, არცა ტ., გამოცხ. 21,4; იცოხნიდეს ენათა თჳსთა ტკივილისაგან. გამოცხ. 16,10; ჰგმობდეს ღმერთსა... ტკივილთა მათთაგან, გამოცხ. 16.11.

1. **ტომ-ი** ხალხი, ტომი, племя: იკურთხეოდიან ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, საქმე 3,25ႪႭ; გოდებდენ ტ. ქუეყანისანი, გამოცხ. 1,7; ეგრევე გევნო თქუენცა თჳსთაგან ტომთა, 1 თეს. 2,14.

2. **ტომ-ი** ნათესავი, შთამომავლობა, φυλή, колено: მიეცა მას ჴელმწიფებაჲ ყოველსა ზედა ტომსა. გამოცხ. 13,7; ას ორმეოც და ოთხი ათასი დაბეჭდულთაჲ ყოვლისაგან ტომისა ძეთა ისრაჱლისათა, გამოცხ. 7,4; მეცა ისრაიტელ ვარ... ტომისაგან ბენიამენისი, ჰრომ. 11,1; ნათესავით ისრაჱლისაჲთ, ტ. ბენიამენისი, ფილიპ. 3,5; იხილონ ერთა და ტომთა (მოთხრ.) მძორები მათი, გამოცხ. 11,9; ხარებად... ყოველსა ერსა ზედა და ტომთა (მიც.), გამოცხ. 14,6; აჰა ერი ფრიადი, ყოველთაგან წარმართთა და ტომთა (ნათ.), გამოცხ. 7,9.

3. **ტომ-ი** ჯარისკაცთა რაზმი: ... ასისთავი, ტომისაგან (ტომისა მისგან C), რომელსა ჰრქჳან იტალიკე, საქმე 10,1DႪႭ.

ტომის-რაცხა, ტომის-რაცხვა, ტოჰმის-რაცხა გენეალოგია, გვარ-ტომობა: არცა ერჩდენ ტომის-რაცხათა (-რაცხვათა Ⴔ) დაუსრულებელთა, 1 ტიმ. 1,4ႺႪႭႧႢႧႡ; ნუცა-ერჩიედ... ტოჰმის-რაცხათა მათ დაუსრულებელიაა, იქვე; ტომის-რაცხათა და ჴდომათა... განეშორე, ტიტე 3,9CD.

ტოპაზ-ი, ტობაზ-ი ერთგვარი ძვირფასი ქვა, τοπάζιον: საფუძველი პირველი იასპი... მეცხრჱ ტოპაზი (ტობაზი C), გამოცხ. 21,20.

ტრფიალება ლტოლვა, სწრაფვა ვინმესკენ, რამესკენ: გონებისა კეთილისა ტრფიალებაჲ ღმრთისა მიმართ, 1 პეტ. 3,21ႪႭ.

ტჳნ-ი ტვინი: მისწუდების იგი ვიდრე განსაყოფელადმდე... ნაწევართა და ტჳნსა, ებრ. 4,12ႺႦႪ; მისწუდების იგი ვიდრე განსაყოფელადმდე... ნაწევართა და ტჳნთა, იქვე.

ტჳრელ-ი ტვიროელი: იყო ჰეროდე გულ-მწყრალ ტჳრელთა და სიდონელთათჳს, საქმე 12,20.

ტჳრთ-ი ტვირთი; საქონელი: ჯერ-უჩნდა... არა უმეტჱსი რაჲმე ტჳრთი დადებად თქუენ ზედა. საქმე 15,28; გარდაყრად იყო ნავისა მის ტ., საქმე 21,3; კაცად-კაცადსა თჳსი ტ. უტჳრთავს, გალ. 6,5; ხუალისაგან გარდასხმიდეს ტჳრთსა. საქმე 27,18; ტ. მათსა არღარავინ იყიდდეს, გამოცხ. 18,11; ზღვევაჲ ყოფად არს არა ხოლო თუ ტჳრთისა და ნავისაჲ, საქმე 27.10; არ-

ღარა იყოს ტჳრთები ოქროჲსა და ვეცხლისაჲ, გამოცხ. 18,12.

1. ტჳრთვა ტვირთვა, კისრება, თავის თავზე აღება, ი: იტჳრთე სახელისა ჩემისათჳს, გამოცხ. 2,3; მან იტჳრთოს საშჯელი, გალ. 5,10CD; კაცად-კაცადმან თჳსი ტჳრთი ი., გალ. 6,5CD; ენებანი იგი... იესუ ქრისტჱსნი... მიტჳრთვან, გალ. 6,17; კაცად-კაცადსა თჳსი ტჳრთი უტჳრთავს, გალ. 6,5; რომელსა-იგი უ., გამოცხ. 17,7; უტჳრთვან ყოველნი სიტყუთა მით, ებრ. 1,3; სიკუდილი იგი ქრისტჱსი... გჳტჳრთავს, 2 კორ. 4,10.

ვერცა ჩუენ შეუძლეთ ტჳრთვად, საქმე 15,10; თანაგუაც... უძლურებანი იგი უსუსურთანი ტ., ჰრომ. 15,1; ვერ ძალ-გიც ტ. უკეთურთა მათ, გამოცხ. 2,2.

2. ტჳრთვა დაჭერა, ი: არა თუ შენ ძირი იგი გიტჳრთავს, ჰრომ. 11,18.

ტფილ-ი ცხელი: არცა გრილი ხარ, არცა ტფილი. ჯერ-იყო, რაჲთამცა ანუ გრილი იყავ, ანუ ტ., გამოცხ. 3,15; ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი, არცა ტ., გამოცხ. 3,16.

ნ.კ. ნელ-ტფილი.

ტყავ-ი: და წიგნებიცა იგი, უფროჲსღა წიგნის ტყავები, 2 ტიმ. 4,13C; იქცეოდეს... თხის ტყავებითა, ებრ. 11,37; წიგნებიცა იგი, უფროჲსღა წიგნის ტყავებისაჲ, 2 ტიმ. 4,13.

ნ. ეტრატი, წიგნის ტყავი.

ტყე: მცირემან ცეცხლმან რავდენი ტყჱ აღაგზნის, იაკ. 3,5.

ტყება ტირილი, მოთქმა მკერდში მჯიღის ცემით: ყვეს ტყებაჲ დიდი მას ზედა, საქმე 8,2.

ტყუ, ი: არარას გარეშესა ვიტყჳ, საქმე 26,22; სიწმიდისა სიტყუათა ვ., საქმე 26,25; რომლისა მიმართ კადნიერად ვ., საქმე 26,26; კაცობრივ ვ. უძლურებისათჳს ჴორცთა თქუენთაჲსა, ჰრომ. 6,19; ჭეშმარიტსა ვ. ქრისტჱს მიერ, ჰრომ. 9,1; არამედ ვ., ჰრომ. 10,19; 11,1; ხოლო ამას ვ., ჰრომ. 11,11; 1 კორ. 1,12; 15,50; გალ. 3,17; 4,1; 5,16; კოლ. 2,4; ვ. მადლითა მით, ჰრომ. 12,3; რამეთუ ვ. ქრისტესა, ჰრომ. 15,8; სიბრძნესა მას ვ. სრულთა მათ მიმართ, 1 კორ 2,6; არამედ ვ. ღმრთისა სიბრძნესა, 1 კორ. 2,7; რომელსა-ესე ვ. არა სწავლულთა კაცთა სიბრძნისა სიტყჳთა, 1 კორ. 2,13Ⴂ; ამას ვ. შენდობით, 1 კორ. 7,6; ამას თქუენისა უმჯობჱსისათჳს ვ., 1 კორ. 7,35; ანუ კაცობრივ რას ვ., 1 კორ. 9,8; რომელსა-ესე ვ., 1 კორ. 10,15ႩႪ; 10,19; იჭუსა მას ვ. არა თავისა ჩემისასა, 1 კორ. 10,29; თქუენ ყოველთათჳს უფროჲსღა ენათა ვ., 1 კორ. 14,18; საკდემელად თქუენდა ვ., 1 კორ. 15,34; არა დასაშჯელად თქუენდა ვ., 2 კორ. 7,3; კუალად ვ., 2 კორ. 11,16; რომელსა-ესე ვ., არა უფლისა მიერ ვ., 2 კორ. 11,17; უგუნურებით ვ., 2 კორ. 11,21; უგუნურჱსრე ვ., 2 კორ. 11,23; ჭეშმარიტსა ვ., 2 კორ. 12,6; 1 ტიმ. 2,7; ქრისტჱს მიერ ვ., 2 კორ. 12,19; აწცა წინაჲსწარ ვ., 2 კორ. 13,2CD; აწ კუალად მასვე ვ., გალ. 1,9; კაცობრივ ვ., გალ. 3,15; ამას ვ. და ვწამებ, ეფეს. 4,17; ხოლო მე ვ. ქრისტჱსთჳს, ეფეს. 5,32; რომლისათჳს-ესე ვ., ებრ. 2,5ႠႦႪ; არა მისთჳს ვ., 1 იოვ. 5,16; კაცობრივ-მე რას ვიტყჳა, ჰრომ. 3,5; ანუ კაცობრივ-მე ნუ ვ. ამას, 1 კორ. 9,8D.

და იტყჳ, საქმე 21,21; რომელი ი. არა-მრუშებასა, ჰრომ. 2,22; ნუ ი. გულსა შენსა, ჰრომ. 10,6; რამეთუ რასა-იგი ი., 1 კორ. 14,16; რამეთუ ი., გამოცხ. 3,17.

იტყჳს უფალი ღმერთი, საქმე 2,17; გამოცხ. 1,8; რამეთუ დავით ი., საქმე 2,25; ი. იგივე, საქმე 2,34; ვითარცა წინაწარმეტყუელი ი., საქმე 7,48ႩႪႭ; ვისთჳს ი. წინაწარმეტყუელი, საქმე 8,34; რომლისათჳს სხუასაცა ადგილსა ი., საქმე 13,35; ი., ვითარმედ, საქმე 19,26; ჰრომ. 10,18CD; 2 კორ. 10,10CD; ებრ. 8,5CD; ი. სული წმიდაჲ, საქმე 21,11; ებრ. 3,7; რომელსა ი. პავლე ცხოველად, საქმე 25,19; რაოდენსა შჯული ი., ჰრომ. 3,19; რასა... ი. წიგნი, ჰრომ. 4,3; გალ. 4,30; ვითარცა ოსეს შინა ი., ჰრომ. 9,25CD; სარწმუნოებისაგან სიმართლისათჳს ესრე ი., ჰრომ. 10,6; არამედ რასა-იგი ი., ჰრომ. 10,8; რამეთუ ი. წიგნი, 10,11; 1 ტიმ. 5,18; ესაია ი., ჰრომ. 10,16; პირველად მოსე ი., ჰრომ. 10,19; ესაია იკადრებს და ი., ჰრომ. 10,20; ისრაჱლისათჳს ესრე ი., ჰრომ. 10,21; რასა-იგი ი. წიგნი? ვითარ-იგი შეემთხუევის ღმერთსა შესმენად ისრაჱლისა და ი., ჰრომ. 11,2CD; მერმე დავით ი., ჰრომ. 11,9; ი. უფალი, ჰრომ. 12,19; 14,11; 1 კორ. 14,21; 2 კორ. 6,17; 6,18; ებრ. 8,8; 8,9CD; 8,10; 10,16; 10,30; და მერმე ი., ჰრომ. 15,10; ებრ. 1,5; 10,30; კუალად ი., ჰრომ. 15,10CD; ჰრომ. 15,11; 1 კორ. 3,20; ებრ. 4,5; კაცად-კაცადი თქუენი ი., 1 კორ. 1,12; ჩუენთჳს სამე ი., 1 კორ. 9,10; სულითა ი. საიდუმლოთა, 1 კორ. 14,2CႬႫ; ვითარცა შჯული ი., 1 კორ. 14,34; ეგრეცა წიგნი ი., 1 კორ. 15,45; ჩემ მიერ ი. ქრისტჱ, 2 კორ. 13,3; არა ი. „ნათესავთა", ვითარცა მრავალთასა, გალ. 3,16; რომლისათჳს ი., ეფეს. 4,8; 5,14; ოდეს... შემოიყვანს პირმშოჲ იგი სოფლად, ი., ებრ. 1,6; ხოლო ანგელოზთათჳს ი., ებრ. 1,7; ხოლო ძისათჳს ი., ებრ. 1,8; უწამებიეს სადამე ვინმე და ი., ებრ. 2,6; და ი., ებრ. 2,11; 4,7; და მერმე ი.: და კუალად ი., ებრ. 2,13; არამცა სხჳსა დღისათჳს... ი., ებრ. 4,8ႩႪ; ვითარცა-იგი სხუასა ადგილსა ი., ებრ. 5,6; შემო-რაჲვალს სოფლად, ი., ებრ. 10,5; ზემო კერძო ი., ებრ. 10,8; წმიდათა ვიეთმე ი. თავ-წარკუეთილთა, ებრ. 11,35CD; აწ უთქუამს და ი., ებრ. 12,26; სული წმიდაჲ ცხადად ი., 1 ტიმ. 4,1; ცუდად ი. წიგნი, იაკ. 4,5; ამისთჳს ი., იაკ. 4,6; ყოველთა შინა წიგნთა მისთა ი. ამისთჳს, 2 პეტ. 3,16; პირი მათი ი. გარდარეულსა, იუდა 1,16; ამას ი., რომელსა უპყრიან... ვარსკულავნი, გამოცხ. 2,1; ამას ი. პირველი..., გამოცხ. 2,8; ამას ი., რომელსა-იგი აქუს მახჳლი, გამოცხ. 2,12; ამას ი. ძჱ ღმრთისაჲ, გამოცხ. 2,18; ამას ი., რომელსა აქონან..., გამოცხ. 3,1; ამას ი. წმიდაჲ იგი, გამოცხ. 3,7; ამას ი. ამენ, გამოცხ. 3,14; ი. სული, გამოცხ. 14,13; გულსა თჳსსა ი., გამოცხ. 18,7; ი., რომელი წამებს ამას, გამოცხ. 22,20; თავისა თჳსისათჳს იტყჳსა, საქმე 8,34; არა შჯული ამასვე ი., 1 კორ. 9,8; მერმე იტყჳსვე, ებრ. 11,4; მერმე იტყჳსვე-ღა, იქცე CD.

რამეთუ ვიტყჳთ განმართლებასა კაცისასა სარწმუნოებითა, ჰრომ. 3,28; რამეთუ ვ., ვითარმედ, ჰრომ. 4,9; არამედ ვ. სიბრძნესა ღმრთისასა, 1 კორ. 2,7ႩႪႪCD; რომელსაცა-ესე ვ. არა სწავლულებითა კაცთა სიბრძნისა სიტყჳთა, 1 კორ. 2,13; ამას ვ. შენდობით, 1 კორ. 7,6ႩႪ;

ქრისტჱს მიერ ვ., 2 კორ. 2,17; 12,19C; რომლისათჳს ვ., 2 კორ. 4,13; ეგრეცა ვ., 1 თეს. 2,4; რომლისათჳს-ესე ვ., ებრ. 2,5; ესრჱთ ლათუ ვ., ებრ. 6,9.

ყოველითურთ ნუ იტყჳთ, საქმე 4,18; ნუ იქადით და ი. ჭეშმარიტებისათჳს, იაკ. 3,14; ნუ ძჳრსა ი., იაკ. 4,11; რომელნი-ეგე ი., იაკ. 4,13.

რომელნი იტყჳან, საქმე 2,7; ი. რაჲ ჩუენითა ენითა დიდებასა ღმრთისასა, საქმე 2,11ႪႭ; არარას ჭეშმარიტსა ი., საქმე 14,19; მეუფესა ვისმე სხუასა ი. ყოფად, საქმე 17,7; ვითარცა-იგი ვინმე თქუენგანნი სიტყჳს-მოქმედნი ი., საქმე 17,28; ი. ვინმე შენთჳს, საქმე 21,21; ჰურიანი არიან და ი., იქვე Ⴂ; რომელსა-იგი ი. შენთჳს, საქმე 21,24; რამეთუ სადუკეველნი ი., საქმე 23,8; აქაცა ღაღადებენ და ი., საქმე 25,24; ვითარცა ი. ვინმე ჩუენდა სიტყუად, ჰრომ. 3,8; ვითარ ი. ვინმე თქუენ შორის, 1 კორ. 15,12; რომელნი ამას ი., ებრ. 11,14; არცა რასა ი., 1 ტიმ. 1,7; ი., ვითარმედ, 2 ტიმ. 2,18; რომლისათჳს-იგი ძჳრსა ი. თქუენთჳს, 1 პეტ. 2,12; ნუ ი. ზაკუვასა, 1 პეტ. 3,10FႭ; გარდარეულსა მას ამაოებისასა ი., 2 პეტ. 2,18; ამისთჳსცა სოფლისასა ი., 1 იოვ. 4,5; რომელნი ი. თავთა თჳსთა ჰურიად, გამოცხ. 2,9; 3,9; ვითარ ი., გამოცხ. 2,24; არამედ ი., გამოცხ. 4,8; დასხმენ გჳრგჳნთა მათთა წინაშე საყდრისა მის და ი., გამოცხ. 4,10; გალობენ... გალობასა მას კრავისასა და ი., გამოცხ. 15,3; სული და სძალი ი., გამოცხ. 22,17.

რომელი-იგი იტყჳნ ენითა... რამეთუ სულითა ი. საიდუმლოსა, 1 კორ. 14,2; რომელი ი. ენითა, 1 კორ. 14,4; ნუვინ... ი., იაკ. 1,13; ბაგითა ნუ ი. ზაკუვასა, 1 პეტ. 3,10Ⴂ; რომელნი ამას იტყჳედ, ებრ. 11,14BႡႨႦ; ი. უჯეროსა, 1 ტიმ. 5,13; ბაგენი მისნი ნუ ი. (იტყუედ N) ზაკუვასა, 1 პეტ. 3,10E.

ვიტყოდე (უწყვ.) ვითარცა ყრმაჲ, 1 კორ. 13,11; მრწმენა მე, რასაცა ვ., 2 კორ. 4,13; ვითარცა-იგი ვ., 2 კორ. 9,3CD; იტყოდა აღდგომისათჳს ქრისტჱსისა, საქმე 2,31; რომელთა ი. ღმერთი, საქმე 3,21; ი. თავისა თჳსისასა, საქმე 5,36; 8,9; რომელსა ი., საქმე 6,10; 14,9; ი. რაჲ სიტყუასა გმობისასა მოსჱსთჳს, საქმე 6,11; გუესმა მაგისგან, ი. რაჲ, საქმე 6,14; ხოლო იგი ღაღადებდა და ი., საქმე 7,59; ვიდრე-იგი ამას ი. პეტრე, საქმე 10,44; ი. იგი მათა მიმართ, საქმე 12,21; ვითარცა აღასრულებდა იოვანე სრბასა თჳსსა, ი., საქმე 13,25; ევედრებოდა მას და ი., საქმე 16,9GH; გულოცვიდა და ი., საქმე 16,15ႪႭ; ჳმობდა და ი., საქმე 16,17; ი. და ასწავებდა... იესუსისთჳს, საქმე 18,25; ი. მომავალისა მის შემდგომად მისა, საქმე 19,4; ვითარ ი. იგი სიმართლისათჳს, საქმე 24,25ႢႪႭ; რომელსა ი. პავლე ცხოველად, საქმე 25,19ႪႭ; ვითარ-იგი ი. ამას, საქმე 26,24; გინა თუ ი. შენთჳს ბოროტსა, საქმე 28,21; კეთილად ი. სული წმიდაჲ, საქმე 28,25; უკუეთუმცა არა შჯული ი., ჰრომ. 7,7; არამცა სხჳსა დღისათჳს... ი., ებრ. 4,8; რომელი კაცობრივითა ჴმითა ი., 2 პეტ. 2,16; რომელი ი., გამოცხ. 6,1; 6,3; 6,5; 6,6; 6,7; 12,10; 16,5; 16,7; 16,17; 18,4; 19,5; 21,3; რომელი ი. ჴმითა დიდითა, გამოცხ. 8,13; ი. ჴმითა დიდითა, გამოცხ. 14,7; 14,9; მეორჱ ანგელოზი შეუდგა მას და ი. გამოცხ. 14,8; ი. ჩემ თანა, გამოცხ. 17,1; 21,9; რომელი-იგი ი. ჩემ თანა, გამოცხ. 21,15; ვიდრე-იგი იტყოდა-ღა პეტრე, საქმე 10,44Ⴊ.

ვითარმცა არა ვიტყოდეთ, საქმე 4,20; ვითარცა-იგი ვ., 2 კორ. 9,3.

იტყოდეს რაჲ იგინი, საქმე 2,6; ი. ურთიერთას, საქმე 2,7; 4,15; 26,31; 28,4; განუკჳრდებოდა ყოველთა... და ი., საქმე 2,12; სხუანი ეკიცხევდეს და ი., საქმე 2,13; რაოდენნი ი., საქმე 3,24; ი. სიტყუასა მას ღმრთისასა, საქმე 4,31; რომელნი ი., საქმე 6,11ႢႪႭ; 6,13Ⴂ; გამოცხ. 5,13; 11,15; 19,1; 19,6; და ი., ვითარმედ, საქმე 8,10; 11,3ႪႭ; 18,13; 24,9; 28,6; ი. სიტყუასა მას უფლისასა, საქმე 8,25; რომელთა ესმოდა და ი., საქმე 9,21; და ი. თანად, საქმე 10,27; რომელსა ი., საქმე 10,46; ი. რაჲ ენათა, იქვე ႪႭ; ადიდებდეს ღმერთსა და ი., საქმე 11,18; ი. ბერძლ მეტყუელთა მათ მიმართ, საქმე 11,20EႭ; ხოლო იგინი ი., საქმე 12,15; ღაღადებდეს და ი., საქმე 12,22; 14,14; 17,6Ⴂ; 19,28; 19,34; 21,28ႪႭ; 21,36; 25,24ႪႭ; რომელნიმე ი. ჰურიათა მათ თანა, საქმე 14,4; აღიმაღლეს ჴმაჲ... და ი., საქმე 14,11; რამეთუ ი., ვითარმედ, საქმე 14,19ႪႭ; ი. რაჲ... სიტყუასა მას ღმრთისასა, საქმე 14,25; ასწავებდეს ძმათა და ი., საქმე 15,1C; აღ-ვინმე-დგეს... მორწმუნენი და ი., საქმე 15,5ႪႭ; რომელნიმე ი. ... რამეთუ ი., საქმე 17,18; არიოპაგედ მიიყვანეს და ი., საქმე 17,19; ი. ენათა, საქმე 19,6; ძჳრსა ი. გზისა მისთჳს, საქმე 19,9; და ი.: გაფუცებთ თქუენ იესუს, საქმე 19,13; რომელნი ამას ი., საქმე 19,14; ილალვიდეს და ი., საქმე 23,9; რომლისათჳს წინაწარმეტყუელნი ი. ყოფადსა მას, საქმე 26,22; რომელნი-იგი ი. სახელითა უფლისაჲთა, იაკ. 5,10; ი. წმიდანი ღმრთისა კაცნი, 2 პეტ. 1,21; რომელთა ი. მისთჳს ცოდვილნი, იუდა 1,15; გალობდეს გალობასა... და ი., გამოცხ. 5,9; რომელნი ი. ჴმითა დიდითა, გამოცხ 5,12; ჴმობდეს ჴმითა დიდითა და ი., გამოცხ. 7,10; და ი.: ამენ, გამოცხ. 7,12; თაყუანის-სცეს მჴეცსა და ი., გამოცხ. 13,4; ხედვიდეს კუამლსა მას... და ი., გამოცხ. 18,18; ღაღადებდეს ტირილით... და ი., გამოცხ. 18,19.

ნუ გეშინინ, არამედ იტყოდე (I ბრძ.), საქმე 18,9; ხოლო შენ ი., ტიტე 2,1; იყვნენ თუ სიტყუანი ნუგეშინის-ცემისანი..., იტყოდეთ, საქმე 13,15; ი., ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი, ეფეს. 4,25; ი. თავთა თქუენთა ფსალმუნითა, ეფეს. 5,19; ესრეთ ი., იაკ. 2,12; წინაჲსწარმეტყუელნი ორნი გინა სამნი იტყოდედ, 1 კორ. 14,29.

რაჟამს იტყოდის (უწყვ. ხოლმ.), ებრ. 3,15CD.

ენასა ლათუ კაცთასა... ვიტყოდი (I კავშ.), 1 კორ. 13,1; მო-თუ-ვიდე თქუენდა და ენათა ვ., 1 კორ. 14,6; რაჟამს ვინმე იტყოდის... სხუაჲ ი., 1 კორ. 3,4CD; არავინ სულითა ღმრთისაჲთა ი., 1 კორ. 12,3; ვიდრელა რომელი ი. ენათა, 1 კორ. 14,5; რომელი-იგი ი. ჩემდა მომართ ბარბაროს, 1 კორ. 14,11ႨႦ; ამისთჳს რომელი ი. ენათა, 1 კორ. 14,13Ⴈ; უკუეთუ ვინმე ენითა ი., 1 კორ. 14,27; რომელი ძჳრსა ი. ძმისათჳს, იაკ. 4,11; რაჲთა ი. ხატი მჴეცისაჲ მის, გამოცხ. 13,15; პირისპირ ვიტყოდით, 3 იოვ. 1,14; რაჲთა მასვე იტყოდით ყოველნი, 1 კორ. 1,10; რაჲთა არა იტყოდიან სახელითა იესუსითა, საქმე 5,40; რომელნი ი. გულარძნილსა, საქმე 20,30; ანუ ყოველნი ნუ ენათა ი., 1 კორ. 12,30; ყოველნი ენათა ი., 1 კორ. 14,23; რომლისათჳს-იგი ძჳრსა ი. თქუენთჳს, 1 პეტ. 2,12ႢႪႭ; რომელნი-იგი ძჳრსა ი. თქუენთჳს, 1 პეტ. 3,16ႪႭ; და ი., 2 პეტ. 3,4; შიშისათჳს ტანჯვისა მისისა ი. (იტყოდინ A), გამოცხ. 18,10; იგლოვდენ და ი. (იტყოდინ AH), გამოცხ. 18,16.

უმძაფრესი ადგილ-ი აქ მეჩეჩი, თავთხელი: ვითარცა შეცჳვეს უმძაფრესსა ადგილსა, საქმე 27,41ႢႭ; ვითარცა განცჳვეს იგინი ადგილსა უმძაფრჱსსა (უმძაფრესსა D), იქვე.

1. **უმჯობჱს-ი, უმჯობეს-ი** უმჯობესი, უკეთესი: ვითარცა შენ უმჯობჱს (-ეს DEႭ) იცი, საქმე 25,10; უ. (-ეს ႢႧCD) არს არა-ჭამაჲ ჴორცისაჲ, ჰრომ. 14,21; უ. (-ეს ႢႧCႣ) არს კაცისა დედაკაცისა შე-ვე არა-ხებაჲ, 1 კორ. 7,1; უ. (-ეს ႢႧCD) არს ქორწინებაჲ განჴურვებასა, 1 კორ. 7,9; უ. (-ეს ႢႧCႣ) არს კაცისა, 1 კორ. 7,26; უ. (-ეს ႢႧ) ყოს, 1 კორ. 7,38; უ. (-ეს ႢႧCD) არს ჩემდა სიკუდილი, 1 კორ. 9,15; არარაჲ უ. (-ეს ႢႧCႣ) ჩემდა [არიან], გალ. 2,6; გული მეტყჳს... ქრისტჱს თანა ყოფად უფროჲსღა უ. (-ეს ႠႢႪႭႨႦD), ფილიპ. 1,23ႪႦႧ; ესოდენ უ. (-ეს ႢႧCD) იყო იგი ანგელოზთა, ებრ. 1,4; უ. (-ეს ႦႧCD) შენ უწყი, 2 ტიმ. 1,18; რომელი უ. (-ეს ႪႭ) არს, 1 პეტ. 2,20; უ. (-ეს ႪႭ) არს, კეთილსა თუ იქმოდით, 1 პეტ. 3,17; უ. (-ეს Ⴀ!ႧႪႭ) იყო მათდა, 2 პეტ. 2,21Ⴂ; უმჯობჱსღა (-ესღა ႧCD) უკუე და უფროჲს ვიქადოდი უძლურებათა ჩემთა, 2 კორ. 12,9; ალზრდილ თუ იყოს ესრეთ უმჯობეს ყოფასა, 1 კორ. 7,36Ⴇხ; რაოდენცა უმჯობჱსი (-ესი ႢႧCD) მათსა დაიმკჳდრა სახელი, ებრ. 1,4; გურწამს თქუენთჳს, ... უ. (-ესი ႢႧCD) და მახლობელი ცხორებისაჲ, ებრ. 6,9; უ. (-ესი ႢႧ) ნაყოფი, ებრ. 10,34; ღმერთმან ჩუენთჳს უ. (-ესი ႢႧCD) განიგულა, ებრ. 11,40; უ. შენ უწყი, 2 ტიმ. 1,18Ⴍ; შენ უმჯობესი იცი, საქმე 25,10E; საუნჯე უ., ებრ. 10,34CD; რაჲთა გამოიცადოთ თქუენ უმჯობესი იგი, ფილიპ. 1,10; უმჯობჱსსა (-ესსა ႢႧCD) მას აღთქუმასა ზედა შჯულ-დებულ არს, ებრ. 8,6; უ. (-ესსა ႢႧCD) აღდგომასა. ებრ. 11,35; სისხლითა პკურებასა, უ. (-ესსა ႢႭႧCႣ) თქუმულისა მის აბელის მიერ, ებრ. 12,24; გამოიცდი უმჯობჱსსა (-ესსა ႢႧCD) მას, ჰრომ. 2,18; უ. (-ესსა ႢႧCD) მას გული ეტყჳს, ებრ. 11,16; უმჯობესსა ჰყოფს, 1 კორ. 7,38CD; უ. მიიწია მსახურებასა, ებრ. 8,6CD; შემოსლვაჲ უმჯობჱსისა (-ესისა ႭႧCD) სასოებისაჲ, ებრ. 7,19; უ. (-ესისა ႢႧCD) აღთქუმისა, ებრ. 7,22; 8,6; უმჯობესისა მისებრ წჳალებისა ჩუენისა მსახურებისა ვცხოვნდებოდე ფარისეველი, საქმე 26,5H; უმცირჱსი იგი უმჯობჱსისაგან (-ესისაგან ႢႭႧCD) იკურთხა (აქ = უდიდესისგან), ებრ. 7,7; უმჯობჱსითა (-ესითა ႢႧCD) მსხუერპლითა, ებრ. 9,23; არა უმჯობჱსად (-ესად ႢႧCD) შეჰკრბით, 1 კორ. 11,17; უმჯობესად მეტყუელსა უფროჲს აბელისსა, ებრ. 12,24Ⴇხ; შემოსლვაჲ უმჯობესისაჲ სასოებისაჲ. ებრ. 7,19Ⴂ.

2. **უმჯობე, უმჯობჱს-ი, უმჯობეს-ი** (უფრო) სასარგებლო; სარგებლობა: არა ყოველი უმჯობე არს, 1 კორ. 6,12ႢႧ; არა ყოველივე უმჯობჱს (-ეს CD) არს, იქვე; ესე უ. (-ეს ႢႧCD) არს თქუენდა, 2 კორ. 8,10; არა ყოველი უმჯობეს არს, 1 კორ. 10,23CD; არარაჲ დავაყენე უმჯობჱსი (-ესი DႪႭ) თქუენი, საქმე 20,20; არა ვეძიებ თავისა ჩემისა უმჯობჱსსა (-ესსა ႢႧ), 1 კორ. 10,33; ამას თქუენისა უმჯობჱსისათჳს (-ესისათჳს ႢႧCD) ვიტყჳ, 1 კორ. 7,35; კაცად-კაცადსა მიცემულ არს გამოცხადებაჲ იგი სულისაჲ უ. (-ესისათჳს ႢႧCD), 1 კორ. 12,7; ხოლო ესე უ. (-ესისათჳს ႢႧCD) [სწავლიდეს], ებრ. 12,10; უმჯობესად... შევჰრაცხე, 2 კორ. 9,5CD.

უმჯობჱს-ი გონება გადატ. წმინდა განსჯა, აზრი: რომლითა განვაღჳძებ თქუენ მოჴსენებითა ამით უმჯობჱსსა გონებასა, 2 პეტ. 3,1; რომლითა გან[ვა]ღჳძებ თქუენ მოჴსენებით [...]ით უმჯობჱსისა(?) გონებასა თქუენსა, იქვე Ⴂ.

უმჯობჱსადრე, უმჯობესადრე საჭიროდ, აუცილებლად: უმჯობჱსადრე (უმჯობესადრე ႢႧ) შევჰრაცხე, 2 კორ. 9,5; უ. (-ესადრე ႢႧCD) შევჰრაცხე ეპაფროდიტჱსი, ფილიპ. 2,25.

უნაკლულევანჱს-ი, უნაკლულევანეს-ი (უფრო) ნაკლები; უარესი: ქურივადმცა იგი შერაცხილ არს ნუ უნაკლულევანჱს (-ეს Ⴆ) სამეოცისა წლისა, 1 ტიმ. 5,9; უნაკლულევანჱსად (-ესად ႢႪႧCD) შეჰკრბით, 1 კორ. 11,17.

უნაკლულჱს-ი, უნაკლულეს-ი უფრო ნაკლები: ქურივადმცა იგი შერაცხილ არს ნუ უნაკლულჱსი (-ესი ႧCD) სამეოცისა წლისა, 1 ტიმ. 5,9Ⴍ.

უნაკლულო უნაკლო, სრულქმნილი: რაჲთა აწვე უნაკლულო იყოს ღმრთისა იგი კაცი, 2 ტიმ. 3,17D.

1. **უნაკლულოდ, უნაკლულად** შეუწყვეტლივ, მუდამ ჟამს: ვითარ უნაკლულოდ (უნაკლულად Ⴇ) ჴსენებასა თქუენსა ვჰყოფ, ჰრომ. 1,9.

2. **უნაკლულოდ** უხვად: რაჲთა... ყოველივე უნაკლულოდ გაქუნდეს, 2 კორ. 9,8.

უნაკლულოება კმაყოფილება: ნანდჳლვე არს სარეწავ დიდ ღმრთის მსახურებაჲ უნაკლულოებით, 1 ტიმ. 6,6.

უნაყოფო: გონებაჲ ჩემი უნაყოფო არს, 1 კორ. 14,14; რაჲთა არა უ. იყვნენ, ტიტე 3,14; არცა უნაყოფოდ იპოვნეთ, 2 პეტ. 1,8; ხენი ზამთრისანი უნაყოფონი, იუდა 1,12; ნუ ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა, ეფეს. 5,11.

უნებელ-ი აუცილებელი: უნებელი ზედა-მაც მე, 1 კორ. 9,16.

უნებელად, უნებელიად, უნებლიად აუცილებლად: სიკუდილი უნებელად ზედა-აც წინაშე მწერალსა მას, ებრ. 9,16D; სიკუდილი უნებლიად (უნებელიად Ⴇ) ზედა-აც წინაშე მწერალსა მას, იქვე.

უნებელადრე უფრო საჭირო: დადგრომაჲ ჴორცთა შინა უნებელადრე თქუენთჳს, ფილიპ. 1,24.

---

* გამოცემაში: რაოდენმე. აქ არის ნაკლულევანი ადგილი (ლ.ბ.).

უნებლება აუცილებლობა: ისწავებდედ... კეთილისა საქმესა წარდგინებად უნებლებისა მისთჳს საჭმრისა, ტიტე 3,14.

უნებლებით, უნებლობით იძულებით, ნების გარეშე: უკუეთუ უნებლებით (უნებლობით ႢႪ) [ვიქმოდი], 1 კორ. 9,17; კაცად-კაცადსა ვითარცა გამოურჩევიეს გულითა, ნუ მწუხარებით, ნუცა უ., 2 კორ. 9,7; რაჲთა არა უ. კეთილი იგი შენი იყოს, ფილემ. 1,14.

უნებლიაჲთ აუცილებლად: სიკუდილი უნებლიაჲთ ზედა-აც წიგნის მწერალსა მას, ებრ. 9,16Ⴊ.

უნებლიეთ იძულებით, ნების გარეშე: ხოლო უკუეთუ უნებლიეთ [ვიქმ], 1 კორ. 9,17CD.

უნჯება, უნჯობა შეკრება, შენახვა, ი: შეუნანებელითა გულითა იუნჯებ თავისა შენისა რისხვასა, ჰრომ. 2,5; იუნჯებედ თავისა მათისა საფუძველსა კეთილსა, 1 ტიმ. 6,19Ⴄ; კაცად-კაცადი თქუენი თჳს თანა... იუნჯებდინ, 1 კორ. 16,2CD; ი. თავისა მათისა საფუძველსა კეთილსა, 1 ტიმ. 6,19CD; იუნჯებდედ თავისა მათისა საფუძველსა კეთილსა, იქვე.

უ: არა შვილნი მამა-დედათა უუნჯებენ, 2 კორ. 12,14Ⴀ; არა შვილნი მამა-დედათა უუნჯებედ (უუნჯობედ Ⴊ), იქვე.

უპატივო, უპატიო ულირსი, უპატიო: შესაქმედ რომელნიმე პატიოსნად ჭურჭლად და რომელნიმე უპატივოდ (უპატიოდ ႢႪCD), ჰრომ. 9,21; [არს ჭურჭელი] კეცისაჲცა, რომელიმე პატივოსნად და რომელიმე უ. (უპატიოდ ႪႭႤCႠ), 2 ტიმ. 2,20.

უპატიოება დამცირება, შერცხვენა, შეურაცხყოფა; დაეთესვის უპატიოებით, 1 კორ. 15,43D; უპატიოებად თქუენდა გეტყჳ, 2 კორ. 11,21Ⴁ.

უპატიოსნჱს-ი, უპატიოსნეს-ი უფრო პატიოსანი; უფრო ძვირფასი: უპატიოსნჱს (-ეს ⊏ႪႭ) ოქროჲსა მის წარსაწყმედელისა, 1 პეტ. 1,7Ⴂ; არცა უპატიოსნეს სულისა ჩემისა შემირაცხიეს თავი ჩემი, საქმე 20,24ႪႭ; არა უფროჲს უპატიოსნესად შემირაცხიეს სულისა ჩემისა თავი ჩემი, იქვე Ⴂ.

უპატიო-ყოფა არად ჩაგდება: რომლისასა ეპგონებთ უპატიო-ყოფად გუამისაგან, 1 კორ. 12,23CD.

უპირატჱს-ი უწინარესი: რომელი მომეცა ჩუენ უპირატეს ჟამთა მათ საუკუნეთა, 2 ტიმ. 1,9ႤCD.

უჟამო უდროო: ხოლო უჟამო იქმნენით, ფილიპ. 4,10ႤႱ; ზედა-ადეგ ჟამიერად და უჟამოდ, 2 ტიმ. 4,2D.

უჟამო ნ.კ. ჟამითი უჟამო.

ურაკპარაკ-ი მოედანი: გუგუემნეს ჩუენ ურაკპარაკით, საქმე 16,37; მიპზიდვიდეს მათ ურაკპარაკად, საქმე 16,19; გუგუემნეს ჩუენ ურაკპარაკთა ზედა, საქმე 16,37ႪႭ.

ურგებ-ი გამოუსადეგარი, უვარგისი, უსარგებლო: არიან ურგებ და ამაო, ტიტე 3,9; კუროჲსთავი ურგები, ებრ. 6,8; კუროჲსთავისა ურგებსა, იქვე D.

ურგებება, ურგებობა გამოუსადეგრობა, უსარგებლობა: შეურაცხ იქმნების პირველი იგი მცნებაჲ უძლურებისა მისისათჳს და ურგებებისა (ურგებობისა CD), ებრ. 7,18; ურგებებისა მისისათჳს, იქვე Ⴊ.

1\. **ურვა** გასაჭირი, შეწუხება, ზრუნვა, ი ვნ.: ნუ იურვინ, 1 კორ. 7,18; რაჲთა არა იურვოდიან (იურვოდინ D), კოლ. 3,21.

ე: ნუუკუე ჴართაჲ რაჲმე ეურვების (+ა Ⴂ) ღმერთსა, 1 კორ. 9,9; ნურაჲ გეურვებინ, 1 კორ. 7,21CD; ნუუკუე ჴართაჲ რაჲმე ეურვებოდა (+ა Ⴀ) ღმერთსა, 1 კორ. 9,9ႤCႤႱ; რაჲთა არა ეურვოდინ, კოლ. 3,21C.

არა უც ურვა, 1 კორ. 7,37; არა აქუს ურვაჲ, იქვე CD: ესე კეთილ არს მოწევნულისა ამისთჳს (მისთჳს ႢႤCD) ურვისა, 1 კორ. 7,26; წარუდგინენით თავნი თჳსნი... ჭირთა შინა და ურვათა, 2 კორ. 6,4; ნუგეშინის-ცემულ ვიქმნენით... თქუენ ზედა ყოველთა ამათ (მაგათ Ⴊ) ურვათა და ჭირთა, 1 თეს. 3,7; ნუგეშინის-ცემულ ვიქმნენით... თქუენ ზედა ყოველთა მათგან ურვათა და ჭირთა, იქვე ႢႭႤC; ყოველთა მათგან ჭირთა და ურვათა, იქვე D; მოაქუნდა უძლურები და ურვილები სულთაგან არაწმიდათა, საქმე 5,16 (აქ ბოროტი სულით შეპყრობილები).

2\. **ურვა** საფრთხეში, საშიშროებაში ყოფნა, ი ვნ.: რამეთუ ვიურვითცა (-ცა ႢႪႭ) ბრალობად შფოთისა ამის დღენდელისა, საქმე 19,40.

ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტჱსსა: ჭირმან... ანუ ურვამან, ჰრომ. 8,35.

3\. **ურვა** ყოყმანი, დროის გაყვანა, ი ვნ.: აწ ნურას იურვი, საქმე 22,16; რაჲთა არარას ვიურვოდით ჭირთა ამათ შინა, 1 თეს. 3,3⊏ႦႪ; რაჲთა არარას იურვოდით ჭირთა ამათ შინა, იქვე.

ე: აწ ნურას ეურვი, საქმე 22,16E.

4\. **ურვება** შეწუხება (ვისიმე): ა—2: რაჲთა არა ვაურვებდეთ მათ, საქმე 15,19ႪႭ.

-ურთ თანდ. მოითხოვს მოქმედებით ბრუნვას და აღნიშნავს თანაობას; დედებითურთ... ძმებითურთ, საქმე 1,14; იოვანჱთურთ, საქმე 3,4; ყოვლითურთ, საქმე 4,18; 17,11; 17,22ႪႭ; 2 პეტ. 1,5ႪႭ; გამოცხ. 6,12; თესლებითურთ, საქმე 4,27; ყოვლითურთ სახლით მისით, საქმე 10,2; მთავრობით მათითურთ, საქმე 14,5; კრებულითურთ, საქმე 15,22; 23,15; ყოვლითურთ კრებულით, საქმე 15,22ႢႪႭ; ყოვლითურთ სახლეულით მისით, საქმე 16,32; 16,34; 18,8; სახლეულებითურთ და შვილით, საქმე 21,5; ერითურთ, საქმე 23,27; მჴედრებითურთ, იქვე ႪႭ; ათასისთავებითურთ, საქმე 25,23; მითურთ, ჰრომ. 8,32CD; მითურთით, იქვე; თანამჴედრითურთ მათით, 1 კორ. 16,19; თქუენითურთ, 2 კორ. 13,4; ვნებითურთ და გულის თქუმით, გალ. 5,24; ყოვლითურთ უკეთურებით, ეფეს. 4,31; ჯაჭჳთურთ, ეფეს. 6,20; სარწმუნოებითურთ, ეფეს. 6,23; უხრწნელებითურთ, ეფეს. 6,24Ⴀ; კლემენტოსითურთ, ფილიპ. 4,3; საქმითურთ, კოლ. 3,9; საქმით მისითურთ, იქვე CD; ონესიმჱთურთ (ონესიმეთურთ Ⴂ), კოლ. 4,9.

ურთიერთ-ი ერთმანეთი: პატივის-ცემითა ურთიერთისა უსწრობდით, ჰრომ. 12,10; ალაშჱნებდით უ., 1 თეს. 5,11; ურთიერთისა უმეტჱსად შეგერაცხენ თავისა თჳსისა, ფილიპ. 2,3Ⴍ.

ურთიერთას, ურთიერთარს ერთმანეთს; ერთმანეთში, ერთმანეთს შორის: იყვნეს ყოველნი ერთბამად შეკრებულ ურთიერთას (-არს Ⴚ), საქმე 2,1ႢႪIII; იტყოდეს უ., საქმე 2,7; 4,15; რაჲსა ავნებთ უ. (-არს Ⴚ).

საქმე 7,26; ვიდრე განყენებამდე უ. (-არს G), საქმე 15,39; აბრალებდეღ უ. (-არს E), საქმე 19,38; მოეიკითხენით უ. (-არს G), საქმე 21,6; იტყოდეს უ. (-არს E), საქმე 26,31; 28,4; შეუთქუმელ იყვნეს უ. (-არს G), საქმე 28,25; განჴურდეს გულის თქუმითა მათითა უ. (-არს ႣႨႦႱ) კუალად-საგებელი იგი... უ. (-არს ႦႱ) მიიღიან, ჰრომ. 1,27; შორის უ. (-არს ႦႨႱ) გულის სიტყუანი შეასმენდენ, ჰრომ. 2,15; თითოეულად უ. (-არს ႦႨႱ) ასოებ ვართ, ჰრომ. 12,5; ძმათ მოყუარებითა უ. (-არს ႦႱ) სურვიელად მოყუარე იყვენით, ჰრომ. 12,10; მასვე უ. (-არს ႦႱ) ზრახევდით, ჰრომ. 12,16; ნურასმცა ვისი თანა-გაც, გარნა უ. (-არს ႦႨႱ) სიყუარული, ჰრომ. 13,8; ნუღარამცა უ. (-არს ႦႱ) განვიკითხავთ, ჰრომ. 14,13; მშჳდობასა უკუე შეუდეგით და აღშჱნებასა უ. (-არს ႣႨႦႱ), ჰრომ. 14,19; ღმერთმან... მოგეცინ თქუენ იგივე ზრახვად უ. (-არს ႣႨႦႱ), ჰრომ. 15,5; ამისთჳს შეიწყნარებდით უ. (-არს ႣႨႦႱ), ჰრომ. 15,7; მოიკითხევდით უ. (-არს ႦႱ) ამბორითა წმიდითა, ჰრომ. 16,16; ყოვლადვე საშჯელი გიც უ. (-არს ႣႨႦႱ), 1 კორ. 6,7; ნუ განეშორებით უ. (-არს ႦႱ), 1 კორ. 7,5; უ. (-არს ႣႨႦႱႱ) ჰგებდით, 1 კორ. 11,33ႨႢ; ეგრევე უ. (-არს Ⴂ) ერთიერთისათჳს ზრუნვიდენ ასონი იგი, 1 კორ. 12,25; მოიკითხევდით უ. (-არს ႣႨႦ) ამბორისყოფითა წმიდითა, 1 კორ. 16,20; 2 კორ. 13,12; სიყუარულისა მისთჳს ჰმონებდით უ. (-არს ႦႱ), გალ. 5,13; უკუეთუ უ. (-არს ႦႱ) იკბენდეთ... ნუუკუე უ. (-არს CD) განილინეთ, გალ. 5,15; ესენი მჴდომ არიან უ. (-არს ႣႨႦႱ), გალ. 5,17; ნუმცა ვართ... უ. (-არს ႣႨႦD) მაბრალობელ, უ. (-არს ႦD) მოშურნე, გალ. 5,26; უ. (-არს CႱ) სიმძიმე იტჳრთეთ, გალ. 6,2ႢႢႱ; მის მიერ მაქუს ჩუენ მიახლებაჲ იგი უ. (-არს ႣႨႦႱ), ეფეს. 2,18; რომლითა იჩინენით უ., ეფეს. 4,11ႨႢႱ; თავსიდებდით უ. (-არს CD) სიყუარულით, ეფეს. 4,2; რამეთუ ვართ უ. (-არს ႣႨႦႱႱ) ასოებ, ეფეს. 4,25; იყვენით უ. (-არს ႣႨႦႱႢ) ტკბილ, ეფეს. 4,32; დაემორჩილენით უ. (-არს ႣႨႦႱႢ) შიშითა ქრისტჱსითა, ეფეს. 5,21; არამედ სიმდაბლით უ. (-არს ႦႱႢ) ერთი-ერთისა უმეტესად შეგერაცხენ თავისა თჳსისა, ფილიპ. 2,3; ნუ სტყუით უ., კოლ. 3,9; თავს-იდებდით უ. (-არს CႱ), კოლ. 3,13; მიჰმადლებდით უ. თავეთა თჳსთა, იქვე Ⴍ; უფალმან... გარდაგმატენ სიყუარულითა უ. (-არს ႣႨႦႱ), 1 თეს. 3,12; თქუენ ყოველნი ღმრთით სწავლულნი ხართ სიყუარულისათჳს უ. (-არს ႣႨႦႱ), 1 თეს. 4,9; ამისთჳს ნუგეშინის-სცემდით უ. (-არს ႣႨႦႱ), 1 თეს. 5,11; მარადის კეთილსა შეუდეგით უ. (-არს ႣႨႦႱ), 1 თეს. 5,15; აღემატების სიყუარული ეგე კაცად-კაცადისა თქუენისაჲ უ. (-არს ႣႨႦႱ), 2 თეს. 1,3; განეილცდიდეთ უ. (-არს CႱ) აღზავებად სიყუარულისა, ებრ. 10,24; [ვიყვენით] შემაწუხებელ და მოძულე უ. (-არს ႣႨႢ), ტიტე 3,3; ნუ ძჳრსა იტყჳთ... უ. (-არს G), იაკ. 4,11; ნუ სულთ-ითქუამთ, უ. (-არს EG), იაკ. 5,9; აღუვარებდით უ. (-არს G) ცოდვათა, იაკ. 5,16; უ. (-არს EG) იყუარობდით, 1 პეტ. 1,22; უ. (-არს G) სიყუარული... გაქუნდინ, 1 პეტ. 4,8; სტუმართ მოყუარე იყვენით უ. (-არს G), 1 პეტ. 4,9; მას ეგრევე უ. (-არს G) ამსახურებდით, 1 პეტ. 4,10; ყოველთავე უ. (-არს EG) სიმდაბლჱ შეიმოსეთ, 1 პეტ. 5,5; მოიკითხევდით უ. (-არს G) ამბორის-ყოფითა, 1 პეტ. 5,14; ზიარებაჲ მაქუს უ. (-არს EG), 1 იოვ. 1,7; რაჲთა იყუარებოდით უ. (-არს G), 1 იოვ. 3,11; ვჲყუარობდეთ უ. (-არს EG), 1 იოვ. 3,23; ვიყუარობდეთ უ. (-არს EG), 1 იოვ. 4,7; ჩუენცა თანა-გუაც უ. (-არს EG) სიყუარული, 1 იოვ. 4,11; უკუეთუ იყუარობდეთ უ. (-არს EG), 1 იოვ. 4,12; რაჲთა იყუარობდეთ უ. (-არს EG), 2 იოვ. 1,5; ძღუენი მისცენ უ., გამოცხ. 11,10; შემძლებელ ხართ ურთიერთარს სწავლად, ჰრომ. 15,14Ⴑ; კუალად ურთიერთასვე (არსვე ႦႱ) იყვენით, 1 კორ. 7,5; შემძლებელ ხართ ურთიერთასცა (-არსცა Ⴆ) სწავლად, ჰრომ. 15,14.

ურთიერთას-ი, ურთიერთარს-ი ერთმანეთისა, ურთიერთისა; საერთო: ურთიერთასი (-არსი ႠႢႭႢC) იგი სარწმუნოებაჲ თქუენი და ჩემი, ჰრომ. 1,12ႢႢ; უ. სიმძიმჱ იტჳრთეთ, გალ. 6,2; ურთიერთარსითა სარწმუნოებითა თქუენითა და ჩემითა, ჰრომ. 1,12D.

ურიდება დაურიდებლობა, არდაზოგვა: მოთმინებითა მით წესითა... და ურიდებითა ჴორცთაჲთა, კოლ. 2,23.

ურიცხუ ურიცხვი: მქჳშაჲ ზღჳსაჲ ურიცხჳ (ურიცხუ Ⴍ), ებრ. 11,12.

ურმის-თუალ-ი ბორბალი: აღაგზებს ურმის თუალსა მას შესაქმისასა, იაკ. 3,6.

1. ურჩ-ი ურჩი, წინააღმდეგი, გაუგონარი, დაუმორჩილებელი: ურჩ იქმს ესე კაცთა მსახურებად ღმრთისა, საქმე 18,13; ვითარცა-იგი ვინმე განრისხნებოდეს და უ. იქმნებოდეს, საქმე 19,9ႢႢႭ; არა უ. ვექმენ ზეცისასა მას ჩუენებასა, საქმე 26,19; მამა-დედათა უ. იყვნეს, ჰრომ. 1,30; აწ ესენი უ. ექმნნეს თქუენისა შეწყნარებისათჳს, ჰრომ. 11,31; იყვნენ კაცნი... მამის-დედის უ., 2 ტიმ. 3,2; ვიყვენით... უცნობელ და უ., ტიტე 3,3; დაღათუ ვიეთნიმე უ. არიან სიტყჳსა მის, 1 პეტ. 3,1; რომელნი-იგი უ. ოდესმე იყუნეს, 1 პეტ. 3,20; ურჩმან მოიღო საშჯელისა კუალად-გებაჲ, ებრ. 2,2; განვიპყრენ ჴელნი ჩემნი ერისა მიმართ ურჩისა, ჰრომ. 10,21; საძაგელნი არიან და ურჩნი, ტიტე 1,16; ურჩთა (მიც.) ჭეშმარიტებისათა... [მიაგოს] რისხვაჲ, ჰრომ. 2,8; მართალსა შჯულ არა უც, არამედ უშჯულოთა და უ., 1 ტიმ. 1,9; არა-მე (+ა Ⴂ) ურჩთა მათა (-ა ႢCD) [ეფუცა], ებრ. 3,18; აღსასრული ურჩთა მათ (ნათ.) სახარებისა ღმრთისათაჲ, 1 პეტ. 4,17.

2. ურჩ-ი ურწმუნო: ურჩნი იგი წარწყმიდნა, იუდა 1,5; თქუენდა უკუე არს პატივ, მორწმუნეთა მაგათ, ხოლო ურჩთათჳს — ლოდი, 1 პეტ. 2,7ႢႢႭ; რაჲთა განვერე მე ურჩთა მათგან, ჰრომ. 15,31; რაჰაბ... არა წარწყმდა ურჩთა მათ თანა, ებრ. 11,31.

ურჩება ურჩობა, წინააღმდეგობა, დაუმორჩილებლობა: შეაყენნა ღმრთმან ყოველნივე ურჩებასა, ჰრომ. 11,32; ნუმცა შესმენილ არიან ბილწებისათჳს გინა ურჩებისა, ტიტე 1,6; შურის-გებად ყოვლისა მისთჳს ურჩებისა, 2 კორ. 10,6; რომელნი შებრკოლდებიან სიტყუასა მას ურჩებით (+ა ႢႭ), 1 პეტ. 2,8; ვითარცა-იგი ერთისა მისგან კაცისა ურჩებითა ცოდვილნი შემოჴდეს მრავალნი, ჰრომ. 5,19; აწ შეიწყალენით მათითა მით ურჩებითა, ჰრომ. 11,30; ნაშრომსა მათ შორის ურჩებისათა, ეფეს. 2,2; ნაშრომსა მათ ზედა უ., ეფეს. 5,6; კოლ. 3,6.

ურჩულოება ულმობელობა, უსჯულოება, O—1: რომელ ურჩულოებდეს, იუდა 1,15ႢႭ.

ურცხჳნელად (ურცხუენელად) დაუძრახავად, უსირცხოდ: იწრაფე თავისა შენისა წარდგინებად მუშაკად ურცხჳნელად (ურცხუენელად ႠႢ), 2 ტიმ. 2,15.

ურწმუნო: ურწმუნო თუ ვინმე იქმნეს, ჰრომ. 3,3: ცოლი ურწმუნოჲ, 1 კორ. 7,12; 7,14; ქმარი უ., 1 კორ. 7,13; 7,14; შე-ვინმე-ვიდეს უ., 1კორ. 14,24; უკუეთუ ურწმუნოჲ იგი განეყენებოდის, 1 კორ. 7,15; რაჲ ნაწილი უც ურწმუნოსა მორწმუნისა, 2 კორ. 6,15ႡႪႨ; რაჲ ნაწილი უც მორწმუნესა ურწმუნოსა თანა, იქვე; არს იგი ურწმუნოჲსა (-ა Ⴂ) უძჳრეს, 1 ტიმ. 5,8CD; რაჲ ნაწილი უც მორწმუნესა ურწმუნოჲსა თანა, 2 კორ. 6,15ႣႢႤႨႦ; ურწმუნონი ჰურიანი, საქმე 14,2; 17,5ႡႪႭ; ჰურიანი იყვნეს უ., საქმე 14,2C; შე-ვინმე-ვიდენ უ., 1 კორ. 14,23; ურწმუნონი იგი (-იგი Ⴍ) წარწყმიდნა, იუდა 1,5Ⴊ: ურწმუნოთა ჭეშმარიტებისათა... [მიაგოს] რისხვაჲ, ჰრომ. 2,8D; თქუენდა არს პატივი მორწმუნეთა მაგათ, ხოლო უ. — ლოდი, 1 პეტ. 2,7; ნუ ექმნებით თანა-მეუღლე უ., 2 კორ. 6,14; ნუ იქმნებით თანა-მეუღლე ურწმუნოთა, იქვე ႪႣႢႤႨႦႠ; არს იგი უ. უძჳრჱს, 1 ტიმ. 5,8; უ.... ნაწილი მათი იყოს ტბასა მას, გამოცხ. 21,8; აწ უკუე ენანი ვიდრემე სასწაულად არიან არა თუ მორწმუნეთათჳს, არამედ უ. (+თჳს ႢCD), 1 კორ. 14,22; წინაჲსწარმეტყუელებაჲ არა ურწმუნოთათჳს არს, 1 კორ. 14,22; შეგინებულთათჳს და უ. (-თჳს ႭCD) არარაჲ წმიდა არს, ტიტე 1,15; ძმაჲ ძმასა ეშჯის, და ესეცა ურწმუნოთა წინაშე, 1 კორ. 6,6; გონებანი ურწმუნოთანი, 2 კორ. 4,4; უკუეთუ ვინმე გხადოდის თქუენ ურწმუნოთაგანი, 1 კორ. 10,27.

1. **ურწმუნოება:** რაჲ ურწმუნოებაჲ არს, საქმე 26,8ႡႪႪႭ; ნუუკუე ურწმუნოებამან მისმან სარწმუნოებაჲ... განაქარვოს, ჰრომ. 3,3; თუ არა დაადგრენ ურწმუნოებასა მათსა ზედა, ჰრომ. 11,23; უმეცრებით ვყავ ურწმუნოებასა შინა, 1 ტიმ. 1,13; აღთქუმასა მას ღმრთისასა არა შეორგულდა ურწმუნოებითა, ჰრომ. 4,20; იგი უ. მათითა გარდასტყდეს, ჰრომ. 11,20; ვერ შეუძლეს შესლვად უ., ებრ. 3,19; ურწმუნოებად განიკითხვის თქუენ შორის, საქმე 26,8; გული უკეთური ურწმუნოებისაჲ, ებრ. 3,12.

2. **ურწმუნოება** ურჩობა: ვერ შევიდეს ურწმუნოებითა, ებრ. 4,6; რაჲთა არა მასვე ვინმე სახესა შეავრდეს ურწმუნოებისასა, ებრ. 4,11; სახესა ურწმუნოებისასა, იქვე CD.

ურწყულ-ი უწყლო, გამშრალი; წყალ-გაურეველი: რომელი-იგი წდეულ არს ურწყულად სასუმელსა მას შინა რისხვისა მისისასა, გამოცხ. 14,10; წყარონი ურწყულნი, 2 პეტ. 2,17; ღრუბელნი უ., იუდა 1,12.

უსაზომოდ უზომოდ: არა უსაზომოდ ვიქადოთ, 2 კორ. 10,13BCD; არა უ. ვიქადით, 2 კორ. 10,15.

უსამართლო: უსამართლოჲ იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, გამოცხ. 22,11; უსამართლოთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ, 1 კორ. 6,9D.

1. **უსამართლოება** უსამართლობის ჩადენა, 0–1: უსამართლოჲ იგი უსამართლოებდინ ჯერეთ, გამოცხ. 22,11.

2. **უსამართლოება** სიცრუე: ყოველი უსამართლოებაჲ ცოდვა არს, 1 იოვ. 5,17HIJ.

უსანატრელჱს-ი, უსანატრელეს-ი უსანატრელესი, უნეტარესი: ხოლო უსანატრელჱს (-ეს ႡႪႢCD) არს, 1 კორ. 7,40.

უსასო, უსასოო უიმედო: რომელსა უსასოჲ (უსასოოს Ⴀ) იგი სასოებით ჰრწმენა, ჰრომ. 4,18Ⴂხ.

უსასყიდლოდ უფასოდ, აუნაზღაურებლად: განმართლებულ არიან უსასყიდლოდ, ჰრომ. 3,24; რაჲთა სახარებასა მას ჩემსა უ. ვახარებდე, 1 კორ. 9,18; უ. სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ გახარე თქუენ, 2 კორ. 11,7; რომელმან მოსცის ყოველთა... უ., იაკ. 1,5; მივსცე წყაროჲსა მისგან წყლისა ცხოველისა უ., გამოცხ. 21,6; რომელსა ჰნებავს მიღებად წყლისა მის ცხოველისა უ., გამოცხ. 22,17.

უსაწყალობელჱს-ი, უსაწყალობელეს-ი უფრო უბედური, საწყალობელი: უსაწყალობელჱსი (-ეს ႡႪႢCD) ყოველთა კაცთასა ვართ, 1 კორ. 15,19.

უსაჭიროეს-ი უფრო საჭირო: დადგრომაჲ ჴორცთა შინა უსაჭიროეს თქუენთჳს, ფილიპ. 1,24Ⴂხ.

უსახურ-ი მკაცრი, ბოროტი („სახიერი“-ს ანტონიმია): მონანი დაემორჩილენით უფალთა თჳსთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა, 1 პეტ. 2,18.

უსაჴმარეს-ი გაცილებით უფრო საჭირო: იგი უსაჴმარეს არს, 1 კორ. 12,22CD.

უსიტყუელ-ი გამოუთქმელი: სულ-თქუმითა მით უსიტყუელითა, ჰრომ. 8,26.

უსმობა ურჩობა, გაუგონრობა: უსმობამან მიიღო სამართალი სასყიდლის-გებისაჲ, ებრ. 2,2Ⴂხ.

უსრულჱს-ი, უსრულეს-ი სრულქმნილი: უსრულჱსსა (-ესსა ႡႪႢ) მას მოვიდეთ, ებრ. 6,1; უსრულჱსითა (-ესითა BCD) კარვითა, ებრ. 9,11.

უსულო არასულიერი: ეგრევე უსულოთა მათ ჴმაჲ გამოსციან, 1 კორ. 14,7.

უსუპ-ი ერთგვარი სურნელოვანი ბალახი (სასხურებლის მოსამზადებელი): მოიღის სისხლი იგი ზუარაკთაჲ... უსუპითა, ებრ. 9,19.

უსუსურ-ი სუსტი, უძლური: თანა-გუაც უძლურებათა მათ უსუსურთასა ტჳრთვად, ჰრომ. 15,1CD; უძლურებანი იგი უსუსურთანი, იქვე.

უსწავლელ-ი უმეცარი, უვიცი: რომელსა-იგი უსწავლელნი... გარდააქცევენ, 2 პეტ. 3,16; სიცოფისათა მათ და უსწავლელთა გამოძიებათა განეშორე, 2 ტიმ. 2,23.

უტევან-ი მანძილის საზომი ერთეული, დაახლოებით 125 ნაბიჯი: განზომა ქალაქი იგი... ათორმეტსა ათასსა უტევანსა, გამოცხ. 21,16; გამოჴდა სისხლი საწნეხელისა მისგან ვიდრე აღჳრადმდე ცხენთა ათას ექუსასით უტევანით შორს, გამოცხ. 14,20.

უტყუეელ-ი, უტყუელ-ი სანდო, სარწმუნო: რომელ-იგი აღგჳთქუა უტყუეელმან (უტყუელმან ႪႢ) ღმერთმან, ტიტე 1,2.

უტყჳ უტყვი, ლაპარაკი რომ არ შეუძლია: კარაული უტყჳ, 2 პეტ. 2,16.

უუგუნურესადრე უგუნურად, განუსჯელად: **უუგუნურესადრე** ვიტყჳ. 2 კორ. 11,23ႧCD.

უუგუნურჱსრე უგუნურად, განუსჯელად: **უუგუნურჱსრე** ვიტყჳ. 2 კორ. 11,23.

უუძლურჱს-ი, უუძლურეს-ი უძლურესი, უფრო უძლური, უსუსტესი: რომელ-იგი საგონებელ არს ასოჲ გუამისაჲ მის უუძლურჱს, 1 კორ 12,22; რომელ-იგი საგონებელ არს ასოჲ გუამისაჲ მის უუძლურჱსი (-ესი ႩႧ), 1 კორ. 1,22Ⴊ; ვითარცა უუძლურჱსსა (უუძლურესსა ႪႭ) ჭურჭელსა, 1 პეტ. 3,7Ⴉ; ვითარცა უუძლურესსა ჭურსა, იქვე; რომელნი-იგი საგონებელ არს ასოჲ გუამისაჲ მის უუძლურესად, 1 კორ. 12,22CD; ვითარცა უუძლურჱსთა ჭურჭერთა, 1 პეტ. 3,7C.

1. **უფალ-ი**: უფალ და ცხებულ ყო იგი ღმერთმან, საქმე 2,36; თავადი არს უ. ყოველთა, ჰრომ. 10,12D; ცოლი თჳსთა ჴორცთა ზედა არა უ. არს… ქმარიცა თჳსთა ჴორცთა ზედა არა უ. არს, 1 კორ. 7,4CD; არავის ჴელ-ეწიფების თქუმად უ. იესუ, 1 კორ. 12,3; უ. ღათუ არნ ყოვლისა, გალ. 4,1; ერთ არს უ., ეფეს. 4,5.

განვიდა ჩუენგან უფალი იესუ, საქმე 1,21; იტყჳს უ. ღმერთი, საქმე 2,17; გამოცხ. 1,8; უ. შესძინებდა ცხოვრებულთა მათ… ეკლესიასა, საქმე 2,47; ვითარ-იგი იხილა გზასა მას უ., საქმე 9,27; განგკურნებს შენ უ. იესუ ქრისტე, საქმე 9,34; ჰრწმენა მრავალთა უ., საქმე 9,42; ესე თავადი არს უ. ყოველთაჲ, საქმე 10,36; რომელთაესე მრწმენა უ. იესუ ქრისტე, საქმე 11,17; რაჲთა გამოიძიონ… უ., საქმე 15,17; გრწმენინ უ. იესუ ქრისტე, საქმე 16,31; ესე ცისა და ქუეყანისაჲ არს უ., საქმე 17,24; კრისპოსს… ჰრწმენა უ., საქმე 18,8; ვიხილე უ., საქმე 22,18; დაადგრა მას უ., საქმე 23,11; აღ-თუ-იარო უ. იესუ, ჰრომ. 10,9; თავადი არს უ. ყოველთაჲ, ჰრომ. 10,12; იტყჳს უ., ჰრომ. 12,19; 14,11; 1 კორ. 14,21; 2 კორ. 6,17; ებრ. 8,8; 8,10; 10,16; 10,30; შეიმოსეთ უ. იესუ ქრისტჱ, ჰრომ. 13,14; შემძლებელ არს უ. დამტკიცებად მისა, ჰრომ. 14,4; განმკითხველი ჩემი უ. არს, 1 კორ. 4,4; უ. ჴორცთათჳს [არს], 1 კორ. 6,13; ქორწინებულთა მათ ვამცნებ არა მე, არამედ უ., 1 კორ. 7,10; სხუათა მათ ვეტყჳ მე, არა თუ უ., 1 კორ. 7,12; ერთი არს უ. იესუ ქრისტჱ, 1 კორ. 8,6; იესუ ქრისტჱ უ. ჩუენი, 1 კორ. 9,1; უ. იესუ ქრისტჱ მას ღამესა რომელსა მიეცემოდა, 1 კორ. 11,23; არავის ჴელ-ეწიფების თქუმად უ. იესუ, 1 კორ. 12,3CD; იგივე თავადი უ. არს, 1 კორ. 12,5; რომელსა არა უყუარდეს უ. ჩუენი, 1 კორ. 16,22; უ. სულ არს, 2 კორ. 3,17; რომელმან აღადგინა უ. იესუ მკუდრეთით, 2 კორ. 4,14; იტყჳს უ. ყოვლისა მპყრობელი, 2 კორ. 6,18; რომელსა-იგი უ., ეწამოს, 2 კორ. 10,18; მათი და თქუენი უ. ცათა შინა არს, ეფეს. 6,9; უ. იესუ ქრისტჱ საღიდებელად ღმრთისა მამისა, ფილიპ. 2,11; უ. ახლოს არს, ფილიპ. 4,5; ვითარცა-იგი გისწავიეს ქრისტე იესუ უ., კოლ. 2,6ႩCD; თქუენცა უ. (+ვე ႩႧC) გივის ცათა შინა, კოლ. 4,1; რომელთა-იგი უ. მოკლეს იესუ, 1 თეს. 2,15; შურის-მგებელ არს უ. ამის ყოვლისათჳს, 1 თეს. 4,6; თავადი უ. … გარდამოჴდეს ზეცით, 1 თეს. 4,16; სარწმუნო არს უ., 2 თეს. 3,3; უ. თქუენ ყოველთა თანა, 2 თეს. 3,16; აღმოგჳცენდა უ. ჩუენი, ებრ. 7,14; იცან უ., ებრ. 8,11ႧCD; რომლისა თჳნიერ ვერვინ იხილოს უ., ებრ. 12,14; უ. არს მწე ჩემდა, ებრ. 13,6; უ. ჩუენი იესუ, ებრ. 13,20; უ. თანადამიდგა, 2 ტიმ. 4,17; უ. იესუ ქრისტჱ სულისა შენისა თანა, 2 ტიმ. 4,22; მოწყალე არს უ. და ტკბილ, იაკ. 5,11; ტკბილ არს უ., 1 პეტ. 2,3; უ. იესუ ქრისტჱ წმიდა ყავთ, 1 პეტ. 3,15; მოვიდა უ. ბევრეულითა წმიდითა ანგელოზითა მისითა, იუდა 1,14; წმიდა არს უ. ღმერთი, გამოცხ. 4,8; სადა-იგი უ. მათი ჯუარს-ეცუა, გამოცხ. 11,8; რამეთუ უ. უფლებათაჲ არს, გამოცხ. 17,14; ძლიერ არს უ. ღმერთი, გამოცხ. 18,8; სუფევს უ. ღმერთი ჩუენი, გამოცხ. 19,6; მეუფჱ მეუფეთაჲ და უ. უფლებათაჲ, გამოცხ. 19,16; უ. ღმერთი… ტაძარ მისა არს, გამოცხ. 21,22; არამცა უფალი იგი დიდებისაჲ ჯუარს-აცუეს, 1 კორ. 2,8; ღმერთმან უფალიცა აღადგინა, 1 კორ. 6,14.

ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა, საქმე 2,34; რომელთა მოუწოდის უ. ღმერთმან ჩუენმან, საქმე 2,39; წინაწარმეტყუელი აღგიდგინოს თქუენ უ. ღმერთმან, საქმე 3,22; 7,37; ჰრქუა მას უ., საქმე 7,33; 9,10; 9,11; 9,15; თქუა უ., საქმე 7,49; 15,17; ებრ. 8,9; უ. მომავლინა მე შენდა, საქმე 9,17; ვითარ-იგი უ. გამოიყვანა საპყრობილით, საქმე 12,17; ესრე მამცნო ჩუენ უ., საქმე 13,47; რომელსა-იგი უ. განუხჳსნა გული, საქმე 16,14; ჰრქუა უ. … პავლეს, საქმე 18,9; მრქუა მე უ., საქმე 22,8; 22,10; უ. თქუა, საქმე 26,15; რომელსა არა შეურაცხოს უ. ცოდვაჲ, ჰრომ. 4,8; სიტყუაჲ შემოკლებული ყოს უ., ჰრომ. 9,28; უ. დამიტევა ჩუენ ნათესავი, ჰრომ. 9,29; კაცად-კაცადსა ვითარცა უ. მისცა, 1 კორ. 3,5ႩႪႧCD; უ. იცნის ზრახვანი ბრძენთანი, 1 კორ. 3,20; ვითარცა იჩინა უ., 1 კორ. 7,17CD; ეგრეცა უ. ბრძანა, 1 კორ. 9,14; უ. თუ გჳბრძანოს, 1 კორ. 16,7; რომელი მომცა ჩუენ უ., 2 კორ. 10,8; მომცა მე უ., 2 კორ. 12,7Ⴍ; 13,10; მრქუა მე უ., 2 კორ. 12,9Ⴇ; უ. ჩუენმან იესუ წარჰმართენინ გზანი ჩუენნი, 1 თეს. 3,11; უ. გარდაგრიენ და გარდაგმატენ სიყუარულითა ურთიერთას, 1 თეს. 3,12; რომელ-იგი აღჴოცოს უ., 2 თეს. 2,8; თავადმან უ. ჩუენმან იესუ ქრისტემან და ღმერთმან და მამამან ჩუენმან, 2 თეს. 2,16; უ. წარუმართენ გულთა თქუენთა სიყუარულსა ღმრთისასა, 2 თეს. 3,5; ფუცა უ., ებრ. 7,21; რომელი აღაშჱნა უ., ებრ. 8,2; განიკითხოს უ. ერი თჳსი, ებრ. 10,30; ეგრეთ ჯერ-იჩინა უ. აღსრულებაჲ მათი, ებრ. 11,35CD; რომელმან-იგი განმაძლიერა მე, ქრისტე იესუ უ. ჩუენმან, 1 ტიმ. 1,12; რომელ-იგი… აჩუენოს… უ. უფლებათამან, 1 ტიმ. 6,15; მიეცინ წყალობაჲ უ. ონესიფორეს სახლსა, 2 ტიმ. 1,16; მიეცინ მას უ. პოვნად წყალობაჲ, 2 ტიმ. 1,18; მოგცეს შენ უ. გულისჴმის-ყოფაჲ, 2 ტიმ. 2,7; იცნის უ., 2 ტიმ. 2,19; ყოველთაგან მიჴსნა მე უ., 2 ტიმ. 3,11; რომელი მომცეს მე უ., 2 ტიმ. 4,8; მიაგოს მას უ., 2 ტიმ. 4,14; მიჴსნეს მე უ. ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა, 2 ტიმ. 4,18; წყალობითა თჳსითა მიჴსნნა ჩუენ უ., ტიტ. 3,5Ⴍ; აღადგინოს იგი უ., იაკ. 5,15; ვითარცა-იგი უ. ჩუენმან იესუ ქრისტემან მაუწყა მე, 2 პეტ. 1,14; იცის უ. ღმრთისმსახურთაჲ მათ განსაცდელისაგან ჴსნაჲ, 2 პეტ. 2,9; არა ყოვნის უ. აღთქუმასა იგი, 2 პეტ. 3,9; შეგრისხენ შენ უ., იუდა 1,9; უ. ღმერთმან განანათლნეს იგინი, გამოცხ. 22,5; უ. ღმერთმან… მოავლინა ანგელოზი თჳსი ჩუენებად, გამოცხ. 22,6.

წინაჲსწარ ვხედევდ უფალსა, საქმე 2,25; ჰრქუა უფალმან უ. ჩემსა, საქმე 2,34; შეეძინებოდეს სარწმუნოჲ მამათა და დედათა მორწმუნეთაჲ უ., საქმე 5,14; ახარებ-

დეს უ. იესუს, საქმე 11.20: შეუძინა ერი მრავალი უ., საქმე 11.24: ვიდრე-იგი ჰმსახურებდეს უ.. საქმე 13,2ႢႪႭ; შეჰვედრნეს იგინი უ.. საქმე 14.23; ვჰმონებდ უ.. საქმე 20.19; უ. ჰმონებდით. ჰრომ. 12.11; აქებდით ყოველნი თესლნი უ.. ჰრომ. 15.11; ეგევითართა მათ უ. არა ჰმონიან. ჰრომ. 16.18; უ. თუ უნდეს. 1 კორ. 4.19; რომელი შეეყოს უ.. 1 კორ. 6,17; ვითარ-ძი სათ-ნო-ეყოს უ.. 1 კორ. 7.32; ანუ ვაშუროთ რას-მე უ.. 1 კორ. 10,22: არა თუ თავთა თჳსთა ვქადაგებთ. არამედ ქრისტე იესუს. უ., 2 კორ.4.5; თავნი თჳსნი... მისცნეს უ., 2 კორ. 8,5; ამისთჳს... ვევედრე უ.. 2 კორ. 12,8; აქებდით გულითა თქუენითა უ.. ეფეს. 5.19ႦႪႭႢCD; ცოლნი ქმართა თჳსთა დაემორჩილენით, ვითარცა უ.. ეფეს. 5,22; ჰმონებდით ვითარცა უ., ეფეს. 6,7; ხოლო ვესავ უ., ფილიპ. 2,24; ვინაჲცა-იგი მაცხოვარსა მოვე-ლით, უ. იესუ ქრისტეს, ფილიპ. 3,20; უგალობდით... უ.. კოლ. 3.16CD; უ. ქრისტესა ჰმონებდით, კოლ. 3,24; გაფუცებ თქუენ უ.. 1 თეს. 5,27; ვესავ უ. თქუენთჳს, 2 თეს. 3,4; რომელი უყუარნ უ., ებრ. 12,6; უკუეთუ უ. უნდეს, იაკ. 4,15; უ. მათსა უვარ-ჰყოფდენ, 2 პეტ. 2.1; უ. ჩუენსა იესუ ქრისტესა უვარ-ჰყოფენ, იუდა 1,4.

სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრიტჱსითა, საქმე 2,38; 6.8; 14,10; 1 კორ. 1.10; 6.11; ეფეს. 5.20; 2 თეს. 3,6CD; წამებასა მას აღდგომისა უ. ჩუენისა იესუ ქრის-ტჱსსა, საქმე 4,33; სახარებითა უ. ჩუენისა იესუ ქრის-ტჱსითა, საქმე 5.42; სახელითა უ. იესუ ქრისტჱსითა, საქმე 8.16; 9,40D; 10,48; 16.18; 19.5E; 2 თეს. 3,6; სახელითა უ. იესუჲსითა. საქმე 8,16ႥႪႪႭ; 9,28ႢႪႭ; 19.5FႭ; რომელთა-იგი მოაქციეს უ., საქმე 9,35; მოიქ-ცეს უ. საქმე 11,21; მადლითა უ. ჩუენისა იესუ ქრის-ტჱსითა, საქმე 15,11; სახელისათჳს უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსისა, საქმე 15,26; უკუეთუ შეგირაცხიე მე მორ-წმუნედ უ., საქმე 16,15; სიტყუაჲ უ. იესუჲსი. საქმე 19,10ႢႪႭ; 20,35; სახელსა უ. იესუჲსსა, საქმე 19,13; სახელი უ. იესუჲსი, საქმე 19.17; რომელი მოვიღე უ. იესუ ქრისტესგან, საქმე 20,24ႢႪႭ; ეკლესიასა უ. ღმრთისასა, საქმე 20,28ႢႪႭ; სახელისათჳს უ. იესუჲსა, საქმე 21,13; რაჲ მივწერო უ. ჩემსა, საქმე 25,26; ასწა-ვებდა უ. იესუ ქრისტჱსთჳს, საქმე 28.31ႢႪHI; აღდგომი-თა მით მკუდრეთით იესუ ქრისტჱს უ. ჩუენისაჲთა, ჰრომ. 1,4; აღმადგინებელი უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, ჰრომ. 4,24; ვიქადითცა ღმრთისა მიმართ იესუ ქრისტეს მიერ უ. ჩუენისა, ჰრომ. 5,11CD; ეგრეცა მადლი სუფევ-დეს... ქრისტე იესუს მიერ უ. ჩუენისა, ჰრომ. 5.21; ეგ-რეცა... შეჰრაცხენით თავნი თქუენნი... ცხოველად ღმრთისა ქრისტე იესუს მიერ უ. ჩუენისა, ჰრომ. 6.11CD; რომელ არს ქრისტე იესუს მიერ უ. ჩუენისა, ჰრომ. 8,39; თჳსისაგან უ. დგეს, ჰრომ. 14,4; მრწამს უ. იესუს მიერ, ჰრომ. 14,14CD; მამასა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა. ჰრომ. 15,6; მადლი უ. ჩუენისა იესუ ქრის-ტჱსი, ჰრომ. 16,20; 16,27; 1 კორ. 16,23; 2 კორ. 13,;13; გალ. 6.18; ფილიპ. 4,23; 1 თეს. 5,28; 2 თეს. 3,18; ებრ. 13,25; ფილემ. 1,25CD; გამოცხ. 22,21; სა-ხელსა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, 1 კორ. 1,2; მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსა, 1 კორ. 1.3; 2 კორ. 1.2; გალ. 1,3; ეფეს. 1,2; ფილიპ. 1,2; 2 თეს. 1,2; 2 ტიმ. 1,2; ფილემ. 1.3; გამოჩინებასა მას უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, 1 კორ. 1,7; დღესა მას უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, 1 კორ. 1.8; ზიარებასა მას ძისა მისისა იესუ ქრისტჱს უ. ჩუენისასა, 1 კორ. 1,9; სახელითა უ. ჩუენისა ქრისტჱ-სითა... ძალითა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, 1 კორ. 5.4; დღესა მას უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, 1 კორ. 5,5; რომელი... სუმიდეს სასუმელსა ამას უფლისასა ულირსებით უ., 1 კორ. 11,27ႦHI; უ. მცნებანი, 1 კორ. 14.37; რომელ მაქუს ქრისტე იესუს მიერ უ. ჩუენისა, 1 კორ. 15,31; სიყუარული ჩემი თქუენ ყოველთა თანა ქრისტეს მიერ უ. ჩუენისა, 1 კორ. 16,24D; მამაჲ უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, 2 კორ. 1,3; ეფეს. 1.3; 1 პეტ. 1.3; დღესა მას უ. იესუჲსა, 2 კორ. 1,14; დღესა მას უ. ჩუენისა იესო (!) ქრისტესსა, იქვე CD; რაჟამს მოიქცეს უ.. 2 კორ. 3,16; სიკუდილი იგი უ. იესუჲსი, 2 კორ. 4,10CD; ჯერ-გჳჩს... მისლვად უ., 2 კორ. 5,8; მადლი იგი უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსი, 2 კორ. 8,9; რომელი იმსახურების... თავადისა უ. სადიდებელად, 2 კორ. 8,19; მამამან უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსმან, 2 კორ. 11,31; ჯუარითა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, გალ. 6,14; ენებანი იგი უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსნი, გალ,. 6,17; საწერტელნი იგი უ. იესუჲსნი, იქვე CD; ღმერთმან უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსმან, ეფეს. 1,17; რომელ-იგი ქმნა ქრისტე იესუს მიერ, უ. ჩუენისა, ეფეს. 3,11; რაჲ-იგი არს სათნო უ.. ეფეს. 5,10; მშჳდობაჲ ძმათა... ღმრთისა მიერ მამისა და უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსა, ეფეს. 6,23; მადლი ყოველთა თანა მოყუარეთა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, ეფეს. 6,24; აღასრულებ ვიდრე დღედმდე უ. ჩუენისა იესუ ქრისტესა, ფილიპ. 1,6ႢCD; შე-ცა-მი-რაცხიეს ყოველივე ზღვევად გარდარეულისა მისთჳს მეცნიერებისა ქრისტე იესუს უ. ჩემისაჲთა, ფილიპ. 3.8; მამასა უ. ჩუენისასა, კოლ. 1,3; მამასა უ. ჩუენისა იესუ ქრისტესსა, იქვე ႥႪႭCD; სახელითა უ. იესუჲსითა, კოლ. 3,17; ეითარცა-იგი სათნო არს უ., კოლ. 3,18; ესე არს სათნო უ. (+მიერ CD), კოლ. 3,20; ეკლესიათა თე-სალონიკელთასა ღმრთისა მიერ მამისა და უ. იესუ ქრისტესა, 1 თეს. 1.1; 2 თეს. 1,1; მოთმინებასა მას სა-სოებისასა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, 1 თეს. 1.3; მო-ბაძავ ჩუენდა იქმნენით და უ., 1 თეს. 1,6; მოსლვასა მას უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, 1 თეს. 3,13; მათ თანავე აღვიტაცნეთ... შემთხუევად უ., 1 თეს. 4,17; დღესა მას უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, 2 თეს. 1,7; სახარებასა მას უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, 2 თეს. 1,8; სახელი უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსი... მადლითა მით... უ. ჩუენი-სა იესუ ქრისტჱსითა, 2 თეს. 1,12; მოსლვისა მისთჳს უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსისა, 2 თეს. 2,1; შესაწევნე-ლად დიდებისა უ. ჩუენისა იესუ ქრისტესა, 2 თეს. 2.14; ბრძანებითა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისაჲთა, და უ. იესუ ქრისტეს – სასოებისა ჩუენისაჲთა. 1 ტიმ. 1,1CD; მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და ქრისტე იესუს უ. ჩუენისა, 1 ტიმ. 1,2; მადლიერ ვარ... ქრისტე იესუს უ. ჩუენისა, 1 ტიმ. 1,12CD; მადლი იგი უ. ჩუენისაჲ, 1 ტიმ. 1,14; სიყუარული უ. ჩუენისა, იქვე Ⴍ; სიცოცხლი-სათა ამათ სიტყუათა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსთა. 1 ტიმ. 6,3; ვიდრე გამოჩინებადმდე უ. ჩუენისა იესუ ქრის-ტჱსა, 1 ტიმ. 6,14; წამებაჲ იგი უ. ჩუენისაჲ. 2 ტიმ. 1,8; იქმნეს იგი ჭურ პატიოსან. წმიდა და საჴმარ უ.. 2 ტიმ. 2,21; მონისა უ. არა ჯერ-არს ლალვაჲ. 2 ტიმ. 2,24; მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და უ. იესუ

ქრისტჱს მიერ, ტიტე 1,4CD; ღმრთისაჲ და უ. იესუ ქრისტჱს მონაჲ, იაკ. 1,1; სარწმუნოებაჲ იგი უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსი დიდებისაჲ, იაკ. 2,1; ყურთა უ. ყოვლისა მპყრობელისათა. იაკ. 5,4; ვიდრე მოსლვადმდე უ., იაკ. 5,7; მეცნიერებითა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, 2 პეტ. 1,2; არცა უნაყოფოდ იპოვნეთ თქუენ უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა მას გამოცნობასა, 2 პეტ. 1,8; საუკუნესა მას სასუფეველსა უ. ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესა, 2 პეტ. 1,11ႢႭ; უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსი ძალი, 2 პეტ. 1,16; მეცნიერებითა უ. ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტჱსითა,2 პეტ. 2,20; 3,18; მცნებანი უ. და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსნი, 2 პეტ. 3,2ႡႢ; მცნებათა უ. მაცხოვრისათა, იქვე Ⴂ; უ. იგი სულ-გრძელებაჲ, 2 პეტ. 3,15; იყავნ... წყალობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და უ. ქრისტე იესუს მიერ, 2 იოვ. 1,3ႡႢ; სახელისა მისისათჳს უ. გამოვიდეს, 3 იოვ. 1,7ႡႢ; მოიჴსენენით სიტყუანი იგი წინაისწარ თქუმულნი მოციქულთა მიერ უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსთაჲ, იუდა 1,17; წყალობასა უ. ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, იუდა 1,21; მხოლოსა ღმერთსა მაცხოვარსა ჩუენსა ქრისტე იესუს მიერ უ. ჩუენისა, იუდა 1,25; სუფევაჲ სოფლისაჲ უ. ჩუენისაჲ, გამოცხ. 11,15; რომელი მოვიღე უფლისაგან იესუ ქრისტჱსა, საქმე 20,24; რამეთუ მე მოვიღე უ., 1 კორ. 11,23; ხატსა მივიცვალებით..., ვითარცა-იგი უ. სულად, 2 კორ. 3,18; მო-რაჲმე-იღოს უ., იაკ. 1,7; ესრჱთ მარადის უფლისა თანა ვიყოფოდით, 1 თეს. 4,17; შეკრბეს ერთად უფლისათჳს, საქმე 4,26; ჴორცნი ესე არა სიძვისათჳს, არამედ უ., 1 კორ.6,13; ხოლო თავთა ჩუენთა — მონად თქუენდა უ., 2 კორ. 4,5ႡႢ; დაემორჩილენით ყოველსა კაცობრივსა დაბადებულსა უ., 1 პეტ. 2,13; ცოცხლებით იყვენით უფლისა მიერ, საქმე 15,29; მრწამს უ. (+ჩუენისა ႡႢ) მიერ იესუ ქრისტჱსა, ჰრომ. 14,14; კითხვაჲ არქუთ ამპლიას... უ. მიერ, ჰრომ. 16,8CD; კითხვაჲ არქუთ ნარკისოსსგანთა მათ უ. მიერ, ჰრომ. 16,11; რომელნი მაშურალ არიან უ. მიერ... რომელი ფრიად დაშურა უ. მიერ, ჰრომ. 16,12CD; კითხვაჲ არქუთ რუფოსს, რჩეულსა უ. მიერ, ჰრომ. 16,13; რომელმან დაეწერე წიგნი ესე უ. მიერ, ჰრომ. 16,22; უ. მიერ იქადოდენ, 1 კორ. 1,31; 2 კორ. 10,17; რომელ არს შვილი ჩემი... სარწმუნოჲ უ. მიერ, 1 კორ. 4,17; რომელი უ. მიერ იჩინოს მონაჲ, უ. მიერ განთავისუფლებულ არს, 1 კორ. 7,22; ქალწულთათჳს ბრძანებაჲ უ. მიერ არა მაქუს; ხოლო გაზრახებ, ვითარცა შეწყალებული უ. მიერ, 1 კორ. 7,25; კეთილად დადგრომისა უ. მიერ უზრუნველად, 1 კორ. 7,35CႠ; უნდეს თუ ქორწინებაჲ, გარნა უ. მიერ, 1 კორ. 7,39; ანუ არა ნამუშაკევნი ჩემნი თქუენ ხართ უ. მიერ, 1 კორ. 9,1; ბეჭედნი იგი ჩემისა მის მოციქულებისანი თქუენ ხართ უ. მიერ. 1 კორ. 9,2; არცა მამაკაცი თჳნიერ დედაკაცისა უ. მიერ, 1 კორ. 11,11; უ. მიერ განვისწავლებით, 1 კორ. 11,32CD; შურომაჲ ეგე თქუენი არა ცუდად იყოს უ. მიერ. 1 კორ. 15,58; გიკითხვენ თქუენ ფრიად უ. მიერ. 1 კორ. 16,19; კარი განმეღო მე დიდი უ. მიერ, 2 კორ. 2,12; წიგნ ჩუენდა თქუენ ხართ უ. მიერ, 2 კორ. 3,2; განვიდეთ უ. მიერ, 2 კორ. 5,6; არა უ. მიერ ვიტყჳ, 2 კორ. 11,17; მე გესავ თქუენ უ. მიერ, გალ. 5,10; მესმა თქუენი ეგე სარწმუნოებაჲ უ. მიერ იესუ ქრისტჱსა, ეფეს. 1,15; რომელსა ყოველი შჱნებული... ორძის ტაძრად წმიდად უ. მიერ, ეფეს. 2,21; გლოცავ თქუენ, კრული ესე უ. მიერ. ეფეს. 4,1; ვწამებ უ. მიერ. ეფეს. 4,17ႦႭႠCD; ხოლო აწ ნათელ ხართ უ. მიერ, ეფეს. 5,8; შვილნი მორჩილ იყვენით მამა-დედათა თქუენთა უ. მიერ, ეფეს. 6,1; იგიცა მოიღოს უ. მიერ, ეფეს. 6,8; განძლიერდით უ. მიერ, ეფეს. 6,10CD; ყოველივე გაუწყოს... სარწმუნომან მსახურმან უ. მიერ, ეფეს. 6,21; უმრავლესთა ძმათა უ. მიერ, ფილიპ. 1,14; შეიწყნარეთ ეგე უ. მიერ, ფილიპ. 2,29; გიხაროდენ უ. მიერ, ფილიპ. 3,1; იგივე მიწერად თქუენდა უ. მიერ ჩემდა არა საცოდნელ არს, იქვე Ⴍ; ესრეთ მტკიცედ დეგით უ. მიერ, საყუარელნო, ფილიპ. 4,1ႢႭႠCD; მასვე ზრახვასა ჰზრახვიდით უ. მიერ, ფილიპ. 4,2; გიხაროდენ მარადის უ. მიერ, ფილიპ. 4,4; განვიხარე უ. მიერ დიდად, ფილიპ. 4,10; ესე არს სათნო უ. მიერ, კოლ. 3,20CD; უ. მიერ მოიღოთ მოსაგებელი იგი მკჳდრობისა მის თქუენისაჲ, კოლ. 3,24; გაუწყოს ტჳქიკოს... თანა-მონამან ჩუენმან უ. მიერ, კოლ. 4,7; რომელი მიიღე უ. მიერ, კოლ. 4,17; უკუეთუ თქუენ მტკიცედ სდგეთ უ. მიერ, 1 თეს. 3,8; გლოცავ უ. მიერ იესუ ქრისტჱსა, 1 თეს. 4,1; რაოდენნი მცნებანი გამცენით თქუენ უ. მიერ იესუსა, 1 თეს. 4,2; იცნოთმცა... წინამძღუარნი იგი თქუენნი უ. მიერ. 1 თეს. 5,12; ჩუენ თანა-გუაც მადლობაჲ მარადის თქუენთჳს, ძმანო საყუარელნო, უ. მიერ, 2 თეს. 2,13; ვჰლოცავთ უ. მიერ იესუ ქრისტჱსა, 2 თეს. 3,12; რომელმან-იგი დასაბამი მოიღო სიტყუად უ. მიერ, ებრ. 2,3; მოეცინ მას უფალმან პოვნად წყალობაჲ უ. მიერ, 2 ტიმ. 1,18; რომელი გაქუს უ. მიერ იესუ ქრისტჱსა, ფილემ. 1,5Ⴍ; მე მოგიპოვე შენ უ. მიერ, ფილემ. 1,20; ვერ მოაწიან მათ ზედა უ. მიერ გმობისა საშჯელი, 2 პეტ. 2,11; ერთი დღჱ უ. მიერ ვითარცა ათასი წელი, 2 პეტ. 3,8; იყავნ თქუენ თანა მადლი... და მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა და უ. მიერ იესუ ქრისტესა. 2 იოვ. 1,3ႢႭ; რომელნი უ. მიერ მოკუდენ, გამოცხ. 14,13; მშჳდობაჲ ღმრთისა მიერ მამისა ჩუენისა და უ. ჩუენისა მიერ (- ႡႢႠCD) იესუ ქრისტჱსა, ჰრომ. 1,7; მშჳდობაჲ მაქუს ღმრთისა მიმართ უ. ჩუენისა მიერ (- Ⴀ) იესუ ქრისტჱსა, ჰრომ. 5,1; გლოცავ თქუენ... უ. ჩუენისა მიერ იესუ ქრისტჱსა. ჰრომ. 15,30; რომელმან მომცა ჩუენ ძლევაჲ უ. ჩუენისა მიერ ქრისტჱსა (... ქრისტე იესუს მიერ უ. ჩუენისა, CD). 1 კორ. 15,57; არამედ შესაწევნელად ცხორებისა უ. ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა, 1 თეს. 5,9; ვჰლოცავთ უ. ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესა, 2 თეს. 3,12CD; უ. მიერვე (-ვე Ⴀ) მოვწყდეთ, ჰრომ. 14,8; რაოდენ უფროჲს შენდა ჴორციელადცა და უ. მიერცა, ფილემ. 1,16; ილოცეთ თქუენ ჩემთჳს უფლისა მიმართ, საქმე 8,24; ჰლოცვიდა ყოველთა... დადგრომად უ. მიმართ, საქმე 11,23; იქცეოდეს განცხადებულად უ. მიმართ, საქმე 14,3; გიწამებდ... სარწმუნოებასა უ. მიმართ ჩუენისა იესუ ქრისტჱსა, საქმე 20,21ႡႢႭ; რომელნი მაშურალ არიან უ. მიმართ... რომელი ფრიად დაშურა უ. მიმართ, ჰრომ. 16,12; კეთილად დადგრომისა უ. მიმართ უზრუნველად. 1 კორ. 7,35; სლვა-კეთილ უ. მიმართ განუყოფელ იყოს, იქვე ႠႦ; განძლიერდით უ. მიმართ, ეფეს. 6,10; რომელ გაქუს უ. მიმართ იესუ ქრისტჱსა, ფილემ. 1,5; გიწამებდ... სარწმუნოებასა უ. ჩუენისა მიმართ იესუ ქრისტჱსა, საქმე 20,21; წინაისწარ განვიზრახავთ კეთილსა, არა ხოლო წინაშე უფლისა, 2 კორ. 8,21; ვწამებ წინაშე უ., ეფეს. 4,17; ესე არს სათნო წინაშე უ., კოლ.

3.20Ⴇ; ანუ არა თქუენ წინაშე უ. ქრისტე იესუსსა მას მოსლვასა. 1 თეს. 2.19; დამდაბლდით წინაშე უ., იაკ. 4.10; მეოხ ექმენ წინაშე უ. მონათა შენთა, გამოცხ. (სათ.); ვწამებ წინაშე ღმრთისა და უ. იესუ ქრისტესა, 1 ტიმ. 5.21ႧCD; 2 ტიმ. 4.1.

უფალო. უკუეთუ... კუალად მოაგო სასუფეველი ისრაჱლსა, საქმე 1.6; უ., გამოაჩინე, რომელი გამოირჩიე, საქმე 1.24; მაუწყენ მე, უ., გზანი... ცხოვრებისანი, საქმე 2.28ႳႢႧ; უ. ღმერთო, რომელმან ჰქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ, საქმე 4.24; უ., მოჰხედე თქუმასა ამას მათსა ზედა, საქმე 4.29; უ., შეიწყნარე სული ჩემი, საქმე 7.59; უ., ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას, საქმე 7.60; შენ ვინ ხარ, უ., საქმე 9.5; 10.4; და მან ჰრქუა: აჰა, უ., საქმე 9.10; უ., მასმიეს... მის კაცისათჳს, საქმე 9.13; რაჲ არს, უ., საქმე 10.4ႢႧ; ნუ იყოფინ, უ., საქმე 10.14; 11.8ႢႧ; ნუ იყოფინ ეგე ჩემდა, უ., საქმე 11.8; ვინ ხარ, უ., საქმე 22.8; 26.15; რაჲ-მე ვყო, უ., საქმე 22.10; უ., მათ თჳთ იციან, საქმე 22.19; უ., ვის-მე ჰრწმენა სასმენელი ჩუენი, ჰრომ. 10.16; უ., წინაჲსწარმეტყუელნი შენნი მოსწყჳდნეს, ჰრომ. 11.3; ამისთჳს აღგიარო შენ წარმართთა შორის, უ., ჰრომ. 15.9ႳႢCD; დასაბამითგან უ., ქუეყანაჲ დაამტკიცე, ებრ. 1.10; ღირს ხარ შენ, უ. ღმერთო ჩუენო წმიდაო, მიღებად დიდებისა, გამოცხ. 4.11; გმადლობთ შენ, უ. ღმერთო, გამოცხ. 11.17; საკჳრველ არიან საქმენი შენნი, უ. ღმერთო, გამოცხ. 15.3; ვინ არა შეშინდეს, უ., გამოცხ. 15.4; მართალ ხარ შენ, უ., გამოცხ. 16.5A; ჰე, უ. ღმერთო, ჭეშმარიტ არიან სასჯელნი შენნი, გამოცხ. 16.7; ჰე, მოვედ, უ. იესუ, გამოცხ. 22.20.

ანგელოზი უფლისაჲ, საქმე 7.30; 8.26; 11.13FႧ; ჴმაჲ უ., საქმე 7.31; სიტყუაჲ იგი უ., საქმე 11.16; 13.49; 15.36DႢႧ; 19.20ႢႧ; 20.35Ⴓ; 1 თეს. 1.8; ჴელი უ., საქმე 11.21; 13.11; გზაჲ იგი უ., საქმე 18.26KႢႧ; სიტყუაჲ უ.,, საქმე 19.10; 1 პეტ. 1.25; ნებაჲ უ., საქმე 21.14; ეფეს. 5.17ႤCD; გონებაჲ უ., ჰრომ. 11.34; 1 კორ. 2.16; სასუმელი უ., 1 კორ. 10.21; უ. არს ქუეყანაჲ, 1 კორ. 10.26; 10.28CD; სული უ., 2 კორ. 3.17; შიში უ., 2 კორ. 5.11ႧႤCD; ძმაჲ უ., გალ. 1.19; დღჱ იგი უ., 1 თეს. 5.2; 2 თეს. 2.2; მონისა უ. არა ჯერ-არს ლალვაჲ, 2 ტიმ. 2.24D; მადლი უ., ტიტე 3.15Ⴄ; მოსლვაჲ უ., იაკ. 5.8ႢႧ; აღსასრული უ., იაკ. 5.11; პირი უ., 1 პეტ. 3.12.

ანგელოზმან უფლისამან, საქმე 5.19; 8.39; 12.23; სულმან უ., საქმე 8.39ႢႧ; 16.7; თანა-მონამან უ., კოლ. 4.7ႧႺ.

სახელსა უფლისასა, საქმე 2.21; ჰრომ. 10.13; 2 ტიმ. 2.19; 2.22; სულსა უ., საქმე 5.9; სიტყუასა მას უ., საქმე 8.25; 13.48; 15.35; 16.32ႳႢႧ; შიშსა უ., საქმე 9.31; მსახურებასა მას უ., საქმე 13.2; მსახურებასა მას შინა დგეს უ., იქვე Ⴓ; მოძღურებასა მას ზედა უ., საქმე 13.12; სიტყუასა უ., საქმე 16.32; გზასა უ., საქმე 18.25; უქორწინებელი იგი ზრუნავნ უ., 1 კორ. 7.32; ქალწული ზრუნავნ უ., 1 კორ. 7.34; ტაბლასა უ., 1 კორ. 10.21CD; სიკუდილსა უ., 1 კორ. 11.26; სასუმელსა ამას უ., 1 კორ. 11.27; სისხლსა უ., იქვე CD; საქმესა უ., 1 კორ. 15.58; 16.10; დიდებასა უ., 2 კორ. 3.18; გამოცხადებასა უ., 2 კორ. 12.1; გულითად იქმოდეთ ვითარცა უ., კოლ. 3.23; მოსლვასა მას უ., 1 თეს. 4.15; სწავლასა უ., ებრ. 12.5.

პირველ მოსლვადმდე დღისა მის უფლისაჲსა (უფლისა ႳႢႧ), საქმე 2.20; პირისაგან უფლისა, საქმე 3.20; 2 თეს. 1.9; სახელისათჳს უ., საქმე 5.41; ტაბლისაგან უ., 1 კორ. 10.21.

სახელითა უფლისაჲთა, საქმე 9.27Ⴓ; 9.28; იაკ. 5.10; 5.14; მოძღურებითა უ., ეფეს. 6.4; სიტყჳთა უ., 1 თეს. 4.15.

უფლისად ზრახვიდეს... უ. (უფლისა Ⴓ) ჭამს, ჰრომ. 14.6; უ. ცხოველ ვართ, ჰრომ. 14.8; უფლისადვე არა ზრახავს, ჰრომ. 14.6; უ. არა ჭამს, იქვე CD; უფლისავე ზრახავს, იქვე I*; უ. არა ჭამს, იქვე.

უფლისანი ვართ, ჰრომ. 14.8; ჴორცნი უ., 1 კორ. 11.29; უ. არიან მცნებანი, 1 კორ. 14.37CD; თუალნი უ., 1 პეტ. 3.12; მცნებანი უფლისა და მაცხოვრისანი, 2 პეტ. 3.2.

გზათა მათ უფლისათა წრფელთა, საქმე 13.10; გზათა უ., საქმე 18.25ႳႢႧ; ძმათა უ., 1 კორ. 9.5; სისხლთა უ., 1 კორ. 11.27; საქმეთა უ., 1 კორ. 15.58ႩIᵇ; მოწაფეთა მათ ზედა უფლისათა, საქმე 9.1.

2. უფალ-ი ღმერთი, ქრისტე: რომლითა ჰრწმენა უფალი, საქმე 16.34Ⴓ; ოდეს შჯიდეს უ. დაფარულსა მას კაცთასა, ჰრომ. 2.16Ⴄ; თქუა უფალმან, საქმე 7.7; რომელსა-იგი სცხო უფალმან სულითა წმიდითა, საქმე 10.38; მუნ მიჩინნა ჩუენ უ. ხარებად მათდა, საქმე 16.10ႢႧ; რომელსა-იგი შეურაცხა უ. სიმართლედ, ჰრომ. 4.6ႳႢ; არა მომავლინა მე უ. ნათლის-ცემად, 1 კორ. 1.17; ვითარცა-იგი უ. მიგმადლა თქუენ, კოლ. 3.13; არა გჳჩინნა ჩუენ უ. არა-წმიდებად, 1 თეს. 4.7; არა მომცა ჩუენ უ. სული მოშიშებისაჲ, 2 ტიმ. 1.7Ⴇ; ვევედრე უფალსა, საქმე 8.22; ნუცა განვსცდით უ., 1 კორ. 10.9CD; მხიარულებით მისაცემელი უყუარს უ., 2 კორ. 9.7ႢႧႤCD; რომელი ესავს უ., 1 ტიმ. 5.5; რომელნი ესვიდეს უ., 1 პეტ. 3.5Ⴓ; რაჲ-იგი არს სათნო უფლისა, ეფეს. 5.10; გეშინოდენ უ., კოლ. 3.22; გამოცხ. 14.7; მცნებათა უ. და მაცხოვრისათა, 2 პეტ. 3.2Ⴇ; რაჲ-იგი ბრძანებულ არს შენდა უფლისა მიერ, საქმე 10.33; კაცად-კაცადსა თჳსი მადლი აქუს უ. მიერ, 1 კორ. 7.7Ⴂ; იყო იგი მკჳრცხლ წინაშე უფლისა, საქმე 7.20ႳႢႧ; ქველის საქმენი აღვიდეს... წინაშე უ., საქმე 10.4; აჰა ესერა წინაშე უ., რამეთუ არა ვტყუი, გალ. 1.20CD; მდგომარენი წინაშე უ. ყოვლისა ქუეყანისა, გამოცხ. 11.4; წერილ არს ჩემთჳს ყოფად, უფალო, ნებისა შენისა, ებრ. 10.7Ⴇ; სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, საქმე 6.7; 12.24; 13.5C; მოშიში უ., საქმე 10.2; ანგელოზი უ., საქმე 10.3; მონაჲ არს უ., 1 კორ. 7.22; სათნოჲ უ., ეფეს. 5.10b; ნებაჲ უ., 1 თეს. 4.3D; სიტყუასა მას უფლისასა, საქმე 13.44; უკუეთუ იყუედრებოდით სახელისათჳს უფლისაჲსა (უფლისა C¹), 1 პეტ. 4.14C; ძმანო საყუარელნო უფლისანო, 1 თეს. 1.4D.

3. უფალ-ი ბატონი, პატრონი, მფლობელი: უფლით ხადოდა მას, 1 პეტ. 3.6; უფალო ჩემო, შენ უწყი, გამოცხ. 7.14; ვითარცა არიან... უფალნი მრავალ, 1 კორ. 8.5; თჳსნი იგი უ. ყოვლისა პატივისა ღირსად შეჰრაცხნედ, 1 ტიმ. 6.1; რომელთა მორწმუნენი ესხნედ უ., 1 ტიმ. 6.2; უფალნი ეგე (-ეგე D) ეგრევე ჰყოფდით, ეფეს. 6.9; უ. ეგე სამართალსა... მიაგებდით, კოლ. 4.1; ვითარცა იხილეს უფალთა მათ (მოთხრ.) მის დედაკაცისათა, საქმე 16.19; რომლისაჲ სარეწავი დიდძალი

შეუვიდოდა უფალთა (მიც.) მისთა, საქმე 16,16; მონანი დაემორჩილენით... ჴორციელთა უ., კოლ. 3,22; მონანი თჳსთა უ. დაემორჩილნედ, ტიტე 2,9; მონანი დაემორჩილენით... უ. თჳსთა, 1 პეტ. 2,18; მონანი მორჩილ იყვენით ჴორციელთა უფალთა (ნათ.) თქუენთა, ეფეს. 6,5; პავლე მოციქულისა წიგნი ფილემონისა მიმართ და აფიასსა, უ. ონესიმჱსთა და არქიპჱსთა, ფილემ. (დასასრ.); უფალნო ჩემნო, რაჲ მიღირს ყოფად, საქმე 16,30.

1. **უფლება** მეუფება, ბატონობა, ძალაუფლების ქონა, 0—2: შჯული უფლებს კაცსა ზედა, ჰრომ. 7,1; არა თუ უფლებთ რას სარწმუნოებასა მაგას თქუენსა ზედა, 2 კორ. 1,24; სიკუდილი მის ზედა არღარა უფლებდეს, ჰრომ. 6,9; ცოდვაჲ თქუენ ზედა არა უ., ჰრომ. 6,14; რაჲთა... ცხოველთა ზედა უ., ჰრომ. 14,9.

ე: ნუცა ვითარმცა ეუფლებით მღდელთა მათ ზედა, 1 პეტ. 5,3; ნუცა ვითარმცა ეუფლებოდეთ მწეთა მათ, იქვე ႤႭ.

არავისგან უფლებულ ვიყვნეთ, 1 კორ. 6,12ႢႡ.

2. **უფლება** ბატონობა, მეუფეობა, ხელისუფლება, ძალაუფლება: უფლებასა შეურაცხ-ჰყოფენ, 2 პეტ. 2,10ႃႤႭ; იუდა 1,8; მის მიერ დაჰბადა ყოველი... საყდარნი, ანუ უფლებანი, კოლ. 1,16; უფლებათა შეურაცხჰყოფენ, იუდა 1,8ႢႤႭ; უზეშთაეს ყოველთა მთავრობათა... და უფლებათა, ეფეს. 1,21; უფალი უფლებათაჲ, გამოცხ. 17,14; 19,16; რომელი-იგი... აჩუენოს... უფალმან უფლებათამან, 1 ტიმ. 6,15.

უფრო, უფროჲს უფრო, უფრო მეტად; განსაკუთრებით: რომელ უფრო სასწრაფო არიან, საქმე 15,28; უფროჲს (+ლა F) ჴორცთაცა ჩემთა დაიმკჳდრონ, საქმე 2,26; რაჲთა არა უ. განითქუას ერსა შორის, საქმე 4,17; უკუეთუ სამართალ არს... თქუენი სმენად უ., ანუ ღმრთისაჲ, საქმე 4,19; მორჩილებაჲ ჯერ-არს ღმრთისაჲ უ. ვიდრე კაცთაჲ, საქმე 5,29; სავლე უ. განრისხნებოდა, საქმე 9,1; სავლე უ. განძლიერდებოდა, საქმე 9,22; იგი უ. განკრძალულ იყო, საქმე 12,15; რომელნი უ. სასწრაფო არიან, საქმე 15,28ႰႤ; ზარი განჰჴდა უ. მით, საქმე 16,38; არა უ. პატიოსანად შემირაცხიეს სულისა ჩემისა თავი ჩემი, საქმე 20,24; ნეტარ არს მიცემაჲ უ. ვიდრე მოღებისა, საქმე 20,35ႢႤႭ; უ. დადუმება-სცეს, საქმე 22,2; რაჲთა არა უ. დაგაშურო შენ, საქმე 24,4; მეგულების... სიტყჳს-გებად უ. ხოლო, საქმე 26,2; ასისთავი იგი... ნავის უფალსა ერწმუა უ. ვიდრე-ლა პავლეს სიტყუათა, საქმე 27,11ႢႤႭ; რაოდენ უ. აწ... განვერნეთ ჩუენ მის მიერ რისხვისაგან, ჰრომ. 5,9; რაოდენ უ. აწ... ვცხოვნდეთ ჩუენ, ჰრომ. 5,10; რაოდენ უ. მადლი ღმრთისაჲ... მრავალთა მიმართ აღემატა, ჰრომ. 5,15; რაოდენ უ. ცხორებასა შინა სუფევდენ ერთისა მისგან იესუ ქრისტჱსა, ჰრომ. 5,17; მუნ უ. გარდაემატა მადლი, ჰრომ. 5,20; რაოდენ უ. სავსებაჲ იგი მათი, ჰრომ. 11,12; რაოდენ უ. იგინი ბუნებითსა მას დაემყნნენ, ჰრომ. 11,24; ნუ უ. ბრძნობნ უმეტჱს ჯერისა მის, ჰრომ. 12,3; არამედ ესეღა იკითხეთ უ., ჰრომ. 14,13; ნუ უ. წერილისა მის ჰზრახავთ, 1 კორ. 4,6; უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი უ., ვიდრეღა სიქადული, 1 კორ. 9,15CD; რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად უ. ძალისა თქუენისა, 1 კორ. 10,13; გშურდინ მადლი იგი უ., 1 კორ. 12,31ႰႤ; ხოლო უ. ამათსა სიყუარული არს, 1 კორ. 13,13; უ. არს რომელი წინაისწარმეტყუელებდეს, 1 კორ. 14,5; გარდარეულად უ. ძალისა დაგჳმძიმდა, 2 კორ. 1,8; რაოდენ უ. მსახურებაჲ იგი სულისაჲ იყოს დიდებით, 2 კორ. 3,8; რაოდენ უ. აღემატოს მსახურებაჲ იგი სულისაჲ, 2 კორ. 3,9; რაოდენ უ., რომელი ჰგიეს დიდებით, 2 კორ. 3,11; უმეტჱსღა და უ. განვიხარეთ, 2 კორ. 7,13; ვეწამები, და უ. (+ლა Ⴂ) ძალისა ნებსით თჳსით, 2 კორ. 8,3; უ. ვიქადოდი უძლურებათა ჩემთა, 2 კორ. 12,9; რომლითა-იგი მოუძლურდით უ. სხუათა მათ ეკლესიათა, 2 კორ. 12,13; რაოდენმე უ. მიყუართ თქუენ, 2 კორ. 12,15; წარემატებოდე ჰურიაებასა შინა უ. მრავალთა ჰასაკის სწორთა ჩემთა, გალ. 1,14; მრავალ არიან შვილნი ოჴრისანი უ., ვიდრე რომელსა-იგი ესუა ქმარი, გალ. 4,27CD; ვიქმოდით კეთილსა ყოველთა მიმართ, უ. ხოლო სახლეულთა მათ მიმართ სარწმუნოებისათა, გალ. 6,10; იგი მოსცა მთავრობად უ. ყოველთა ეკლესიასა, ეფეს. 1,22; რომელი-იგი შემძლებელ არს უ. ყოვლისა ყოფად უმეტჱს, ეფეს. 3,20; შემძლებელსა ზეშთა ყოვლისა ყოფად უ. და უმეტეს მისსა, იქვე ႢႡ; რაჲთა სიყუარული იგი თქუენი უ. და უმეტეს გარდაერიოს მეცნიერებითა, ფილიპ. 1,9; გული მეტყჳს... ქრისტეს თანა ყოფად უ. და უმჯობეს ფრიად, ფილიპ. 1,23CD; რომელი ზემო არს უ. ყოველთა სახელთა, ფილიპ. 2,9; უ. და უმეტეს ვევედრებით ხილვად პირისა თქუენისა, 1 თეს. 3,10CD; რაჲთა ჰმატებდეთ უ. (+ლა D), 1 თეს. 4,1; ჰმატებდითღა უ., 1 თეს. 4,10; უმეტესად შეჰრაცხენით იგინი სიყუარულით უ. საქმისათჳს მათისა, 1 თეს. 5,13CD; უმრავლჱსსა დიდებასა ესე ღირს იყო უ. მოსჱსსა, ებრ. 3,3; [არს] უმკუეთელჱს უ. ყოვლისა მახჳლისა ორპირისა, ებრ. 4,12; რაოდენ უ. სისხლმან ქრისტჱსმან... განწმიდნეს გონებანიცა თქუენნი, ებრ. 9,14; ნუგეშინის-სცემდით და ესოდენ უ., ებრ. 10,25; არა-მე უ. დავემორჩილნეთა მამასა მას სულთასა, ებრ. 12,9; უმჯობესად მეტყუელსა უ. აბელისსა, ებრ. 12,24ႢႡ; რაოდენ უ. ჩუენ [ვერ] განვერნეთ], ებრ. 12,25; უ. გარდაემატა მადლი იგი უფლისა ჩუენისაჲ, 1 ტიმ. 1,14; უ. ხოლო რომელნი შურებოდიან სიტყჳთა, 1 ტიმ. 5,17; [იყვნენ კაცნი] გულის—თქუმის მოყუარე უ., ვიდრე ღმრთის მოყუარებასა, 2 ტიმ. 3,4; არა წარემატნენ უ., 2 ტიმ. 3,9; არიან... გონება-მაცთურ. უ. ხოლო წინადაცუეთილებისაგანნი იგი, ტიტე 1,10; არღარა ვითარცა მონაჲ, არამედ უ. (+ლა ႢႃD) მონისა, საყუარელი ძმაჲ, ვინაჲთგან ჩემდა ესრჱთ, რაოდენ უ. შენდა, ფილემ. 1,16; უ. მოსცემს მადლისა, იაკ. 4,6; უპატიოსნეს უ. ოქროჲსა მის წარწყმედადისა, 1 პეტ. 1,7ႢႤႭ; რომელნი უ. არიან, 2 პეტ. 2,11; უ. არს ღმერთი გულისა ჩუენისა, 1 იოვ. 3,20; რამეთუ უ. არს, 1 იოვ. 4,4; წამებაჲ ღმრთისაჲ უ. არს, 1 იოვ. 5,9; სხუაჲ სიხარულ უ. (უფროს ႰႤ) ამისსა არა მაქუს, 3 იოვ. 1,4; უფროჲს-ღა შეჰძინებოდა ერი იგი მათ, საქმე 5,14ႰႤႭ; ტიროდეს უ. სიტყუასა მას ზედა, საქმე 20,38; ელმოდა უ. სიტყჳსა მისთჳს, იქვე ႤႭ; ამისთჳს მოვიყვანე ეგე თქუენ წინაშე და უ. შენ წინაშე, საქმე 25,26ႰႤႭ; შენ წინაშე მეგულების... სიტყჳს-გებად უ., საქმე 26,2ႰႤႭ; უ. აღდგა, ჰრომ. 8,34; უ. ესე განიკითხეთ, ჰრომ. 14,13CD; არა უ. იგლოვეთ, 1 კორ. 5,2; ვითარმცა ეშჯოდა იგი ცრუთა წინაშე და არა უ. წმიდათა წინაშე, 1 კორ. 6,1; რაჲსათჳს არა უ. (-ღა Ⴄ) თქუენ გევნებისს? რაჲსათჳს არა უ. (-ღა Ⴃ; უფროს Ⴂ) თქუენ

მოგეხუეჭების, 1 კორ. 6,7; უ. ილუაწე, 1 კორ. 7,21; უკუეთუ სხუანი თქუენისაგან ჴელმწიფებისა მიიღებჳნ, არა-მე უ. ჩუენდა, 1 კორ. 9,12; არამედ უ. იგი საჭმარ არს, 1 კორ. 12,22; გშურდინ სულიერი იგი, უ., რაჲთა სწინაწარმეტყუელებდით, 1 კორ. 14,1; მნებავს თქუენ ყოველთაჲ ენათა სიტყუაჲ, უ., რაჲთა სწინაჲსწარმეტყუელებდეთ, 1 კორ. 14,5; თქუენ ყოველთაჲთჳს უ. (-ღა CႢႡ) ენათა ვიტყჳ, 1 კორ. 14,18; აწ კუალად სხუად სახედ უ. თქუენ მიჰმადლეთ, 2 კორ. 2,7; ხოლო აწ წინააღმდგომი უ. თქუენდა მიმადლებად, იქვე C; ჯერ-გჳჩნს უ. განსლვაჲ ჴორცთაგან, 2 კორ. 5,8; ვითარმედ მე უ. განვიხარე, 2 კორ. 7,7; ხოლო აწ უ. მოსწრაფჱ სასოებითა მით, 2 კორ. 8,22; უგუნურჱსრე ვიტყჳ: უ. მე, 2 კორ. 11,23; აწ იცანთ ღმერთი, უ., გიცნნა თქუენ ღმერთმან, გალ. 4,9; არამედ უ. შურებოდენ, ეფეს. 4,28; არამედ უ. მადლობაჲ, ეფეს. 5,4; არამედ უ. ამხილებდით, ეფეს. 5,11; ჩემთჳს უ. წარსამატებელად სახარებისა მის მოივლინა, ფილიპ. 1,12; გული მეტყჳს... ქრისტეს თანა ყოფად უ. უმჯობეს, ფილიპ. 1,23; არამედ აწ უ. შორის ყოფასა მას ჩემსა შიშით... ცხორებისა თქუენისათჳს იქმოდეთ, ფილიპ. 2,12; უკუეთუ ვინმე ჰგონებდეს სხუად რაჲმე სასოებად ჴორცითა, მე — უ., ფილიპ. 3,4; გიკითხვენ თქუენ ყოველნი წმიდანი, უ., სახლისა მისგან კეისრისანი, ფილიპ. 4,22; გლოცავ თქუენ... გარდამატებად უ., 1 თეს. 4,10CD; უ. გამოირჩია თანა-ძჳრისხილვაჲ ერსა ღმრთისასა, ებრ. 11,25; არამედ უ. განიკურნენ, ებრ. 12,13; რომელ არს მაცხოვარი ყოველთა კაცთაჲ, უ. მორწმუნეთაჲ, 1 ტიმ. 4,10; უკუეთუ ვინმე თჳსთა და უ. სახლეულთა არა ილუწიდეს, 1 ტიმ. 5,8; არამედ უ. ჰმონებდედ, 1 ტიმ. 6,2; მოიღე... წიგნებიცა იგი, უ. წიგნის ტყავებისაჲ, 2 ტიმ. 4,13; სიყუარულისათჳს უ. გლოცავ, ფილემ. 1,9; ამისთჳს, ძმანო, უ. ისწრაფეთ, 2 პეტ. 1,10; უ. კადნიერნი დიდებათათჳს არა ძწიან, 2 პეტ. 2,10.

უფროჲს-ი უფრო მეტი, უდიდესი; უმაღლესი: გშურდინ მადლი იგი უფროჲსი, 1 კორ. 12,31; ვითარცაიგი უ. პატივი აქუნ სახლისაჲ მის მაშჱნებელსა მას მისსა, ებრ. 3,3; არავინ იყო უ., ებრ. 6,13; რაჲდენ უ. სატანჯველი, ებრ. 10,29Ⴍ; სხუაჲ უ. სიხარული ამისსა არა მაქუს, 3 იოვ. 1,4ႪႭ; კაცთა უფროჲსისა მიმართ ფუციან, ებრ. 6,16; უფროჲსითა მით და უსრულჱსითა კარვითა, ებრ. 9,11; ჰბაძევდით მადლთა ამათ უფროჲსთა, 1 კორ. 12,31C.

27,27; შემიწყნარნეს ჩ. ყოველნი, საქმე 28,2; რომელმან შემიწყნარნა ჩ., საქმე 28,7; სიყუარულით მოწლედ მისტუმრნა ჩ., საქმე 28,7ႢႪ; ვიდრე-იგი ჩ. უძლურღა ვიყვენით, ჰრომ. 5,6; ვიდრე-იგი ჩ. ულმრთოღა ვიყვენით, ჰრომ. 5,8; განვერნეთ ჩ. მის მიერ რისხვისაგან, ჰრომ. 5,9; ვცხოვნდეთ ჩ. მაცხოვარებითა მისითა, ჰრომ. 5,10; ეგრეცა ჩ. განახლებითა ცხორებისაჲთა ვიდოდით, ჰრომ. 6,4; რაჲთა არღარა ვჰმონებდეთ ჩ. ცოდვასა, ჰრომ. 6,6; ჩ. განქარვებულ ვართ შჯულისა მისგან, ჰრომ. 7,6ႨႱ; ვჰმონებდეთ ჩ. განახლებულითა სულითა, ჰრომ. 7,6; ჩ. თუ არა ვხედავთ, ჰრომ. 8,25; შენთჳს მოვწყდებით ჩ. მარადღე და შევირაცხებით ჩ., ჰრომ. 8,36; შემიყუარნა ჩ., ჰრომ. 8,37; ეფეს. 2,4; 5,2; 2 თეს. 2,16; 1 იოვ. 4,10; 4,11; 4,19; გამოცხ. 1,5; ჩ. ყოველნი ერთ გუამ ვართ, ჰრომ. 12,5; ჩ. ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარს-ცუმულსა, 1 კორ. 1,23; ესრჱთ შემრაცხენინ ჩ. კაცმან, 1 კორ. 4,1; ღმერთმან ჩ. მოციქულნი უკუანაჲსკნელად გამოგუაჩინნა, 1 კორ. 4,9; ჩ. სულელ ქრისტჱსთჳს... ჩ. უძლურ... ჩ. ... გინებულ, 1 კორ. 4,10; ჩ. – მისა მიმართ... ჩ. – მის მიერ, 1 კორ. 8,6; საჭმელმან ჩ. არა წარგუდგინნეს ღმერთსა, 1 კორ. 8,8; ერთ პურ და ერთ ჴორც ჩ. ყოველნი ვართ, 1 კორ. 10,17; არა ვიყვნეთ ჩ. გულის მთქუმელ ბოროტისა, 1 კორ. 10,6; ანუ ჩ. რაჲსა ვიჭირვით? 1 კორ. 15,30; ჩ. განვახლდეთ, 1 კორ. 15,52; ნუგეშინის-ცემულ ვართ ჩ., 2 კორ. 1,4; მიჴსნნა ჩ., 2 კორ. 1,10; ტიტე 3,5; მიჴსნეს ჩ., 2 კორ. 1,10ႢႪ; რომელსა-იგი ვესავთ ჩ., 2 კორ. 1,10; მიცნენით ჩ., 2 კორ. 1,14; რომელმან-იგი განმამტკიცნა ჩ. და ცხებულ გუყვნა ჩ. ღმერთმან, 2 კორ. 1,21; რომელმანცა-იგი აღმბეჭდნა ჩ., 2 კორ. 1,22; არა მივიანგაჰრნეთ ჩ. ეშმაკისაგან, 2 კორ. 2,11; შემძლებელ გუყვნა ჩ. მსახურებად, 2 კორ. 3,6; ჩ. ... დიდებასა უფლისასა განვიცდით, 2 კორ. 3,18; არა ვალთ ჩ. ვერაგობით, 2 კორ. 4,2; ჩ. სიკუდილითა მივეცემით, 2 კორ. 4,11; არა ვედიებთ ჩ. ხილულსა ამას, 2 კორ. 4,18; რომელმან-იგი შემქმნნა ჩ., 2 კორ. 5,5CD; ჩ. ყოველნი განცხადებად ვართ, 2 კორ. 5,10; რომელმან დამიგნა ჩ. თავისა თჳსისა, 2 კორ. 5,18; ჩ. ვიქმნნეთ სიმართლჱ, 2 კორ. 5,21; ჩ. ტაძარნი ღმრთისანი ვართ, 2 კორ. 6,16; მოვედით ჩ. მაკედონიად, 2 კორ. 7,5; ვევედრებოდით ჩ. ტიტეს, 2 კორ. 8,6; ვჰგონიეთ ჩ., 2 კორ. 10,2; ვითარცა იგი ქრისტჱსი არს, ეგრეცა ჩ., 2 კორ. 10,7; ჩ. არა უზომოდ ვიქადით, 2 კორ. 10,13; იპოვნენ ვითარცა ჩ., 2 კორ. 11,12; ჩ. რეცა მოუძლურდით, 2 კორ. 11,21; ჩ. ვესავთ, 2 კორ. 13,6; ჩ. არა ვართ გამოუცდელ, 2 კორ. 13,6; არა თუ რაჲთა ჩ. გამოცდილად გამოვჩნდეთ... ჩ. რაჲთა გამოუცდელ ვიყვნეთ, 2 კორ. 13,7; ჩ. უძლურ ვართ, 2 კორ. 13,9; რაჲთა განმარინნეს ჩ., გალ. 1,4; დაღათუ ჩ., გინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს, გალ. 1,8; რომელ-იგი ჩ. გახარეთ, გალ. 1,9; რაჲთა დაგჳმონნენ ჩ., გალ. 2,4; რაჲთა ჩ. წარმართთა მიმართ, გალ. 2,9; ჩ. ბუნებით ჰურიანი ვართ, გალ. 2,15; ქრისტემან გამოგჳჴსნნა ჩ., გალ. 3,13; მზარდულ გუექმნა ჩ., გალ. 3,24; ეგრეცა ჩ. ვიყვენით დაკირთებულ, გალ. 4,3; ჩ. აღთქუმისა შვილნი ვართ, გალ. 4,28; ჩ. ქრისტემან განგუაზნაურნა, გალ. 5,1; ჩ. სასოებასა მოველით, გალ. 5,5; მაკურთხნა ჩ., ეფეს. 1,3; რაჲთა ვიყვნეთ ჩ. წმიდა, ეფეს. 1,4; გამოგუარჩინნა ჩ., ეფეს. 1,5; ვიყვენით ჩ. მკუდარ, ეფეს. 2,5; განგუაცხოველნა ჩ., ეფეს. 2,5; ვიდრემდე მივეწიფნეთ ჩ., ეფეს. 4,13; რაჲთა არა ვიყვნეთ ჩ., ეფეს. 4,14Ⴓ; ჩ. ვართ წინადაცუეთილებანი, ფილიპ. 3,3; ვართ ჩ. სახე თქუენდა, ფილიპ. 3,17; ჩ. (+ცა CD) არა დავსცხრებით თქუენთჳს, კოლ. 1,9; რომელმან ღირს გუყვნა ჩ. ნაწილსა მას მკჳდრობისა წმიდათაჲსა, კოლ. 1,12; მიმაწინა ჩ. სასუფეველსა, კოლ. 1,13; რომელსა-ესე ჩ. ვქადაგებთ, კოლ. 1,28; მოგჳტევნა ჩ. ყოველნი შეცოდებანი, კოლ. 2,13; ვიქმნენით ჩ. თქუენდა მიმართ თქუენთჳსვე, 1 თეს. 1,5; ვიქმნენით ჩ. მდაბალ, 1 თეს. 2,7; ჩ. გამოგუდევნნეს, 1 თეს. 2,15; ჩ. ობოლ ღათუ ვიქმნენით თქუენგან, 1 თეს. 2,17; დამაბრკოლნა ჩ. მჴდომმან, 1 თეს. 2,18; გარდაგმატენ სიყუარულითა ურთიერთას... ვითარცა-ესე ჩ. თქუენდა მიმართ, 1 თეს. 3,12; არა გჳჩინნა ჩ. უფალმან არა-წმიდებად, 1 თეს. 4,7; ჩ. ... ვერ მივეწიფნეთ შესუენებულთა მათ, 1 თეს. 4,15; ჩ. მათ თანავე აღვიტაცნეთ, 1 თეს. 4,17; არა შემქმნნა ჩ. ღმერთმან, 1 თეს. 5,9; ვითარ-მე ჩ. განვერნეთ, ებრ. 2,3; ვითარცა სახლნი ვართ ჩ., ებრ. 3,6; ვართ ჩ. ხარებულ, ებრ. 4,2; ჩ. შევიდეთ განსასუენებელსა მას, ებრ. 4,3; გჳვის ჩ. მღდელთმოძღუარი, ებრ. 8,1; ჩ. განწმედილ ვართ, ებრ. 10,10; ჩ. არა ვართ ჯმნულებისანი, ებრ. 10,39; რაოდენ უფროჲს ჩ. ... გარე-მოვექცეთ, ებრ. 12,25; რომელმან-იგი მიჴსნნა ჩ. და მიჩინნა ჩ. ჩინებითა მით წმიდითა... რომელი მომეცა ჩ., 2 ტიმ. 1,9; მანცა უარ-მყვნეს ჩ., 2 ტიმ. 2,12; მიჴსნნეს ჩ. ყოვლისაგან, ტიტე 2,14; გუშვნა ჩ. ... რაჲთა ვიყვნეთ ჩ. დასაბამ, იაკ. 1,18; კუალად გუშვნა ჩ., 1 პეტ. 1,3; ჩ. ცოდვისაგან განვეშორნეთ, 1 პეტ. 2,24Ⴀ; ჩ. წარგჳდგინნეს ღმერთსა, 1 პეტ. 3,18; ჩ. ბნელსა შინა ვიდოდით, 1 იოვ. 1,6; განმწმიდნეს ჩ. ყოვლისაგან სიცრუვისა, 1 იოვ. 1,9; სოფელმან არა მიცნის ჩ., 1 იოვ. 3,1; დიოტრეფე არა შემიწყნარებს ჩ., 3 იოვ. 1,9; გული ჩუენი არა გუგმობდეს ჩ., 1 იოვ. 3,21; ჩ. ღმრთისაგანნი ვართ, 1 იოვ. 4,6; ჩ. (÷ცა ႢႳ) ვართ სოფელსა მას, 1 იოვ. 4,17; ჩ. ვიყუარობდეთ, 1 იოვ. 4,19; ვართ ჩ. ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა, 1 იოვ. 5,20; გუგმობს ჩ., 3 იოვ. 1,10; მყვნა ჩ. სამეუფო მღდელ ღმრთისა, გამოცხ. 1,6; გჳყიდენ ჩ., გამოცხ. 5,9; დაგუფარენით ჩ., გამოცხ. 6,16; უკუეთუ სხუანი თქუენისაგან ჴელმწიფებისა მიიღებენ, არა-მე უფროჲსღა ჩუენა? 1 კორ. 9,12ႢႧႨ; ჩუენცა კაცნივე ვართ, საქმე 14,15; თჳთ ჩ. [ვკუნესით]. ჰრომ. 8,23; რაჲთა ჩ. თქუენ თანა ვსუფევდეთ, 1 კორ. 4,8; ჩ. აღმადგინნეს ძალითა მისითა, 1 კორ. 6,14; ჩ. იესუჲს თანა აღმადგინნეს, 2 კორ. 4,14; ჩ. უძლურ ვართ, 2 კორ. 13,4; ვიპოვნეთ ჩ. ცოდვილ, გალ. 2,17; ჩ. ყოველნი ვიქცეოდით, ეფეს. 2,3; ჩ. მის თანა გამოეცხადნეთ, კოლ. 3,4Ⴂ; ჩ. ვჰმადლობთ ღმერთსა, 1 თეს. 2,13CD; ჩ.... ვიქადით, 2 თეს. 2,14; ვიყვენით ოდესმე ჩ. უცნობელ, ტიტე 3,3; ჩ. ვწამებთ, 3 იოვ. 1,12.

ჩუენ მიუწერეთ, საქმე 21,25; ვერცა ჩ. შეუძლეთ ტჳრთვად, საქმე 15,10; ამას ყოველსა ზედა-ვსძლოთ ჩ. მის მიერ, ჰრომ. 8,37; უკუეთუ ჩ. თქუენ შორის სულიერი დავსთესეთ, 1 კორ. 9,11; თქუენგან თუ ჩ. ჴორციელი მოვიმკოთ, 1 კორ. 9,11; ჩ. [მოვიღოთ] უხრწნელი, 1 კორ. 9,25; ერთითა სულითა ჩ. ყოველთა... ნათელ-ვიღეთ, 1 კორ. 12,13; ჩ. ... განჩინებაჲ... მოგუელო, 2 კორ. 1,9; ჩ. არღარავინ ვიცით ჴორციელად, 2 კორ. 5,16; ჩ. არა ვქადაგეთ, 2 კორ. 11,4; შეიღებაჲ იგი მოვიღოთ ჩ.,

გალ. 4,5; ჩ.... განეიფრთხოთ, 1 თეს. 5.8; ჩ. თჳთ... ვიქადეთ, 2 თეს. 1,4CD; ამათ ჳმა-ვიყოფდეთ ჩ., 1 ტიმ. 6,8CD; ჩ. ვიცით, 1 იოვ. 3.14; არა თუ ჩ. შევიყუარეთ ღმერთი, 1 იოვ. 4,10; ჩ. ვიხილეთ, 1 იოვ. 4,14; ჩ. ვიცანთ, 1 იოვ. 4,16; ვიცოდით ჩ. ჭეშმარიტი ღმერთი, 1 იოვ. 5,20; რაჲთა შეუძლოთ ჩუენცა, 2 კორ. 1,4; ჩ. ... სიმძიმე ყოველი განვიშორეთ, ებრ. 12,1.

ჩუენ გუესმის, საქმე 2,8; 2,11; ოქროჲ და ვეცხლი არა მაქუს ჩ., საქმე 3,6; ჩ. რაჲსათჳს გუხედავთ, საქმე 3,12; ვერ ჴელ-გუეწიფების ჩ., საქმე 4,20; გუასმიეს ჩ. მაგისი, საქმე 6,11; რომელი მომცა ჩ. მოსე, საქმე 6,14; მიქმნენ ჩ. ღმერთნი, რომელნი წინა-მიძღუოდიან ჩ., საქმე 7,40; მამცნო ჩ. ქადაგებად ერსა მას, საქმე 10,42; მითხრა ჩ., საქმე 11,13ႢႪႭ; მადლი... მისცა ღმერთმან, ვითარცა-იგი პირველად ჩ., საქმე 11,17; ჩ. აღგჳდგინა იესუ, საქმე 13,32; მამცნო ჩ. უფალმან, საქმე 13,47; გჳღირს ჩ. შესლვად, საქმე 14,22; მისცა მათ სული წმიდაჲ, ვითარცა-იგი ჩ., საქმე 15,8; გურწამს ჩ. ცხოვრებაჲ, საქმე 15,11; მესმა ჩ., საქმე 15,24; რომელთადა ჩ. არაჲ გუემცნო, საქმე 15,24ႢႪႭ; ჯერ-მიჩნდა ჩ., საქმე 15,25; შემეწიენ ჩ., საქმე 16,9; გუაიძულა ჩ., საქმე 16,15; შემემთხჳა ჩ., საქმე 16,16; მოგუდევდა... ჩ., საქმე 16,17; მითხრობენ ჩ., საქმე 16,21; გუელოდეს ჩ. ტროადას შინა, საქმე 20,5; ჩ. ვითარცა გუესმა ესე, საქმე 21,12; ესე ჴმაჲ ჩ. გუესმა, 2 პეტ. 1,18; გურქუა ჩ., საქმე 21,13; შემეწიენით ჩ., საქმე 21,28ႢႪႭ; არა გჳტევებდა ჩ. ქარი იგი, საქმე 27,7ႢႪႭ; წინა-მიყვეს ჩ. დიდი კაცთ მოყუარებაჲ, საქმე 28,2; პატივ-გუცეს ჩ., საქმე 28,10; გუევედრებოდეს ჩ., საქმე 28,14; ჩ. არცა წიგნი მოგჳჳდა შენთჳს, საქმე 28,21; რომლისაგან-ესე მოვიღეთ ჩ. მადლი, ჰრომ. 1,5Ⴇ; რაჲთა მოგჳჴდეს ჩ. კეთილი, ჰრომ. 3,8; ყოველივე მოგუანიჭოს ჩ., ჰრომ. 8,32; ვინ განმაშორენეს ჩ. სიყუარულსა მას ქრისტჱსსა, ჰრომ. 8,35; რომელთაცა-ესე მიწოდნა ჩ., ჰრომ. 9,24; არა თუმცა უფალმან... დამიტევა ჩ. თესლი, ჰრომ. 9,29; მაქუს ჩ. ნიჭი იგი, ჰრომ. 12,6; თანა-გუაც ჩ. ძლიერთა უძლურებანი იგი, ჰრომ. 15,1; ჩ. არა სული ამის სოფლისაჲ მოგჳღებიეს, 1 კორ. 2,12; ჩ. გონებაჲ ქრისტჱსი გუაქუს, 1 კორ. 2,16; მშჳდობას გჳწოდნა ჩ. ღმერთმან, 1 კორ. 7,15; ჩ. ეგევითარი ჩუეულებაჲ არა გუაქუს, 1 კორ. 11,16; რომელმან მომცა ჩ. ძლევაჲ, 1 კორ. 15,57; რომელი ნუგეშინის-მცემს ჩ., 2 კორ. 1,4; შემემეცნენით ჩ., 2 კორ. 1,14ႧႨႡ; მომყინის ჩ. ... სული იგი, 2 კორ. 2,14; მაქუს ჩ. ესევითარი სასოებაჲ, 2 კორ. 3,12; მაქუს ჩ. მსახურებაჲ ესე, 2 კორ. 4,1; გუაქუს ჩ. საფასჱ ესე, 2 კორ. 4,7; მაქუს ჩ. იგივე სული, 2 კორ. 4.13; მაქუს ჩ. სახლი, 2 კორ. 5,1; მომცა ჩ. წინდი, 2 კორ. 5,5; სიყუარული იგი ქრისტჱსი მაწუევს ჩ. გამორჩევად მას, 2 კორ. 5,14; მომცა ჩ. მსახურებაჲ, 2 კორ. 5.18; შემიწყნარენით ჩ., 2 კორ. 7,2; ნუგეშინის-მცა ჩ. ღმერთმან, 2 კორ. 7,6; მითხრობდა ჩ., 2 კორ. 7,7; მლოცვიდეს ჩ., 2 კორ. 8,4; თავნი თჳსნი პირველად მისცნეს უფალსა და მერმე ჩ., 2 კორ. 8,5; ნუ ვინმე გუგმობდეს ჩ., 2 კორ. 8,20; შემიმწინკულოს ჩ. უხუებაჲ ესე, 2 კორ. 8,20ႧႨႡ; მრცხუენიდის ჩ., 2 კორ. 9,4; მომცა ჩ. უფალმან, 2 კორ. 10,8; განგჳყო ჩ. ღმერთმან, 2 კორ. 10,13; სასოებაჲ მაქუს ჩ., 2 კორ. 10,15; არა ჴელ-მეწიფების ჩ., 2 კორ. 13,8; გუდევნიდა ჩ., გალ. 1,23; ჩ. გურწმენა, გალ. 2,16; რომელ-იგი მოგუმადლა ჩ., ეფეს. 1,6; გუაუწყა ჩ., ეფეს. 1,9; მაქუს ჩ. მიახლებაჲ იგი, ეფეს. 2,18; მაქუს ჩ. განცხადებულებაჲ, ეფეს. 3.12; ღმერთმან... მოგუმადლა ჩ., ეფეს. 4,32; რომელმანცა მაუწყა ჩ., კოლ. 1,8; რომლისაგან მაქუს ჩ. გამოჴსნაჲ, კოლ. 1,14ႢႭႲCD; განმიღოს ჩ. კარი სიტყჳსაჲ, კოლ. 4,3; არღარა რაჲ გჳჴმს ჩ. სიტყუად რაჲმე, 1 თეს. 1,8; მახარა ჩ. სარწმუნოებაჲ, 1 თეს. 3,6; გული გეტყჳს ხილვად ჩუენდა, ვითარცა-ესე ჩუენ თქუენდა, 1 თეს. 3,6; ჩ. თანა-გუაც მადლობაჲ, 2 თეს. 2,13; რაჲთა მბაძვიდეთ ჩ., 2 თეს. 3,9; მეტყოდა ჩ. ძისა მიერ თჳსისა, ებრ. 1,1; მივის ჩ. მღდელთმოძღუარი დიდი, ებრ. 4,14; არა გჳვის ჩ. მღდელთმოძღუარი, ებრ. 4.15ႧႨႡ; ჩ. გურწამს, ებრ. 6,9; ნუგეშინის-ცემაჲ მაქუნდეს ჩ., ებრ. 6,18; მეწამების ჩ. სულიცა წმიდაჲ, ებრ. 10,15; განგჳახლა ჩ. გზაჲ, ებრ. 10,20; რომელმან-იგი აღმითქუა ჩ., ებრ. 10,23Ⴇ; მაქუს ჩ. მადლი, ებრ. 12,28; მაქუს ჩ. საკურთხეველი, ებრ. 13,10; არა მაქუს ჩ. ქალაქი, ებრ. 13,14; რომელმან მომცის ჩ. ყოველივე, 1 ტიმ. 6,17; არა მომცა ჩ. ღმერთმან სული მოშიშებისაჲ, 2 ტიმ. 1,7; რომელნი მყუარობენ ჩ., ტიტე 3,15; მოგუანიჭა ჩ., 2 პეტ. 1,3; პატიოსანნი აღთქუმანი ჩ. მოგუანიჭნა, 2 პეტ. 1,4; მაქუს ჩ. სიტყუაჲ, 2 პეტ. 1,19; გამოგჳჩნდა ჩ., 1 იოვ. 1,2; განმწმედს ჩ. ყოვლისაგან ცოდვისა, 1 იოვ. 1,7; რაჲთა მოგჳტევნეს ჩ. ცოდვანი ჩუენნი, 1 იოვ. 1,9; მან აღმითქუა ჩ. ცხორებაჲ საუკუნჱ, 1 იოვ. 2,25; რავდენი სიყუარული მომცა ჩ. მამამან, 1 იოვ. 3,1; მან მომცა ჩ. მცნებაჲ, 1 იოვ. 3,23; რომელი მომცა ჩ., 1 იოვ. 3,24; სულისა მისისაგან მომცა ჩ., 1 იოვ. 4,13; ცხორებაჲ საუკუნოჲ მომცა ჩ. ღმერთმან, 1 იოვ. 5,11; მომცა ჩ. გონებაჲ, 1 იოვ. 5,20.

ჯერ-უჩნდა სულსა და ჩუენცა, საქმე 15.28; ჩ. გუევნების, 2 კორ. 1,6; ჩ. (-ცა Ⴂ) გურწამს, 2 კორ. 4,13; ჩ. გჳღირს ძმათათჳს თავისა დადებაჲ, 1 იოვ. 3,16; ჩ. თანა-გუაც ურთიერთას სიყუარული, 1 იოვ. 4,11.

რომელ არს მამაჲ ჩუენ ყოველთაჲ, ჰრომ. 4,16; რომელ არს დედაჲ ჩ. ყოველთაჲ, გალ. 4.26CD; ჩ. ყოველთათჳს მისცა იგი, ჰრომ. 8.32; ჩ. ცხორებულთა ამათთჳს ძალ ღმრთისა არს, 1 კორ. 1,18CD; მაბრკოლებელ ჩ. წარმართთა მიმართ სიტყუად, 1 თეს. 2.16.

რომელი... განვიდა ჩუენგან, საქმე 1,21; ვიდრე დღედმდე აღმაღლებისა მისისა ჩ., საქმე 1,22; შეძლებელ ვართ შერაცხად რაჲსმე რეცათუ ჩ., 2 კორ. 3,5; გარდარეული იგი ძლიერებისაჲ იყოს ღმრთისაჲ და არა ჩ., 2 კორ. 4,7; არარაჲთა იზღვინეთ ჩ., 2 კორ. 7,9; გუევედრნეს ჩუენ მადლსა მას... მიღებად ჩ., 2 კორ. 8,4Ⴈ Ⴁ; ისწავეთ ჩ., 1 თეს. 4.1; რომელ-იგი ისწავა ჩ., 2 თეს. 3.6; უკუეთუ პირველად ჩ. [იწყოს], 1 პეტ. 4,17; ჩ. განვიდეს, 1 იოვ. 2.19; არა არიან ყოველნი ჩ., 1 იოვ. 2.19ႢႪႭ.

გნებავს ჩუენ ზედა მოწევნად სისხლი, საქმე 5.28; ვინ დაგადგინა შენ... მსაჯულად ჩ. ზედა, საქმე 7.27; 7,35; მოვიდა სული წმიდაჲ მათ ზედა, ვითარცა-იგი ჩ. ზედა, საქმე 11.15; ჴური არს ჩ. ზედა, საქმე 19.27ႢႪႭ; მოწევნად ჩ. ზედა, საქმე 19.27Ⴚ; გამობრწყინდა ნათელი დიდი ჩ. ზედა, საქმე 22.6ႢႪႭ; აჩუენოს... გარდამატებული იგი სიმდიდრე ჩ. ზედა, ეფეს. 2.7; მოსცხო ჩ. ზედა, ტიტე 3,6; დამკჳდრებით ჩ. ზედა, გამოცხ. 6.16.

ჯერ-არს უკუე ჩუენ თანა, საქმე 1,21ႢႪႭ; ჩ. თანა ყოფად ერთი ამათგანი, საქმე 1,22; მოვიდეს ჩ. თანა მოწაფენიცა, საქმე 21,16; შევიდა პავლე ჩ. თანა იაკობისა, საქმე 21,18; რომელნი ჩ. თანა ხართ, საქმე 25,24; ჩ. თანა იყო არისტარქოს. საქმე 27,2; სიკუდილი ჩ. თანა შეიქმნების, 2 კორ. 4,12; რომელი-იგი შეიქმს ჩ. თანა, 2 კორ. 5,5; დადვა ჩ. თანა სიტყუაჲ იგი დაგებისაჲ, 2 კორ. 5,19; შეიქმს ჩ. თანა ნებასაცა, ფილიპ. 2,13ႢႪႭ; ისწავეთ ეპაფრÜსგან საყუარელისა ჩ. თანამონისა, კოლ. 1,7; რომელსა შეწევნასა ჰყოფს ჩ. თანა, კოლ. 1,29Ⴍ; გაუწყოს... ჩ. თანა მონამან, კოლ. 4,7AB რედაქციის ხელნაწერები; ლხინი ჩ. თანა, 2 თეს. 1,7; რომელმან-იგი დაიმკჳდრა ჩ. თანა, 2 ტიმ. 1,14; მადლი ჩ. თანა, 2 ტიმ. 4,22; ფილემ. 1,25ႦႭ; ფილემონს...ჩ. თანა მოღუაწსა. ფილემ. 1,1ႠႦ; რომელი დამკჳდრებულ არს ჩ. თანა, იაკ. 4,5; ზიარებაჲ გაქუნდეს ჩ. თანა, 1 იოვ. 1,3; ჭეშმარიტებაჲ ჩ. თანა არა არს, 1 იოვ. 1,8; და-მცა-დგრომილ იყუნეს ჩ. თანა, 1 იოვ. 2,19; ჩ. თანა არს, 1 იოვ. 3,24; ამით აღსრულებულ არს სიყუარული ჩ. თანა, 1 იოვ. 4,17; ჩ. თანა იყოს უკუნისამდე, 2 იოვ. 1,2; იყოს ჩ. თანა მადლი, 2 იოვ. 1,3.

მიერ ძმათა ესმა ჩუენთჳს, საქმე 28,15; ქრისტÜ ჩ. მოკუდა, ჰრომ. 5,8; მეოხ არს ჩ., ჰრომ. 8,26; 8,34; ზატიკად ჩუენდა ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე, 1 კორ. 5.7CD; ჩ. სამე იტყჳს, 1 კორ. 9,10; შეწევნითა მით ლოცვათა თქუენთაჲთა ჩ., რაჲთა მრავლითა პირითა ჩუენდა მომართ მადლი იგი მრავალთა მიერ მადლის მისაცემელ იყო ჩუენთჳს, 2 კორ. 1,11; დიდსა დიდებასა შეიქმს ჩ., 2 კორ. 4,17; მიზეზ გცემთ თქუენ სიქადულისასა ჩ., 2 კორ. 5,12; ჩ. ცოდვაჲ ქმნა, 2 კორ. 5,21; მითხრობდა თქუენსა მას შურსა ჩ., 2 კორ. 7,7ႢCD; იქმნა ჩ. წყევასა ქუეშე, გალ. 3,13; მისცა თავი თჳსი ჩ., ეფეს. 5,2; ტიტე 2,14; რაჲთა უწყოდით ჩ., ეფეს. 6,22; აღჰოცა ჩ. ჴელით წერილი, კოლ. 2,14; გითხრან თქუენ ჩ., 1 თეს. 1,9; რომელი მოკუდა ჩ., 1 თეს. 5,10; ილოცევდით ჩ., 2 თეს. 3,1; ებრ. 13,18Ⴂ; სადა-იგი წინამორბედი შევიდა ჩ. იესუ, ებრ. 6,20; შევიდა... ჩუენებად პირსა ღმრთისასა ჩ., ებრ. 9,24; ღმერთმან ჩ. უმჯობÜსი... განიგულა, ებრ. 11,40; ქრისტემანცა ივნო ჩ., 1 პეტ. 2,21ႢႪႭ; ქრისტემან რაჲ ივნო ჩ. ჴორცითა, 1 პეტ. 4,1ႪႭ; მან ჩ. სული თჳსი დადვა, 1 იოვ. 3,16; არა დაიწერა მისთჳს ხოლო... არამედ ჩუენთჳსცა, ჰრომ. 4,24; ილოცევდით მას თანა ჩ., კოლ. 4,3; ილოცევდით ჩ., 1 თეს. 5,25 (-ცა Ⴇ), ებრ. 13,18.

ღმერთი ჩუენ კერძო არს, ჰრომ. 8,31.

რომელთა ჩუენ მიერ ეგევითარი ბრძანებაჲ არა აქუნდა, საქმე 15,24; რაჲთა ჩ. მიერ ისწავოთ, 1 კორ. 4,6; ჩ. მიერ თქუენ შორის იქადაგა, 2 კორ. 1,19; ამენი ღმრთისა სადიდებელად ჩ. მიერ, 2 კორ. 1,20; გამოაჩინის ჩ. მიერ, 2 კორ. 2,14; რომელი იმსახურა ჩ. მიერ, 2 კორ. 3,3; ღმერთი გლოცავს ჩ. მიერ, 2 კორ. 5,20; არა შეიწრებულ ხართ ჩ. მიერ, 2 კორ. 6,12; იმსახურებისა ჩ. მიერ, 2 კორ. 8,19; 8,20; რომელ-იგი შეიქმნების ჩ. მიერ, 2 კორ. 9,11; გეხარა თქუენ ჩ. მიერ, გალ. 1,11Ⴂ; მიიღეთ თქუენ სიტყუაჲ იგი... ჩ. მიერ, 1 თეს. 2,13; ნუცა აღშფოთნებით... ჩ. მიერ, 2 თეს. 2,2.

შერაცხილ იყო ჩუენ შორის, საქმე 1,17; საფლავი მისი არს ჩ. შორის, საქმე 2,29; იქცეოდა ჩ. შორის, საქმე 10,38; ჩ. შორის გამოირჩია ღმერთმან, საქმე 15.7HI; არარაჲთ განიკითხა ჩ. შორის, საქმე 15,9; არიან ჩ. შორის კაცნი, საქმე 21,23; რაჲთა სიმართლÜ იგი შჯულისაჲ აღესრულოს ჩ. შორის, ჰრომ. 8,4; ესცნობთ ძალისა მისებრ შეწევნისა ჩ. შორის, ეფეს. 3,20; ყოველთა ზედა არს და ჩ. ყოველთა შორის, ეფეს. 4,6CD; ყვის საჲინოებაჲ მისი ჩ. შორის, ებრ. 13,21; რომელ არს ჩ. შორის, ფილემ. 1,6; სიტყუაჲ მისი არა არს ჩ. შორის, 1 იოვ. 1,10; ამით გამოცხადნა სიყუარული ღმრთისაჲ ჩ. შორის, 1 იოვ. 4,9; ღმერთი ჩ. შორის არს და სიყუარული მისი ჩ. შორის, აღსრულებულ არს. 1 იოვ. 4,12; მის თანა ვჰგიეთ და იგი ჩ. შორის, 1 იოვ. 4,13; რომელი დამკჳდრებულ არს ჩ. შორის, 2 იოვ. 1,2.

განვიდა ჩუენდა უფალი იესუ, საქმე 1,21ႢႪႭ; ჯერ-არს უკუე ჩ., საქმე 1,21; მოიხილე ჩ., საქმე 3,4; რომლითამცა ჯერ-იყო ცხორებად ჩ., საქმე 4,12; არა სათნო არს ჩ. დატევებაჲ სიტყჳსა ღმრთისაჲ, საქმე 6,2; შეიწყნარნა სიტყუანი იგი ცხორებისანი მოცემად ჩ., საქმე 7,38ႢႪႭ; ნუ გცონინ მოსლვად ჩ. ოდენ, საქმე 9,38; იწყო მან თხრობად ჩ., საქმე 11,13; გარდამოსრულ არიან ჩ., საქმე 14,11; არა ჯერ-არს ჩ., საქმე 16,21; მოუვლინებიან იდუმალ განყვანებად ჩ., საქმე 16,37ႹႪ; ესე ჭირ არს ჩ., საქმე 19,27; ესე ჭირ არს ჩუენდა ადგილდ მხილებისა მოწევნად ჩ., საქმე 19,27ႹႪ; მოვიდა ჩ. ასონდ, საქმე 20,14; მოვიდა ჩ., საქმე 21,11; წარვიწირეთ სასოებაჲ ყოველი ცხორებად ჩ., საქმე 27,20ႹႪႪႭ; მოვიდეს შემთხუევად ჩ., საქმე 28,15; ჴდომისა მისთჳს უწყებულ არს ჩ., საქმე 28,22; ვითარცა იტყჳან ვინმე ჩ. სიტყუად, ჰრომ. 3,8; რომელ-იგი მოცემულ არს ჩ., ჰრომ. 5,5; ვინ არს ძჳრის მეტყუელ ჩ., ჰრომ. 8,31; გუაქუს ჩუენ ნიჭები მადლისა მისებრ მოცემულისა ჩ., ჰრომ. 12,6CD; აწვე არს ჟამი განღჳძებად ჩ. ძილისაგან. აწ უმახლობელÜს არს ჩ. ცხოვრებაჲ, ჰრომ. 13,11; ჩ. სამოძღურებელად დაიწერნეს, ჰრომ. 15,4; რომელი იქმნა ჩ. სიბრძნე ღმრთისა მიერ, 1 კორ. 1,30; რომელ-იგი პირველადვე გამოაჩინა ღმერთმან... სადიდებელად ჩ., 1 კორ. 2,7; რაჲთა ვიცოდით ღმრთისა მიერ მონიჭებული ჩ., 1 კორ. 2,12; ზატიკად ჩ. დაიკლა ქრისტÜ, 1 კორ. 5,7; ჩ. ერთ არს ღმერთი მამაჲ, 1 კორ. 8,6; უკუეთუ სხუანი თქუენისაგან მიიღებენ, არა-მე უფროჲსღა ჩ., 1 კორ. 9,12; ესენი სახედ ჩ. იქმნნეს, 1 კორ. 10,6; დაიწერა სამოძღურებელად ჩ., 1 კორ. 10,11; სიქადულ თქუენდა ვართ, ვითარცა თქუენ ჩ., 2 კორ. 1,14CD; დაგჳმძიმდა ვიდრე წარწირვადმდე ჩ. ცხოვრებისაცა, 2 კორ. 1,8; წიგნ ჩ. თქუენ ხართ, 2 კორ. 3,2; იკურთხა... თანა-გუნდად ჩ., 2 კორ. 8,19; ჩ. — ცხორება, ფილიპ. 1,28Ⴊ; რომელი იყო ანტაკრად ჩ., კოლ. 2,14; მობაძავ ჩ. იქმნენით, 1 თეს. 1,6; გამოცდილ ვართ ღმრთისაგან რწმუნებად ჩ. სახარებაჲ იგი, 1 თეს. 2,4; საყუარელ ჩ. იქმნენით, 1 თეს. 2,8; მოვიდა ტიმოთე ჩ., 1 თეს. 3,6; ვითარ-იგი ღირს ბაძვაჲ ჩ., 2 თეს. 3,7; მრავალ არს ჩ. სიტყუად, ებრ. 5,11; სადა-იგი წინამორბედად ჩ. შევიდა იესუ, ებრ. 6,20ႭႧ; შე-ვე-ესევითარი ჰგვანდა ჩ. მღდელთმოძღუარი, ებრ. 7,26; მაქუს გარე-მოდგომილი ჩ. სიმრავლე წმიდათა მოწამეთაჲ, ებრ. 12,1CD; ვრბიოდით წინა-განმზადებულსა მას ჩ. ღუაწლსა, ებრ. 12,1Ⴇ; საკადრებელ არს ჩ. თქუმად, ებრ. 13,6CD; ესე -კმა-იყავნ ჩ., 1 ტიმ. 6,8; გამოჩნდა... სამოძღურებელად ჩ., ტიტე 2,12; დამორჩილებად ჩ. იგი, იაკ. 3,3; კმა არიან ჩ. წარსრულნი-

ცა იგი ჟამნი ამის ცხორებისანი, 1 პეტ. 4.3ႢႪႭ; რომელთა-ეგე სწორი ჩ. პატივი ხუედრებულ არს, 2 პეტ. 1.1ႢႪႭ; ჩ. ჯერ-არს შეწყნარებაჲ ეგევითართაჲ მათ, 3 იოვ. 1,8; ნუ ჰყონის მოსლვად ვიდრე ჩუენდამდე, საქმე 9,38DႢႪႭ; გამოაცხადა თჳსი იგი სიყუარული ჩუენდა მომართ ღმერთმან, ჰრომ. 5,8; გამოჩინებად არს ჩ. მომართ, ჰრომ. 8,18; ჰმატან ვნებანი ქრისტჱსნი ჩ. მომართ, 2 კორ. 1,5; მიზეზ-ჰცემთ თქუენ სიქადულის ჩ. მომართ, 2 კორ. 5,12; გამოჩნდეს მოწრაფებაჲ თქუენი ჩ. მომართ, 2 კორ 7,12; წარემატებით... ჩ. მომართ სიყუარულითა, 2 კორ. 8,7ႠႨb; ვიცი გულს-მოდგინებაჲ ეგე თქუენი ჩ. მომართ, 2 კორ. 9,2; გარდაჰმატა ჩ. მომართ, ეფეს. 1,8; რაჲ-იგი არს... სიმდიდრჱ ძლიერებისა მისისაჲ ჩ. მომართ, ეფეს. 1,19; მსმენელთა მათგან ჩ. მომართ განმტკიცნა, ებრ. 2,3; არა აქუნდეს ჩ. მომართ სიტყუად ბოროტისა, ტიტე 2,8; რომელი აქუს ღმერთსა ჩ. მომართ, 1 იოვ. 4,16.

ჩუენ-ი: ისმინე ჩუენი, საქმე 24,4; შერაცხად რაჲსმე რეცათუ ჩ., 2 კორ. 3,5Ⴍ; ისმინოს ჩ., 1 იოვ. 4,6; 5,14; 5,15; მან არა ისმინოს ჩ., 1 იოვ. 4,6.

თჳსი სიტყუაჲ ჩუენი, საქმე 2,8; შესლვაჲ ჩ., საქმე 14,1; 21,1; სარეწავი ჩ., საქმე 19,25; ნათესავი ჩ., საქმე 26,7; წარსლვაჲ ჩ., საქმე 27,1; სიცრუჱ ჩ., ჰრომ. 3,5; მამაჲ იგი ჩ., ჰრომ. 4,1; ძუელი იგი კაცი ჩ., ჰრომ. 6,6; სასმენელი ჩ., ჰრომ. 10,16; კაცად-კაცადი ჩ., ჰრომ. 15,2; ძმაჲ ჩ., ჰრომ. 16,23; 2 კორ. 8,22; 1 თეს. 3,2; ებრ. 13,23; უფალი ჩ., 1 კორ. 9,1; 11,23Ⴂ; 16,22; ებრ. 7,14; 13,20; ქადაგებაჲ ესე ჩ., 1 კორ. 15,14; სასოებაჲ ჩ., 1 თეს. 2,19; სიქადული ჩ., 2 კორ. 1,12; სიტყუაჲ იგი ჩ., 2 კორ. 1,18; შეძლებაჲ ჩ., 2 კორ. 3,5; მსახურებაჲ ესე ჩ., 2 კორ. 4,1Ⴀ; სახარებაჲ ესე ჩ., 2 კორ. 4,3; 1 თეს. 1,5; კაცი ჩ., 2 კორ. 4,16; შინაგანი ჩ., 2 კორ. 4,16; მცირჱ ჭირი ჩ., 2 კორ. 4,17; საყოფელი ჩ., 2 კორ. 5,1; საყოფელი იგი ჩ., 2 კორ. 5,2; გული ჩ., 2 კორ. 6,11; 1 იოვ. 3,20; 3,21; პირი ჩ., 2 კორ. 6,11; სიქადული იგი ჩ., 2 კორ. 7,14; 9,3; დედაჲ ჩ., გალ. 4,26; მშჳდობაჲ ჩ., ეფეს. 2,14; ბრძოლაჲ ჩ., ეფეს. 6,12; ცხორებაჲ იგი ჩ., კოლ. 3,4; თანა-ტყუჱ ჩ., კოლ. 4,10ႢႪCD; იესუ, მჴსნელი ჩ., 1 თეს. 1,10; შემოსლვაჲ იგი ჩ., 1 თეს. 2,1; ნუგეშინის-ცემაჲ ესე ჩ., 1 თეს. 2,3; თანა-შემწე ჩ., 1 თეს. 3,2CD; შურომაჲ იგი ჩ., 1 თეს. 3,5; ჴსენებაჲ ჩ., 1 თეს. 3,6; გზაჲ ჩ., 1 თეს. 3,11CD; წამებაჲ ჩ., 2 თეს. 1,10; 3 იოვ. 1,12; კრძალვაჲ ჩ., ებრ. 2,1; სიტყუაჲ ესე ჩ., ებრ. 4,13; ღმერთი ჩ., ებრ. 12,29; გამოცხ. 19,6; მამაჲ ჩ., იაკ. 2,21; მსგავსი ჩ., იაკ. 5,17; ზიარებაჲ იგი ჩ., 1 იოვ. 1,3; სიხარული იგი ჩ., 1 იოვ. 1,4ႤႪႭ; 2 იოვ. 1,12; სარწმუნოებაჲ ჩ., 1 იოვ. 5,4.

ჩუენი საყოფელი, ფილიპ. 3,20; ესე ჩ. სახლი, 2 კორ. 5,1ႤႪႭ.

უფალმან ღმერთმან ჩუენმან, საქმე 2,39; კაცად-კაცადმან ჩ., ჰრომ. 14,12CD; თანა-მონამან ჩ., კოლ. 4,7; მამამან ჩ., 1 თეს. 3,11; 2 თეს. 2,16; უფალმან ჩ., 1 თეს. 3,11; 2 თეს. 2,16; 1 ტიმ. 1,12; 2 პეტ. 1,14; ძმამან ჩ., 2 პეტ. 3,15.

არარაჲსთ უმჯობჱს ჩუენსა, გალ. 2,6Ⴍ; მაქუს გარემოდგომილი ჩ. სიმრავლჱ მოწამეთაჲ, ებრ. 12,1; ისმინს ჩ., 1 იოვ. 5,14ႢႪႭ; თჳნიერ ჩ. ჰსუფევდით, 1 კორ. 4,8; რაჲსთა არა თჳნიერ ჩ. სრულ იქმნენ, ებრ. 11,40; არარაჲ განიკითხა შორის ჩ. და მათსა, საქმე 15,9ႢႪႭ.

მამასა ჩუენსა, საქმე 7,2; ფილიპ. 4,20; ნათესავსა ჩ., საქმე 7,19; ქალაქსა ამას ჩ., საქმე 16,20; მისლვასა ჩ., საქმე 21,17; წარსლვასა ჩ., საქმე 28,10; სულსა მას ჩ., ჰრომ. 8,16; უძლურებასა ჩ., ჰრომ. 8,26; დასა ჩ., ჰრომ. 16,1; თანა-შემწესა ჩ., ჰრომ. 16,9CD; უფალსა ჩ. იესუ ქრისტესა, ჰრომ. 16,18; იუდა 1,4; ყოველსა ადგილსა მათსა და ჩ., 1 კორ. 1,2CD; ჩინებულებასა ჩ., 1 კორ. 1,26Ⴈb; თჳთოეულსა ჩ., 1 კორ. 12,7CD; უშუერსა მას ჩ. ... შუენიერსა მას ჩ., 1 კორ. 12,24; აზნაურებასა მას ჩ., გალ. 2,4; კაცად-კაცადსა ჩ., ეფეს. 4,7CD; სიტყუასა ჩ., 2 თეს. 3,14; თანამოღუაწსა ჩ., ფილემ. 1,1; თანა-მოსაგრესა ჩ., ფილემ. 1,2; მაცხოვარსა ჩ., იუდა 1,25; სისხლსა ჩ., გამოცხ. 6,10; ღმერთსა ჩ., გამოცხ. 19,5; ნუგეშინის-ცემასა მას ჩ. ზედა, 2 კორ. 7,13.

ჩუენსა ღუაწლსა, ებრ. 12,1.

სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა, საქმე 2,38; 6,8; 14,10; 16,18C; 1 კორ. 1,10; 5,4CD; 6,11; ეფეს. 5,20; 2 თეს. 3,6CD;წამებასა მას აღდგომისა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა, საქმე 4,33; სახარებითა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსითა, საქმე 5,42; მადლითა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსითა, საქმე 15,11; 2 თეს. 1,12; სახელისათჳს უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსისა, საქმე 15,26; კაცად-კაცადისაგან ჩ., საქმე 17,27; ღმრთისა ჩ., საქმე 19,37; მსგავსად შჯულისა ჩ., საქმე 24,6ႢႪႭ; ნათესავისა ჩ., საქმე 24,17Ⴍ; უფლისა ჩ., საქმე 25,26F; მსახურებისაებრ ჩ., საქმე 26,5ႤႪ; უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსთჳს, საქმე 28,31G; ღმრთისა მიერ მამისა ჩ., ჰრომ. 1,7; 2 კორ. 1,2ႤႪႢCD; 1 კორ. 1,3; ფილიპ. 1,2; კოლ. 1,3; 1 თეს. 1,1CD; 2 თეს. 1,1; 1 ტიმ. 1,2CD; აბრაჰამისგან მამისა ჩ., ჰრომ. 4,1D; კუალთა მათ წინადაუცუეთილებისა სარწმუნოებისათა მამისა ჩ. (-ა ႤႪ) აბრაჰამისთა, ჰრომ. 4,12; აღმადგინებელი უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსი, ჰრომ. 4,24; იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩ., ჰრომ. 5,11CD; 7,25; ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩ., ჰრომ. 5,21; 6,11CD; 8,39; 1 კორ. 15,31; 16,24ႠႨb; ეფეს. 3,11; იუდა 1,25; ისაკ მამისა ჩ., ჰრომ. 9,10; მამასა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა, ჰრომ. 15,6; კოლ. 1,3CD; მადლი უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსი, ჰრომ. 16,20; 16,27; 1 კორ. 16,23; 2 კორ. 8,9; 13,13; გალ. 6,18; ფილიპ. 4,23; 1 თეს. 5,28;2 თეს. 3,18; ებრ. 13,25; ფილემ. 1,25CD; გამოცხ. 22,21; სახელსა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა, 1 კორ. 1,2; ღმრთისა მიერ მამისა ჩ. და უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსა, 1 კორ. 1,3; ეფეს. 1,2; ფილემ. 1,3; გამოჩინებასა მას ჩ. იესუ ქრისტჱსსა, 1 კორ. 1,7; დღესა მას უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა, 1 კორ. 1,8; 5,5; 2 კორ. 1,14CD; ზიარებასა მას... იესუ ქრისტეს უფლისა ჩ., 1 კორ. 1,9Ⴀ; ძალითა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსითა, 1 კორ. 5,4; ღმრთისა მიერ... უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსა, 2 კორ. 1,2; გალ. 1,3ႭႢ; ეფეს. 6,23; ფილიპ. 1,2ႭႠb; 1 თეს. 1,1Ⴍ; 2 თეს. 1,2; 2 ტიმ. 1,2; პირისა მისთჳს ჩ., 2 კორ. 1,8CD; უფროჲს ძალისა ჩ., 2 კორ. 1,8CD; საქმის ზიარისა მის ჩ., 2 კორ. 8,23CD; წესისაებრ ჩ., 2 კორ. 10,15; მამამან უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსმან, 2 კორ. 11,31; ჯუარითა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსითა, გალ. 6,14; წყლულნი იგი უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსნი, გალ. 6,17; მამაჲ უფლისა ჩ. იესუ

ქრისტჱსი, ეფეს. 1,3; 1 პეტ. 1,3; გამოსაჴსრად შეწევნისა ჩ., ეფეს. 1,14ႫႪCD; ღმერთმან უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსმან, ეფეს. 1,17; ყოველთა თანა მოყუარეთა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსთა, ეფეს. 6,24; ვიდრე დღემდე უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსა, ფილიპ. 1,6Ⴂ; საყუარელისა თანა-მონისა ჩ., კოლ. 1,7; წინაშე ღმრთისა ჩ., 1 თეს. 3,9; წინაშე ღმრთისა და მამისა ჩ., 1 თეს. 1,3; 3,13; გამოცხ. 12,10; მოთმინებასა მას სასოებისასა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა, 1 თეს. 1,3; მოსლვასა მას უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა, 1 თეს. 3,13; 5,23; დღესა მას უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა გამოჩინებასა, 2 თეს. 1,7; სახარებასა მას უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა, 2 თეს. 1,8; სახელი უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსი, 2 თეს. 1,12; მოსლვისა მისთჳს უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსისა, 2 თეს. 2,1; სახარებისა მიერ ჩ., 2 თეს. 2,14CD; შესაწევნელად დიდებისა უფლისა ჩ. იესუ ქრისტესა, 2 თეს. 2,14; სარწმუნოებისა ჩ., ებრ. 12,2; ბრძანებითა ღმრთისა მაცხოვრისა ჩ., 1 ტიმ. 1,1Ⴍ; ღმრთისა მიერ მამისა და ქრისტე იესუს უფლისა ჩ., 1 ტიმ. 1,2; ქრისტე იესუს უფლისა ჩ., 1 ტიმ. 1,12CD; სიყუარული უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱს მიერ, 1 ტიმ. 1,14Ⴍ; წინაშე მაცხოვრისა ჩ. ღმრთისა, 1 ტიმ. 2,3; სიტყუათა უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსთა, 1 ტიმ. 6,3; ვიდრე გამოჩინებადმდე უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსა,1 ტიმ. 6,14; გამოჩინებითა მით მაცხოვრისა ჩ. იესუ ქრისტჱსითა, 2 ტიმ. 1,10; ტიტე 2,13; იესუ ქრისტჱს მიერ, მაცხოვრისა ჩ., ტიტე 1,4; 3,6; მოძღურებასა იგი მაცხოვრისა ჩ. ღმრთისასა, ტიტე 2,10; კაცთ მოყუარებაჲ გამოჩნდა მაცხოვრისა ჩ. ღმრთისაჲ, ტიტე 3,4; სარწმუნოებაჲ იგი უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსი, იაკ. 2,1; სიმართლითა ღმრთისა ჩ. იესუ ქრისტჱსითა, 2 პეტ. 1,1ႪႭ; მეცნიერებითა... უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსითა, 2 პეტ. 1,2; 2,20; 3,18; უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსსა მას გამოცხობასა, 2 პეტ. 1,8; სასუფეველსა უფლისა ჩ. იესუ ქრისტესა, 2 პეტ. 1,11ႪႭ; უფლისა ჩ. იესუ ქრისტჱსი ძალი, 2 პეტ. 1,16; მცნებანი... მაცხოვრისა ჩ. იესუ ქრისტჱსნი, 2 პეტ. 3,2ႫႪ; უფლისა ჩ. იგი სულგრძელებაჲ, 2 პეტ. 3,15ႪႭ; გულისა ჩ., 1 იოვ. 3,20; უფლისა ჩ., იუდა 1,17; წყალობასა ჩ. იესუ ქრისტჱსსა, იუდა 1,21; ღმრთისა ჩ., გამოცხ. 5,10; ძალი ღმრთისა ჩ., გამოცხ. 7,12C; სუფევაჲ სოფლისაჲ უფლისა ჩ., გამოცხ. 11,15B.

გამოჩინებაჲ... ჩ. სიქადულისაჲ, 2 კორ. 8,24; საჭურველი ჩ. მის მჴედრობისაჲ, 2 კორ. 10,4CD; საჭურველი ჩ. მის განწესებისაჲ, 2 კორ. 10,4Ⴂ; ჩ. შეკრებისათჳს, 2 თეს. 2,1; მსგავსად ჭეშმარიტისა მის მსახურებისა ჩუენისაებრ, საქმე 26,5.

განმართლებისა ჩუენისათჳს, ჰრომ. 4,25; გუამისა ჩ., 1 კორ. 6,13Ⴂb; ჭირისა მის ჩ., 2 კორ. 1,8; ჴელმწიფებისა ამის ჩ., 2 კორ. 10,8; შეწევნისა ჩ., ეფეს. 1,14; ზოგადისა მის ცხორებისა ჩ., იუდა 1,3; მამისა ჩუენისა მიერ, საქმე 4,25; უფლისა ჩ. მიერ იესუ ქრისტჱსსა, ჰრომ. 1,7; 5,1; 14,14ႫႪ; 15,30; 1 კორ. 15,57; 1 თეს. 5,9; 2 თეს. 3,12CD; ღმრთისა ჩ. მიერ, 1 თეს. 2,2; უფლისა ჩ. მიმართ, საქმე 20,21.

ენითა ჩუენითა, საქმე 2,8Ⴍ; 2,11; ჴელითა ჩ., 1 კორ. 4,12; 1 იოვ. 1,1HJ; შეცოდებითა ჩ., ეფეს. 2,5; სახარებითა მით ჩ., 2 თეს. 2,14; წიგნითა ამით ჩ., 2 თეს. 2,15; თუალითა ჩ., 1 იოვ. 1,1.

უფალო ღმერთო ჩუენო, გამოცხ. 4,11.

მამანი ჩუენნი, საქმე 7,11; 7,12; 7,15; 13,17; 1 კორ. 10,1; ძმანი ჩ., საქმე 15,36ႪႭ; 2 კორ. 8,23; თავნიცა ჩ., საქმე 27,10; ნუგეშინის-ცემანი ჩ., 2 კორ. 1,5; სიქადულნი თქუენნი ვართ, ვითარცა თქუენ — ჩ., 2 კორ. 1,14; თავნი ჩ., 2 კორ. 7,1; შურომანი იგი ჩ., 1 თეს. 2,9; დიდებანი ჩ., 1 თეს. 2,20; გზანი ჩ., 1 თეს. 3,11; ცოდვანი ჩ., 1 პეტ. 2,24; 1 იოვ. 1,9 (2-ჯერ); 3,5; ჴელნი ჩ., 1 იოვ. 1,1; გულნი ჩ., 1 იოვ. 3,19; ისწავებდედ ჩუენნიცა იგი, ტიტე 3,14.

მამათა მათ ჩუენთა, საქმე 7,39; მამათა ჩ., საქმე 7,45; 15,10.

მამათა ჩუენთა, საქმე 3,25ႪႭ; 7,19; 7,38; ებრ. 1,1; პავლეს და ბარნაბაის თანა საყუარელთა ჩ., საქმე 15,25; სასმენელთა ჩ., საქმე 17,20; გულთა შინა ჩ., ჰრომ. 5,5; 2 კორ. 7,3; გალ. 4,6CD; ასოთა შინა ჩ., ჰრომ. 7,5; იაკ. 3,6; თავთა შინა ჩ., ჰრომ. 8,23; უძლურებათა ჩ., ჰრომ. 8,26CD; ყოველთა ადგილთა ჩ., 1 კორ. 1,2; მაგინებელთა ჩ., 1 კორ. 4,12; მგმობართა ჩ., 1 კორ. 4,13; ყოველთა შინა ჭირთა ჩ., 2 კორ. 1,4; თავთა ჩ., 2 კორ. 1,9ႫႪ; 4,2; 4,5; გულთა ჩ., 2 კორ. 1,22;3,2; 4,6; გალ. 4,6; ჴორცთა შინა ჩ., 2 კორ. 4,10 (2-ჯერ); 4,11; ჴორცთა ჩ., 2 კორ. 7,5; ყოველთა ზედა ჭირთა ჩ., 2 კორ. 7,4; ჭირთა შინა ჩ., ეფეს. 3,13ႭႂႢ; ლოცვათა შინა ჩ., 1 თეს. 1,2; 2 ტიმ. 1,3Ⴊ; ჭირთა ჩ., 1 თეს. 3,7; სიტყუათა ჩ., 2 ტიმ. 4,15; მეგობართა ჩ., 3 იოვ. 1,15; ჩ. სიტყუათა, 2 ტიმ. 4,15CD; ჴელთაგან ჩ., საქმე 24,7ႪႭ; სასოებისათჳს მამათა ჩ. აღთქუმულისა, საქმე 26,6ႪႭ; ვნებათა მათ ჩ., 2 კორ. 1,7CD; გულთა ჩ., 1 თეს. 2,4; უძლურებათა ჩ., ებრ. 4,15; არა საქმეთათჳს ჩ., 2 ტიმ. 1,9; ქუეშე ფერჴთა ჩ., იაკ. 2,3ႪႭ; ცოდვათა ჩ., 1 იოვ. 2,2 (2-ჯერ); 4,10; სულთა ჩ. დადებაჲ, 1 იოვ. 3,16ႪႭ; განგუბანნა ცოდვათა ჩუენთაგან, გამოცხ. 1,5; მამათა ჩუენთა თანა, საქმე 7,44; ცოდვათა ჩუენთათჳს, ჰრომ. 4,25; 1 კორ. 15,3; გალ. 1,4; 1 პეტ. 3,18; შეცოდებათა მათ ჩ., ებრ. 10,26; საქმეთა ჩ., 2 ტიმ. 1,9CD.

სასოებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ, საქმე 27,20; წამებაჲ გონებისა ჩ., 2 კორ. 1,12; გამოჩინებაჲ იგი სიქადულისა ჩ., 2 კორ. 8,24Ⴂ; საჭურველი იგი განწესებისა ჩ., 2 კორ. 10,4; წინდი მკჳდრობისა ჩ., ეფეს. 1,14; ეპაფროდიტჱსი, ძმისა ჩ., ფილიპ. 2,25; გჳრგჳნი სიქადულისა ჩ., 1 თეს. 2,19; მღდელთმოძღუარი აღსარებისა ჩ. (ჩუენისა Ⴡ), ებრ. 3,1CD; მადლი იგი უფლისა ჩ., 1 ტიმ. 1,14; წამებაჲ იგი უფლისა ჩ., 2 ტიმ. 1,8; მოძღურებაჲ იგი მაცხოვრისა ჩ. ღმრთისაჲ, ტიტე 2,10Ⴂh; მაცხოვარებაჲ ღმრთისა ჩ., გამოცხ. 7,10; ძალი ღმრთისა ჩ., გამოცხ. 7,12; სუფევაჲ სოფლისაჲ უფლისა ჩ., გამოცხ. 11,15; სუფევაჲ ღმრთისა ჩ., გამოცხ. 12,10; დიდებაჲ ღმრთისა ჩ., გამოცხ. 19,1; ზიარებასა მას... უფლისა ჩუენისასა, 1 კორ. 1,9; მამასა უფლისა ჩ., კოლ. 1,3; სასუფეველსა ღმრთისა ჩ., 2 პეტ. 1,11; მადლსა ღმრთისა ჩ., იუდა 1,4; სასოებისა ჩუენისას (?), 1 ტიმ. 1,1Ⴍ; აღდგომითა მით მკუდრეთით იესუ ქრისტჱს უფლისა ჩუენისაჲთა, ჰრომ. 1,4; სულითა ღმრთისა ჩ., 1 კორ. 6,11; ნებითა... მამისა ჩ., გალ. 1,4; ზღვევად გარდარეულისა მისთჳს მეცნიერებისა ქრისტე იესუს უფლისა ჩ., ფილიპ. 3,8ႭCD; განვეცხადენით ღმრთისა ჩ. მიერ, 1 თეს.

2,2Ⴍ; მადლითა მით ღმრთისა ჩ., 2 თეს. 1,12; ბრძანებითა ღმრთისა მაცხოვრისა ჩ., 1 ტიმ. 1,1; ტიტე 1,3; ბრძანებითა... იესუ ქრისტჱს — ,სასოებისა ჩ., 1 ტიმ. 1,1; ჴორცნი ესე სიმდაბლისა ჩუენისანი, ფილიპ. 3,21; მონანი ღმრთისა ჩ., გამოცხ. 7,3; მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ, ეფეს. 1,7; კოლ. 1,14; განწმედაჲ ცოდვათა ჩ., ებრ. 1,3; მომტევებელი ცოდვათა ჩ., 1 იოჳ. 2,2ႢႪႭ (2-ჯერ); შესასმენელი ძმათა ჩ., გამოცხ. 12,10; ღმერთმან მამათა ჩუენთამან, საქმე 3,13; 5,30; 22,14; გამოჴსნასა მას ჴორცთა ჩუენთასა, პრომ. 8,23; ნებასა ჴორცთა ჩ., ეფეს. 2,3; პირისაგან მამათა ჩუენთაჲსა, საქმე 7,45; სასოებისათჳს მამათა ჩ. აღთქუმისა, საქმე 26,6; გულის თქუმითა მით ჴორცთა ჩუენთაჲთა, ეფეს. 2,3.

ჩუენგან-ი: არავინ ჩუენგანი... ცოცხალ არს, პრომ. 14,7; კაცად-კაცადი ჩ., პრომ. 15,2ႡႪ; კაცად-კაცადმან ჩუენგანმან, პრომ. 14,12; კაცად-კაცადსა ჩუენგანსა მოცემულ არს, ეფეს. 4,7; შემძლებელ ვართ შერაცხად რაჲსმე ჩუენგანად, 2 კორ. 3,5Ⴀ; ჩუენგანნი ვინმე განვიდეს, საქმე 15,24; არა იყუნეს ჩ., უკუეთუმცა იყვნეს ჩ. ... არა არიან ყოველნი ჩ., 1 იოჳ. 2,19.

1. ჩუენება ჩვენება; დასაბუთება, ა—3: მეწევნასა აჩუენებს (ὅς καὶ ἐνεργεῖται) თქუენ შორის მორწმუნეთა მაგათ, 1 თეს. 2,13; სარწმუნოებასა აჩუენებედ კეთილსა, ტიტე 2,10ႢCD; ყოველსავე ა. სიმშჳდესა, ტიტე 3,2ႢCD; აჩუენებდა ἐπιδεικνύς წიგნთაგან, საქმე 18,28; სარწმუნოებასა აჩუენებდედ კეთილსა, ტიტე 2,10; ყოველსავე ა. სიმშჳდესა. ტიტე 3,2; რაჲთა მასვე აჩუენებდეთ მოწრაფებასა, ებრ. 6,11; სარწმუნოებასა აჩუენებდენ კეთილსა, ტიტე 2,10Ⴍ; კაცთ მოყუარებაჲ აჩუენა (χρησάμενος, ფიცყჷალ) იელიოს პავლჱსთჳს, საქმე 27,3; რომელი აჩუენეთ სახელისა მისისათჳს, ებრ. 6,10; აჩუენენ კეთილთაგან სლვათა საქმჱ თჳსი, იაკ. 3,13; გამოჩინებაჲ იგი სიყუარულისა თქუენისაჲ... აჩუენეთ, 2 კორ. 8,24; რაჲთა ვაჩუენო შენ ზედა ძალი ჩემი, პრომ. 9,17; რაჲთა გაჩუენო შენ ზედა ძალი ჩემი, პრომ. 9,17CD; რაჲთა აჩუენოს სიმდიდრჱ იგი დიდებისა თჳსისაჲ, პრომ. 9,23; რაჲთა ა. ჟამთა მათ მომავალთა, ეფეს. 2,7; ჩემდა მომართ ა. ... ყოველი სულგრძელებაჲ, 1 ტიმ. 1,16; რომელ-იგი ჟამსა მას თჳსსა ა., 1 ტიმ. 6,15.

ი/უ: რომელი მიჩუენებდა ამათ, გამოცხ. 22,8; უჩუენებდა წიგნთაგან, საქმე 18,28ႢႪႭ; უჩუენებდეს კუბასტებსა, საქმე 9,39; ყოველივე გიჩუენე თქუენ, საქმე 20,35; რომელი გ. შენ მთასა ზედა, ებრ. 8,5ႡႪႭႢ; მე მიჩუენა ღმერთმან, საქმე 10,28ႢႪႭ; მ. მე ქალაქი, გამოცხ. 21,10; მ. მდინარჱ ერთი წყლისა ცხოველისაჲ, გამოცხ. 22,1; მიჩუენე მე სარწმუნოებაჲ შენი... და მე გიჩუენო შენ საქმეთა ჩემთაგან სარწმუნოებაჲ, იაკ. 2,18; რომელი მე გ. შენ, საქმე 7,3; რომელი გ. მე, საქმე 26,16ႡႪ; მერმე უმეტჱსი გზაჲ გ. თქუენ, 1 კორ. 12,31; გ., რაჲ-იგი ყოფად არს, გამოცხ. 4,1; გ. შენ სასჯელი იგი, გამოცხ. 17,1; გ. შენ დედაკაცი იგი, გამოცხ. 21,9; მე უჩუენო მას, საქმე 9,16.

ე: ორმეოცთა დღეთა ეჩუენებოდა მათ, საქმე 1,3; ამისთჳს გეჩუენე შენ... რომელი გ. შენ, საქმე 26,16; უკუანაჲსკნელ ყოველთასა... მეჩუენა მეცა, 1 კორ. 15,8; რომელ-იგი გეჩუენა შენ, საქმე 9,17; რომელი გ. მთასა ზედა, ებრ. 8,5.

ღმერთი დიდებისაჲ ეჩუენა მამასა ჩუენსა აბრაჰამს, საქმე 7,2; ე. მას... ანგელოზი უფლისაჲ, საქმე 7,30; რომელ-იგი ე. მაყუდლოანსა მას, საქმე 7,35; რომელი ე. მას, საქმე 10,17; რომელ-იგი ე. მრავლით დღით მათ, საქმე 13,31; ჩუენებასა ღამისასა ე. პავლეს, საქმე 16,9; ე. კეფას, 1 კორ. 15,5; მერმე ე. უმრავლჱს ხუთასისა ძმათა ერთ-გზის, 1 კორ. 15,6; მერმე ე. იაკობსა, 1 კორ. 15,7; ე. ანგელოზთა, 1 ტიმ. 3,16; ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი, საქმე 2,3.

უკუეთუმცა უნდა ღმერთსა ჩუენებად რისხვაჲ თჳსი, პრომ. 9,22; უნდა ღმერთსა... ჩ. ... შეუძრავობაჲ ზრახვისა თჳსისაჲ, ებრ. 6,17; შევიდა... აწვე ჩ. პირსა ღმრთისასა ჩუენთჳს, ებრ. 9,24; რომელ-იგი მოსცა მას ღმერთმან ჩ. მონათა მისთა საქმეთა მათ, გამოცხ. 1,1; ღმერთმან... მოავლინა ანგელოზი თჳსი ჩ., გამოცხ. 22,6.

2. ჩუენება ხილვა, მოჩვენება: იხილა მან ჩუენებაჲ, საქმე 10,3; ვიხილე განკჳრვებასა ჩემსა ჩ., საქმე 11,5ႢႪႭ; ჩ. ესე იხილა პავლე, საქმე 16,10; ვიხილევდ ჩუენებასა განსაკრთომელსა, საქმე 11,5; ჩ. იხილავს, საქმე 12,9; ჩ. ღამისასა ეჩუენა პავლეს, საქმე 16,9; არა ურჩ ვექმენ ზეცისასა მას ჩ., საქმე 26,19; ვიდრე-იგი დგომილ იყო ჩუენებისა მისთჳს, საქმე 10,19; ჰრქუა მას უფალმან ჩუენებით, საქმე 9,10; იხილა მან ჩ. კაცი ერთი, საქმე 9,12; იხილა მან ჩ. განცხადებულად, საქმე 10,3ႢႪႭ; ჰრქუა უფალმან ღამე ჩ. პავლეს, საქმე 18,9.

3. ჩუენება სიზმარი: მოხუცებულთა თქუენთა ჩუენებით (ἐνυπνίοις) განეცხადოს, საქმე 2,17.

ნ.კ. საჩუენებლი, თითის საჩუენებელი.

ჩუენ ზედა ჩვენთვის: აღჴოცა ჩუენ ზედაჲ (καθ ἡμῶν) იგი ჴელით წერილი ბრძანებით, კოლ. 2,14Ⴂხ.

ჩუენ მიერ-ი ჩვენი, ჩვენეული: წარემატებით... ჩუენ მიერითა მით თქუენ შორის სიყუარულითა, 2 კორ. 8,7.

ჩუეულ-ი ჩვეული: ვითარცა ჩუეულ იყო პავლე, საქმე 17,2.

ჩუეულება ჩვეულება; წეს-ჩვეულება: არა არს ჩუეულებაჲ პრომთაჲ, საქმე 25,16; ჩუენ ესევითარი ჩ. არა გუაქუს, 1 კორ. 11,16; ჩ. არს ვიეთმე, ებრ. 10,25; მეცნიერ ხარ შენ ყოვლსა მას ჰურიათა ჩუეულებასა, საქმე 26,3; არცაღა ჩუეულებათა ვიდოდიან, საქმე 21,21; მეცნიერ ხარ შენ ყოველთა მათ ჩუეულებათა, საქმე 26,3ႢႪႭ.

ნ.კ. ბოროტის ჩუეულება.

ჩუკენ-ი მხდალი, ჯაბანი, მშიშარა; ცრუთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკჳდრონ... არცა ჩუკენთა, 1 კორ. 6,9.

ჩჩჳლ-ი ჩვილი ბავშვი: ვიდრემდის ვიყვენით ჩჩჳლ, გალ. 4,3ႠႢხ; რაჲთა არღარა ვიყვნეთ ყრმა ჩ., ეფეს. 4,14; ჩ. არს, ებრ. 5,13; ესაჲ თავსა შენსა... მოძღურად ჩჩჳლთა, პრომ. 2,20; ვერ გეტყოდე... ვითარცა ჩ. ყრმათა, 1 კორ. 3,1.

ც

ც. ცან ქართული ანბანის 30-ე ასო, რიცხვითი მნიშვნელობა – 2000.

ც ცოდნა; ცნობა; შეცნობა, გაგება; აღიარება. ი: ესე ჭეშმარიტად ვიცი, საქმე 10,34; იესუ ვ., საქმე 19,15ႷႪႭ; არა ვ., საქმე 20,22; ჰრომ. 7,15; 2 კორ. 12,2; 12,3; ფილიპ. 1,22; ვ., რამეთუ გრწამს, საქმე 26,27; ვ. უფლისა მიერ იესუ ქრისტჱსა, ჰრომ. 14,14; მერმე არა ვ., 1 კორ. 1,16; ნაკერპავთა მათთჳს ვ., 1 კორ. 8,1Ⴂ; ჭამისათჳს ნაკერპავისა ვ., 1 კორ. 8,4Ⴂ; აწ ვ. მცირედ, 1 კორ. 13,12; ვ. გულს-მოდგინებაჲ ეგე თქუენი, 2 კორ. 9,2; ვ. კაცი ქრისტჱს მიერ, 2 კორ. 12,2; ვ. ესევითარი იგი კაცი, 2 კორ. 12,3; ვ. დამდაბლებაჲცა და ვ. აღმაღლებაჲცა, ფილიპ. 4,12; ვ., რომელი-იგი მრწმენა, 2 ტიმ. 1,12; ვ., რამეთუ მაქუს თხოაჲ, 1 იოვ. 5,15Ⴗ; ვიცნი საქმენი შენნი, გამოცხ. 2,2; 2,9; 2,13; 2,19; 3,1; 3,15; შენ უმჯობჱს იცი, საქმე 25,10; მეცნიერ ხარ შენ... და ი., საქმე 26,3; ი. ნებაჲ იგი, ჰრომ. 2,18; რაჲ ი., 1 კორ. 7,16 (2-ჯერ); ბერძლ იცია, საქმე 21,37; საღმრთონი წიგნნი იცნი, 2 ტიმ. 3,15; რომელმან არა იცის ეფესელთა ქალაქი, საქმე 19,35; ი. ზრახვაჲ იგი სულისაჲ, ჰრომ. 8,27; ვინ-მე უკუე ი. კაცმან კაცისაჲ... ეგრეცა ღმრთისაჲ არავინ ი., 1 კორ. 2,11; ვინ-მე უკუე ი. გონებაჲ უფლისაჲ, 1 კორ. 2,16Ⴂ; ი. რაჲმე, 1 კორ. 8,2; ღმერთმან ი., 2 კორ. 11,11; 12,2; 12,3; ღმერთმან ი., 2 კორ. 11,31; ვინმე თჳსისა სახლისა განგებაჲ არა ი., 1 ტიმ. 3,5; არარაჲ ი., 1 ტიმ. 6,4; ი. უფალმან, 2 ტიმ. 2,19ႪႢ; 2 პეტ. 2,9; არა ი., 1 კორ. 14,16; 1 იოვ. 2,11; არცა ი. იგი, 1 იოვ. 3,6; ი. ყოველი, 1 იოვ. 3,20; ი. ღმერთი, 1 იოვ. 4,7; მან არა ი. ღმერთი, 1 იოვ. 4,8; უფალმან იცნის ზრახვანი ბრძენთანი, 1 კორ. 3,20; ი. უფალმან, 2 ტიმ. 2,19; არა ვიცით, საქმე 7,40ႷႪႭ; ჰრომ. 8,26; იესუ ვ., საქმე 19,15; ნაკერპავთა მათთჳს ვ., 1 კორ. 8,1; ჭამისათჳს ნაკერპავისა ვ., 1 კორ. 8,4; მცირედ-რაჲმე ვ., 1 კორ. 13,9; აწ უკუე ვ. შიში ღმრთისაჲ, 2 კორ. 5,11; ჩუენ არღარავინ ვ. ჴორციელად... აწ არღარა ეგრეთ ვ., 2 კორ. 5,16; ვ., რომელმან-იგი თქუა, ებრ. 10,30; ვ. იგი, 1 იოვ. 2,3; ესე ვ., 1 იოვ. 3,2; ჩუენ ვ., 1 იოვ. 3,14; 4,16Ⴗ; უკუეთუ ვ. ვ., ვითარმედ მაქუს თხოვაჲ იგი, 1 კორ. 5,15; ვ., რამეთუ..., 1 იოვ. 5,18; 5,19; 5,20; რომელსა ამას ჰხედავთ და იცით, საქმე 3,16; რომელ-იგი არა ი., საქმე 17,23; კაცნო, ი., საქმე 19,25ႷႪႭ; თქუენ ი. პირველ დღითგან, საქმე 20,18; ი. სამე სახლი იგი სტეფანაჲსი, 1 კორ. 16,15; ი. მადლი იგი, 2 კორ. 8,9; ი. ღმერთი, გალ. 4,9Ⴗ; ესე ი., გალ. 4,13; გამოცდილებაჲ იგი მისი ი., ფილიპ. 2,22ႢCD; ვითარცა-ეგე ი., 1 თეს. 1,5 (+ცა); 2,11; ი., რაოდენნი მცნებანი გამცენით თქუენ, 1 თეს. 4,2; გულითად ი., 1 თეს. 5,2; ი. გამოჩინებადი იგი, 2 თეს. 2,6; თქუენ ი., 2 თეს. 3,7; ი., რამეთუ..., ებრ. 10,34; 1 იოვ. 3,15; 3 იოვ. 1,12; ი. ტიმოთე, ებრ. 13,23; რომელთა არა ი. ხვალისაჲ, იაკ. 4,14; დაღათუ ი., 2 პეტ. 1,12; ი. ყოველი, 1 იოვ. 2,20; ი. ჭეშმარიტებაჲ, არამედ ი. იგი, 1 იოვ. 2,21; უკუეთუ ი., 1 იოვ. 2,29ႪႭ; ი. რომელი-იგი გამოჩნდა, 1 იოვ. 3,5; დაღათუ ი. ყოველი, იუდა 1,5; თქუენცა იცითმცა ესევითარი ესე, 1 კორ. 16,18Ⴊ; ი., ვითარ-იგი თითოეულსა ღირს სიტყჳს მიგებაჲ, კოლ. 4,6; ი., რომელნი-იგი შურებიან, 1 თეს. 5,12Ⴊ; ვითარცა-ეგე იცითცა, 1 თეს. 1,5ႠႢხ; იცნითმცა (ἐπιγινώσκετε), 1 კორ. 16,18; ი. (εἰσέναι), რომელნი-იგი შურებიან, 1 თეს. 5,12; მათ თჳთ იციან, საქმე 22,19; ცხორებაჲ ჩემი ი. ყოველთა ჰურიათა, საქმე 26,4; რომელთა არა ი. ღმერთი, 1 თეს. 4,5; 2 თეს. 1,8; რომელთა ი. ჭეშმარიტებაჲ, 1 ტიმ. 4,3; ღმრთისა აღიარებენ ვითარმედ ი., ტიტე 1,16; რომელ-იგი არა ი., 2 პეტ. 2,12; რომელ-იგი არა ი. გონებით, იუდა 1,10; მრავლით წლითგან გიცოდე შენ, საქმე 24,10; არა ვიცოდე, საქმე 23,5; ცოდვაჲ არა ვ.... გულის-თქუმაჲ არა ვ., ჰრომ. 7,7; წინაწარმეტყუელი იყო და იცოდა, საქმე 2,30; წინაჲსწარ ი., საქმე 2,31ႪႭ; რომელმან არა ი. იოსეფი, საქმე 7,18; ი. ნათლის-ცემაჲ ხოლო იოვანჱსი, საქმე 18,25; ჭეშმარიტად ი. გზისა მისთჳს, საქმე 24,22; რომელმან-იგი არა ი. ცოდვაჲ, 2 კორ. 5,21; წინაჲსწარ ი. წიგნმან, გალ. 3,8; დაღათუ ვიცოდეთ ქრისტე ჴორციელად, 2 კორ. 5,16; მაშინ არა იცოდეთ ღმერთი, გალ. 4,8; რომელი-იგი არა ი., 1 პეტ. 1,8; წინაჲსწარვე მიცოდეს მე, საქმე 26,5; იცოდეს (ἐπεγίνωσκον), საქმე 3,10; ი., რამეთუ იესუჲს თანა იყვნეს, საქმე 4,13; ერთი ჴელოვნებაჲ ი., საქმე 18,3; ი. (γνόντες), ჰრომ. 1,21; რომელთა სამართალი ღმრთისაჲ ი., ჰრომ. 1,32; არა ი., 1 ტიმ. 1,7CD; იცოდნეს იგინი, საქმე 4,13ႪႭ; უკუეთუ არა ვიცოდი ძალი ჴმისაჲ მის, 1 კორ. 14,11; რომელმან იცოდის ღმერთი, 1 იოვ. 4,6; რომელმან ი. კეთილისა საქმედ, იაკ. 4,17; რაჲთა ვიცოდით ღმრთისა მიერ მონიჭებული ჩუენდა, 1 კორ. 2,12; დაღათუ ვ. ქრისტე ჴორციელად, 2 კორ. 5,16Ⴗ; რაჲთა ვ. ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი, 1 იოვ. 5,20; რაჲთა იცოდით თქუენ, ეფეს. 1,18; ყოველთა მიცოდიან მე, ებრ. 8,11.

1. ცა ცა: რომლმან ჰქმენ ცაჲ, საქმე 4,24; შექმნა ც. და ქუეყანაჲ, საქმე 14,15; ც. წარიგრაგნა, გამოცხ. 6,14; რომელმან დაჰბადა ც., გამოცხ. 10,6; რომელმან ქმნა ც. და ქუეყანაჲ, გამოცხ. 14,7; ლტოლვილ იქმნა ქუეყანაჲ და ც., გამოცხ. 20,11; ვიხილე ც. ახალი, გამოცხ. 21,1; პირველი იგი ც. და პირველი ქუეყანაჲ წარჴდეს, გამოცხ. 21,1; ცამან წჳმაჲ მოსცა, იაკ. 5,18; ტილოჲ დიდი, ოთხთავე კიდეთა დამოკიდებული ცასა, საქმე 11,5; ნუ ჰფუცავთ ნუცა ც., იაკ. 5,12; რომელნი არიან ც. ქუეშე, საქმე 2,5; ეფეს. 6,12; არცაღა სახელი სხუაჲ ც. ქუეშე მოცემულ კაცთა, საქმე 4,12; ყოველთა მიმართ დაბადებულთა ც. ქუეშე, კოლ. 1,23; ესე ცისა და ქუეყანისაჲ არს უფალი, საქმე 17,24; ვიხილე ანგელოზი მფრინვალჱ შორის ც. და ქუეყანისა, გამოცხ. 14,6; დამოეკიდა ცით ქუეყანად, საქმე 10,11; იყო მბრწყინვალებაჲ ნათლისაჲ ც. გამო, საქმე 9,3; ჴმაჲ იყო ც. გამო, საქმე 11,9; აღმაღლდა ჭური იგი მყნვე ცად, საქმე 10,16; აღიტაცა... კაცი ვიდრე მესამედ ცადმდე (ცამდე ႠႢხ), 2 კორ. 12,2; მისწუდეს ცოდვანი მისნი ც., გამოცხ. 18,5; რაჲსა ჰხედავთ ცად მიმართ?

საქმე 1,11; იხარებდი მის ზედა, ცაო, გამოცხ. 18,20; რომელმან ჰქმენ ცანი, საქმე 4,24Ⴊ; ც. საყდარნი ჩემნი არიან, საქმე 7,49; ჰხედვიდა ვითარ ც. განხუმულ იყვნეს, საქმე 10,11; ქმნულნი ჴელთა შენთანი ც. არიან, ებრ. 1,10; რომელმან განვლნა ც., ებრ. 4,14; ც. იყუნეს მაშინ, 2 პეტ. 3,5; ც. და ქუეყანაჲ მითვე სიტყჳთა დაუნჯებულ არიან, 2 პეტ. 3,7; ც. ძლიერიად წარჴდენ, 2 პეტ. 3,10; ც. მჴურვალენი დაირღუენ, 2 პეტ. 3,12; ამისთჳს იხარებდით ც., გამოცხ. 12,12; რომელმან ქმნა ც. და ქუეყანაჲ, გამოცხ. 14,7C; ვიხილენ ც. განხუმულნი, გამოცხ. 19,11; შევძრა... ცანიცა, ებრ. 12,26; ვხედავმე ცათა განხუმულთა, საქმე 7,56; ხედვიდა ც. განხუმულთა, საქმე 10,11ႢႪႭ; არა ჴელით ქმნულთა სიწმიდეთა შევიდა ქრისტჱ... არამედ თჳთ მათ ც., ებრ. 9,24; ახალთა ც. მოველით, 2 პეტ. 3,13; ვსცე ნიშებ ც. შინა, საქმე 2,19; არიან... სახელ-დებულ ღმრთად... ც. შინა, 1 კორ. 8,5; მაქუს ჩუენ სახლი ც. შინა, 2 კორ. 5,1; მაკურთხნა ჩუენ... ც. შინა, ეფეს. 1,3; რაჲ-იგი არს ც. შინა, ეფეს. 1,10;ყოველნი ნათესავნი ც. შინა... სახელ-დებულ არიან, ეფეს. 3,15; უფალი ც. შინა არს, ეფეს. 6,9; ჩუენი საყოფელი ც. შინა არს, ფილიპ. 3,20; განმზადებულ არს თქუენთჳს ც. შინა, კოლ. 1,5; დაებადა ყოველი ც. შინა, კოლ. 1,16; მშჳდობა-ყო... გინა თუ ც. შინა, კოლ. 1,20; უფალი გივის ც. შინა, კოლ. 4,1; დაჯდა საყდართა დიდებისათა მარჯუენით ც. შინა, ებრ. 8,1; დამარხული ც. შინა, ებრ. 10,34; 1 პეტ. 1,4; ეკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ც. შინა, ებრ. 12,23; აჰა კარი განღებული ც. შინა, გამოცხ. 4,1; დგა საყდარი ც. შინა, 4,2; რომელნი არიან ც. შინა, გამოცხ. 5,13; იქმნა დუმილი ც. შინა, გამოცხ. 8,1; იქმნეს ჴმანი დიდნი ც. შინა, გამოცხ. 11,15; განეღო ტაძარი... ც. შინა, გამოცხ.11,19; სასწაული... გამოჩნდა ც. შინა, გამოცხ. 12,1; იხილვა სხუაჲ სასწაული ც. შინა, გამოცხ. 12,3; იქმნა ბრძოლაჲ ც. შინა, გამოცხ. 12,7; არცაღა ეპოვა მას ადგილი ც. შინა, გამოცხ. 12,8; მესმა ჴმაჲ დიდი ც. შინა, გამოცხ. 12,10; აღაღო პირი თჳსი გმობად... ც. შინა დამკჳდრებულთა მათ, გამოცხ. 13,6; ვიხილე სხუაჲ სასწაული ც. შინა, გამოცხ. 15,1; განეღო ტაძარი კარვისაჲ მის საწამებელისაჲ ც. შინა, გამოცხ. 15,5; მესმა... ჴმაჲ... ერისა მრავლისაჲ ც. შინა, გამოცხ. 19,1; ეტყოდა ყოველთა მფრინველთა, მფრინვალეთა ც. შინა, გამოცხ. 19,17; აღმაღლდა ზედა ყოველთა ც., ეფეს. 4,10; აქუს ჴელმწიფებაჲ დაჴშვად ც., გამოცხ. 11,6; მფრინველი ცისაჲ, საქმე 11,6; მშჳლდი ც., გამოცხ. 10,1; მფრინველნი ცისანი, საქმე 10,12; 11,6ႢႪႭ; ვარსკულავნი ც., ებრ. 11,12CD; გამოცხ. 6,13; ძალთა ცისათა, საქმე 7,42; მესამედსა ვარსკულავთა ც., გამოცხ. 12,4; მფრინველი ცათაჲ, საქმე 10,12Ⴂ; სასუფეველი ც., 1 კორ. 4,20Ⴡ; მღდელთმოძღუარი... უმაღლჱსი ც., ებრ. 7,26; ღმერთსა ცათასა, გამოცხ. 11,13; 16,11; მჴედრობანი ცათანი, გამოცხ. 19,14.

ნ.კ. ზეცა.

2. ცა ნაწილაკი ა) ზ მ ნ ა ს თ ა ნ: ეწოდაცა, საქმე 1,19; ვიურვითცა, საქმე 19,40; ვყავცა, საქმე 26,10; მიხაროდისცა, ფილიპ. 1,18; უხუებდით-ცა, ფილიპ. 4,10; იცითცა, 1 თეს. 1,5ႧႨb; იქმენითცა, 1 თეს. 1,7; იქმნაცა, 1 თეს. 3,4CD; ჰყოფთცა, 1 თეს. 4,10; 5,11CD; ყოსცა, 1 თეს. 5,24.

შე-ცა-ვიპყართ, საქმე 24,6; გამო-ცა-თარგმანოს. 1 კორ. 14,13; და-ცა-ვიზამთრო, 1 კორ. 16,6; თავს-ცა-იდვათ, 2 კორ. 11,1; შე-ცა-მირაცხიეს, ფილიპ. 3,8; და-ცა-ჯდეს, 2 თეს. 2,4.

ბ) ს ა ხ ე ლ ე ბ თ ა ნ: რომელთაცა, საქმე 1,3; რომელიცა, საქმე 1,24ႢႪႭ; თქუენცა, საქმე 2,22ႪႭ; იაკ. 5,1; 4,13; 5,8; 1 პეტ. 1,15; ჴორცთაცა, საქმე 2,26; რომელსაცა, საქმე 3,22; ბომონიცა, საქმე 17,23ႪႭ; ნათესავცა, საქმე 17,28; რომლისათჳსცა, ებრ. 2,11ႠCD; ამისთჳსცა, ებრ. 11,12; რააბცა, იაკ. 2,25ႪႭ; ნავნიცა, იაკ. 3,4.

გ) უ დ ე ტ რ ე ბ თ ა ნ: სადაცა, საქმე 1,13; არცა, საქმე 2,27; 2,31; 1 იოვ. 2.23; ვითარცა, საქმე 13,42; მერმეცა, საქმე 17,32; კუალადცა, საქმე 17,32ႪႭ; ვერცა, საქმე 19,40; იაკ. 3,12; ეგრეცა, იაკ. 2,26; 3.12Ⴂ; ვიდრეცა-იგი, იაკ. 3,4.

ცალიერ-ი ამაო: ცალიერ (κεκένωται) არს სარწმუნოებაჲ, ჰრომ. 4,14; რაჲთა არა ც. (μὴ κενωθῇ) იყოს ჯუარი იგი, 1 კორ. 1,17CD; რაჲთა არა ცალიერად იყოს ჯუარი იგი, 1 კორ. 1,17.

ცბა მრისხანება, გაცოფება, ἐμμαίνομαι, 0—1: უმეტჱსად-ღა ვცბოდე მათ ზედა, საქმე 26,11.

1. ცემა მიცემა, 0—3: მიზეზსა გცემთ თქუენ სიქადულის, 2 კორ. 5,12CD; ნურას ვის ნურაჲთ სცემთ დაბრკოლებასა, 2 კორ. 6,3; ნუცა ს. ადგილსა ეშმაკსა, ეფეს. 4,27; არა სცა მას სამკჳდრებელი, საქმე 7,5; გარდამოდგინებად ს. ყოველი იგი ამბოხი პეტრე, საქმე 9,40; ათეული ყოლისა მისგან ნაწილად ს. აბრაჰამ, ებრ. 7,2; პური ეც მას, ჰრომ. 12,20; ეცით ადგილ რისხვასა, ჰრომ. 12,19; ვსცე ნიშებ ცათა შინა, საქმე 2,19; არცა ვ. წმიდასა ჩემსა ხილვად განსახრწნელი, საქმე 2,27Ⴂ; რაჲთა არა განკუეთა რაჲმე ვ. სახარებასა მას ქრისტესსა, 1 კორ. 9,12b; არცა სცე (ჰსცე G) წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი, საქმე 2,27; 13,35; არა სცეს მათ საჭმარი ჴორცთაჲ, იაკ. 2,16G; გცეთ შენ, საქმე 3,6; რაჲთა არა დაბრკოლება ვისმე ვსცეთ სახარებასა მას შინა ქრისტჱსსა, 1 კორ. 9,12; არარაჲ სცეთ საჭმარი იგი ჴორცთაჲ, იაკ. 2,16.

ე: ნუუკუე ჴელმწიფებაჲ ეგე თქუენი დაბრკოლება რაჲმე ეცეს უძლურთა მათ, 1 კორ. 8,9Ⴇ.

არცა ერთისა მიზეზისა ცემად მჴდომისა, 1 ტიმ. 5,14CD.

ნ.კ. დადუმების ცემა, თანა-ნუგეშინის ცემა, თაყუანის-ცემა, მადლ-ცემა, მიზეზ-ცემა, ნათლის-ცემა, ნუგეშინის-ცემა, პატივის-ცემა.

2. ცემა ღარტყმა, ცემა, 0—3: ვითარცა არა აერსა ვსცემ (δέρων), 1 კორ. 9,26; უკუეთუ ვინმე პირსა გცემს თქუენ, 2 კორ. 11,20; ვითარცა არა ჰაერსა ვსცემდი, 1 კორ. 9,26CD; სცემდეს საყდარსა წინაშე, საქმე 18,17; სცა გუერდსა პეტრჱსსა, საქმე 12,7; მეყსეულად ს. მას ანგელოზმან, საქმე 12,23ႪႭ.

ი ვნ.: სამ-გზის კუერთხითა ვიეც. კორ. 11,25ႠCD.

უბრძანეს მათი კუერთხითა ცემაჲ, საქმე 16.22; დააცადეს ც. პავლჱსი, საქმე 21,32; უბრძანა... პირსა ც. მისი, საქმე 23,2; ც. შენი ეგულების ღმერთსა, საქმე 23,3ႪႭ; ჰურიათაგან... ც. მოვიღე, 2 კორ. 11,24; მძო-

აქუნდა ნავი მათი ნელიად ცემითა ქარისაჲთა, საქმე 27,17G; ჰბრძანებ ცემად ჩემდა, საქმე 23.3.

3. ცემა დაკვრა (საკრავზე), 0—(3)2: რომელნი სცემდეს ათძალთა მათთა, გამოცხ. 14,2.

განჰმზადნეს თავნი თჳსნი ცემად, გამოცხ. 8,6; რომელსა ეგულების ც. საყჳრსა, გამოცხ. 10,7B.

4. ცემა კბენა, ჩხვლეტა (გველისა, მორიელისა...), ი/უ: რაჟამს უცის კაცსა, გამოცხ. 9,5; რაჟამს უცეს კაცსა, გამოცხ. 9,5.

ცეცხლ-ი: ღმერთი ჩუენი ცეცხლ განმლეველ არს, ებრ. 12,29; ენაჲ ეგრეცა ც. არს, იაკ. 3,6; ვსცე... სისხლი და ცეცხლი, საქმე 2,19; აღაგზნეს ც., საქმე 28,2; შეშჭამდეს ჴორცთა თქუენთა ვითარცა ც., იაკ. 5,3; იქმნა სეტყუაჲ და ც., გამოცხ. 8,7; პირთა მათთაგან გამოვალს ც. გამოცხ. 9,17; ც. გამოვალს პირისაგან მათისა, გამოცხ. 11,5; ც. გარდამოჴდეს ზეცით, გამოცხ. 13,13; გარდამოჴდა ც. ზეცით, გამოცხ. 20,9; კაცად-კაცადისა იგი საქმჱ... ცეცხლმან გამოაცხადოს, 1 კორ. 3,13; ც. ... ტყჱ აღაგზნის, იაკ. 3,5; შეაგდო გუელი იგი ცეცხლსა, საქმე 28,5; ქარქუეტსა... დაასხმიდა ც. მას, საქმე 28,3; რომელსა აქუნდა ჴელმწიფებაჲ ც. ზედა, გამოცხ. 14,18; ფერჴნი მისნი... ვითარცა ც. შინა გამოჴურვებულნი, გამოცხ. 1,15; რომელმან შექმნნა... მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა, ებრ. 1,7; ც. (+ჲ Ⴍ) შური შეშჭამდეს მტერთა მათ, ებრ. 10,27; ცანი და ქუეყანაჲ მითვე სიტყჳთა დაუნჯებულ არიან, ც. დამარხულნი დღედ საშჯელისა, 2 პეტ. 3,7ႢႪႭ; წინა სხენან სახედ ც. საუკუნისა, იუდა 1,7; აღჴდა კუამლი ვითარცა კუამლი... ც. მოტყინარისაჲ, გამოცხ. 9,2; ეშმაკი... შთავარდა ტბასა მას ც. და წუმწუბისასა, გამოცხ. 20,10; ეგრე ცხოვნდებოდის, ვითარცა ცეცხლისაგან, 1 კორ. 3,15; უპატიოსნეს ოქროჲსა მის... ც. გამოცდილისა, 1 პეტ. 1,7; ც. გამოიტაცებდით, იუდა 1,23; სამთა ამათ წყლულებათაგან მოსწყდა მესამედი კაცთაჲ – ც. და კუამლისა და წუმწუბისა, გამოცხ. 9.18; უპატიოსნეს... ცეცხლისა მიერ გამოცდილისა იპოოს საქებელად, 1 პეტ. 1,7ႢႪႭ; აღავსო ც. მისგან საკურთხევლისა, გამოცხ. 8,5; ცეცხლითა გამოჩინებად არს, 1 კორ. 3,13; ც. ალისაჲთა მიგებად შურისა, 2 თეს. 1,8; არა მოსრულ ხართ თქუენ მთასა მას... აღგზებულსა ც., ებრ. 12,18; რაჲთა იყიდო ჩემგან ოქროჲ გამოჴურვებული ც., გამოცხ. 3,18; ვითარცა მთაჲ დიდი მოტყინარჱ ც., გამოცხ. 8,8; იტანჯოს ც., გამოცხ. 14,10; ვითარცა ზღუაჲ ჭიქისაჲ, შერეული ც., გამოცხ. 15,2; მიეცა მას ც. დაწუვად კაცთა, გამოცხ. 16,8; იგი დაწუან ც., გამოცხ. 17,16; ც. დაიწუას, გამოცხ. 18,8; ნაწილი მათი იყოს ტბასა მას ც. მოტყინარესა, გამოცხ. 21,8; ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ შეჰკრიბო თავსა მისსა, ჰრომ. 12,20; დაშრიტეს ძალი ც., ებრ. 11,34; ალი ც., გამოცხ. 1,14; 2,18; 19,12; აქუნდა ჯაჭუები ც. (-ჲ A), გამოცხ. 9,17BC; და აჰა ვეშაპი ც., გამოცხ. 12,3; ტბაჲ იგი ც., გამოცხ. 20,14; ტბასა მას ცეცხლისასა, გამოცხ. 19,20; 20,14; 20,15; ალითა ცეცხლისაჲთა, საქმე 7,30; რომელმან შექმნნა... მსახურნი მისნი ალად ცეცხლისად, ებრ. 1,7Ⴂ; განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი, საქმე 2,3; შჳდნი ლამპარნი ც. გამოცხ. 4.5; ფერჴნი მისნი ვითარცა სუეტნი ც., გამოცხ. 10,1.

ცვა დაცვა, 0—2: სცვიდეს იგინი ბჭეთა ქალაქისათა, საქმე 9,24; მჴუმილნი იგი... წინაშე კართა მათ ს. საპყრობილესა მას, საქმე 12,6.

მისცა იგი ოთხთა ოთხეულთა ერისაგანთა ცვად, საქმე 12,4.

მე ვიყავ... მცველ სამოსლისა, საქმე 22,20; უბრძანეს პავლეს ყოფაჲ თჳსაგან მცველისა მის თანა ერის კაცისა, საქმე 28,16; ვპოვეთ... მცველნი (+იგი ႢႪႭ), საქმე 5,23; განიკითხნა მ., საქმე 12,19.

პავლე ცვულ იყო საპყრობილესა, საქმე 12,5.

ცვალება შეცვლა; ადგილის გადანაცვლება, 0—2: ცვალეს დიდებაჲ იგი უხრწნელისა ღმრთისაჲ, ჰრომ. 1,23; რომელთა-იგი ც. ჭეშმარიტებაჲ იგი ღმრთისაჲ, ჰრომ. 1,25; იესუ ნაზორეველმან... ცვალოს შჯული, საქმე 6,14; ვითარცა შესამოსელნი, სცვალნე (ცვალნე Ⴊ) იგინი, ებრ. 1,12.

ი: ფერი იცვალეთ განახლებითა მით გონებისა თქუენისაჲთა, ჰრომ. 12,2ႺႢ.

ი ვნ.: ეშმაკი იცვალისვე (-ვე ႪႭ) ანგელოზად, 2 კორ. 11,14; სცვალნე იგინი, და იცვალნენ, ებრ. 1,12.

